საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები

ტ. VII

ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია

გარე კახეთი

ТРУДЫ

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ им. ВАХУШТИ

Т. VII

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ

ГАРЕ КАХЕТИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1955—ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები

ტ. VII

ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია

გარე კახეთი

6936

ТРУДЫ

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ им. ВАХУШТИ

Т. VII

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ

ГАРЕ КАХЕТИ

ბათუმის სახ. სამ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1955—ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის
ნამდვილი წევრი ა. ჯავახიშვილი

Редактор д/член Академии наук
Грузинской ССР А. Н. ДЖАВАХИШВИЛИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. VII, 1955
Академия наук ГССР. Труды Института географии им. Вахушти, т. VII, 1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გველესიანი

გარე კახეთის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება

შესავალი

წინამდებარე შრომის საკვლევ ტერიტორიად აღებულია სიღნაღის, წითელწყაროს, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონები, რომელნიც გაერთიანებული არიან გარე კახეთის სახელწოდებით. ასეთი სახელწოდება, ცხადია, ერთგვარი პირობითობით შეიძლება იქნეს მიღებული, ვინაიდან სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიულად ქიზიყად არის ცნობილი.

სახელწოდება გარე კახეთი ამ შემთხვევაში აღებულია არა ყოფაცხოვრებაში დამკვიდრებული გაგებით, არამედ როგორც უფრო ფართო ეკონომიურ-გეოგრაფიული ცნება, გარკვეული ბუნებრივი და მეურნეობრივი ნიშნების მქონე ტერიტორიის გამოსაყოფად.

ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კახეთი, ზოგიერთი განმასხვავებელი მაჩვენებლის მიხედვით დაყოფილია ორ ქვერაიონად—შიგნი კახეთად და გარე კახეთად. უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ გარე კახეთად წოდებული ტერიტორია, გარდა მცირე ნაწილისა (ეგრეთ წოდებული წინამხარე), მკაფიოდ გამოხატული საწარმოო და ბუნებრივ ნიშანთა ერთგვაროვნით ხასიათდება. ეს ტერიტორია ძირითადად მდებარეობს ცივ-გომბორის ქედის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გარე კახეთის ზეგანზე და თავისი ბუნებრივი და მეურნეობრივი სტრუქტურით სპეციფიკურ ნიშნებს ატარებს, რაც საფუძველს იძლევა გამოვყოთ იგი ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლის ცალკე ობიექტად.

მიუხედავად ცალკეული შიდარაიონული სხვაობისა, გარე კახეთი არსებითად წარმოადგენს ერთგვარ ტერიტორიულ-საწარმოო მთლიანობას და თავისი საწარმოო სპეციალიზაციით მას გარკვეული ადგილი უკავია კახეთისა, და საერთოდ, საქართველოს მეურნეობრივ კომპლექსში.

ამიტომ, გარე კახეთის კვლევის ობიექტად გამოყოფა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა ერთ-ერთი ეტაპია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, მისი ეკონომიური დარაიონების საფუძვლების შექმნისათვის.

გარე კახეთის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება ისევე, როგორც მისი ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის ცალკე დარგთა საკითხების შესწავლა-გაშუქება, შესაძლებელი შეიქნა გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1953 წ. ზაფხულში ზემოთ დასახელებულ რაიონებში სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობის შედეგად.

გარე კახეთის ექსპედიციის მიერ ოთხივე რაიონში შეგროვილ იქნა მრავალრიცხოვანი საანგარიშო-სტატისტიკური და სხვაგვარი ფაქტიური მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალები, ჩატარებულ იქნა ადგილობრივად ყველა საჭირო ობიექტის შესწავლა. აღნიშნული მასალები სათანადო გადამუშავების შემდეგ საფუძვლად დაედო გარე კახეთისადმი მიძღვნილ შრომებს.

ფართოდ იქნა აგრეთვე გამოყენებული საარქივო მასალები, მონოგრაფიები და სხვა სპეციალური გამოცემანი, რომლებშიაც ანა თუ იმ სახით მოცემული იყო შესასწავლი რაიონების დახასიათება.

შრომაში განხილულ საკითხთა დამუშავება სავსებით ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძვლებს.

ის ობიექტური ეკონომიური კანონები, რომელნიც მოქმედებენ სოციალისტური წარმოების წესის პირობებში, განსაზღვრავენ მეურნეობის გეოგრაფიასაც, ცალკე რაიონთა ეკონომიურ სტრუქტურასა და სამეურნეო სპეციალიზაციას; აქაც, ასეთ შედარებით მცირე ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონშიც, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე, მეურნეობის განვითარება-განლაგებაში გამოხატულებას პოულობს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიური კანონი, რომელიც თავის მოქმედებაში ეყრდნობა სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს.

წარმოების სოციალისტური წესისა და მასში მოქმედი ობიექტურ კანონზომიერებათა გადამწყვეტი როლის აღიარება არ ნიშნავს გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენის უარყოფას.

„გეოგრაფიული გარემო, უდავოა, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს და იგი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე,— იგი აჩქარებს ან ანელებს საზოგადოების განვითარების მსვლელობას. მაგრამ მისი გავლენა განმსაზღვრელი გავლენა როდია“,[1]...

ი. სტალინის ეს ნათელი ფორმულა ამომწურავ პასუხს გვაძლევს გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ სოციალურ-ეკონომიურ კანონზომიერებათა პრიორიტეტის აღიარება არ უნდა უარყოფდეს ბუნებრივ ფაქტორთა გარკვეულ მოქმედებას და ამა თუ იმ ტერიტორიის ბუნებრივი პირობების შესწავლა ეკონომიურ-გეოგრაფიული კვლევის აუცილებელი პირობაა.

ეს დებულება გათვალისწინებულია გარე კახეთისადმი მიძღვნილ შრომებში და მისი ბუნების ძირითადი ელემენტები, კერძოდ რელიეფი, კლიმატი, ნიადაგები, წყლები, მცენარეული საფარი და სხვა სათანადოდ შესწავლილ და გაშუქებულ იქნა.

ცნობილია, რომ ადამიანი ძირითადი საწარმოო ძალაა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიური განვითარება, ცხადია, რომ ამის გამო შრომაში გარე კახეთის მოსახლეობის საკითხების გაშუქებისათვის გარკვეული ადგილი უნდა დაგვეთმო.

ძირითადი მიზანი, რომელიც დასახულია წინამდებარე შრომაში, შემდეგში მდგომარეობს:

1. დახასიათდეს გარე კახეთის ბუნებრივი პირობები და რესურსები და მათი საწარმოო გამოყენების შესაძლებლობანი;

2. დახასიათდეს გარე კახეთის მეურნეობის სტრუქტურა და თავისებურობანი და ამ რაიონის მეურნეობრივი სპეციალიზაცია;

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 687.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დახასიათდეს წარმოების დარგთა ტერიტორიული განლაგება გარე კახეთში და ცალკე რაიონთა თავისებურებანი;

4. გამორკვეულ იქნეს გარე კახეთის რაიონთა ეკონომიური კავშირი ურთიერთ შორის და საქართველოს სხვა რაიონებთან;

5. მეურნეობის დარგთა მდგომარეობის განხილვა-ანალიზის საფუძველზე გამოვლინდეს არსებული დეფექტები და მათი აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებანი;

6. დასახულ იქნეს, შესაძლებლობის ფარგლებში, ცალკეულ დარგთა განვითარების პერსპექტივები.

აღნიშნულ საკითხთა გაშუქების აუცილებლობით გაპირობებულია როგორც შრომის შინაარსი, აგრეთვე მისი სტრუქტურა-აღნაგობა.

რომელიმე რაიონის, მხარის, თანამედროვე მდგომარეობის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ იცნობ მის წარსულსა და განვითარების ეტაპებს, ამის გამო გარე კახეთის ეკონომიურ-გეოგრაფიულ დახასიათებაში ერთ-ერთ თავად შეტანილია ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი, რომელშიაც მოკლედ გაშუქებულია ამ რაიონის მეურნეობრივი და ისტორიული წარსული.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წარმოუდგენელი განვითარება-წინსვლა დაეტყო გარე კახეთს, ისევე, როგორც საქართველოს ყველა დანარჩენ რაიონს, სამეურნეო-კულტურული ცხოვრების დარგში. შრომაში სათანადოდ არის გაშუქებული ის დიდი პროგრესული ძვრები, რომლებიც მოხდა დასახელებულ რაიონთა მატერიალური წარმოების სფეროსა და მოსახლეობის კულტურულ-მატერიალურ მდგომარეობაში, რაც დაკავშირებულია სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან, საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებასთან.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს მხოლოდ ზოგად, შემაჯამებელ ნაწილს გარე კახეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათებისა და მას თან ახლავს სპეციალური ნაკვეთები ამ მხარის ბუნებრივი პირობების, მოსახლეობისა და მეურნეობის ცალკე დარგთა საკითხებზე.

აღნიშნული შრომების გამოცემისას ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი ხელმძღვანელობს იმ რწმენით, რომ გარე კახეთისადმი მიძღვნილ გამოკვლევას, მიუხედავად იმ ნაკლოვანებისა რომელსაც შესაძლოა იგი შეიცავდეს, მნიშვნელობა ექნება ჩვენს ქვეყანაში გეოგრაფიულ ცოდნათა გაფართოების საქმისათვის და, აგრეთვე, გარკვეულ სარგებლობას მოუტანს საქართველოს ამ მდიდარ მხარეში წარმოებულ სოციალისტურ მშენებლობასაც.

I. ტერიტორია და ბუნებრივი პირობები

ტერიტორია და ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა

გარე კახეთს უკავია საქართველოს სსრ ყველაზე განაპირა სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, უმთავრესად ის ტერიტორია, რომელიც ცივ-გომბორის ქედის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს.

საკვლევი რაიონი მოთავსებულია აღმოსავლეთი გრძედის 45° 1′ და 46° 44′ შორის და ჩრდილო განედის 41° 03′ და 41° 57′ შორის და თავის საერთო ექსპოზიციით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული.

გარე კახეთად წოდებული ტერიტორიის მთელი ფართობი 5753 კვ. კილომეტრს უდრის (1952 წ. ნოემბრის მდგომარეობით), რაც საქართველოს სსრ საერთო ფართობის 7,9 პროცენტს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული რაიონების მიხედვით ეს ტერიტორია შემდეგნაირად ანაწილებული:

რაიონი	ფართობი კმ²	პროცენტობით
საგარეჯოს	1242	21,6
კაჭრეთის	775	13,5
სიღნაღის	1209	21,0
წითელწყაროს	2527	43,9

ფართობით ყველაზე დიდი წითელწყაროს რაიონია, მას უკავია გარე კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირა ნაწილი, ძირითადად მდ. ალაზანსა და იორს შორის მდებარე, თითქმის მათ შეერთებამდე.

სიღნაღის რაიონი მდებარეობს გარე კახეთის ცენტრალურ ნაწილში. მას უკავია როგორც ციე-გომბორის კალთები, აგრეთვე მის ჩრდილოეთით მდებარე დაბლობი, მდინარე ალაზანამდე (ხალხში „წინამხარედ“ წოდებული), სამხრეთით კი გარე კახეთის ზეგნის შუა ნაწილი, აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე („უკანამხარედ“ წოდებული).

კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონები წარმოადგენს გარე კახეთის ჩრდილო ნაწილს და მათ ციე-გომბორის ქედიდან უკავია სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორია, რომელსაც ესაზღვრება აზერბაიჯანის სსრ ტერიტორია.

საქართველოს ადმინისტრაციული რაიონების მიმართ გარე კახეთი შემდეგნაირად მდებარეობს: დასავლეთით მას საზღვრავს თბილისის გარეუბნისა და გარდაბნის რაიონები, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით—ახმეტის, თელავის, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონები.

აღმოსავლეთითა და სამხრეთით გარე კახეთის საზღვარი ემთხვევა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საზღვარს.

აქგვარად, გარე კახეთს რესპუბლიკის განაპირა ადგილი უკავია და მდებარეობს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა, შიგნი კახეთსა და ქართლს შორის. გარე კახეთის ასეთ მდებარეობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში ამ რაიონის ისტორიული ბედისათვის; მას ერთგვარი გავლენა აქვს ამჟამადაც რაიონის ეკონომიური კავშირებისათვის. სატრანსპორტო გზებისა და რაიონთშორისი კავშირის მიხედვით, გარე კახეთი დასავლეთისაკენ არის ორიენტირებული, იგი ძირითადად თბილისის ეკონომიკური მიზიდულობის სფეროში იმყოფება.

გარე კახეთის როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმოქცევას ძირითადად ერთმხრივი მიმართულება აქვთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (პერიფერიიდან ცენტრისაკენ), შემოზიდული საქონლისათვის კი, პირიქით. ეკონომიური კავშირის ასეთი მიმართულება გამოწვეულია გარე კახეთის არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობითა და სატრანსპორტო მაგისტრალების მიმართულებით, არამედ იმითაც, რომ თბილისი—ეს უდიდესი დასახლებული პუნქტი—გარე კახეთის ეკონომიკას ერთგვარად უქვემდებარებს თავის მოთხოვნილებას და ნაწილობრივ აქცევს მას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა მომარაგების ბაზად. გარე კახეთის რაიონებიდან თბილისისაკენ მიემართება ხორბალი, ბოსტნეული და ბაღჩეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზესუმზირა, ყურძენი ღვინო და მეცხოველეობის პროდუქტები. თბილისიდან გარე კახეთში კი იგზავნება საწარმოო საშუალებები (მანქანა მოწყობილობა), საშენი მასალები და სამომხმარებლო ხასიათის სამრეწველო პროდუქცია.

გარე კახეთი დაკავშირებულია რკინიგზით თბილისსა და, აქედან, რესპუბლიკის ყველა დანარჩენ პუნქტთან; მისი რაიონები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და თბილისთან აგრეთვე მაგისტრალური შარაგზებით— თბილისი-სიღნაღი-გურჯაანი-თელავის გზით, თბილისი-გომბორი-თელავის გზით, წითელწყარო-წნორის გზით.

დამახასიათებელია, რომ ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები დასახლებულ მაგისტრალებზე გამოდიან. ამგვარად, ისინი ერთმანეთს უკავშირებენ გარე კახეთის რაიონების მთელ ტერიტორიას და მის სასიცოცხლო არტერიებს წარმოადგენენ.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მოსაზღვრე რაიონებთან კავშირი ძირითადად ხორციელდება ურელსო გზით—წნორი-ლაგოდეხი. აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ მდებარე რაიონებთან, რელიეფის პირობებისა და მცირე დასახლებულობის გამო, გარე კახეთს შეზღუდული კავშირი აქვს და მათთან კეთილმოწყობილი მაგისტრალური გზებით არ არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით გარე კახეთი, ერთგვარად, შიგნი კახეთის სატრანსპორტო კორიდორს წარმოადგენს. შიგნი კახეთის რაიონები თბილისსა და რესპუბლიკის სხვა პუნქტებთან კავშირს უმთავრესად გარე კახეთზე გავლით ახორციელებენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამხრეთით და დასავლეთით შიგნი კახეთის რაიონები შემოზღუდული არიან ისეთი ძნელად გადასალახავი ბუნებრივი ზღუდით, როგორიც არის კახეთისა და ცივ-გომბორის ქედი.

ამგვარად, თუმცა გარე კახეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველოს განაპირა ნაწილს წარმოადგენს,ის მრავალმხრივად და მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც მეურნეობრივი, ისე კულტურული საქმიანობის მხრივ მის ინდუსტრიულ ცენტრთან—ქ. თბილისსა და, აგრეთვე, რესპუბლიკის სხვა ნაწილებთანაც.

ბუნებრივი პირობები

გარე კახეთის ბუნებრივი პირობები საკმაო სხვადასხვაობით ხასიათდება. აქ შეგხვდებათ როგორც მთიანი ადგილები, აგრეთვე დაბლობები და მშრალი ველები მათთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ნიშნებით. ბუნებით მდიდარი და მშვენიერი კახეთი—საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა. ხალხმა თავის შემოქმედებაში ასე შეამკო კახეთის მომხიბლავი სახე:

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდი ალაზნის ჭალაო,
ირემი იალაღზედა,
ივრის პირებზე ჩალაო,
ბარდებში მძრომი ხოხობო,
ტურფაო ხარისთვალაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირაქო—ცხვრების დედაო, ზედ ჯეირნების ფარაო[1].

გარე კახეთის ბუნება თითქოს უფრო მწირია, ვიდრე შიგნი კახეთისა. მაგრამ ამავე დროს ის ძალიან თავისებურია და მრავალფეროვანი.

გარე კახეთის უმეტესი ნაწილი მდებარეობს გარე კახეთის ზეგანსა და ციე-გომბორის ქედის ფერდობებზე, რომელთაც საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონების ჩრდილოეთი, ხოლო სიღნაღის რაიონის ცენტრალური ნაწილი უკავიათ.

სიღნაღისა და წითელწყაროს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მდებარეობს ალაზნის დეპრესიული ვაკის ფარგლებში, რომელიც ნელ-ნელა ვიწროვდება და სამხრეთ-აღმოსავლეთით ზღვის დონიდან 200 მეტრს არ აღემატება. ამ მხარეს ადგილობრივი მცხოვრებნი „წინამხარეს“ უწოდებენ.

ალაზნის ვაკე ციე-გომბორის ქედისაკენ თანდათანობით მაღლდება და ქედის წინამთებად და კალთებად იქცევა. აქ (სიღნაღის რაიონში) 400—600 მ სიმაღლეზე განლაგებულია ქიზიყის უმთავრესი სოფლები, ვინაიდან ეს ზოლი უკეთეს კლიმატურ პირობებში იმყოფება.

გარე კახეთის ზეგანი გადაჭიმულია დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და შედგება დაბალი ქედებისა და ბორცვებისაგან, ბრტყელი ვაკეებისაგან, მცირე სიღრმის ქვაბურებისა და მშრალი ხევებისაგან. წითელწყაროს რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაჭიმულია დიდი უწყლო ველი—შირაქის ველი, რომლის საშუალო სიმაღლე 700 მ უდრის. მისგან სამხრეთით მდებარეობს პატარა შირაქი, რომელიც ცნობილია ნავთობის საბადოებით. შირაქის ველის სამხრეთით მოქცეულია ტარიბანას ქვაბური, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ელდარის დაბლობი ეკვრის.

გარე კახეთის ზეგნის საშუალო სიმაღლე 600—800 მ უდრის.

გარე კახეთის ტერიტორიის 51,3% იმყოფება 200—600 მეტრ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან), რაც სოფლის მეურნეობის კულტურათა განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო ზონათაგანია. ტერიტორიის სიმაღლის მიხედვით გარე კახეთი ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, ვიდრე საქართველოს ბევრი სხვა რაიონი. ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიის თითქმის 37% 1500 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგ ფართობს.

საერთოდ, გარე კახეთის უდიდესი ნაწილი რელიეფის მიხედვით სოფლის მეურნეობის საწარმოო არენას წარმოადგენს, მაგრამ ფაქტიურად მისი მნიშვნელოვანი ფართობი დამუშავების გარეშე იმყოფება, რაც დაკავშირებულია ამ მხარის სხვა ბუნებრივ ფაქტორებთან, სახელდობრ, კლიმატის, წყლით უზრუნველყოფისა და ნიადაგების მაჩვენებლებთან.

თუ გარე კახეთის საერთო ტერიტორია 5,75 ათას კმ² უდრის, აქედან სასოფლო-სამეურნეო დამუშავებისათვის გამოყენებულია მხოლოდ 1,86 ათას კმ² (185,9 ათას ჰა.), რაც საერთო ფართობის 32,3% შეადგენს.

მიწათმოქმედებისათვის ტერიტორიის შედარებით არა სრულყოფილად გამოყენება (მხედველობაში არა გვაქვს მისი ექსტენსიური გამოყენება საძოვრების სახით) უმთავრესად დაკავშირებულია გარე კახეთის რაიონების უწყლობასა და კლიმატურ პირობებთან.

[1] ხალხური ლექსი ჩაწერილია ქ. სიღნაღში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი თერმული რეჟიმი და წყლის ნაკლებობა, ეს ორი მთავარი ბუნებრივი პირობა, მძიმე დაღს ასვამს გარე კახეთის რაიონების ნეურნეობრივ ცხოვრებას. ჯერ კიდევ გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი გარე კახეთის დახასიათებისას წერდა:

„ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისათვის შემჭირნობს, თვინიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვინაითგან არა აქუს მთას მდინარე, ვერარით რწყვენ, ველთა"[1].

ყველასათვის ცნობილია სამგორის ურწყავი ნოყიერი ველი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობის საგნად იქცა და სარწყავი სისტემის მშენებლობის შედეგად აყვავებულ მდელოდ უნდა გადაიქცეს. გარე კახეთის ასეთივე დიდი ურწყავი ველები გადაჭიმულია საგარეჯოს რაიონიდან სამხრეთით და აღმოსავლეთით შირაქამდე, და იმას იქითაც—აზერბაიჯანის საზღვრებამდე.

წყლის რესურსებით გარე კახეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი რაიონია.

წყლის ნაკლებობა განსაკუთრებით იგრძნობა იორის მარჯვენა მხარეს—საგარეჯოს, კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონებსა და როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეებში—წითელწყაროს რაიონში. აქ წყაროებს იშვიათად შეეხვდებით და ხევები წყლით მხოლოდ გაზაფხულობით თუ ივსება, დანარჩენ დროს კი ისინი სრულიად გამშრალნი არიან. დამახასიათებელია აგრეთვე მწარე და მლაშე ტბების არსებობა.

გარე კახეთის ზეგანზე ერთადერთი მნიშვნელოვანი მდინარე—იორია, მაგრამ მისი ჩამონადენი აბსოლუტურად მცირეა და სეზონების მიხედვით ძლიერ რყევადი.

იორის ჩამონადენის რაციონალურად გამოყენება მოითხოვს მის სეზონურად გადარეგულირებას, რაც შესაძლო გახდება გაზაფხულის ჭარბი ჩამონადენის დაგროვებით წყალსაცავებში. სამგორის მორწყვის სისტემის განხორციელება სწორედ ამას ითვალისწინებს და მდინარე იორის ჩამონადენის გადარეგულირება უნდა განხორციელდეს სიონისა და თბილისის წყალსაცავების მშენებლობის საშუალებით.

უწყლობისაგან განსაკუთრებით გაჭირვებას განიცდის შირაქისა და ელდარის ველი. შირაქის თვალუწვდომელ ველზე არსებული ბარაქიანი მიწა გვალვიან ზაფხულში ამაოდ ხდის მასზე დახარჯულ შრომას. ასეთ წლებში შირაქი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ძლიერ დაბალ მოსავალს იძლევა.

ამგვარად, გარე კახეთის ერთ-ერთი ძირითადი სამეურნეო პრობლემა—ეს წყლით უზრუნველყოფის პრობლემა არის და მისი კარდინალურად გადაჭრის პერსპექტივა მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში ხდება შესაძლებელი.

გარე კახეთის სხვადასხვა ნაწილში კლიმატური პირობები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. საერთოდ, გარე კახეთის ზეგანი ხასიათდება მშრალი კონტინენტური კლიმატით.

ბაკვლევ ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს ჰიფსომეტრული საფეხურების მიხედვით. 200—300 მ სიმაღლეზე საშუალო

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 89—90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიური დამახასიათებელი ტემპერატურა 13°-ია, 700—800 მ სიმაღლეზე — 11°, ხოლო 1000—1200 მ სიმაღლეზე — 7—8°.

ყველაზე ცხელი პერიოდი გარე კახეთში იელისი და აგვისტოა, როდესაც საშუალო ტემპერატურა 19—25° აღწევს.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ტერიტორიაზე ნალექების წლიურ ჯამსა და თვეების მიხედვით მის განაწილებას. მაშინ, როდესაც მაღალ ნაწილებში ნალექების წლიური ჯამი 1000—1200 მმ უდრის, თვით გარე კახეთის ზეგანზე ის 2—3-ჯერ ნაკლებია და 400—600 მმ უდრის. ტერიტორიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ნალექების რაოდენობა კიდევ უფრო კლებულობს.

გარე კახეთის რაიონებისათვის, როგორც საერთო მოვლენა, დამახასიათებელია სინესტის წლიური უარყოფითი ბალანსი.

თითქმის ყველა თვის განმავლობაში აორთქლება სჭარბობს მოსულ ნალექებს, რაც სინესტის დეფიციტს ქმნის. სინესტის ბალანსის დეფიციტურობა განსაკუთრებით საგრძნობია გარე კახეთის ზეგნის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, აგრეთვე ალაზნის ვაკის მარჯვენა მხარეზე (წინამხარეში). ასე, მაგალითად, შირაქში წლიური აორთქლების ჯამი 792 მმ-ს უდრის, მაშინ როდესაც ნალექების ჯამი მხოლოდ—493 მმ-ს.

განსაკუთრებით მძაფრია ამ რაიონებში სინესტის ბალანსის დეფიციტი იელის-აგვისტოში. ამ პერიოდში ჩვეულებრივ იცის გვალვა, რაც ყველაზე უფრო საშიშია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. ტემპერატურა იელის-აგვისტოს ცალკეულ დღეებში 38—40° აღწევს და ჰაერის შეფარდებითი სინესტე ეცვმა 45%-მდე.

უარყოფით მოქმედ ბუნებრივ მოვლენათა შორის უნდა დავასახელოთ აგრეთვე ქარი და სეტყვა.

გარე კახეთის ზეგანზე ქარი ხშირი მოვლენაა, ამასთან ზოგჯერ ის დიდი სიძლიერით ქრის. ქარები აშრობენ ნიადაგს და უარყოფითად მოქმედებენ ნათესებზე. ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის წევრებმა 1953 წ. ზაფხულში თავის თვალით ნახეს ის დიდი ზიანი, რომელიც ქარებმა სოფლის მეურნეობას მოუტანეს.

ქარის უარყოფითი გავლენის შესასუსტებლად გარე კახეთში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქარსაცავი ზოლების შექმნას, რაც მორწყვის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად მნიშვნელოვნად გაზრდის სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის საერთო მოსავალს.

ნიადაგებით გარე კახეთი საქართველოს საკმაოდ მდიდარი მხარეა. გარე კახეთის ზეგანზე უმთავრესად გვხვდება შავმიწა და წაბლა ნიადაგების კომპლექსი, აგრეთვე რუხი-მურა, დელიუვიური, ალუვიური და დამლაშებულ-დაჭაობებული ნიადაგები. ნიადაგთა მნიშვნელოვანი ნაწილი წვრილსტრუქტურიანია, რაც მათ კარგ წყალ-ჰაეროვან რეჟიმს უზრუნველყოფს.

ძლინარე ეორის ორივე მხარეზე საკმაო ფართობები უკავიათ ალუვიურ-კარბონატულ ნიადაგებსაც, რომელიც გამოყენებულია უმთავრესად ვენახ-ბაღებისა და ბოსტან-ბაღჩეულისათვის.

ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო კალთებზე ზღვის დონიდან 400 მეტრზე მაღლა, სოფ. ყარაღაჯიდან სოფ. ანაგაზდე, გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომელნიც მევენახეობის მასობრივი გავრცელების საუკეთესო პირობებს ქმნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ გარე კახეთის ნიადაგები ძირითადად კარგი ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლებით ხასიათდება და მორწყვის პირობებში ყველა კულტურის მაღალ მოსავლიანობას უზრუნველყოფს.

გარე კახეთის რელიეფისა და კლიმატის ნაირსახეობა აპირობებს მცენარეული საფარის მრავალგვარობას.

ტყეების გავრცელების მხრივ შედარებით კარგ მდგომარეობაში იმყოფება საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონები. რაც შეეხება სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებს, ისინი ფაქტიურად თითქმის უტყეო რაიონებია (ტყეებს ტერიტორიის 4—5% უკავიათ). ტყეების ძირითადი ფართობები გაწლაგებულია ცივ-გომბორის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე.

შირაქის ველის, ელდარის გორაკებისა და გარეჯის მიდამოების ცალკეულ უბნებზე გვხვდება ნათელი ტყეები.

ტყეების ნაკლებობა გარე კახეთში განსაკუთრებული სიმწვავით სვამს ტყეების განახლება-გაშენების საკითხს. მაგრამ ამ მიმართულებით წარმოებული სამუშაოები სრულიად არასაკმარისად უნდა იქნეს მიჩნეული. საჭიროა აღინიშნოს, რომ ტყეების ფართო ნასტაბაინი გაშენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ, გარე კახეთის რაიონებში მორწყვის პრობლემის გადაჭრის შემდეგ.

გარე კახეთის ფლორის ერთ-ერთ ძირითად სახეს ბალახეული ნარმოადგენს. საკვლევი ტერიტორიის უდიდესი ფართობები დაკავებულია მშრალი ველებისა და ნახევრად უდაბნოს ტიპის ბალახეულობით. ცივ-გომბორის ქედის თხემზე ცალკეული კუნძულების სახით გავრცელებულია სუბალპური მაღალბალახეულობა.

გარე კახეთის ზვანზე გავრცელებულ ბალახეულს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი მეურნეობისათვის, ის მეცხოველეობის განვითარების ბაზას წარმოადგენს.

გარე კახეთის რაიონებში განლაგებული—181,6 ათას ჰა საძოვარი თითქმის სავსებით საზამთრო ტიპისაა. გარე კახეთის საზამთრო საძოვრები რესპუბლიკის საერთო ფონდის 90% შეადგენს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განავლობაში ხორბლეულის ფართობთა გადამეტებული ზრდის არასწორი პოლიტიკის განხორციელების შედეგად გადახნულ იქნა ათიათასობით ჰექტარი საძოვარი, რამაც დიდი ზიანი მოუტანა რესპუბლიკის მეცხოველეობას.

წიაღისეული სიმდიდრეები

გარე კახეთის რაიონებს არ გააჩნიათ დიდი რაოდენობის სამრეწველო ღირებულების მქონე წიაღისეული სიმდიდრეები. ენერგეტიკულ სიმდიდრეებს შორის ერთადერთ მნიშვნელოვან რესურსს ნავთობი წარმოადგენს, დანარჩენი რესურსები, როგორიც არის ჰიდროენერგორესურსები და ქვანახშირი, უმნიშვნელო ხასიათისა არიან.

ნავთობის საბადოები კახეთში უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ ფართო სამრეწველო ექსპლოატაციის ობიექტად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გახდა.

ნავთობის საბადოთა შორის თავისი მნიშვნელობით მირზაანის საბადო გამოირჩევა. ის პატარა შირაქის სტეპის სამხრეთ-დასავლეთ კიდის ახლო მდებარეობს (წითელწყაროდან 13 კმ მანძილზე). მირზაანის საბადოს ეფექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური ექსპლოატაცია და ნავთობის მოპოვების ზრდა დაკავშირებულია ლრმა ბურღვის განხორციელებასთან, რაც რიგი ტექნიკური სიძნელეების გადალახვას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ნავთობი მაღალხარისხოვანია და დიდი რაოდენობის მსუბუქ ფრაქციებს შეიცავს.

ნავთობის მეორე საბადო, რომელიც სამრეწველო ექსპლოატაციაში იმყოფება, პატარა შირაქის საბადოა.

ნავთობის გამოვლინება ცნობილია გარე კახეთის სხვა პუნქტებშიაც, მაგრამ მათ ჯერჯერობით სამრეწველო-საექსპლოატაციო მნიშვნელობა არა აქვთ.

მინერალური საწვავიდან გარე კახეთში ცნობილია მურა ნახშირის საბადო. მიუხედავად საბადოს საკმაო სიდიდისა, შრეების მცირე სისქე და ცვალებადობა, აგრეთვე ნახშირის მაღალი ნაცრიანობა უკარგავს მას სამრეწველო მნიშვნელობას.

საკვლევ ტერიტორიაზე ცნობილია გლაუბერის მარილის საბადოები რომელიც დაკავშირებულია მწარე-მლაშე ტბების არსებობასთან. საგარეჯოს რაიონში ცნობილია ორი ასეთი ტბა—მუხროვანისა და აზამბურის.

არსებულ საშენ მასალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კირქვის საბადოებია, რომლითაც მდიდარია წითელწყაროს რაიონი.

გარე კახეთის რიგ პუნქტებში მოიპოვება გაჯის ნედლეული.

საკვლევ ტერიტორიაზე დიდი გავრცელება აქვს ლიოსისებურ თიხას, რომელიც აგურ-კრამიტის წარმოებისათვის კარგ ნედლეულს წარმოადგენს. ეს თიხები გამოყენებულია აგრეთვე კერამიკული ჭურჭლის წარმოებისათვის (ქვევრების, დოქებისა და სხვ.).

II. მოკლე ისტორიულ-ეკონომიური მიმოხილვა

გარე კახეთი წარმოადგენდა რა საქართველოს განუყოფელ ნაწილს, თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ძირითადი ეტაპების მიხედვით საესებით დაკავშირებული იყო საქართველოს, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილის, განვითარების ისტორიასთან.

მთელ საქართველოსთან ერთად, გარე კახეთის მხარეს საუკუნეების მანძილზე უხდებოდა იარაღით ხელში აღმოსავლეთის ძლიერ და აგრესიულად განწყობილ ხალხებთან ბრძოლა, რომელიც ძალთა უთანასწორობის გამო ხშირად თავდებოდა ქვეყნის აოხრებით, ხალხის გაწყვეტით, მისი მეურნეობრივი ცხოვრების დაშლით.

საქართველოს ისტორიიდან საკმაოდ ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ჯურის მრისხანე ურდოების ხშირი შემოჭრები—სპარსელების, არაბების, ხვარაზმელების, მონღოლებისა და სხვათა, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით გადაივლიდნენ ქვეყანას და სიკვდილი და განადგურება მოჰქონდათ.

გარე კახეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდა, შეიძლება ითქვას, რომ ის მტერთა შემოსევის მაგისტრალურ ხაზზე ნდებარეობდა.

უცხოეთის ექსპანსია საქართველოში სხვა გზებითაც შემოდიოდა, მაგრამ ისტორიკოსების მიერ დადგენილია, რომ აღმოსავლეთიდან მომავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერთათვის იორის ხეობა საქართველოში მთავარი შემოსასვლელი გზა იყო.[1] ამგვარად, გარე კახეთი ერთგვარად ფორპოსტს წარმოადგენდა, რომელსაც მტრის პირველი დარტყმა უნდა მიეღო.

ამით უნდა ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ ოდესღაც მდიდარი, ხალხით მჭიდროდ დასახლებული მხარე ნელ-ნელა დაქვეითდა, მეურნეობრივად დაკნინდა და გაუკაცრიელდა.

გარე კახეთის ტრაგიკული ისტორიული ხვედრის შესახებ მძიმე გრძნობით მოგვითხრობს XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწე პლატონ იოსელიანი, რომელმაც 1845 წ. ეს ადგილები მოიარა.

აღწერს რა სამგორის მხარეს, ოდესღაც დასახლებულსა და აყვავებულს, სადაც ამჟამად ადამიანთა ხმა აღარ ისმის და ჯეირნებიღა თუ დარბიანო, იგი წერს; „Не стану описывать много других грустных картин, изображаемых историей на полях Самгорских, напоенных кровью древних ее обитателей. Легче выразиться воплями и горькими слезами, нежели описывать ряд несчастий, испытанных этими местами».[2]

მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი-ციხეები, ეკლესიები, სამოქალაქო და საინჟინრო ნაგებობანი, გაბნეული გარე კახეთის ტერიტორიაზე, ნათლად მოწმობენ იმას, რომ ეს მხარე ძველთაგან ინტენსიური მეურნეობის, კულტურისა და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი კერა იყო.

ისტორიულად გარე კახეთი, რომლის ნაწილი კუხეთად იყო ცნობილი, მთლიანი კახეთის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა თვით ცნება კახეთს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. კუხეთ-კახეთისა და ჰერეთის საზღვრები ერთმანეთში ირეოდა და თვით კახეთის ტერიტორია ხან უფრო ვრცელია და ხან უფრო შეზღუდული. კახეთი დასავლეთიდან ქართლს ებჯინებოდა, მის საზღვარში შედიოდა თბილისის ახლო მდებარე ტერიტორია, მათ შორის ქ. რუსთავი.

კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოიყოფოდა ქიზიყი, რომელსაც ძველად კამბეჩანს (ან კამბეჩოვანს) უძახდნენ, ხოლო დღევანდელ წითელწყაროს რაიონის ტერიტორიაზე კარგად დასახლებული ხორნაბუჯის მძლავრი საერისთავო არსებობდა.

კახეთი ძველთაგან განვითარებული მიწათმოქმედების მხარეს წარმოადგენდა. აქ მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები, ვაზი, გამოჰყავდათ აბრეშუმის ჭია, მისდევდნენ მეცხოველეობას, განსაკუთრებით მეცხვარეობასა და მეცხენეობას.

ვაზის კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა შესაფერისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მეცხოველეობას კი სათიბებისა და საძოვრების სიუხვე.

ადამიანის მიერ აღნიშნული ტერიტორიის ძველთაგანვე ათვისებას მოწმობს რიგი არსებული წერილობითი ცნობა. ჯერ კიდევ უძველეს დროს საკვლევ ტერიტორიაზე არსებობდა ქალაქი იორი, რომლის ადგილმდებარეობის შესახებ მკვლევარები სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ.

კამბეჩანში ცნობილი იყო ქ. ხორნაბუჯი; იქ, როგორც ჩანს, სხვა ქალაქებიც ყოფილა. ი. ჯავახიშვილს მოჰყავს ცნობა ჯუანშერისა, რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ სპარსთა მეფემ „შემუსრა ქალაქნი კამბეჩანისანი“.

[1] იხ. გაზ. „ახალი შირაქი“, 1951 წ. 31 იანვარი, ნ. ბერძენიშვილის ექსპედიციის შესახებ.

[2] П. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, Тифлис, 1846, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრაბონი იორის ზეგანს კამბიზენას უძახის და ახასიათებს მას, როგორც მშრალსა და უწყლო ქვეყანას.

მე-4 საუკუნეში ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა მისცა საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი მის ძეს რევს და დასვა იგი უჯარმას. უჯარმა შემდეგ უფრო ძლიერდება განსაკუთრებით ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს. ვახტანგმა, როგორც გვაუწყებს ისტორიკოსი ჯუანშერი, უჯარმა „აღაშენა ნაშენებითა უზომოობითა"; ის წარმოადგენდა როგორც მნიშვნელოვან ქალაქს, აგრეთვე პირველხარისხოვან ძლიერ ციხეს.

VIII საუკუნეში კახეთის მთავარმა გრიგოლმა საქართველოს მეფისაგან თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და, შეაერთა რა კუხეთისა და კახეთის მხარეები, კახთა მფლობელი (ქორიკოზი) გახდა.

XI საუკუნეში კახეთის ქორიკოზმა კვირიკე დიდმა ჰერეთ-კახეთი პოლიტიკურად გააერთიანა, ადმინისტრაციულად მოაწყო ის და ამ ახალი ერთეულის მეფე იქმნა, „ამით ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი დასრულდა"[1],

XII საუკუნეში კახეთი ისევე, როგორც საქართველოს სხვა დანარჩენი ნაწილები, გაერთიანებული საქართველოს მდიდარ და განვითარებულ მხარეს წარმოადგენს. მაღალ დონეს აღწევს სოფლის მეურნეობა, ფართოდ წარმოებს საამშენებლო სამუშაოები, ვითარდება ვაჭრობა და ხელოსნობა. კერძოდ, კახეთის რაიონებში, რომელნიც უწყლობას განიცდიდნენ, ჩატარდა დიდი საირიგაციო მშენებლობა.

ცნობილია, რომ თამარ მეფის დროს ალაზნის ველზე (მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეზე) აშენებულ იქნა დიდი სარწყავი არხი სიგრძით—119 კმ, რომლის ნაშთები დღევანდლამდეა შენახული. ამ არხს უწოდეს „დედოფლის არხი", რაც იმდროინდელი ტექნიკის პირობებში გრანდიოზულ ნაგებობას წარმოადგენდა. როგორც ხალხური თქმულება გადმოგვცემს, დედოფლის არხის გაყვანაზე ყრმებად მორეკილი მუშა-მშენებლები მისი დამთავრებისას ღრმა მოხუცები წავიდნენო.

ხალხური თქმულება დიდი პოეტური ძალით გადმოგვცემს იმ დიდი შრომისა, გაჭირვებისა და წვალების შესახებ, რომელიც კახელმა გლეხობამ განიცადა დედოფლის არხის გაყვანაზე. დედოფლის განკარგულებით არხზე დიდი წისქვილი დაუდგამთ, მაგრამ როდესაც მასში ხორბალი ჩაუყრიათ, ფქვილის მაგივრად სისხლი წამოსულაო—მოგვითხრობს ხალხური თქმულება.

ალაზნის დიდი სარწყავი სისტემის აგება ნათლად მოწმობს იმას, რომ კახეთი ინტენსიური სოფლის მეურნეობის მხარეს წარმოადგენდა და რომ აქ მევენახეობა-მეხილეობამ და სხვა კულტურებმაც განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწიეს. ამავე ეპოქაში აგებული იქნა მეორე სარწყავი არხი სამგორის ტერიტორიაზე, რომლის სიგრძე 20 კმ უდრიდა. ეს არხი სამგორის ტერიტორიაზე განლაგებულ მოსახლეობას საშუალებას აძლევდა განვითარებინა ნიბოსტნეობა-მებაღჩეობა და თვით მევენახეობაც კი .

გარე კახეთის აოხრებასა და მის მეურნეობრივ დაქვეითებაზე დიდად იმოქმედა აღმოსავლეთის ბარბაროსული ურდოების მრავალჯერ შემოსევებმა. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ბერქა ყაენის შემოსევა 1265 წ. და

[1] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „მიმომხილველი", ტ. III, თბ., 1953, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კი მონღოლ ურდოების სისხლიანი შემოსევები, მათგან ყველაზე გამანადგურებელი—თემურლენგის მეოთხე შემოსევა 1399 წ.

კახეთის ხალხს სამეურნეო საფუძვლის მოსპობის მიზნით, თემურლენგმა გამოჰყო საგანგებო რაზმები, რომელნიც გაუგონარი ველურობით ჰკაფავდნენ ვენახს, თუთის ხეს, კაკალსა და სხვა კულტურულ ნარგავებს, რომელთა შექმნისათვის მშრომელ გლეხობას ესოდენ დიდი შრომა ჰქონდათ დახარჯული.

თემურლენგის ველური ურდოების მრავალგზის შემოსევამ წელში გაწყვიტა ქართველი ხალხი, მათ უდიდესი ზარალი მოუტანეს საუკუნეობით შექმნილ მის მეურნეობრივ ცხოვრებას.

გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის რღვევის პროცესი XV საუკუნეში მისი დაშლით და სამ მოქიშპე სამეფოდ გადაქცევით დამთავრდა. კახეთის სამეფო საკუთარი პოლიტიკურ-მეურნეობრივი განვითარების გზას დაადგა და მტრებთან ბრძოლაში საკუთარ ძალებს დაეყრდნო.

ზოგიერთ ხელშეწყობ პირობებთან დაკავშირებით კახეთსა და, მათ შორის, გარე კახეთსაც XVI საუკუნეში ერთგვარი განვითარება-აღმავლობა ეტყობა. ამ დროს სხვა სამთავრობათან შედარებით კახეთი ყველაზე მდიდარ და კეთილმოწყობილ ფეოდალურ სამეფოს წარმოადგენდა; ისევ აყვავდა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები, განსაკუთრებით, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, ამ დარგების პროდუქცია უცხო სახელმწიფოებშიც გაჰქონდათ.

კახური ღვინო უხვად გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებშიც კი. საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა აგრეთვე მცენარეული საღებავი ენდრო. ხალხის მომრავლებას, ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებას თან სდევდა ქალაქთა შექმნა-განვითარება. XV—XVI საუკუნეებში ჩნდება ქ. გრემი და ბაზარი, რომლებმაც ბევრად გაუსწრეს ძველ ქალაქებს თელავს, თიანეთს, ჟინვალს.

მაგრამ კახეთის აყვავების პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა. XVII საუკუნის დამდეგს მას კვლავ დიდი უბედურება დაატყდა თავს. ყიზილბაშური ირანის მრისხანე მტარვალი შაჰ-აბასი 1616 წ. უდიდესი ჯარით შემოიკრა კახეთში და ცეცხლითა და მახვილით გაიარა ქვეყანა. ხალხი თავგანწირულად ებრძოდა მტერს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მთელი მოსახლეობის ორი მესამედი დაიღუპა. შაჰ-აბასმა დაიქცია და დაანგრია კახეთი; 100 ათასი კახელი დაატყვევა და ირანში ჩასასახლებლად გარეკა. აყვავებული მხარის ეკონომიკურად დაუძლურების მიზნით მან თავის ლაშქარს ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანა.

უდიდესი ზიანი მოუტანა კახეთის რაიონებს XVII—XVIII საუკუნეებში წარმოებული ლეკების გამუდმებით თარეშმა. ლეკების მუდმივი თავდასხმების შედეგად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ისედაც დასუსტებული ქვეყანა, ფიზიკური განადგურებისა და მეურნეობრივი გაპარტახების გზაზე იდგა. დაღესტნიდან ჩამოსულმა წაბურელ-ავარიელებმა დაიკავეს კაკ-ენისელის ზეგნის ქართული სოფლები.

სხვათა შორის, ზოგიერთი ქართველი ფეოდალის მუხანათური როლის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ ლეკთა მიერ წარმოებულ ბრძოლაში, საკმაოდ მამხილებელ საბუთს წარმოადგენს ერეკლე მეფის დროს საქართველოში ნამყოფი რუსი პოლკოვნიკის ს. ბურნაშევის წიგნი. აგვიწერს რა ლეკთა გამანადგურებელ თარეშებს, ის წერს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

«...к таковым повсеместным хищениям руководствовали самые грузинские князья, кои озлобясь на царя, за собственные же их против его измены убегали в Дагестан, и оттуда собрав бродяг, терзали собственное отечество»[1].

„ლეკიანობა“ განსაკუთრებული სიმძიმით აწვებოდა მშრომელ გლეხკაცობას, რომელსაც უხდებოდა როგორც მტერთან გამუდმებული ბრძოლა, აგრეთვე ფეოდალთა თავგასულობისა და სოციალური ჩაგვრის ულლის ატანა.

საინტერესო მონაცემებს კახეთის მდგომარეობის შესახებ XVIII საუკუნის ბოლოში იძლევა რუსეთიდან მეცნიერებათა აკადემიის დავალებით ჩამოსული გილდენშტედი, რომელმაც 1770—1773 წ. მოიარა ეს ადგილები. აღწერს რა იმ აოხრებას, რომელიც მოუტანა კახეთს სპარსელების, ოსმალებისა და ლეკების თავდასხმებმა, ის წერს, რომ კახეთი „...еще представляет столь же многочисленные развалины опустошенных городов и селений, столь же обезлюденна и столь же не возделана, как и Картелия“[2], (ე. ი. ქართლი—გ. გ.).

შემდეგ,გილდენშტედი აგვიწერს კახეთის მეურნეობას. მისი სიტყვით, ძირითად დარგს წარმოადგენდა მევენახეობა, აგრეთვე მარცვლეულის მოყვანა და მეცხოველეობა, თუმცა აღნიშნავს უკანასკნელი დარგების მცირე მოცულობას და რომ ისინი მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდნენ (ე. ი. სასაქონლო ხასიათი არ ჰქონდათ). ასეთივე შეზღუდული მოცულობით ხდებოდა აბრეშუმის წარმოება, საკმაოდ გავრცელებული იყო ბამბის კულტურა. ამზადებდნენ ენდროს, რომელსაც საღებავად იყენებდნენ.

საქართველოს პოლიტიკური და მეურნეობრივი განვითარების ახალი ეტაპი რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყება. რუსეთთან შეერთებამ უდიდესი პროგრესული როლი ითამაშა. ქართველი ხალხი გადარჩა ფიზიკურ განადგურებას, მოისპო ქვეყნის ფეოდალური დაქსაქსულობა და შეიქმნა ეკონომიური ცხოვრების ერთიანობის პირობები.

XIX საუკუნეში კახეთის სოფლის მეურნეობას ერთგვარი განვითარება ეტყობა, მაგრამ თვითმპყრობელობის პირობებში, ფეოდალურ-მემამულურ ექსპლოატაციის პირობებში, მშრომელი ხალხი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ქვეყნის საწარმოო ძალები ნელა ვითარდებოდა, კახეთის ბუნების მდიდარი შესაძლებლობანი სუსტად იყო გამოყენებული.

ბატონყმობის მოსპობამ, რომელიც საქართველოში ბევრად უფრო გვიან მოხდა ვიდრე რუსეთში, არავითარი რეალური შეღავათი არ მოუტანა კახეთის მშრომელ გლეხობას.

მიწა, რომელიც ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა ან მემამულე-თავადების ხელში იყო, ან იქ, სადაც თემური მიწათმფლობელობა არსებობდა (მაგ., ქიზიყში), ფაქტიურად კულაკების განკარგულებაში იმყოფებოდა.

---

[1] С. Д. Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896, зз. 13.

[2] И. А. Гильденштед, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, Санктпетербург, 1809, зз. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეები მიწას იჯარით აძლევდნენ გლეხებს, მოსავლიდან განსაზღვრული წილის მიღების პირობით (ნატურალური რენტა), იშვიათად კი ფულადი ანაზღაურებით.

XIX საუკუნის ბოლო წლებში ქიზიყში მცხოვრებ ერთ გლეხზე (სახაზინო) საშუალოდ ყველა სახის—4,14 დესეტინა მიწა მოდიოდა, აქედან სახნავი—1,92 დესეტინა, მაგრამ ეს თითქმის დამაკმაყოფილებელი საშუალო სულადობრივი მიწის ნორმა არ გამოხატავს ნამდვილ მდგომარეობას, ვინაიდან შეძლებული გლეხობის თითოეულ სულზე მოდიოდა 50 დესეტინამდე, ხოლო დანარჩენი გლეხობის უმეტეს ნაწილზე—სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა.

სიღნაღის რაიონში, განსაკუთრებით ქიზიყში, სადაც ბატონყმობა არ ყოფილა გავრცელებული, მიწათმფლობელობის ძირითადი ფორმა თემური მიწათმფლობელობა იყო; მიწის კერძო მფლობელები აქ თითქმის არ იყო, მთელი გლეხური მოსახლეობა სახაზინო გლეხობას წარმოადგენდა.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში სიღნაღის მაზრაში ჩატარებულ იქნა სახაზინო გლეხების ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა, რაც საშუალებას გვაძლევს მათი ყოფა-ცხოვრების პირობები გავარკვიოთ[1].

შეაწავლილ 38 სოფელში ყველგან თემური მიწათმფლობელობა იყო დამკვიდრებული, მაგრამ თემური მიწათმფლობელობა, როგორც თავის დროზე-საკმაოდ ამომწურავად იქნა დამტკიცებული დიდი ლენინის თხელ რიგ შრომებში, კულაკური ელემენტების ჰეგემონიისა და ქონებრივი უთანასწორობის ფართო შესაძლებლობას ქმნდა. თემში შემავალ გლეხთა შორის დიდი განსხვავება არსებობდა როგორც მიწით, აგრეთვე პირუტყვისა და სამეურნეო ინვენტარის უზრუნველყოფის მხრივაც, რაც გლეხობის ქონებრივად მკვეთრ დიფერენციაციას აპირობებდა.

თემური მიწათმფლობელობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური შეხედულება[2] საესებით გამართლებულია კახეთის ნაგალითითაც. თემური მიწათმფლობელობა, რომელიც გავრცელებული იყო ქიზიყსა და გარე კახეთის ზოგიერთ სხვა ნაწილში („უკანამხარე" და ამჟამად წოთელწყაროს რაიონი), ფაქტიურად გლეხობის შეძლებული ნაწილის მიერ გამოყენებული იყო დანარჩენ მშრომელთა ექსპლოატაციისათვის.

თითოეულ სოფელში, გარდა საზოგადო მფლობელობაში მყოფი მიწისა, რომელიც ასე თუ ისე ნაწილდებოდა თემის ყველა წევრთა შორის, არსებობდა აგრეთვე ეგრეთწოდებული „დაჩემებული" მიწა, ე. ი. კერძო პირთა მიერ (უმთავრესად კულაკების მიერ) მითვისებული, რომელიც გადადიოდა მემკვიდრეობით. „დაჩემებული" მიწების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო და ეს წარმოადგენდა, თემური მიწათმფლობელობის გვერდით, შეძლებული გლეხობისათვის მიწაზე კერძო მესაკუთრეობის ინსტიტუტის დამკვიდრებას.

თემური მიწების კომლთა შორის განაწილება ხდებოდა ეგრეთ წოდებული დატაცების წესით (захватная система), რაც აგრეთვე მიწების დანაწილების უთანასწორობას იწვევდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიწის განაწილებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ გუთნების მფლობელებს, ესე იგი გარკვეული სა-

---

[1] Аргутинский-Долгоруков, Экономический быт государственных крестьян Сигнахского уезда Тифлисской губернии (МЭБГКЗК, Т. IУ), Тифлис, 1886.

[2] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია (მოკლე კურსი), 1950 გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოო საშუალების მფლობელს. ვისაც გუთანი არ ჰქონდა (ასეთი გლეხები კი საკმაოდ მოიპოვებოდა), დამოუკიდებლივ მიწის მიღება არ შეეძლო. მას უხდებოდა შეამხანაგება მიწის მქონესთან. ასეთი გლეხი თავისი შრომითი მონაწილეობისათვის უფლებას იღებდა, მიწის განსაზღვრულ ნაკვეთზე, მაგრამ ცხადია, რომ აქ ექსპლოატაციის შესაძლებლობა სრულ გასაქანს პოულობდა.

XIX საუკუნის ბოლო წლებში კახეთისა და ქიზიყის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მკვლევარი (ა. ნატროშვილი) 1893 წ. წერდა: „სახაზინო მიწების უმეტესი ნაწილი მცირე რაოდენობის უფრო შეძლებულ მეურნეთა ხელშია თავმოყრილი, დანარჩენი მოსახლეობა კი ან სავსებით უმიწოდ არის დატოვებული, ანდა, რაც უფრო ხშირი მოვლენაა, სრულიად უმნიშვნელო ნაწილს 1—2 დესეტინას ფლობს!“[1].

მიწების განაწილების გარშემო მძაფრი კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა. საშუალო და უფრო ღარიბი გლეხობა იბრძოდა, რათა მიწა უფრო მეტი თანაბრობით ყოფილიყო განაწილებული. ამის გამო ზოგ თემში შემოღებულ იქნა მიწის პერიოდული გადანაწილება.

გლეხობის ქონებრივ დიფერენციაციასა და შეძლებული ნაწილის მიერ (ესე იგი კულაკების მიერ) საშუალო და ღარიბ გლეხთა ექსპლოატაციის შესაძლებლობას პირუტყვის არათანაბარი განაწილებაც ქმნიდა.

სიღნაღის რაიონის შესწავლილ 38 სოფელში საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა მუშა პირუტყვი 2,9 სული, ძროხა—3,3 სული, ცხვარი—27,8 სული[2]

აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს საშუალო ციფრებს, რომლებიც გლეხთა კატეგორიებად დაყოფის გარეშე არაფრის მთქმელია.

ამავე დროს მეურნეთა საერთო რიცხვიდან იმ მეურნეების ხვედრითი წონა, რომელთაც არავითარი პირუტყვი არ ჰყავდათ 41% შეადგენდა, მუშა საქონელი არ ჰყავდათ—48%, ძროხა —65%, ცხვარი—80%.

ამგვარად, გლეხობის უდიდესი ნაწილი პირუტყვით არ იყო უზრუნველყოფილი, ამასთან აღსანიშნავია, რომ მეურნეთა თითქმის ნახევარს და კიდევ მეტსაც (მაგ. ქიზიყში) არ ჰყავდა მუშა საქონელი, რაც მათ დამოუკიდებლად სამეურნეო საქმიანობის წარმოების შესაძლებლობას უსპობდა.

ეს ციფრები ნათლად მოწმობენ გარე კახეთის გლეხობის სავალალო მდგომარეობას, რაც კაპიტალიზმისა და თვითმპყრობელობის პირობებში დამახასიათებელი იყო მეფის რუსეთის ყველა კუთხისათვის.

ინტერესს მოკლებული არ არის ზემოთ მოყვანილი მონაცემების იმდროინდელი რუსეთის ზოგიერთი მაზრის მონაცემებთან შედარება.

ლენინის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მოყვანილია ციფრები ევროპული რუსეთის რიგი გუბერნიის მიხედვით, რომლიდანაც ჩანს, რომ აღნიშნულ გუბერნიებში გლეხთა ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 2,4—3,9 სული მუშა პირუტყვი[3].

ამავე შრომაში ლენინს მოყვანილი აქვს მონაცემები პირუტყვის მთელი იმ რაოდენობისა, რომელიც საშუალოდ მოდიოდა რიგ გუბერნიებში (პირო-

---

[1] А. Натроев, Положение сельского хозяйства Кахетии и Кизикии, труды импер. Кавказ. об-ва сельского х-ва, 1893, № 8—9, გვ. 436.

[2] მონაცემები მოგვყავს არგუტინსკის ზემოთ დასახელებული შრომიდან.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 65—150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ერთეულებში, ე. ი. მსხვილფეხაზე გადაყვანით). ასე, სამარის გუბერნიაში მოდიოდა საშუალოდ მსხვილფეხა პირუტყვზე გადაყვანით—6,4 სული, სარატოვისაში—5,2 სული, პერმისა—5,2 სული და ორლოვისა—3,2 სული.

ამგვარად, მუშა პირუტყვით უზრუნველყოფის საშუალო ნორმა გარე კახეთში რუსეთის დასახელებული გუბერნიების ნორმებს თითქმის უდრიდა ან ცოტა ნაკლები იყო. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში აღნიშნული გუბერნიების მთელი პირუტყვის საშუალო რაოდენობას კომლზე, ცხადი გახდება, რომ გარე კახეთის გლეხობა პირუტყვის საერთო რაოდენობით უფრო უზრუნველყოფილი იყო.

ასე მაგალითად, გარე კახეთში მუშა პირუტყვს რომ მხოლოდ ძროხა და ცხვარი დავუმატოთ, თანამედროვე კოეფიციენტებით მსხვილფეხა პირუტყვზე გადაყვანით, თითოეულ კომლზე—11,8 სულს მივიღებთ, ნაცვლად რუსეთში არსებულ 3,2—6,4 სულისა. ასეთ განსხვავებას ძირითადად, რასაკვირველია, გარე კახეთში განვითარებული მეცხვარეობა ქმნიდა.

რაც შეეხება მეურნეთა რაოდენობას, რომელთაც სრულებით არ ჰყავდათ მუშა პირუტყვი, რუსეთის 21 გუბერნიაში[1] მათი ხვედრითი წონა—24,7% უდრიდა, მაშინ როდესაც გარე კახეთის აღნიშნულ რაიონებში—41%; ე. ი. ამ მხრივ კახეთის გლეხობის მდგომარეობა ბევრად უარესი ყოფილა და გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია კიდევ უფრო მძაფრად არის გამოხატული. ეს ციფრები სრული სიცხადით მოწმობს, ლენინის მიერ გენიალურად დასაბუთებულ დებულებას მეცხრამეტე საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით გლეხობის დაშლის, მისი ქონებრივი დიფერენციაციის პროცესის შესახებ, რაც დამოწმებას პოულობს გარე კახეთის რაიონთა მაგალითზედაც.

მუშა პირუტყვის არმყოლი ან მცირე რაოდენობით მყოლი მეურნე მოკლებული იყო საშუალებას დამოუკიდებლად ჩაეტარებინა ხვნა-თესვა და მოსავლის აღება.

ამგვარად, გარე კახეთის გლეხობაში, რომელიც ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული იყო, ეკონომიური ჰეგემონია შეძლებული გლეხობის ხელში იმყოფებოდა; ის ფლობდა ძირითად საწარმოო საშუალებებს — მიწას, სამუშაო იარაღებსა (გუთანს) და მუშა პირუტყვს.

გლეხობის ძირითადი მასა მძიმე გასაჭირს განიცდიდა. მთელი რიგი მკვლევარები აგვიწერენ კახელი და გარე კახელი გლეხობის ბედშავ მდგომარეობას.

„პურიდანაც სულ ცარიელი რჩება ჩვენი გლეხი, იმდენი ხორბალი არ მოსდის, რომ მეორე წლისათვის დათესოს. ცოლშვილის გამოსაკვებად, ათასგვარი ხარჯების გასასტუმრებლად გლეხი იძულებული ხდება ან ვალი აიღოს და, ან გაჰყიდოს რაც რამ გაეყიდება“ წერს ქიზიყის გლეხობის შესახებ გაზეთ „კავალში“ ერთ-ერთი თანამედროვე[2].

„გლეხს გასაჭირი ისევე, როგორც ერთგული ცოლი, არასოდეს თავს არ ანებებს“— წერდა ა. ნატროშვილი 1893 წ. კახეთისა და ქიზიყის სოფლის მეურნეობის აღწერისას[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 150.

[2] დ. ზ ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გაზ. „კავალი“, 1898, № 10, გვ. 169—170.

[3] А. Н а т р о е в, Положение сельского хозяйства Кахетии и Кизикии, Труды импер. Кавказ. о-ва сельского х-ва, 1893, № 8—9, გვ. 428.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები გარე კახეთის რაიონებში, როგორც XIX, ისე XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში, ტრადიციულად დამკვიდრებული—მემინდვრეობით, მევენახეობითა და მეცხოველეობით—იყო წარმოდგენილი.

მემინდვრეობაში ძირითად კულტურას შეადგენდა ხორბალი, შემდეგ ქერი, ფეტვი და ნაწილობრივ (უმთავრესად სარწყავ ადგილებში)—სიმინდი. სიღნაღის მაზრაში გავრცელებული ყოფილა უმთავრესად ხორბლის ჯიში „დოლის ყანა", რომელიც დაავადების გამო „თავთუხით" შეცვლილა. მიწის დამუშავება ხდებოდა ძძიმე ქართული გუთნით, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა მიწის საკმაო ხარისხიანად დამუშავებას. 90-იან წლებში გლეხურ მეურნეობაში ჩნდება რუსეთიდან ჩამოტანილი ქარხნის რკინის გუთანი, მაგრამ სიძვირის გამო (მაშინ ის 40 მან. ღირდა), მხოლოდ შეძლებულ გლეხებს შეეძლო მათი შეძენა.

სოფლის მეურნეობის დანარჩენ პროცესებსაც სავსებით პრიმიტიული ტექნიკური საშუალებებით აწარმოებდნენ (ხის ფარცხი, კევრი, ნამგალი, ცელი და სხვა), რის გამო გლეხის შრომის ნაყოფიერება ძლიერ დაბალი იყო. ნათესებში გლეხს, არც ორგანული და არც მინერალური სასუქები არ შეჰქონდა, ამიტომ მიწა ჩქარა იფიტებოდა.

მიწის ნაყოფიერების აღსადგენად არსებობდა მიწის დასვენების სისტემა (залежная система), რაც გულისხმობდა მიწის დიდ ფართობთა გამოუყენებლობას.

მოსახლეობის გამრავლებამ და მიწის სიმცირემ ცხადყვეს მიწათმოქმედების არსებული სისტემის გამოუსადეგრობა, ამიტომ გლეხობა ნელ-ნელა გადავიდა ანეულის სისტემაზე.

მოუსავლიანობა გარე კახეთში საკმაო ხშირი მოვლენა იყო. ამას იწვევდა, ერთი მხრით, აგროტექნიკის პრიმიტიულობა და აგრეთვე ხშირი გვალვები, რომლებიც დამღუბველად მოქმედებდნენ ამ მხარის სოფლის მეურნეობაზე (1882, 1884, 1893 წწ. და სხვ.). ასეთ წლებში გლეხები თესლსაც კი ველარ აინაზღაურებდნენ ხოლმე.

XIX საუკუნის მანძილზე არა ერთხელ დასმულა საკითხი გარე კახეთის წყლით მომარაგების შესახებ, მაგრამ მაშინდელ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში საქმე წინ არ წაწეულა.

ახლანდელ საგარეჯოს რაიონში გლეხებმა რამდენჯერმე სცადეს საკუთარი შრომითა და საშუალებებით სარწყავი არხების გაყვანა მდინარე იორიდან, მაგრამ მემამულეთა უზომო დიდი მოთხოვნების გამო, რომელთა მიწაზეც უნდა გასულიყო არხები, საქმე დასაწყისშივე ჩაიშლებოდა ხოლმე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა პირობები გარე კახეთის წყლით მომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად. სტალინის სახელობის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ამ პრობლემის გადაჭრის პირველი ეტაპი არის.

ქიზიყის ჩრდილოეთ დასავლეთ ნაწილში (ციგ-გომბორის მთის ფერდობებზე), აგრეთვე ნაწილობრივ საგარეჯოს რაიონში განვითარებული იყო მევენახეობა. მაგრამ ვენახთა მცირე მოსავლიანობა, ბაზრისაგან დაშორება და გადაზიდვის სიძნელეები, აგრეთვე ევროპული ტიპის ღვინების წარმოების აუთვისებლობა მეცხრამეტე საუკუნის შუალედში ზღუდავდა მევენახეობის საქონლიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახური ღვინის ხარისხი, როგორც ჩანს, იმ დროს ევროპულ ღვინოებზე დაბალი იყო, რაც, ალბათ ღვინის წარმოების პრიმიტიული ტექნოლოგიით იყო გამოწვეული. პლატონ იოსელიანი, რომელიც 1845 წ. კახეთში მოგზაურობდა, ასეთ სურვილს გამოსთქვამდა: „....будет время, что оно (т. е. вино—Г. Г.) дойдет до одинаковой степени значения с Рейнскими и Бургундскими. Не желал бы, чтобы эта мысль показалась странною многим. Неудачи первых опытов не дают права на убеждение в невозможности отличиться нам своим вином, поставив его наравне с хвалеными модными винами Рейна, Сены и других мест»[1].

მართლაც, კახურმა ღვინომ მალე გაიკაფა გზა შორეულ ბაზრებზედაც კი და XIX საუკუნის დამლევს მევენახეობა-მეღვინეობა დიდად განვითარებული დარგი გახდა.

ამ პერიოდში ქიზიყში ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 0,30 ჰა ვენახი. გლეხური მეურნეობის სამ მეოთხედზე მეტი მისდევდა მევენახეობას. საშუალო მოსავალი ერთი დესეტინიდან ჩვეულებრივ 120 ფუთს უდრიდა, რაც ჰექტარზე გადაყვანით 19 ცენტნერს შეადგენს. ასეთი მოსავალი, ცხადია, ძალიან მცირედ უნდა ჩაითვალოს.

ყურძენს ჩვეულებრივ გლეხები ჭკრეფდნენ ძალიან ადრე (აგვისტოს შუა რიცხვებში), როდესაც ის ჯერ კიდევ საკმაოდ დამწიფებული არ იყო. რადგანაც დასეტყვის ეშინოდათ. დაუმწიფებელი ყურძნისაგან მიღებული ღვინის ხარისხი ნაკლები იყო.

ფილოქსერის გაჩენამ დამღუპველი შედეგი მოუტანა საქართველოს მევენახეობას და, მათ შორის, კახეთის მევენახეობასაც (კახეთში ის 1911 წ. გაჩნდა).

მთლიანად კახეთში (სამწუხაროდ ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას გამოვჰყოთ გარე კახეთი) გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ვენახების ფართობი 37 ათას ჰექტარს უდრიდა[2], ხოლო 1917 წ.—მხოლოდ 16 ათას ჰექტარს.

კახეთის ღვინის შესყიდვა ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყო მოქცეული და ისინი უსინდისო ექსპლოატაციას უწევდნენ მევენახე გლეხებს.

მებაღეობა გარე კახეთში განვითარებული არ ყოფილა. ბაღების მთლიანი მასივები სრულებით არ იყო და ხილის ცალკე ნარგავები მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებზე და ვენახებში მოიპოვებოდა.

მეცხოველეობიდან, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, განვითარებული იყო მსხვილფეხა რქიანი მესაქონლეობა, მეღორეობა და, განსაკუთრებით, მეცხვარეობა.

მეცხოველეობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა მომთაბარე მეცხოველეობა, რასაც ხელს უწყობდა კახეთის საზამთრო საძოვრების დიდი ფართობები; ზაფხულობით ცხვარს გადარეკავდნენ საზაფხულო საძოვრებზე კავკასიონის კალთებზე, ლორისა და გორის მაზრაში.

თანახმად 1902 წ. აღწერისა, მთელ კახეთში ითვლებოდა მსხვილფეხა პირუტყვი—65 ათასი სული, ცხვარი—140 ათასი, ღორი—17,6 ათასი და ცხე-

---

[1] П. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, Тифлис, 1846, გვ. 42—43.

[2] «Кахетия», Приложение к справочной книге сторожила, «Кавказ», Тифлис, 1891, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი—5,7 ათასი[1]. რამდენად განვითარდა იმის შემდეგ მეცხოველეობა, იქნებ ჩანს, რომ 1952 წ. მხოლოდ გარე კახეთის ოთხ რაიონში ითვლებოდა მსხვილფეხა პირუტყვი (ათას სულებში)—62, ცხვარი—431,5, ღორი—27, 1 და ცხენი—13.

მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით რევოლუციამდელი გარე კახეთი ძალიან ჩამორჩენილი მხარე იყო. აქ არ მოიპოვებოდა არც ერთი საქარხნო-საფაბრიკო ტიპის სამრეწველო საწარმო (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნავთის მოპოვების ცდებს). მრეწველობა წარმოდგენილი იყო მხოლოდ კუსტარული ტიპის ხელოსნური საწარმოებით.

არსებული მონაცემების თანახმად, მაგალითად, ქიზიყში 90-იან წლებში ითვლებოდა 1059 სხვადასხვა სპეციალობის ხელოსანი, აქედან ყველაზე მეტი იყვნენ ურმების მკეთებლები, მხერხავები, დურგლები, აგურისა და კერამიკული ჭურჭლეულის ოსტატები, კალატოზები, მჭედლები, ხარაზები, ნაბდის მკეთებლები და სხვა.

ყველა ზემოთ მოყვანილი მონაცემი ნათლად გვიჩვენებს, რომ რევოლუციამდელი გარე კახეთი მეურნეობრივი განვითარების დაბალ დონეზე იდგა.

კახეთისა და გარე კახეთის მეურნეობრივ დაბალ დონეს, ხალხის სიღარიბე-გაჭირვებას ერთხმად აღნიშნავს XIX—XX საუკუნის მრავალი მკვლევარი, მწერალი და პუბლიცისტი. რევოლუციამდელი ჟურნალ-გაზეთები სავსეა წერილებით, რომელნიც ჰღაღადებენ კახელი გლეხობის ბედშავ მდგომარეობაზე. ამის მიზეზად. რასაკვირველია, ბუნების სიმწირეს ვერ მივიჩნევთ. კაპიტალისტური სისტემა, რომელიც მშრომელთა ექსპლოატაციას ეყრდნობოდა, და მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა არ იძლეოდა საშუალებას კახეთის მდიდარ ბუნებრივ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად, მის საწარმოო ძალთა აღმავლობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

გარე კახეთის მეურნეობრივი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზით საქართველოს სხვა ცენტრებთან მის დაკავშირებას.

საქართველოს დიდი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე კახეთში რკინიგზის გაყვანისათვის მედგარი მებრძოლი იყო. აი, რას წერდა იგი კახეთის შესახებ „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1883 წ.

„გაუხსენით კარგი სასწრაფო და იაფი გზა ბაზრისა და მაშინ ქვეყანა რის შემძლებელიც არის, უეჭველად ყოველსფერს შეჰქმნის ადრე თუ გვიან. ვისაც თუნდა თვალდათვალ გადაუხედავს კახეთისათვის, იგი, რასაკვირველია, ვერ იტყვის, რომ საწარმოებელი ძალონე მისი ჰავისა და მიწისა თავისის სიკეთით და უხვებით ყოვლად საიმედო არ იყოს“[2].

ილიას ამ წერილის მხოლოდ 32 წლის შემდეგ შეძლო მეფის მთავრობამ ამ სრულიად აუცილებელი ღონისძიების განხორციელება. 1915 წ. კახეთი რკინიგზით შეერთებულ იქნა ამიერ კავკასიის მაგისტრალთან, რამაც დიდი გავლენა იქონია კახეთის ეკონომიკაზე.

---

[1] Д. Ф. Ахвледиани, Население Кахетии, Тр. и проток. импер. Кавказ. Медицинского об-ва, апрель-октябрь 1909, Тифлис.

[2] ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა (კახეთის რკინიგზა), „ივერია“, 1883, № 10, გვ. 100—118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ახალი ეტაპი საქართველოს მეურნეობრივ განვითარებაში. სოციალისტური წყობილების საფუძველზე რესპუბლიკის ყველა მხარე, და მათ შორის გარე კახეთიც, ეკონომიური წინსვლისა, და განუხრელი აღმავლობის გზას დაადგა.

საბჭოთა სახელმწიფომ და საზოგადოებრივიმა წყობილებამ უზრუნველყო გარე კახეთის მდიდარ ბუნებრივ შესაძლებლობათა ფართო გამოყენება, მისი საწარმოო ძალების მკვეთრი განვითარება.

სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა პირობებში მეურნეობის განვითარებას თან სდევს ხალხის კეთილდღეობის შეუჩერებელი ზრდა.

ახლანდელი გარე კახეთის გლეხობას შექმნილი აქვს ყველა პირობა ცხოვრების მაღალი მატერიალური და კულტურული დონის უზრუნველსაყოფად.

III. მოსახლეობა

ისტორიულ წარსულში, როგორც ზემო თავებში იქნა მოხსენებული, კახეთისა და მათ შორის გარე კახეთის მოსახლეობა აღმოსავლეთის ხალხთა გამუდმებული აგრესიული მოქმედების შედეგად თანდათან ფეოდალური განადგურების გზაზე დადგა. საუკუნეების მანძილზე კახეთის მოსახლეობა შეთხელდა და მთელი რიგი, უწინ მჭიდროდ დასახლებული პუნქტი გაჭრა და გაუკაცრიელდა.

რუსეთთან შეერთებამ, გარდა იმისა, რომ შეაჩერა ქართველი მოსახლეობის ფეოდალური განადგურება, უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის მეურნეობრივ და კულტურულ განვითარებაში. მოსახლეობამ იწყო მომრავლება, მშვიდობიანობის პირობებში მას საშუალება მიეცა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენისა და შემდგომი გაფართოებისათვის. მაგრამ ფეოდალურ-მემამულური ჩაგვრის პირობებში, რასაც ადგილი ჰქონდა რევოლუციამდელ საქართველოში, საწარმოო ძალთა განვითარება შეზღუდული იყო, მოსახლეობის ზრდა შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

კამერალური აღწერის თანახმად 1873 წ. სიღნაღის მაზრაში ირიცხებოდა 54,4 ათასი მცხოვრები, აქედან ქართველები 88%-ს შეადგენდნენ. კახეთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო დედრობითი სქესის დაბადებულთა ბევრად ნაკლები რაოდენობა. თითოეულ მამაკაცზე 1897 წ. სიღნაღის მაზრაში მოდიოდა ნახოლოდ 0,83 დედაკაცი[1].

გარე კახეთის რაიონთა მოსახლეობა (ე. ი. საკლევი 4 რაიონისა), თანახმად გაანგარიშებისა, 1886 წ. 84,6 ათას სულით განისაზღვრებოდა, ხოლო 1902 წ.—95,4 ათასი სულით. ამგვარად, 16 წლის განმავლობაში გარე კახეთის მოსახლეობა გაიზარდა 12,7%-ით, ანუ წლიურად საშუალოდ 0,79%.

გარე კახეთის მოსახლეობის ასეთი შედარებით ნელი ტემპით ზრდა რევოლუციამდელ საქართველოში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიურ პირობათა ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს.

მოსახლეობის ზრდის სულ სხვა სურათი გვაქვს საბჭოთა პერიოდში-საწარმოო ძალთა განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას თან სდევდა მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ტემპებით ზრდა.

---

[1] ციფრობრივი მონაცემები მოსახლეობის შესახებ ამ თავში აღებულია ვ. ჯაოშვილის შრომიდან, გარე კახეთის მოსახლეობა და დასახლებული პუნქტები, 1954, იხ. ამავე ტომში მოთავსებული შრომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1926—1939 წწ. შორის, ე. ი. 13 წლის განმავლობაში, გარე კახეთის მოსახლეობა 119,6 ათასი სულიდან გაიზარდა 141,9 ათას სულამდე, ანუ 18,7%, ე. ი. საშუალო წლიური ზრდა 1,44%-ს შეადგენდა. ამგვარად, საბჭოთა პერიოდში (1926—1939 წწ.) მოსახლეობის ზრდის ტემპი ბევრად უფრო სწრაფია; მან თითქმის ორჯერ გადააჭარბა 1886—1902 წწ. პერიოდში არსებულ მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელს. ამ ფაქტში ნათელ გამოსახულებას პოულობს საქართველოს მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების პირობათა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რასაც ადგილი ჰქონდა სოციალისტური მშენებლობის წლებში.

გარე კახეთის მეურნეობრივ-კულტურულმა განვითარებამ, მრეწველობის შექმნამ გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის ზრდა. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საკელეკ რაიონებში მხოლოდ ერთი ქალაქი იყო ცნობილი, სახელდობრ—სიღნაღი, ამჟამად აქ, გარდა სიღნაღისა, სამი ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი შეიქმნა—წნორი, წითელწყარო და მირზაანი.

ამის შედეგად, ქალაქის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 4 პროცენტიდან (1926 წ.) გაიზარდა 13,4 პროცენტამდე 1952 წლისათვის. მიუხედავად ქალაქის მოსახლეობის ასეთი ზრდისა, აღსანიშნავია, რომ გარე კახეთი ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს ბევრ სხვა რაიონს და რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელსაც, რომლის მიხედვით ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა 30,1% შეადგენდა (1939 წ.).

გარე კახეთში ქალაქის მოსახლეობის შედარებით მცირე ხვედრითი წონა მოწმობს, რომ ის ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონია და მასში მრეწველობა ნაკლებად არის განვითარებული. ეს ჩვენთვის უფრო ნათელი გახდება, როდესაც განვიხილავთ გარე კახეთის მეურნეობის სტრუქტურას.

გარე კახეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველებით არის წარმოდგენილი ამასთანავე, საკმაო რაოდენობით არიან დასახლებულნი: სომხები, რუსები და აზერბაიჯანელები.

მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ გარე კახეთი ბევრად ჩამორჩება საქართველოს სხვა რაიონებს.

გარე კახეთის ტერიტორია, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, 5,7 ათას კვ. კილომეტრს უდრის, რაც რესპუბლიკის საერთო ტერიტორიის 7,9%-ს შეადგენს; მოსახლეობის მხრივ კი 1939 წ. მასში რესპუბლიკის მხოლოდ 4 პროცენტი ცხოვრობდა.

მცხოვრებთა რიცხვი საშუალოდ ტერიტორიის 1 კვ. კილომეტრზე გარე კახეთის რაიონებში შემდეგს უდრის (1939 წ. მონაცემებით): საგარეჯოს—26,4, კაჭრეთის—31,3, წითელწყაროს—12,6, სიღნაღის—42,9; საშუალოდ კი მთელ გარე კახეთში—24,5 მცხოვრებია.

გარე კახეთში საშუალო სიმჭიდროვე დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ნაკლებად არის დასახლებული წითელწყაროს რაიონი; ყველაზე მჭიდროდ სიღნაღის რაიონია დასახლებული.

გარე კახეთის ბუნებრივ საწარმოო შესაძლებლობათა ათვისება მოითხოვდა მის რაიონებში ჩასახლებას. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში წითელწყაროს რაიონში მოხდა მთიელთა სტქიურად ჩამოსახლება, რომელთაც შექმნეს სოფლები: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პერიოდში გარე კახეთის რაიონებში მოსახლეობის ჩასახლებამ გეგმიური ხასიათი მიიღო. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩატარებულ იქნა მთიელთა მასობრივი ჩასახლება სართიჭალაში, სოფელ გამარჯვებაში, ზემო ქედში და არხილოსკალოში.

1953 წ. ბოლოსათვის გარე კახეთში ირიცხებოდა 108 დასახლებული პუნქტი.

ვერტიკალური ზონების მიხედვით გარე კახეთის მოსახლეობის განლაგებას ახასიათებს თავისებურება:

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (61,5%) განლაგებულია ზონაში, რომელიც ზღვის დონიდან 600—800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. საერთოდ, ზღვის დონიდან 200—800 მეტრის სიმაღლეთა შორის განლაგებულია დასახლებული პუნქტების 76%, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის თითქმის 90%.

მოსახლეობის ჰიფსომეტრიულ საფეხურებზე ასეთი განლაგება მოწმობს იმას, რომ აღნიშნული სიმაღლეები წარმოადგენენ მოსახლეობის ცხოვრებისა და მეურნეობრივი საქმიანობისათვის საუკეთესო ზონებს.

გარე კახეთის დასახლებული პუნქტების უმეტესობა განლაგებულია ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით მთის პირებში, ზღვის დონიდან 600—800 მეტრის სიმაღლეზე. განსახლების ეს ზოლი ჩრდილოეთით მიჰყვება ქედს დაწყებული სოფ. ანაგიდან (სიღნაღის რაიონში) სოფ. ქვემო ქედამდე (წითელწყაროს რაიონი), ხათლად გამოსახულია ასეთივე ზოლი ცივ-გომბორის სამხრეთით (პატარძეული, ნონოწმინდა, საგარეჯო, გიორგიწმინდა მანავი, ჩაილური, კაკაბეთი, ყანდაურა, კაჭრეთი და სხვ.)

მოსახლეობის ამგვარი განსახლება ისტორიულად შექმნილია და გაპირობებული რიგი მიზეზებით.

თითქმის სავსებით დაუსახლებელია გარე კახეთის საკმაოდ ფართო ზოლი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან გადაჭიმულია სამხრეთ-აღმოსავლეთით ელდარის ველამდე. ამ ზოლში თავმოყრილია სახნავ-სათესი და საძოვარი ფართობების უმეტესი ნაწილი, მაგრამ უწყლობა და შედარებით უარესი კლიმატური პირობები არ უწყობდა ხელს აქ დასახლებულ ადგილთა შექმნას.

დასახლებულ პუნქტთა სიდიდის მიხედვით კახეთი გამოირჩევა საქართველოს სხვა მრავალი მხარისაგან. აქ საკმაოდ ხშირია სოფლები, რომლებშიაც 2000—5000 კაცამდე ცხოვრობს.

გარე კახეთის 43 დასახლებულ პუნქტში (საერთო რაოდენობის 40%-მდე), 1000 სულზე მეტი მცხოვრებით თითოეულში, მოთავსებულია გარე კახეთის მთელი მოსახლეობის 82%-მდე, ხოლო დანარჩენ 65 პუნქტში — მხოლოდ 18%.

ამგვარად, გარე კახეთის დასახლებული ადგილის ძირითადი ტიპი — მსხვილი სოფელია. წვრილი სოფლები მეტია საგარეჯოს რაიონში, ისინი განლაგებულნი არიან რაიონის ჩრდილო-დასავლეთის მთიან ნაწილში, უმთავრესად ცივ-გომბორის ქედის ზონაში. ყველაზე მეტი მსხვილი დასახლებული პუნქტები სიღნაღის რაიონშია, აქ 12 სოფელია თითოეული მათგანი 2000—5000 მცხოვრებით.

გარე კახეთის მოსახლეობის თავისებური განსახლება (უმთავრესად ცივ-გომბორის კალთებ გასწვრივ) და დასახლებული პუნქტების დიდი უმეტესობის საწარმოო არესაგან (სახნავ-სათესი ფართობები, საძოვრები) საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაოდ დიდი მანძილით დაშორება ამ მხარესათვის გარკვეულ სიძნელეებს ქმნის, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

გარე კახეთში, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში, სოფლები კომპაქტურად არიან დასახლებულნი. სახლი სახლისაგან მცირე მანძილით არის დაშორებული, საკარმიდამო მეურნეობა კი (ნათესები, ვენახები) ძირითადად სოფლის ახლო-მახლო არის მოთავსებული.

ძველად შექმნილ დასახლებულ პუნქტებში სახლების განლაგება ხდებოდა ყოველგვარი გეგმის გარეშე. ჩვეულებრივ სოფელს ჰქონდა ერთი მთავარი ქუჩა და მისგან დახლართულად მიმავალი შესახვევები.

სოფლების უმრავლესობაში სახლები აშენებულია ძირითადად რიყის ქვისაგან კირის ხსნარით, ამასთან სახლის კუთხეებსა და, აგრეთვე, კედლებში ჩაყოლებულია გამამაგრებელი სარტყლები გაკეთებული წითელი აგურისგან. სახლების ასეთი წყობა დამახასიათებელია კახეთის სოფლებისათვის. წითელ-წყაროს რაიონში გავრცელებულია აგრეთვე ალიზისაგან მშენებლობა, რასაც ხელს უწყობს კარგი საამშენებლო თიხების გავრცელება.

გარე კახეთის სოფლებში ძველად აშენებული სახლების ორიენტაციისათვის დამახასიათებელია, რომ ისინი ქუჩისაკენ უკანა ყრუ კედლით არიან მიქცეულნი, ხოლო ფანჯრები და აივანი ეზოსაკენ იყურება.

საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის კულტურულ და მატერიალურ მდგომარეობაში. რევოლუციამდელ გარე კახეთში მშრომელთა ძირითადი მასები მოკლებულნი იყვნენ სწავლა-განათლებას. მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც კი (1909 წ.) აქ არ მოიპოვებოდა არც ერთი საშუალო სასწავლებელი.

1953 წელს გარე კახეთის რაიონებში 109 სკოლა მოქმედებდა, რომლებშიაც 26 ათას მოსწავლეზე მეტი სწავლობდა, მათ 1618 მასწავლებელი ემსახურებოდა; განათლების საქმეზე ამავე წელს 19,3 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. აქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლება.

გარე კახეთის სოფლებიდან გამოსული მრავალი ახალგაზრდა სწავლობს ქ. თბილისში, რუსთავისა და სხვა ქალაქების სპეციალურ საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედება მოსახლეობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების შეუჩერებლივ გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს.

გარე კახეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება სოციალისტური მშენებლობის მრავალ მხარესთან არის დაკავშირებული. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ისევე როგორც კულტურული საქმიანობის, განვითარებასთან დაკავშირებით წლიდან წლამდე იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი და მათი ხელფასის ფონდი. გარე კახეთის რაიონებში მუშა-მოსამსახურეებზე 1950 წ. გაცემული ხელფასის ფონდი 98,1 მილიონ მანეთიდან 1951 წ. გაიზარდა 114,8 მილიონ მანეთამდე, ანუ 17%-ით.

იზრდება კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავალი. 1952 წ. კოლმეურნეობათა შემოსავალი 1950 წელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა.

მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოწმობს შემნახველ სალაროებში მეანაბრეთა რიცხვისა და ანაბრების შეუჩერებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდა. თუ 1951 წ. შემნახველი სალაროების მეანაბრეთა რიცხვი 4671 კაცი იყო, 1953 წლისათვის—6063 კაცს შეადგენდა. ამავე დროს, ანაბართა თანხა გაიზარდა 60%.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მრავალმხრივი ღონისძიებები იქნა გატარებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. თუ წინათ სიღნაღის მაზრაში მხოლოდ ერთი ექიმი იყო, რომელიც, რასაკვირველია, მოსახლეობას ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ გაუწევდა, ამჟამად გარე კახეთის რაიონებს 220 ექიმი ემსახურება. შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის ფართო ქსელი—საავადმყოფოები, ამბულატორიები, სამშობიაროო სახლები, საბავშო დაწესებულებები და სხვ. რომელნიც ყოველგვარი სახის სამედიცინო დახმარებას უწევენ მოსახლეობას.

მოსახლეობის კეთილდღეობასთან შეფარდებით, ყოველწლიურად იზრდება სოფლად და ქალაქად საბჭოთა ვაჭრობა. 1952 წ. გარე კახეთის რაიონებს მომსახურეობას უწევდა 303 სავაჭრო წერტი, რომელიც ამარაგებდა მოსახლეობას ყოველგვარი სახის სამომხმარებლო საქონლით.

სოციალისტური მშენებლობის პერიოდში მნიშვნელოვნად იცვალა სახე გარე კახეთის სოფელმაც. სოფლებში აშენდა მრავალი ახალი ერთსართულიანი და ორსართულიანი სახლი, გაჩნდა საზოგადოებრივი და კულტურული დანიშნულების შენობები. განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურება ის სოფლები, რომლებშიაც ახალი ჩასახლება ჩატარდა (სართიჭალა, ზემო ქედი, გამარჯვება და სხვ.). აქ გეგმიანადაა აშენებული ასობით სტანდარტული სახის საცხოვრებელი სახლები.

სოფლების ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით, სოფლებში ფართოდ დაინერგა ელექტროენერგია, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კოლმეურნე გლეხთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

IV. მეურნეობის განვითარების და განლაგება

1. მეურნეობის ზოგადი დახასიათება

მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია

საბჭოთა პერიოდში გარე კახეთის რაიონების მეურნეობაში უდიდესი ცვლილებები მოხდა, ისევე როგორც საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებში, სოციალისტურმა წყობამ მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის ფართო შესაძლებლობანი შექმნა.

ხუთწლედების მანძილზე ჩატარებულ იქნა სოფლის მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა წვრილ, დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე გადაყვანაში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე განვითარდა მარცვლეულის მეურნეობა, მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურები, ბევრად გაიზარდა მეცხოველეობა.

ამჟამად გარე კახეთის რაიონებში არსებული 67 გამსხვილებული კოლმეურნეობა (1952 წ.) წარმოადგენს გადამწყვეტ ძალას, რომელიც ყოველწლიურად აფართოებს სოფლის მეურნეობის კულტურათა მოსავლიანობას და საერთო მოსავალს, წარმოებაში იყენებს ახალ ტექნიკას, რაც ამაღლებს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის სოფლის მეურნეობა ემყარება მძლავრ ტექნიკურ ბაზას, რომელიც წარმოდგენილია 14 მანქანა-ტრაქტორთა სადგურით. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განკარგულებაში იმყოფება ასობით ტრაქტორი, კომბაინი და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომლებიც შრომატევადი პროცესების მექანიზაციას უზრუნველყოფენ.

გარე კახეთის პირობებში წარმოუდგენელი იქნებოდა მისი ვრცელი სახნავი ფართობების დამუშავება და იმ მოცულობის სამუშაოთა შესრულება, რომელიც დღეს იქ წარმოებს, რომ მის რაიონებში არ ყოფილიყო შექმნილი, საბჭოთა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. რა დიდი ცვლილება მოხდა სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებაში, შეგვიძლია იქედან დავასკვნათ, რომ, თანახმად არსებული სტატისტიკური ცნობებისა, 1926 წ. კახეთში გლეხთა მეურნეობის საერთო რაოდენობიდან 77,3% არ ჰქონდა სახნავი იარაღებიც კი, ხოლო 63,2%—სატრანსპორტო ინვენტარი[1].

სოციალისტური მეურნეობის მეორე სექტორს წარმოადგენს ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში ორგანიზებული მძლავრი სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობები.

საკოლმეურნეო წყობილების პირობებში შესაძლებელი შეიქმნა ნათესი ფართობების მნიშვნელოვანი გაფართოება.

თუ 1925—26 წელს მთელ კახეთში ნათესი ფართობი შეადგენდა 76,2 ათას ჰექტარს[2], 1950 წ. მხოლოდ გარე კახეთში მან მიაღწია 109,7 ათას ჰექ., ხოლო 1952 წ.—153,2 ათას ჰექტარს. ნათეს ფართობთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა ტექნიკური კულტურების ფართობი, რომელიც 2389 ჰექტრიდან (მთელი კახეთში) 1929 წ[3]. გაიზარდა—14,2 ათას ჰექტრამდე. მხოლოდ გარე კახეთის რაიონებში 1952 წლისათვის.

ერთწლიან კულტურებთან ერთად გადიდდა ბაღებისა და ვენახების ფართობები, გაიზარდა მათი მოსავლიანობა.

სოციალისტური რეკონსტრუქცია შეეხო არა მხოლოდ მემცენარეობის დარგებს, არამედ მეცხოველეობასაც. მკვეთრად გაიზარდა პირუტყვის ყველა სახის სულადობა.

მიუხედავად ამისა, მეცხოველეობა მაინც გარე კახეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგთაგანია და მას სათანადო ყურადღების პირობებში განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობანი მოეპოვება.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საკმაო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყლის მეურნეობის ობიექტთა მშენებლობას-ალაზნის სარწყავ არხსა და, ბოლო ხანებში, სამგორის სარწყავ არხს.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობას, რეკონსტრუქციის შედეგად, ამჟამად აღარ აქვს ის ვიწრო სამომხმარებლო ხასიათი, როგორიც უწინ ჰქონდა. მისი რაიონები იძლევიან დიდი მოცულობის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციას. გარე კახეთის რაიონები ამარაგებენ რესპუბლიკას ხორბლეულით, მზესუმზირით, ხორცითა და მეცხოველეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობა-მებაღეობის პროდუქტებით.

---

[1] Советская Грузия в цыфрах, Тифлис, 1929. გვ. 127.

[2] იქვე, გვ. 91.

[3] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-მეურნეობრივ განმტკიცებას თან სდევდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება.

კოლმეურნეობათა ძირითად საშუალებათა ღირებულებამ 1952 წ. 130 მილიონ მან. მიაღწია (ნაცვლად 118,5 მილიონ მან. 1950 წ.). ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდებიც, რომელთა ღირებულებამ 1952 წ. 163 მილიონ მან. შეადგინა.

გარე კახეთის საწარმოო ძალთა განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია მრეწველობის განვითარება. რევოლუციამდელ გარე კახეთში თითქმის არაკითარი მრეწველობა არ არსებობდა. განვლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში გარე კახეთში შეიქმნა მრეწველობის რიგი დარგები მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნავთობისა და კვების მრეწველობა.

გარე კახეთი, სოციალისტური განვითარების ეტაპის განვლის შედეგად, გარკვეულ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს სახალხო მეურნეობის გაფართოებული რეპროდუქციის პროცესში.

გარე კახეთის რაიონებს დამყარებული აქვს მჭიდრო საწარმოო კავშირი რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეშე მდებარე რაიონებთან და მათ შორის სისტემატურად წარმოებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ურთიერთგაცვლა.

მეურნეობის სტრუქტურა, მისი სპეციალიზაცია

მეურნეობრივი განვითარების მხრივ გარე კახეთი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო რაიონს.

სოფლის მეურნეობის განვითარებას მრავალი ხელშემწყობი პირობები აქვს. აქ მოთავსებულია სახნავი მიწის დიდი ფართობები ნოყიერი ნიადაგებით, რომლის ძირითადი მასივი გავრცელებულია, ფართო ზოლად, საგარეჯოს რაიონიდან შირაქის ველამდე. ეს მიწები ხორბლეულის, მზესუმზირასა და, სარწყავ ადგილებში, ბაღჩეულ-ბოსტნეულის განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლევა. სახნავი მიწის ფონდების უზრუნველყოფით გარე კახეთი გამოიყოფა სხვა რაიონებისაგან. აქ სახნავი მიწა საერთო ტერიტორიის 31% უდრის, მაშინ როდესაც რესპუბლიკაში საშუალოდ 15%.

სიღნაღის, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში საკმაოდ გავრცელებულია ნეშომპალა-კარბონატული და ალუვიურ-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ხელს უწყობენ მევენახეობის განვითარებას.

საძოვრებით უზრუნველყოფის მხრივ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია გარე კახეთს, სადაც მოთავსებულია რესპუბლიკის საზამთრო საძოვრების საერთო ფონდის 90 პროცენტი, რაც მეცხვარეობის განვითარებისათვის საფუძველს ქმნის.

ყველა ამ ბუნებრივი პირობის შეთანაწყობა და საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მათი ეფექტური გამოყენება ამპირობებს გარე კახეთში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგთა შექმნას.

რაც შეეხება გარე კახეთის მრეწველობას, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში ამ მხრივ დიდი ძვრები მოხდა, ჯერჯერობით ის მაინც სუსტად არის განვითარებული.

გარე კახეთის სუსტ ინდუსტრიულ განვითარებას მოწმობს ის ფაქტი, რომ მთელ სახელმწიფო და კოოპერაციულ მრეწველობაში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი 1952 წ. არ აღემატებოდა მოსახლეობის 0,9%-ს (მოსახლეობის 1939 წ. რაოდენობის მიხედვით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის არაინდუსტრიულ ხასიათს ისიც ადასტურებს, რომ ამ ზონაში ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ 13,4% შეადგენს, დანარჩენი კი სოფლის მოსახლეობით არის წარმოდგენილი.

დაახლოებითი ანგარიშიც კი გვიჩვენებს, რომ მეურნეობის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად სჭარბობს.

გარე კახეთის მეურნეობის ერთობლივი პროდუქციის მოცულობაში მრეწველობის ხვედრითი წონა ძლიერ მცირეა. ეს იქიდანაც კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო პროდუქცია (შესასყიდ ფასებში განგარიშებული) თითქმის ოთხჯერ ჭარბობს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობას.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ასეთი შეფარდება გვარწმუნებს იმაში, რომ გარე კახეთი წარმოადგენს ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონს, მრეწველობის მხოლოდ ნაწილობრივი განვითარებით.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა (1953 წ. შესასყიდ ფასებში).[1]

დარგის ხვედრითი წონა კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო ღირებულებაში პროცენტებით

მემინდვრეობა	69,1
მეცხოველეობა	22,2
მებაღეობა-მევენახეობა	8,7
სულ . . .	100,0

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურას გარე კახეთის ცალკეული რაიონების მიხედვით: (დიაგრამა 1)

ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ პროდუქციის მოცულობით გარე კახეთის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს მემინდვრეობა, მეორე ადგილი მეცხოველეობას უკავია, ხოლო მას მებაღეობა-მევენახეობა მოსდევს.

ამრიგად, თუ მოვინდომებთ გარე კახეთის სოფლის მეურნეობის საერთო დახასიათებას საკოლმეურნეო წარმოების მიხედვით (რაც საესებით დამახასიათებელია მთელი მეურნეობისათვის), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის მემინდვრეობა-მეცხოველეობისა და მევენახეობის რაიონი.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის ამგვარი საწარმოო სპეციალიზაცია აპირობებს მის ადგილს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, როგორც ხორბლეულის, მზესუმზირას, მეცხოველეობის პროდუქტებისა და ღვინის მწარმოებელ რაიონს; ამ პროდუქტთა სასაქონლო წარმოებით გარე კახეთი იღებს მონაწილეობას საქართველოს რაიონთშორისო შრომის განაწილებაში.

აღნიშნული დარგების ხვედრითი წონა რესპუბლიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასე მაგალითად, ხორბლის საერთო ნათესებში გარე კახეთის ხვედრითი წონა 30%-ს უდრის, მზესუმზირას ნათესებში—77%, ხოლო წვრილფეხა საქონლის სულადობაში—22%-ს. კახეთის ვენახთა ფართობიდან გარე კახეთზე 28% მოდის.

[1] საკოლმეურნეო პროდუქციის მთლიანი ღირებულების ციფრები აღებულია საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1954 წ. დარსებული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის კომისიის გაანგარიშებათა თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობით სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები ბევრად ჭარბობენ კაპრეთისა და საგარეჯოს რაიონებს. დასახელებული პირველი ორი რაიონი გარე კახეთის საკოლმეურნეო წარმოების საერთო მოცულობის 72 პროცენტამდე იძლევიან.

გარე კახეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის სამ მეოთხედს, შეტ-ნაკლებად ყველა დარგში, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები იძლევიან. ესენი უფრო ნოყიერი, მოსავლიანი მიწებითა და პირუტყვით უკეთ უზრუნველყოფილი რაიონებია და მათი პროდუქცია გადამწყვეტ როლს თამაშობს გარე კახეთის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციაში.





დიაგრამა 1

სიღნაღის რაიონი სჭარბობს მევენახეობის პროდუქციით (გარე კახეთის საკოლმეურნეო წარმოების 42% იძლევა) და მეცხოველეობით (38,6%); წითელწყაროს რაიონი — (მემინდვრეობით (33,6%) და მეცხოველეობით (39,1%) კაპრეთისა და საგარეჯოს რაიონი სხვა დარგებს შორის გამოირჩევა მევენახეობით (16—17%). დანარჩენ დარგების ხვედრითი წონა კიდევ უფრო მცირეა.

კაპრეთისა და საგარეჯოს რაიონები ჩამორჩებიან სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობით, არამედ საკოლმეურნეო წარმოების მთელი რიგი ეკონომიური მაჩვენებლებითაც, რაც ნათელი გახდება ცალკეულ დარგთა დახასიათების დროს.

2. მრეწველობა

გარე კახეთის მრეწველობა ძირითადად ემყარება საკუთარი ნედლეულის ბაზას, რომელიც წარმოდგენილია მინერალური და, უმთავრესად კი, სასოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო-სამეურნეო ხასიათის ნედლეულით. ამ მხრივ მრეწველობა თითქოს სრულის მეურნეობის გაგრძელებას წარმოადგენს, ხაზს უსვამს რაიონის სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სპეციალიზაციის ხასიათს) როგორც იყო აღნიშნული, მრეწველობის განვითარების საერთო დონით გარე კახეთი ვერ ჩაითვლება მოწინავე რაიონთა რიგში, მრეწველობის განვითარება აქ შეზღუდულია. ასე მაგალითად, ის 2.5-ჯერ ნაკლები ღირებულების პროდუქციას უშვებს, 3-ჯერ ნაკლები მუშა-მოსამსახურე ჰყავს ჩაბმული მრეწველობაში, ვიდრე მეზობელ შიგნი კახეთს.

გარე კახეთში სახელმწიფო მრეწველობის 76 საწარმოა (1952 წ.), ხოლო მუშათა რაოდენობა—963 კაცი, ე. ი, საშუალოდ ერთ საწარმოზე 12.6 მუშა მოდიან. ამრიგად, საწარმოთა უმრავლესობა წვრილი საწარმოებია, რომლებშიაც 5—10 მუშა მუშაობს.

მართლაც, (საფაბრიკო-საქარხნო ტიპის საწარმოები გარე კახეთში ძალიან ცოტაა. ესეთია: ნავთობმოპოვებითი სარეწაოები დამხმარე საწარმოებით (სარეზონტო ქარხანა, ელექტროსადგურები), ღვინის რამდენიმე პირველადი გადამამუშავებელი ქარხანა, ელევატორი და მაცივარი.)

(მრეწველობის ცალკეულ დარგთა ხვედრითი წონის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

დარგების დასახელება	ხვედრითი წონა პროცენტობით	
	საერთო პროდუქციაში	მუშა-მოსამსახურეთა რიცხვში
ნავთობმოპოვებითი	19,2	36,2
ლითონდამამუშავებითი	3,2	6,9
საამშენებლო მასალები	2,0	11,3
ხის დამამუშავებელი	0.7	2,3
მსუბუქი	2,1	7,2
კვების	72,3	33,4
პოლიგრაფიული	0,5	2,7
	100,0	100,0

ამრიგად, მრეწველობის შემადგენლობაში უდიდესი ხვედრითი წონა კვების მრეწველობას ეკუთვნის (72,3%), მის შემდეგ ნავთობმოპოვებით მრეწველობას (19,2%). მუშა-მოსამსახურეთა რიცხვში, პირიქით, პირველი ადგილი ნავთობმოპოვებას უკავია (36,2%), ხოლო მეორე—კვების მრეწველობას (33,4%).

(გარე კახეთის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ მასში მთავარი ადგილი მოხმარების საგანთა (წარმოებელ დარგებს უკავია.) მართლაც, საერთო პროდუქციაში მრეწველობაზე, რომელიც ეკუთვნის ჯგუფ „ა"-ს (წარმოების საშუალებათა წარმოება) 24,4% მოდის, ხოლო ჯგუფ „ბ"-ს (მოხმარების საშუალებათა წარმოება) დანარჩენი 75,6%. მრეწველობის განლაგება გარე კახეთის ცალკეულ რაიონთა შორის არათანაბარია: სიღნაღის რაიონი უშვებს საერთო პროდუქციის 52,4%-ს, წითელწყაროს რაიონი—32,2%-ს, საგარეჯოს რაიონი—13,7%-ს, ხოლო კაჭრეთის რაიონი—1,7%-ს.

გარე კახეთის მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულებამ 1952 წ. 173,2 მილიონ მანეთს მიაღწია, აქედან ნავთობმოპოვებით დარგზე მოდიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და—156,1 მილიონი მანეთი, ხოლო კვების მრეწველობაზე—9,2 მილიონი მანეთი. აღნიშნულიდან ნათელი ხდება, რომ დანარჩენი დარგები ძირითადი ფონდებით ძალიან სუსტადაა შეიარაღებული.

ნავთობმოპოვებითი მრეწველობა, რომელსაც თავისი ხასიათით საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვს, მირზაანისა და პატარა შირაქის ნავთობის საბადოებს ემყარება. ცნობილია, რომ გარე კახეთის დასახლებული საბადოები, კერძოდ მირზაანისა, საქართველოში ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ გარე კახეთის საბადოებმა რიგი საუკეთესო სპეციალისტების მიერ მაღალი შეფასება მიიღო, ნავთობის მოპოვებამ უკანასკნელ დრომდე საკმაო გასაქანი ვერ მიიღო, რაც რიგ ტექნიკურ დაბრკოლებას უნდა მიეწეროს. ტრესტ „საქნავთის“ ძირითად ამოცანას შეადგენს, ჩაატაროს ღრმა ბურღვა, რათა მკვეთრად გაზარდოს ნავთობის მოპოვების მოცულობა.

ელექტრო-ენერგეტიკული მეურნეობა გარე კახეთში სუსტადაა განვითარებული. მას წყლის რესურსების სიღარიბის გამო არ მოეპოვება არც ერთი საკუთარი ჰიდროელექტროსადგური. საკუთარი ელექტროენერგეტიკული ბაზის უქონლობის გამო გარე კახეთის ელექტროენერგიით მომარაგება უმთავრესად სხვა რაიონებიდან ხდება.

სიღნაღისა და კაჭრეთის რაიონები ელექტროენერგიას იღებენ ალაზანჰესიდან ელექტროგადამცემი ხაზების საშუალებით.

საგარეჯოს რაიონი ელექტროენერგიით მარაგდება საქართველოს ჯაგიდან და, ამ მხრივ, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება.

ელექტროენერგიის მომარაგების მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში წითელწყაროს რაიონი იმყოფება. ის არაა დაკავშირებული არც ერთ ელექტრომიმწოდებელ სადგურთან. თვით წითელწყაროო და მასში არსებული სამრეწველო საწარმოები მარაგდება „საქნავთის“ განკარგულებაში მყოფი მცირე ძალოვანი თბოელექტროსადგურით, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

გარე კახეთის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხის გადაჭრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რაიონის შემდგომი ნეურნეობრივი განვითარებისათვის. უახლოეს პერიოდში ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესება შესაძლებელია ალაზნის არხზე მეორე რიგი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებით (რაც გეგმით გათვალისწინებულია). ამავე ამოცანას ხელს შეუწყობს ხრისის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, ალაზანჰესისა და კაბალჰესის გადამცემი ხაზებით გაერთიანება და ერთი ელექტრომომმარაგებელი სისტემის შექმნა. უფრო შორეულ პერსპექტივაში არის მთელი რიგი შესაძლებლობანი კახეთის რაიონებისა და მათ შორის გარე კახეთის რაიონების ელექტროენერგიით მომარაგებისათვის. ასეთია, მაგალითად, ქვემო ალაზნის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ალაზნის ჰიდროსადგურთა კასკადის მშენებლობა (დაკავშირებული ზემო ალაზნის საირიგაციო არხის პრობლემასთან) და სხვ. ამა თუ იმ ვარიანტის ამორჩევა დაკავშირებული იქნება მის ტექნიკურ და ეკონომიურ მაჩვენებლებთან და იმ ამოცანების გადაჭრასთან, რომელიც დაისახება აღნიშნული რაიონების წინაშე (ნავთის მრეწველობის გაფართოება, ელექტროხვნის განხორციელება, წყლის ამოქაჩვა მორწყვის მიზნით და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის ერთადერთ ლითონდამმუშავებელ საწარმოს წარმოადგენს წითელწყაროში არსებული „საქნავთის“ მექანიკურ-სარემონტო ქარხანა. ქარხანა საკმაოდ კარგად არის უზრუნველყოფილი მექანიკური მოწყობილობით და შედგება რამდენიმე საამქროსაგან. ის ძირითადად ემსახურება ნავთის წრეწველობას (საძიებო და საექსპლოატაციო სამუშაოებს).

საშენ მასალათა წარმოება გარე კახეთში სუსტადაა განვითარებული, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი ნედლეულით ის საკმაოდ კარგად არის უზრუნველყოფილი. აქ მრავლად მოიპოვება კერამიკული თიხები, კირქვები, გაჯის საბადოები და სხვ.

საშენ მასალათა მრეწველობა წარმოდგენილია აგურ-კრამიტის, კირისა და გაჯის საწარმოებით, აგრეთვე საამშენებლო ქვის კარიერებით. 1952 წ. სახელმწიფო მრეწველობამ გამოიმუშავა: აგური 1392 ათასი ცალი, კრამიტი 208 ათასი ცალი, კირი 5 ათასი ტონა და გაჯი 800 ტონა.

გარე კახეთის რაიონები შედარებით უკეთაა უზრუნველყოფილი კირით, რომელსაც აწარმოებს, უკანასკნელ წლებში, წითელწყაროს რაიონში (დაბა წითელწყაროს მახლობლად) აშენებული მექანიზირებული კირის ქარხანა. აღსანიშნავია, რომ წითელწყაროს კირქვები მაღალი ხარისხისაა და მას ტექნოლოგიური მიზნებისათვის იყენებს აგარის შაქრის ქარხანა.

გარე კახეთის რაიონების წინაშე გადაუდებელ ამოცანად დგას საშენ მასალათა მრეწველობის განვითარება, განსაკუთრებით აგურისა და კრამიტის წარმოების გაფართოება. ახალი აგურ-კრამიტის ქარხნების მშენებლობა პირველ რიგში საჭიროა ჩატარდეს საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონში, აგრეთვე წითელწყაროს რაიონში, რომელთაც ამ მხრივ დიდი ჩამორჩენილობა ახასიათებს.

ხე-ტყის მრეწველობა გარე კახეთში სუსტად არის განვითარებული, ვინაიდან მას ნედლეულის სათანადო ბაზა არა აქვს. ხე-ტყით განსაკუთრებით ღარიბია წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონი, სადაც ტყის ფართობი საერთო ტერიტორიის 4—5%-ს უდრის.

გარე კახეთის სკოლების, საავადმყოფოების, სახელმწიფო დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია გარე კახეთში ავეჯის წარმოების გაფართოება. ამ დარგის განვითარება, შემოზიდული ხე-ტყის მასალების ბაზაზედაც კი, სავსებით დასაშვებია და ეკონომიურად გამართლებული. თითოეულ რაიონულ ცენტრში უნდა შეიქმნას ავეჯის წარმოების ქარხანა, რომელმაც უნდა გამოუშვას სასწავლო-მერხები, დაფები, კარადები, მაგიდები, სკამები და სხვ.

ფსუბუქი მრეწველობა გარე კახეთში ძლიერ სუსტად განვითარებული დარგია. აქ მოქმედებაში იმყოფება რამდენიმე მცირე მასშტაბის ნახევრად კუსტარული საწარმო—სატრიკოტაჟო, ბამბეულის საქსოვი, სამკერვალო და ფეხსაცმლის სახელოსნო.

გარე კახეთის ყველაზე ძლიერი დარგია კვების მრეწველობა, რომელიც ყველა დანარჩენ დარგზე მეტი მოცულობის პროდუქციას უშვებს.

კვების მრეწველობის განვითარება ემყარება ძირითადად გარე კახეთის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზას, სახელდობრ მევენახეობას, ამის გამო მისი მთავარი დარგი მეღვინეობაა. ღვინის საწარმოებმა 1952 წ. გამოუშვეს 30,1 მილიონი მაწეთის სასაქონლო პროდუქცია, ანუ მთელი კვების მრეწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის 65,1%. ამავე წელს ღვინის ქარხნებმა გამოიმუშავეს 405,2 ათასი დკლ ღვინის მასალა, 2,5 ათასი დკლ სპირტი, 2,0 ათასი დკლ არაყი და სხვ.

მეღვინეობაში წამყვანი ადგილი უკავია სიღნაღის რაიონს, რომელიც ამ დარგის პროდუქციის 88,8%-ს იძლევა. გარე კახეთში არსებული ფვიდი ღვინის ქარხნიდან ექვსი სიღნაღის რაიონშია განლაგებული.

აღნიშნული ქარხნები ნედლეულს იღებენ როგორც საბჭოთა მეურნეობებიდან (ხირსისა და გუმბათის ქარხნები), აგრეთვე მათზე მიმაგრებული კოლმეურნეობებიდან.

მევენახეობის განვითარება გარე კახეთის რაიონებში იწვევს მეღვინეობის საწარმოო ბაზის გაფართოების აუცილებლობას. უკანასკნელ დროს ღვინის ახალი ქარხნები აშენდა სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროში, კაჭრეთის რაიონში—სოფ. ბადიაურთან, საგარეჯოს რაიონში—თვით სოფ. საგარეჯოში.

კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია ყველ-კარაქის წარმოება, რომლის მუშაობა რაიონში განვითარებული მეცხოველეობას ეყრდნობა. ყველ-კარაქის წარმოების სიდიდის მხრივ გამოირჩევა სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები, რომელთა ხვედრითი წონა ამ დარგში საერთო პროდუქციის მიხედვით 82%-მდე უდრის.

გარე კახეთის ყველა რაიონში მუშაობს 16 ყველ-კარაქის საწარმო, რომელთაც 1952 წ. გამოიმუშავეს 44300 კგ. კარაქი და 99500 კგ. ყველი; სულ—2,5 მილიონი მან. ღირებული პროდუქცია (რაც შეადგენს კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის 5,3%). ყველ-კარაქის საწარმოების უმეტესი ნაწილი საკმაოდ კუსტარული ხასიათისაა.

კვებია მრეწველობაში პროდუქციის მოცულობით დიდი ადგილი უკავია პურის ცხობას (საერთო პროდუქციის 27%). გარე კახეთში მოქმედებს 16 პურის საცხობი საწარმო, რომელთა მიერ 1952 წელს გამოშვებულ იქნა 12,3 მილიონი მან. ღირებულების პურის პროდუქცია.

კვების დანარჩენი დარგებიდან აღსანიშნავია წვრილი ზეთსახდელი საწარმოები, რომელთა მუშაობა ემყარება გარე კახეთის რაიონებში განვითარებულ მზესუმზირას მეურნეობას.

გარე კახეთის რაიონებში მუშაობს ლიმონათის 5 ქარხანა, რომელიც მოსახლეობას აწვდის უალკოჰოლო სასმელებს.

კვების მრეწველობა აგრეთვე მოიცავს ორ ელევატორს (წითელწყაროსა და წნორში), სადაც აწარმოებენ გარე კახეთის რაიონებში დამზადებული ხორბლის შენახვას და ერთ მაცივარს—დაბა წნორში.

მთელი კვების მრეწველობის 3/4-დე სიღნაღის რაიონი უშვებს, რაც ამ რაიონში მეღვინეობის განვითარებით აიხსნება. მეორე ადგილი საგარეჯოს რაიონს უკავია, ხოლო კაჭრეთის რაიონის ხვედრითი წონა ძალიან უმნიშვნელოა.

გარდა სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებისა, გარე კახეთში არსებობს სარეწაო კოოპერაციისა და კოლმეურნეობათა წვრილი საწარმოები, მაგრამ მათი განვითარება შეზღუდულია.

სარეწაო კოოპერაცია წარმოდგენილია 12 საწარმოთი, ძირითადად, ფეხსაცმლის, ტყავის, ტრიკოტაჟის სახელოსნოებით; გარე კახეთის საერთო სამრეწველო წარმოებაში სარეწაო კოოპერაციის ხვედრითი წონა მხოლოდ 1,8%-ს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო მრეწველობა 363 წვრილი საწარმოსაგან შედგება, მათ შორის: 108 წისქვილია, 52 აგურისა და კრამიტის საწარმო, 37 ხე-ტყის ქარხანა, 16 კირის საწარმო, 21 ზეთსახდელი დანადგარი, 100 სამჭედლო და ურმების შემკეთებელი სახელოსნო, 24 სადურგლო და სხვ. აღნიშნულმა დამხმარე საწარმოებმა 1952 წ. გამოიმუშავეს 3,5 მილიონი მან. პროდუქცია.

გარე კახეთის მრეწველობის დახასიათება გვარწმუნებს იმაში, რომ მეურნეობის ეს დარგი სუსტადაა განვითარებული და რაიონის კომპლექსური განვითარების თვალსაზრისით ის მნიშვნელოვან წინწაწევას მოითხოვს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წ. სექტემბრის პლენუმისა და კომუნისტური პარტიისა და მთავრობის რიგი შემდგომი დადგენილებებით სერიოზული ამოცანები დაისახა ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების მკვეთრად გაფართოების საქმეში. ამ დადგენილებათა შესაბამისად ყოველი რაიონი, და მათ შორის გარე კახეთის რაიონებიც, ვალდებულია მაქსიმალურად გამოიყენოს შესაძლებლობანი სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების გაზრდისათვის.

რა ამოცანები ისახება პერსპექტიულ პერიოდში გარე კახეთის მრეწველობის განვითარების დარგში?

1. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მკვეთრად გაფართოვდეს გარე კახეთის ელექტროენერგეტიკული მეურნეობა ალაზანზე ახალი ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის საშუალებით, რასაც თან უნდა სდევდეს რაიონებში მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობა.

საჭიროა აგრეთვე შესწავლილ იქნეს წითელწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების ცენტრებისა და სოფლებიდან დაშორებულ ადგილებში (კალოებზე, მეცხვარეთა ბინებსა და სხვ.) ქარის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობა ელექტროენერგიის მისაღებად.

2. ნავთობის მოპოვების გაფართოებისათვის მირზაანსა და გარე კახეთის სხვა პერსპექტიულ რაიონებში გაძლიერდეს საძიებო სამუშაოები და უზრუნველყოფილ იქნეს სარმატის წყებამდე გასვლა ღრმა ბურღვის საშუალებით.

ნავთის მოპოვების გაფართოების შემთხვევაში აუცილებელი იქნება მირზაანში ნავთის გადამამუშავებელი მცირე სიმძლავრის ქარხნის შექმნა, წითელწყაროსა და მის მიმდებარე რაიონების ნავთობის პროდუქტებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

3. გარე კახეთში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაზრდა მოითხოვს საშენ მასალათა წარმოების მკვეთრ გაფართოებას. პირველ რიგში, ტიპიური პროექტებით, უნდა აშენდეს საშუალო სიმძლავრის აგურისა, კრამიტისა და გაჯის ქარხნები, შეიქმნეს საამშენებლო ქვის კარიერები. სახელმწიფო მრეწველობის გარდა ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს სარეწაო კოოპერაციამ და, აგრეთვე, თვით კოლმეურნეობებმა.

4. ხე-ტყის დამუშავების დარგში გარე კახეთისათვის აუცილებელია რაიონულ ცენტრებში ავეჯის ფაბრიკების შექმნა, რომელნიც ნედლეულით უზრუნველყოფილი უნდა იქნენ შემოზიდული ხე-ტყით. ამ საწარმოების ასორტიმენტი ადგილობრივი მოთხოვნილებით განისაზღვრება და, უმთავრესად მასიური მოხმარების ავეჯისაგან შედგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მსუბუქი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობანი გარე კახეთში შეზღუდულია. ამ დარგის განვითარებისათვის რაიონში დამზადებული ნედლეულისაგან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მატყლი და ტყავეულობა.

სათანადო პირობებში შესაძლოა წითელწყაროში ორგანიზებულ იქნეს ნაბდის წარმოება, გაფართოვდეს საგარეჯოს რაიონში ნაბდის წარმოება, ხოლო უფრო შორეულ მომავალში გარე კახეთის ერთ-ერთ პუნქტში ორგანიზებულ იქნეს ქეჩის ქარხანა ან ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა.

6. გარე კახეთში მკვეთრად უნდა განვითარდეს კვების მრეწველობა. ვენახთა ფართობისა და მოსავლიანობის გადიდება გამოიწვევს გარე კახეთში ყურძნის დამზადების დიდ ზრდას. მიახლოებითი გაანგარიშებაც კი გვიჩვენებს, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში ყურძნის საერთო მოსავალი უნდა გაიზარდოს დაახლოებით 7—8-ჯერ. მევენახეობის ამგვარი გაფართოება გამოიწვევს ღვინის პირველადი გადამუშავების ახალ სიმძლავრეთა შექმნის აუცილებლობას. ყურძნის გადამუშავების მიზნით საჭირო იქნება არსებული ღვინის ქარხნების გაფართოება და ახალი ქარხნების მშენებლობა სიღნაღის, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში.

მეცხოველეობის პროდუქტულობის გაზრდასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით ძროხების ბაგურ კვებაზე გადაყვანის გამო), საჭირო იქნება ყველ-კარაქის ქარხნების გაფართოება და მათი პროცესების მექანიზაცია ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობის საფუძველზე.

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს პურის ცხობის საქმე, რაც დღეს-დღეობით არ დგას სათანადო დონეზე. რაიონულ ცენტრებში უნდა შეიქმნეს მექანიზებული პურის საცხობები საკონდიტრო საამქროებით და გაუმჯობესებულ იქნეს პურის ცხობის ხარისხი.

რაიონულ ცენტრებში საჭირო იქნება მცირე მოცულობის მაცივრების მშენებლობა, რაც გარე კახეთის კლიმატურ პირობებში აუცილებელია მალფუჭადი პროდუქტების შენახვისათვის (ხორცი, კარაქი, ხილეული და სხვ.).

უახლოეს დროში წნორის ახლო გათვალისწინებულია მშენებლობა მსხვილი კომბინირებული საკვები კომბინატის, რომელიც მომსახურეობას გაუწევს მთელი კახეთის მეცხოველეობას.

7. უნდა განვითარდეს წვრილი მრეწველობაც. სარეწაო კოოპერაციამ მსხვილ დასახლებულ პუნქტებში უნდა მოაწყოს სხვადასხვა სახის სარემონტო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოები. კოლმეურნეობებმა საჭიროებისამებრ უნდა შექმნან დამხმარე საწარმოები—მექანიკური და ავტო-სარემონტო სახელოსნოები, სადურგლო-საავეჯო საამქროები და განსაკუთრებით, საშენ მასალათა საწარმოები.

8. რაიონების კულტურული ზრდის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება პოლიგრაფიული ბაზის რეკონსტრუქცია და სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი სტამბების ორგანიზაცია.

3. სოფლის მეურნეობა

მიწის ფონდის სტრუქტურა

გარე კახეთი, მეურნეობრივი განვითარების თვალსაზრისით, დახასიათებულ იქნა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომელიც საწარმოო სპეციალიზაციის მხრივ წარმოადგენს მარცვლეულის, მეცხოველეობისა და მევენახეობის რაიონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის მეურნეობის ამგვარი მიმართულება, რაც ემყარება საქართველოში საწარმოო ძალების განლაგების სოციალისტურ პრინციპებს [და



რაიონთა შორის შრომის რაციონალურად განაწილებას, მნიშვნელოვნად დაკავშირებულია აგრეთვე ბუნებრივ გეოგრაფიულ პირობებთან, კერძოდ, ისეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვან ფაქტორთან, როგორიც არის მიწის ფონდი და მისი საგარეგულების მიხედვით დაყოფა.

გარე კახეთი სასოფლო-სამეურნეო მიწებით კარგად უზრუნველყოფილი მხარეა, მხოლოდ სახნავი ფართობები აქ 178 3 ათას ჰექ. უდრის, რაც საერთო ტერიტორიის 31%-ს შეადგენს.

სათიბი და საძოვრები (რომლებიც, შეიცავენ სოფლისპირა საძოვრებსაც) 187,0 ჰექ. აღწევს[1], რაც საერთო ტერიტორიის 32,5%-ს შეადგენს. მცირეა მრავალწლიანი ნარგავების ფართობი და სხვა რაიონებთან შედარებით ნაკლებია ტყე-ბუჩქნარი და გამოუსადეგარი ფართობები. სახნავი მიწები აბსოლუტურად ჭარბობს წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში, მათვე ბევრად მეტი აქვთ სათიბ-საძოვრები. (იხ. კარტოდიაგრამა 2)

ქვემოთ მოგვყავს მიწის ფონდის სტრუქტურა პროცენტობით, ამასთან შედარებისთვის გარე კახეთის მაჩვენებლები დაპირისპირებულია რესპუბლიკისა და შიგნი კახეთის სათანადო მაჩვენებლებთან.

სავარგულები პროცენტობით რაიონის საერთო ტერიტორიის მიმართ

	სახნავი მიწები	საძოვრები და სათიბები	მრავალწლ. ნარგავების ქვეშ.	ტყე-ბუჩქნარი	გამოუყენებელი
გარე კახეთი	31,0	32,5	1,3	17,0	18,2
შიგნი კახეთი	16,6	14,0	2,3	41,5	25,6
საქართველოს სსრ მთლიანად	15,8	21,6	3,0	37,4	22,2

ამგვარად, თუ საქართველოში საშუალოდ დამუშავებული მიწები (სახნავი მრავალწლიანი) საერთო ტერიტორიის 18,8%-ს უდრის, ხოლო შიგნი კახეთში 18,9%-ს, გარე კახეთში მიწის ეს კატეგორია 32,3%-ს შეადგენს. მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო მიწები (სახნავი, საძოვრები, მრავალწლიანი ნარგავები) საქართველოში—40,4%-ს უდრის, შიგნი კახეთში—32,9%, ხოლო გარე კახეთში—64,8%-ს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მრავალწლიანი ნარგავებითა და ტყით დაფარული ფართობი გარე კახეთში ბევრად ნაკლებია.

სახნავი მიწების ხვედრითი წონა საერთოდ მაღალია ყველა რაიონში, განსაკუთრებით სიღნაღისა (39,2%) და კაჭრეთის (37,2%) რაიონებში, რაც დიდ შესაძლებლობას ქმნის მიწათმოქმედებისათვის.

საძოვრების ხვედრითი წონა ყველაზე მაღალია წითელწყაროსა (43,8%) და, შემდეგ, სიღნაღის (34,6%) რაიონებში. მხედველობაში მისაღებია, რომ სიღნაღის რაიონი საძოვრების ნაწილით სარგებლობს წითელწყაროს რაიონში[2].

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების დასახასიათებლად, საჭიროა ვიცოდეთ აგრეთვე მიწის რა ფართობები მოდის თითოეულ შრომისუნარიანზე რაიონების მიხედვით. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა, გავარკვიოთ, თუ როგორია შეფარდება რაიონში არსებულ შრომის მასასა და მიწის ფონდებს შორის.

[1] აღნიშნულ ფართობში არ არის შეტანილი ის საძოვრები, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმყოფება.

[2] სავარგულების ტერიტორიული განლაგება მოცემულია თანდართულ ერთიან ეკონომიურ-გეოგრაფიულ რუკაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საკითხის გამოსარკვევად ქვემოთ მოგვყავს გარე კახეთის კოლმეურნეობათა სარგებლობაში მყოფი სავარგულების სულადობრივი ნორმები ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე ცალკეულ რაიონების მიხედვით (1952 წ. მონაცემებით):

ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე საშუალოდ მოდის (ჰექტარობით)

რაიონი	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი და საძოვრები
საგარეჯოს	4,16	0,10	1,49
კაჭრეთის	2,68	0,05	1,43
სიღნაღის	3,87	0,10	5,01
წითელწყაროს . .	5,56	0,05	8,00
	4,02	0,08	4.05

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გარე კახეთში სახნავი მიწებისა და საძოვრების საერთოდ მაღალი სულადობრივი ნორმა. აქ თითოეულ შრომისუნარიან კოლწევრზე საშუალოდ მოდის 4,02 ჰა სახნავი და 4,05 ჰა სათიბი-საძოვარი, მაშინ როდესაც, მაგალითად, შიგნი კახეთში ერთ შრომისუნარიან კოლწევრზე მოდის 1,47 ჰა სახნავი და 1,01 ჰა სათიბ-საძოვარი.

მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობის სულადობრივი ნორმით გარე კახეთი ბევრად ჩამორჩება შიგნი კახეთს. აქ თითოეულ შრომისუნარიან კოლწევრზე 800 კვ.მ მოდის, მაშინ როდესაც შიგნი კახეთში—1400 კვ.მ.

სავარგულების სულადობრივ ნორმებს მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს მიწის ფონდის სტრუქტურის მაჩვენებლებში ცალკეული რაიონების მიხედვით და ისინი უფრო სწორად გამოხატავენ კოლმეურნეობათა მიწით უზრუნველყოფის მდგომარეობას. ასე მაგალითად, წითელწყაროს რაიონში სახნავი მიწების ხვედრითი წონა სხვა რაიონებთან შედარებით ყველაზე დაბალია, სახნავის სულადობრივი ნორმით კი ის ყველა რაიონს წინ უსწრებს (5,56 ჰა ერთ კოლწევრზე).

კაჭრეთის რაიონი, მიუხედავად იმისა, რომ სახნავის ხვედრითი წონით მეორე ადგილზე დგას, სულადობრივი ნორმით უკანასკნელ ადგილზეა (2,68 ჰა).

სახნავი მიწებისა და საძოვრების უზრუნველყოფის დონის მიხედვით გარე კახეთი საქართველოს ყველა დანარჩენ რაიონზე მაღლა დგას.

ამიტომ არის, რომ გარე კახეთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაიონია, რომ იგი მარცვლეული ბეურნეობისა და მეცხოველეობის, უმთავრესად მეცხვარეობის, წამყვანი რაიონთაგანია.

გარე კახეთის მიწის სავარგულების უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს საზამთრო და საზაფხულო საძოვრების არა პროპორციულობა, ის, რომ მას თითქმის არ გააჩნია საზაფხულო საძოვრები და მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში აუცილებელი ხდება პირუტყვის საკმაოდ დიდი სიშორით გადარეკვა საზაფხულო საძოვრებზე.

რაც შეეხება გარე კახეთის ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს—მაღალხარისხოვანი ნიადაგების შემცველ სახნავ ფართობებს, მათი სრული ეფექტურობით გამოყენებას ხელს უშლის ტენიანობის წლიური უარყოფითი ბალანსი, რაც იწვევს ხშირ გვალვებსა და მოსავლიანობის დაცემას.

როდესაც უყურებ გარე კახეთის გაშლილ ველებს, სამგორისა და შირაქის თვალუწვდენელ ფართობებს, უნებლიედ იბადება აზრი იმ შეუსაბამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესახებ, რომელიც არსებობს ბუნების სიმდიდრეთა შორის. გარე კახეთი მიწით ჭარბად დაჯილდოებული მხარე, მოკლებულია სიცოცხლის მომცემ მეორე ელემენტს—წყალს, მდინარეების სახით, სინესტეს, ნალექების სახით. მაგრამ ის, რაც ბუნებამ დააკლო ყველაფრით მდიდარ მხარეს—წყალი, სოციალისტური წყობილების პირობებში, აქ შეიძლება შეიქმნას ადამიანის შრომითა და ბუნებაზე მიზანდასახული ზემოქმედებით.

წყლის პრობლემის დადებით გადაჭრასა და გარე კახეთში სათანადო მელიორაციულ ღონისძიებათა გატარებას შეუძლია ბევრად გაზარდოს რაიონის მეურნეობრივი პოტენციალი, მისი სოფლის მეურნეობის როგორც საერთო, აგრეთვე სასაქონლო პროდუქცია.

სავარგულების განლაგება და მიწათმოწყობის საკითხი

ტერიტორიაზე მოსახლეობის არათანაბარმა განაწილებამ, სავარგულების ბუნებრივმა განლაგებამ, სახნავი ფართობების ნაყოფიერებისა და კლიმატური პირობების სხვადასხვაობამ გარე კახეთში ისტორიულად შექმნა მიწათსარგებლობის თავისებურება, რომელიც მნიშვნელოვანი დეფექტებით ხასიათდება.

რაში მდგომარეობს მიწათსარგებლობის ძირითადი ნაკლი? სახნავი მიწები ძლიერ დაშორებულია საცხოვრებელი პუნქტებიდან, როგორც მათი განლაგებით თვით რაიონებში, აგრეთვე იმის გამო, რომ ერთი რაიონი სარგებლობს მეორე რაიონის მიწის ფონდებით.

ასე მაგალითად, სიღნაღის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებს სახნავი მიწების ნაკვეთები აქვთ წითელწყაროსა (შირაქში) და ლაგოდეხის რაიონებში, რომელნიც 50—60 კილომეტრით არიან დაშორებულნი.

სამუშაო ადგილის დასახლების ადგილისაგან დაშორება იწვევს მუშახელის დიდ დაცდენას (წასვლა-წამოსვლაზე, განსაკუთრებით, თუ ეს ყოველდღიურად ხდება), ზღუდავს ქალთა შრომის გამოყენების შესაძლებლობას და, აგრეთვე, დიდ დამატებით ხარჯებს იწვევს მუშახელის გადაყვან-გადმოყვანაში.

გარე კახეთის კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის დიდ ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე მრავალნაკვეთიანობა. ცალკე კოლმეურნეობებს მათზე მიმიმგრებული სახნავი მიწის ფონდები გაფანტული აქვთ რაიონის სხვადასხვა ნაწილში. ასე მაგალითად, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობაში „ლენინის გზით“ სახნავი მიწები წარმოდგენილია 9 ნაკვეთით, რომელნიც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული არიან. წითელწყაროს რაიონში ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობას სახნავი მიწები თერთმეტ ადგილას აქვს გაფანტული.

სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, გრძელნაკვეთიანობა (მიწები გადაჭიმულნი არიან ვიწრო ზოლებად 30—35 კილომეტრზე).

მოსახლეობის შრომის რესურსების უკეთ გამოყენება და ზედმეტი, უნაყოფო ხარჯების თავიდან აცილება მოითხოვს გარე კახეთის კოლმეურნეობათა მიწათმოწყობაში სერიოზული კორექტივების შეტანას. მიწების გადანაწილების საშუალებით საჭიროა მოისპოს მრავალნაკვეთიანობა. კოლმეურნეობებს უნდა შეექმნას კომპაქტური მიწის მასივები, ცხადია, რამდენადაც შესაძლოა, დასახლებულ პუნქტებთან დაახლოებით.

ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება ერთგვარ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში საჭირო შეიქმნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითი რესურსების გადაადგილება ან კოლმეურნეობათა საწარმოო საქმიანობაში ცვლილებათა შეტანა.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის დარგთა შორის ძირითად დარგად მემინდვრეობა უნდა ჩავთვალოთ, ხოლო მასში წამყვანად—მარცვლეულის მეურნეობა.

გარე კახეთი ხორბლის წარმოების უდიდესი რაიონია საქართველოში და მას დამსახურებულად საქართველოს ბეღელს უწოდებენ. რესპუბლიკის ხორბლით დაკავებული მთელი ფართობიდან 1952 წ. გარე კახეთზე 30%-ზე მეტი მოდიოდა (გავიხსენოთ, რომ თავის ტერიტორიით ის საქართველოს 7,9%-ს უდრის).

მარცვლეულის მეურნეობაზე გარე კახეთის სპეციალიზაციას ხელს უწყობს ბუნებრივი პირობები—სახნავი მიწების დიდი ფართობები და ხორბლის შედარებით მაღალი მოსავლიანობა, რომელსაც, თუმცა, ხშირად აბათილებს წყლის ნაკლებობა, გვალვები და ხშირი ქარები.

მარცვლეულ კულტურებში მთავარი ადგილი შემოდგომის ხორბალს უკავია, გაზაფხულის ხორბალს თითქმის არ თესავენ. შედარებით მცირე ფართობი უკავია აგრეთვე სიმინდს, რომელიც მარცვლეულის კულტურების 13%-მდე შეადგენს.

თითოეულ რაიონში მარცვლეულის კულტურებიდან ცოტა რაოდენობით თესავენ გაზაფხულისა და შემოდგომის ქერს, შვრიას, ფეტვს, ღომს, ხოლო პარკოსანი კულტურებიდან—ლობიოს, მუხუდოს და სხვ.

თუ 1950 წ. გარე კახეთის ნათესი ფართობი შეადგენდა 109,7 ათას ჰა-ს აქედან ხორბლის ნათესი—57,7 ათას ჰა-ს. უკვე, 1952 წ. საერთო ნათესი ფართობი გაიზარდა 153 ათას ჰა-მდე, აქედან ხორბლისა—105 ათას ჰა-მდე.

გარე კახეთში ხორბლით დაკავებული ფართობის ასეთი არანორმალური ზრდა შედეგი იყო იმ არასწორი გეზისა, რომელიც აღებული იყო მარცვლეული მეურნეობის განვითარების საკითხში. საქართველოს ვითომდა საკუთარი პურით უზრუნველყოფის მიზნით რესპუბლიკაში და განსაკუთრებით კახეთის რაიონებში ტარდებოდა ხორბლის ფართობთა გაუმართლებელი გადიდება საძოვრების გადახვნის ანგარიშზე. ცნობილია, რომ ამ არამართებულმა პრაქტიკამ დიდი ზიანი მოუტანა კახეთის მეცხოველეობას.

გარე კახეთის ნათესი ფართობისათვის დამახასიათებელია მასში მარცვლეულ კულტურათა დიდი ხვედრითი წონა, რომელიც 1952 წ. თითქმის 84%-ს უდრიდა, აქედან შემოდგომის ხორბალს თითქმის 32% ეკავა.

შემოდგომის ხორბლის ყველაზე დიდი ფართობები წითელწყაროს რაიონზე მოდის. აქ თითოეულ შრომისუნარიან კოლწევრზე საშუალოდ მოდის 4,04 ჰა, სიღნაღის რაიონში—2,26 ჰა, საგარეჯოს—2,09 ჰა, ხოლო კაჭრეთის—1,59 ჰა. (იხ. კარტოგრამა 3).

ხორბლის ნათესების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შირაქის ველი, რომელიც წარმოადგენს ხორბლის ნათესების უდიდეს კომპაქტურ მასივს.

კლიმატურად ხელსაყრელ პირობებში წითელწყაროს კოლმეურნეობები 18—21 ც. და მეტ ხორბლის მოსავალს იღებენ 1 ჰა-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შევადარებთ წითელწყაროს რაიონის ხორბლის საშუალო მოსავალს დანარჩენი რაიონების მოსავალთან, შემდეგ შეფარდებას მივიღებთ (იხ. დიაგრამა 4, წითელწყაროს მოსავალი-100%).



ბარტეგრამა 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც 1950, ისე 1952 წ. კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში ხორბლის საშუალო მოსავალი ბევრად ნაკლებია, ვიდრე წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონების უფრო დაბალი მოსავლიანობა დაკავშირებულია კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობათა სხვაობასთან, მაგრამ ამ მხრივ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ, სახელდობრ შრომის ორგანიზაცია, აგროტექნიკურ ღონისძიებათა არადროული და არასაკმაო ხარისხიანი ჩატარება. კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში მარცვლეულის შედარებით დაბალი მოსავალი ამცირებს მათში საკოლმეურნეო წარმოების ეფექტიანობას და უარყოფითად მოქმედებს კოლმეურნეობათა ეკონომიურ მაჩვენებლებზე. ამ მდგომარეობას აღრმავებს ის გარემობა, რომ შრომის დანახარჯების მხრივ ამ რაიონებში თითოეულ ჰექტარ ნათესზე, მექანიზაციის ნაკლები დონის გამო, მეტი შრომადღეები იხარჯება.

დიაგრამა 4

1 ჰექტარ თავთავიან კულტურათა ფართობზე 1952 წ. დახარჯულ იქნა წითელწყაროს რაიონში—12.7 შრ/დღე, საგარეჯოს რაიონში 21.3 შრ/დღე, ხოლო კაჭრეთის რაიონში—23.4 შრ/დღე.

ჯეიზიანი თესლის გამოყენება, მიწის ხარისხიანად და აგროტექნიკურ ვადებში დამუშავება, სასუქების გამოყენება, თესვის მოწინავე მეთოდების გამოყენება (ჯვარედინი და ვიწროგიგითი თესვა), სარეველებთან სისტემატური ბრძოლა და დანაკარგების შემცირება—ყველა ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება გარე კახეთის ველების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, მყარი მოსავლიანობის შექმნისათვის. გარე კახეთის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ექნება მორწყვის პრობლემის გადაჭრას, აგრეთვე თესლბრუნვის შემოღებას. მაგრამ საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის მგეგმავმა ორგანოებმა და კოლმეურნეობათა პრაქტიკულმა მუშაკებმა ყოველმხრივ გასინჯონ და შეამოწმონ თესლბრუნვის სქემა, მინდორთა რაოდენობა და ნათესბალახების ხვედრითი წონა თესლბრუნვაში და შეუფარდონ ის ადგილობრივ პირობებს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წ. თებერვალ-მარტის პლენუმის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის გამოყენება არ შეიძლება შაბლონურად, სხვადასხვა ზონის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. განსაკუთრებით ეს ეხება გვალვიან და ნახევრადგვალვიან რაიონებს, რომელთა რიცხვს გარე კახეთიც შეიძლება მივაკუთნოთ.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენეს ჩვენი ქვეყნის წინაშე საკითხი მარცვლეულის წარმოების გაფართოების შესახებ. საქართველოში, კერძოდ გარე კახეთში, ყამირი და ნასვენი მიწების გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია (თუ მეცხოველეობის განვითარების ინტერესებს არ უგულველყოფთ), ამიტომ მარცვლეული მეურნეობის გაფართოების ძირითადი გზა ეს არის — მოსავლიანობის სისტემატური ზრდის უზრუნველყოფა. აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთელი ყურადღება და ძალღონე.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობისათვის და მათ შორის მარცვლეულ მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ქარსაცავ ზოლებს ენიჭება. გარდა იმისა, რომ ქარები პერიოდულად აპობენ ნათესებს, ისინი მავნედ მოქმედებენ ნიადაგზე, იწვევენ მის ეროზიას და ყველაზე პროდუქტული ზედაფენის განიავებას.

გარე კახეთის მემინდვრეობაში მნიშვნელოვან კულტურას მზესუმზირა წარმოადგენს. მზესუმზირა გარე კახეთის ერთადერთი ტექნიკური კულტურაა და ის ერთგვარად სპეციფიურია ამ მხარესათვის.

საქართველოს რაიონთა შორის გარე კახეთი მზესუმზირას ყველაზე დიდი მწარმოებელია. ამ კულტურის ფართობი 1952 წ. თითქმის 14,2 ათას ჰექტარს უდრიდა, რაც საქართველოს საერთო ნათესის 77% შეადგენდა. აქაც, მოსავლიანობის მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონები. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა საშუალო მოსავალი 1952 წ. ორნახევარჯერ მეტი იყო ვიდრე კაჭრეთის კოლმეურნეობათა და სამჯერ მეტი, ვიდრე საგარეჯოსი.

ამ განსხვავებას მოსავლიანობაში მხოლოდ ნაკლებ ხელშემწყობ კლიმატურ პირობებს ვერ მივაწერთ, უდავოა ის მდგომარეობა, რომ კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში მზესუმზირას კულტურაზე არ ხდება ყველა საჭირო აგროტექნიკური ღონისძიების გატარება. ეს ნათლად ჩანს, თუ შევადარებთ 1 ჰა მზესუმზირას ნათესზე დახარჯულ შრომადღეებს ცალკეულ რაიონებში.

ცხადია, რომ, მაგალითად, საგარეჯოს რაიონი, რომელმაც 1952 წ. 1 ჰა მზესუმზირას ნათესზე საშუალოდ 15 შრომადღით ნაკლები დახარჯა (თითქმის 40%-თ ნაკლები) ვიდრე სიღნაღის რაიონმა, კარგ მოსავალს ვერ მიიღებდა.

ბოსტნეულ-ბაღჩეული და კარტოფილის კულტურა გარე კახეთში არაა საკმარისად განვითარებული. ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურათა განვითარებას ერთგვარად ზღუდავს სარწყავი ფართობების შედარებით სიმცირე, თუმცა გარკვეული შესაძლებლობანი ამ მიმართულებით მაინც მოიპოვება.

1952 წ. ბოსტნეულ-ბაღჩეულის საერთო ფართობი 1243 ჰექტარს უდრიდა, რაც ამ კულტურათა რესპუბლიკის საერთო ფართობის 7 პროცენტამდე შეადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებოსტნეობა-მებაღეობა უფრო განვითარებულია კაპრეთისა და საგარეჯოს რაიონებში, რაც უმთავრესად დაკავშირებულია ქალაქ თბილისის სიახლოვესთან, რომელსაც ეს რაიონები ამარაგებენ ბოსტნეულისა და ბაღჩეულის პროდუქტებით

მებოსტნეობა-მებაღეობა საკოლმეურნეო წარმოებისათვის და კოლწევრთათვის შემოსავლიანი დარგია. მაგალითად, საგარეჯოს რაიონში მებოსტნეობიდან შემოსავალი კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის 7%-ს უდრის (1952 წ.), მაშინ როდესაც შრომადღეების საერთო დანახარჯები ამ დარგზე მხოლოდ 4,6% მოდის.

გარე კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა, სიახლოვე დიდ ინდუსტრიულ ცენტრებთან (რუსთავი, თბილისი), კარნახობს ამ დარგისათვის უფრო მეტ სასაქონლო ხასიათის მიცემას. მებოსტნეობა-მებაღეობა განსაკუთრებით უნდა განვითარდეს საგარეჯოს რაიონში, სამგორის სარწყავი სისტემის ზონასა და, აგრეთვე, კაპრეთის რაიონშიაც, იორ-მუღანლოს ზონაში.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკვები კულტურების ფართობები, ჯერჯერობით მათ მცირე ადგილი უკავიათ მეცხოველეობის საკვებ ბალანსში, და მისი განვითარება უმთავრესად ისევ ბუნებრივ საკვებ საკარგულებს ემყარება.

გარე კახეთის მემინდვრეობაში თესლბრუნვის შემოღება გარდატეხას გამოიწვევს ნათესი ბალახების განვითარების საქმეში, მხოლოდ საკითხი ეხება მათი მაღალი მოსავლიანობის უზრუნველყოფას გარე კახეთის გვალვიან პირობებში.

მრავალწლიანი კულტურები

გარე კახეთი არ წარმოადგენს მევენახეობის განვითარებულ რაიონს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დარგს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის ეკონომიკაში.

ცალკეული მიკრორაიონები მაღალხარისხოვან ღვინოს იძლევიან, როგორიცაა: სოფ. სოფ. ანაგა, ხირსა და ტიბაანი (სიღნაღის რაიონში), ჩაილური და მანავი (საგარეჯოს რაიონში).

ვენახები განსაკუთრებით გავრცელებულია სიღნაღის რაიონში, სადაც მათ ციე-გომბორის მთის პირების ზოლი—ანაგიდან ხირსამდე უკავიათ. ვენახების განვითარებას ამ ზოლში ხელს უწყობს სათანადო ნიადაგები—ნეშომპალა-კარბონატული ტიპისა, ვენახები გავრცელებულია აგრეთვე ნაწილობრივ უკანამხარეში სოფ. ულიანოვკა—ქვემო ბოდბის სამხრეთ-დასავლეთით.

კაპრეთის რაიონში პატარ-პატარა მასივები განლაგებულია უმთავრესად რკინიგზის გასწვრივ მარჯვენა და მარცხენა მხარეზე. საგარეჯოს რაიონში ვენახების ძირითადი მასივები მოთავსებულია მანავის რაიონში, საგარეჯოაღმოსავლეთის, ხაშმისა და სართიჭალის მომიჯნავე ტერიტორიებზე.

ჯიშობრივი შემადგენლობა ვენახებისა ისეთივეა, როგორც საერთოდ კახეთის რაიონებში—მხოლოდ სიღნაღის რაიონში ჭარბობს რქა-წითელის ჯიში—ნაკლებად არის განვითარებული „საფერავი“ და „მწვანე“, საგარეჯოს რაიონში ჭარბობს „საფერავი“ და „მწვანე“, უკანასკნელისაგან მიღებული ღვინო ცნობილია „მანავის მწვანეს“ სახელწოდებით, რომელიც მაღალხარისხოვან სამარკო ღვინოებს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენახების ფართობი 3692 ჰექტარიდან 1947 წ. გაიზარდა 4692 ჰექტარამდე 1953 წ.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა 5 გვიჩვენებს ვენახების ფართობების ზრდას რაიონების მიხედვით, თანახმად 1947 წ. და 1953 წ. ჩატარებული აღწერისა:

ცალკე სექტორების მიხედვით 1953 წ. ვენახის ფართობი შემდეგნაირად იყოფა:

ვენახის ფართობი ჰექტარებში	
სულ ფართობი	4692,0
მათ შორის კოლმეურნეობები	2102
საბჭოთა მეურნეობები	482
კოლწევრები	1830



დიაგრამა 5

საქართველოს ვენახთა საერთო ფართობიდან გარე კახეთზე მოდის 9% და მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მევენახეობა-მეღვინეობისათვის.

მევენახეობისათვის დამახასიათებელია, რომ ვენახების საკმაო ფართობები მოთავსებულია კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ამჟამად, ვენახების საკოლმეურნეო სექტორი ბევრად გაიზარდა, მაგრამ ჯერჯერობით საკარმიდამო ნაკვეთებზე მოთავსებულ ვენახებს კიდევ დიდი ხვედრითი წონა აქვთ (39%). ის გარემოება, რომ ისეთი ინტენსიური კულტურა, როგორიც ვენახია, კოლწევრთა საკარმიდამო ნაკვეთებზეა განლაგებული, გარკვეულ გავლენას ახდენს კოლწევრთა შრომის გამოყენებაზე.

ვენახი გარე კახეთში, ისევე როგორც საქართველოს ყველა რაიონში, კარგი მოსავლიანი კულტურაა და კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში დიდ როლს თამაშობს.

მაგრამ, როგორც აღნიშნული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წ. თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებით, „მებაღეობა და მევენახეობა ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა ნეურნეობაში თავგინებებულია და სოფლის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობის ჩამორჩენილ დარგებს წარმოადგენს"[1]. იმ მხარეთა შორის, სადაც ლებშიაც ეს დარგები განსაკუთრებით ცუდად ვითარდება, დასახელებულია საქართველოც, მათ შორის ჩვენ შეგვიძლია გარე კახეთიც ჩავთვალოთ.

მებაღეობა გარე კახეთში შედარებით სუსტადაა განვითარებული. ამ დარგისადმი უყურადღებობის გამო, მიუხედავად ფართობების ზრდისა, ბაღების მდგომარეობა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. თუ 1945 წ. ბაღების ფართობი გარე კახეთის რაიონებში 2,4 ათას ჰექტარს შეადგენდა, 1954 წ. უკვე 3,6 ჰექტარს უდრიდა.

ბაღების ფართობების განაწილება რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (ჰექტარობით)

რაიონი	1945 წ.	1954 წ.
სიღნაღის	893	1062
წითელწყაროს	293	530
კაჭრეთის	482	800
საგარეჯოს	784	1260
სულ	2452	3652

ბაღების უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 62%-მდე, განლაგებულია კოლწევრების საკარმიდამო მიწებზე, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ბაღები საგარეჯოს რაიონში, სადაც უკანასკნელი წლების განმავლობაში საკოლმეურნეო ბაღებს საკმაო ყურადღება არ ექცეოდა.

ბაღები, ისე როგორც ვენახები, სათანადოდ მოვლისა და მოსავლიანობის უზრუნველყოფის პირობებში კოლმეურნეობებისათვის კარგი ფულადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს: სამწუხაროდ, ვენახებისა და განსაკუთრებით ბაღების მოუვლელობის გამო მათი მოსავალი ძალიან დაბალია, განსაკუთრებით საგარეჯოს რაიონში.

1952 წ. საკოლმეურნეო ვენახების საშუალო მოსავალი ცენტნერებში 1 ჰექტარზე შემდეგი იყო: წითელწყაროს რაიონში—48,8 ც. სიღნაღის—26 ც. კაჭრეთის—24,5 ც. და საგარეჯოს—16,4 ც.

ვენახის ასეთი დაბალი მოსავალი (გარდა წითელწყაროს რაიონისა), უდავოდ მისი არასაკმაო მოვლის შედეგია, ეს ნათლად საბუთდება იმ გარემოებით, რომ მაშინ, როდესაც ვენახისა და ბაღის ერთ ჰექტარზე წითელწყაროს კოლმეურნეობებმა საშუალოდ 1952 წ. 258 შრომადღე დახარჯეს, კაჭრეთის რაიონში—203 შრომადღე დაიხარჯა, ხოლო საგარეჯოს რაიონში კი—მხოლოდ 135 შრომადღე.

კიდევ უფრო საეჭვალო მდგომარეობაა ხილის მოსავლიანობაში. საგალითად, საგარეჯოს რაიონში ის წლიდან წლამდე კლებულობს და 1952 წ. 1 ჰექტარიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 4,3 ც. ხილის მოსავალი.

ბაღების მოუვლელობის ნათელ მაგალითს იძლევა გომბორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც 1952 წ. 1 ჰექტარი ბაღის, მოვლაზე მხოლოდ 27 შრომადღეა დახარჯული, ნაცვლად აგროტექნიკური ნორმებით გათვალისწინებული 110 შრომადღისა.

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წ. 2 მარტის დადგენილება „ჩვენ ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ", გაზ. „კომუნისტი", 1954, № 55, 6 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენახების გაკვრცელების ინტენსიობა გარე-კახეთის რაიონებში 1952 წ.



კარტოდიაგრამა 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილის საშუალო მოსავალი საგარეჯოს რაიონში

წლები	გეგმით მოსავლიანობა 1 ჰა-ზე ცენტნერებში	მიღებულია ფაქტიურად 1 ჰა-ზე ცენტნერებში
1950	27,5	11,2
1951	30,0	6,6
1952	25	4,3

ვენახების მოუვლელობის გამო საგარეჯოს რაიონში ვენახის სიმეჩხერე 19%-ს აღწევს.

მიუხედავად ასეთი დაბალი მოსავლიანობისა, მევენახეობა-მებაღეობას კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საჭიროა, გარე კახეთის რაიონების ხელმძღვანელებმა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა საბრძოლო ამოცანად დასახონ მევენახეობის და მებაღეობის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება, მათი მოსავლიანობის ამაღლება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მიერ რესპუბლიკის წინაშე დასმული იქნა ამოცანა, რათა უახლოეს 5—10 წლის განმავლობაში ვენახთა ფართობი არსებული 52 ათას ჰექტრიდან (1953 წ.) გაიზარდოს 80 ათას ჰექტრამდე. ვენახის ახალი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი კახეთის რაიონებზე მოდის, მათ შორის გარე კახეთის რაიონებზედაც. თანახმად წინასწარი პერსპექტიული მონაცემებისა, ვენახების საერთო ფართობი გარე კახეთის რაიონებში 4,7 ათას ჰექტრიდან 1965 წლისათვის უნდა გაიზარდოს 13 ათას ჰექტრამდე.

გარე კახეთის ვენახთა ასეთი მძაფრი ზრდა სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს როგორც ვაზის კულტურისათვის ხელშემწყობი ბუნებრივი პირობების გამო, აგრეთვე, რაც მთავარია, საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიური საფუძვლის გაძლიერების თვალსაზრისითაც.

მეცხოველეობა

როგორც უკვე იყო მოხსენებული, მეცხოველეობა გარე კახეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, რომელნიც აღნიშნული იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ 1953 წ. სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებებში, მეცხოველეობის განვითარების საქმეში საქართველოსა და კერძოდ გარე კახეთში ერთგვარ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი.

აღნიშნული მდგომარეობა მოჩანს ქვემოთ მოყვანილი მეცხოველეობის განვითარების მონაცემებიდან 1950—1952 წწ. პერიოდისათვის.

პირუტყვის სულადობა (მეურნეობის ყველა კატეგორიისა ათას სულობით) 1950—1952 წწ.

პირუტყვის სახე	1950 წ.	1952 წ.
1. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	71,4	64,8
2. მათ შორის ძროხა	18,0	17,3
2. ცხვარი და თხა	420,1	448,7
3. ღორი	27,5	32,5
4. ცხენი	13,7	13,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ჯოგს ეკუთვნის. საერთო სულადობიდან [1]კოლმეურნეობებზე მოდის: მსხვილფეხა საქონლის—84%, ცხვრის—86% და ღორის—76%. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გარე კახეთის რაიონებში კოლწევრთა გარკვეულ ნაწილს არ ჰყავს პირუტყვი, განსაკუთრებით ძროხა. ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო იმით, რომ: „საკარმიდამო მეურნეობიდან პროდუქტების ჩაბარების გადიდებულმა ნორმებმა, კოლმეურნეობათა პირადი მეურნეობის მიმართ საგადასახადო პოლიტიკაში არსებულმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი ძროხის, ღორისა და ცხვრის სულადობის შემცირება“[1].

პირუტყვის სულადობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის, განვითარების მხრივ ძირითადია სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები.

სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები მეცხოველეობის ძირითადი სახეობათა როგორც აბსოლუტური რაოდენობით, ისე სულადობრივი ნორმებით ბევრად ჭარბობს კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებს.

გარე კახეთის მეცხოველეობის საერთო პროდუქციაში (დასამზადებელ ფასებში) სიღნაღის რაიონზე 38,6% მოდის, წითელწყაროს რაიონზე—39,1% საგარეჯოს—9,0%, ხოლო კაჭრეთის—13,3%.

ცნობილია, რომ გარე კახეთში მეცხოველეობის შენახვის სისტემა, განსაკუთრებით მეცხვარეობისა—მომთაბარეა, რაც გულისხმობს პირუტყვის სეზონობის მიხედვით საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე გადარეკვას. აღნიშნული სისტემა მეცხოველეობის ექსტენსიური ფორმაა და არ იძლევა საშუალების საკმაო დატვირთვით გამოვიყენოთ მიწის სავარგულები. ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიდან:

მოდის პირუტყვი საშუალოდ 100 ჰექტარ სახნავზე და სათიბ-საძოვრებზე (სულობით)

	მსხვილფეხა პირუტყვი სულ	მათ შორის ძროხები	ცხვარი და თხა	სულ მსხვილფეხა პირუტყვზე გადაყვანით
1. გარე კახეთი	13,2	3,5	91,0	25,6
2. საქართველოს სსრ მთლიანად[2]	41,7	14,9	72,5	42,1
3. საქართველოს დასავლეთი ნაწილი	83,4	27,2	42,4	66,0

მიუხედავად იმისა, რომ პირუტყვის სულადობის აბსოლუტური რაოდენობით გარე კახეთი რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი რაიონია, მეცხოველეობის სიმჭიდროვე (პირუტყვის მიწის სავარგულებთან შეფარდებით) აქ ბევრად ნაკლებია. თუ საშუალოდ საქართველოს სსრ-ში 100 ჰექტარ სახნავ და საძოვარ ფართობზე მოდიოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი პირობით გაანგარიშებით 42,1 სული, ხოლო დასავლეთ საქართველოში—66 სული, გარე კახეთში მოდიოდა მხოლოდ 25,6 სული.

ასეთი განსხვავება საავარგულების გამოყენებაში მეცხოველეობის მომთაბარე სისტემით უნდა ავხსნათ, აგრეთვე გარე კახეთის საძოვრების ძალიან დაბალი პროდუქტიულობით.

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მიღებული 1953 წ. 7 სექტემბერს, სახელგამი, 1953, გვ. 8.

[2] პირუტყვის სულადობა აღებულია 1951 წ. მონაცემებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შედარებითი მაჩვენებლები კარე ქახეთის რაიონებში /პირუტყვის სიმჭიდროვე ჰექტარზე სულადობრივი ნორმები 1952 წ/



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთნაჩვენები კარტოდიაგრამა 7 იძლევა მეცხოველეობის განვითარების მაჩვენებლებს, გარე კახეთის ცალკეული რაიონების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ მსხვილფეხა პირუტყვის აბსოლუტური რაოდენობით და სულადობრივი ნორმით წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონები წინ არიან, პირუტყვის სიმჭიდროვის მხრივ ისინი ჩამორჩებიან როგორც კაჭრეთის, აგრეთვე საგარეჯოს რაიონებს

გარე კახეთის მეცხოველეობის წინაშე ისე, როგორც დანარჩენი რაიონების წინაშე, საკითხი დგას მეცხოველეობის ინტენსიურ ფორმებზე გადასვლის შესახებ, რაც უნდა გამოიხატოს უმთავრესად მსხვილფეხა პირუტყვის სტაციონალურ შენახვის სისტემაზე გადაყვანაში, სათანადო მყარი საკვები ბაზის შექმნის საშუალებით.

გარე კახეთის მეცხოველეობა უნდა ემყარებოდეს, როგორც ბუნებრივ საძოვრებსა და სათიბებს, რომელთა პროდუქტიულობა სათანადო ღონისძიებათა ჩატარებით მკვეთრად უნდა გადიდდეს, აგრეთვე თესლბრუნვის შემოღების შედეგად მიღებულ საკვებსა (უხეშსა და წვნიანს) და ფერმისპირა ნათესებს (მწვანე კონვეირის შესაქმნელად).

პროდუქტიული საქონელი ბაგურ და ზოგ ალგას ბაგურ-ბანაკურ კვებაზე უნდა იქნეს გადაყვანილი (ცივ-გომბორის ქედის საძოვრების გამოყენებით), ცხვარი კი ზამთარში—ბაგურ-საძოვრულ კვებაზე, ხოლო ზაფხულში საძოვრულ კვებაზე—სუბალპურ და ალპურ ზონებში გადარეკვით.

მეცხვარეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ უხვი საკვები ბაზის შექმნის საფუძველზე (ზამთრის საძოვრების პროდუქტიულობის გაზრდით და სხვა ღონისძიებით) მოხდეს მისი ჯიშობრივი შემადგენლობის გაკეთილშობილება—ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენებით. ამ ღონისძიების გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს კამვოლ-მაუდის მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეში. ამ მიმართულებით საცდელი მუშაობა უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობს ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელმაც ახალი ქართული ნაზმატყლიანი ჯიშის გამოყვანის საქმეში გარკვეული მიღწევები მოიპოვა.

ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მუშაობაც უფრო ფართოდ უნდა წარმოებდეს და ადგილობრივი ჯიშები სისტემატურად უმჯობესდებოდეს შვიცის, სიმენტალისა და მათგან მიღებული ახალი ჯიშებით. გასაგებია, რომ ჯიშობრივად გაუმჯობესებას მოვლისა და კვების გაუმჯობესებული პირობებიც თან უნდა სდევდეს, რის გარეშე შეუძლებელია რაიმე შედეგის მიღება.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების პირობებში შესაძლებელია მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა, რომელიც ამჟამად ძლიერ დაბალია (1952 წ. საშუალო წველადობა 1 ძროხაზე 350 კგ. უდრიდა).

გარე კახეთის მეცხოველეობა თავისი პროდუქტიულობით ჩამორჩება არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის უმეტეს რაიონებს, არამედ საქართველოს სსრ საშუალო მაჩვენებლებსაც კი (რესპუბლიკაში საშუალო წველადობა—418 კგ.).

ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ძროხების ხვედრითი წონა გარე კახეთის მსხვილფეხა პირუტყვის სულადობაში 26,7%-ს უდრის, მაშინ როდესაც საქართველოს დასავლეთ ნაწილში საშუალოდ 32,7% შეადგენს.

გ. ბეგლეტესიანი

წვრილფეხა რქანი პირუტყვის შედარებითი მაჩვენებლები გარე კახეთის რაიონებში /პირუტყვის სიმჭიდროვე და სულადობრივი ნორმები 1952 წ./



პირობითი ნიშნები

საშუალოდ მთდის წვრილფეხა რქიანი პირუტყვი 100 ჰექტ. სახნავზე და ხაროვარ-საძოვრებზე

- 86.1
- 88,8-88.9
- 97.2

მასშტაბი 1 კვ სმ – 20000 სულ პირუტყვს წრეში ნაჩვენებია რამდენი ცხვარი და თხა მოდის 1 მრომისუნარიან კოლეგიურზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილფეხა პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა და ძროხების სიმცირე საერთო ჯოგში აპირობებს გარე კახეთში მსხვილფეხა მესაქონლეობის დაბალ შემოსავლიანობას. ასე, თუ გარე კახეთის რაიონებში მსხვილფეხა მესაქონლეობაში დახარჯულ ერთ შრომადღეზე საშუალო შემოსავალი 4,1 მანეთს შეადგენდა, საქართველოს დასავლეთ რაიონებისათვის ის 8 მანეთს იძლეოდა (1951 წ.), ე. ი. აქ ამ დარგის რენტაბელობა ორჯერ უფრო მეტი იყო. ეს ნათელი დადასტურებაა გარე კახეთში მსხვილფეხა მესაქონლეობის დაბალი დონისა და მისი მცირე ეფექტიანობის.

გარე კახეთის მსხვილფეხა მესაქონლეობის წინაშე სერიოზულ ამოცანად დგას მისი პროდუქტიულობის მკვეთრი ზრდა, საქონლის კვების რეჟიმის, მოვლისა და ჯოგის ჯეშობრივი შემადგენლობის სისტემატური გაუმჯობესების გზით. ერთდროულად საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცკ 1953 წ. სექტემბრის პლენუმის მითითების შესაბამისად, ძროხების ხვედრითი წონა 50%-მდე უნდა იქნეს აყვანილი.

მეცხოველეობის სხვა დარგებთან შედარებით (გარდა მეაბრეშუმეობისა), გარე კახეთში უფრო მეტი შემოსავლიანია მეცხვარეობა. საკმარისია ითქვას რომ ამ დარგში დახარჯული 1 შრომადღე კოლმეურნეობებს აძლევდა საშუალოდ ფულად შემოსავალს 8,8 მანეთს (1952 წ.), ე. ი. ორჯერ მეტს, ვიდრე მსხვილფეხა მესაქონლეობაზე დახარჯული შრომადღე.

დაბალი შემოსავლიანობით ხასიათდება აგრეთვე მეფრინველეობა და მეღორეობა, რომელთა განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობა მოიპოვება.

ბევრად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებსაც, როგორიცაა მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა, რომელთაც განვითარების პირობები აქვთ და მაღალი შემოსავლიანი დარგებია.

საკავშირო კომუნისტური პარტიის 1953 წლის სექტემბრის პლენუმისა და შემდგომი დადგენილებებით კოლმეურნეობებისა და კოლწევრებისათვის შექმნილია რიგი წამახალისებელი პირობები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ მეცხოველეობის სწრაფ აღმავლობას.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორთაგანია მისი მექანიზაცია. წარმოუდგენელი იქნებოდა გარე კახეთის გაშლილ ველთა დამუშავება და მოსავლის აღება, რომ იქ საბჭოთა პერიოდში არ შექმნილიყო მძლავრი მანქანური ბაზა—მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახით.

ამჟამად, გარე კახეთის რაიონებში 14 მანქანა-ტრაქტორთა სადგური მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ გარე კახეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციას ხელს უწყობს მისი ბუნებრივი რელიეფი (მცირე დახრილობა) და მემინდვრეობის დიდი ხვედრითი წონა, სადაც მექანიზაციის მეტი შესაძლებლობა მოიპოვება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები შეიარაღებულნი არიან მოწინავე საბჭოთა მანქანა-მოწყობილობით და მათი ტექნიკური შეიარაღება ყოველწლიურად მატულობს. 1940 წელთან შედარებით გარე კახეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო პარკი თითქმის გაორკეცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ მექანიზებული წესით შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა 237 ათას ჰექტრიდან (რბილ ხვნაზე გადაყვანით) 582 ათას ჰექტრამდე გაიზარდა 1952 წ., აქედან 200 ათას ჰა წითელწყაროს რაიონზე მოდიოდა.

მექანიზაციის ღონის მხრივ გარე კახეთის რაიონები მოწინავეთა რიგში დგანან. ასე მაგალითად. 1953 წ. წითელწყაროს რაიონში თითოეული 15-ძალიანი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება 436 ჰექტარს უდრიდა.

მაგრამ, მიუხედავად მექანიზაციის მაღალი დონისა, გარე კახეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ საკმაოდ არ იყო გატარებული მზესუმზირასა და სიმინდის მოვლის, აღების პროცესებისა და ვენახების სამუშაოების მექანიზაცია; მცირე მოცულობით ტარდებოდა აგროტექნიკით გათვალისწინებული ჯვარედინი და კვადრატულ-ბუდობრივი თესვა.

საერთოდ გარე კახეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობას სავსებით ახასიათებდა ის ნაკლოვანებანი, რომელიც აღნიშნული იქნა 1953 წ. სსრკ მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

პარტიისა და მთავრობის ზემოდასახელებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებამ უნდა აღმოფხვრას გარე კახეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ნაკლოვანებები და უფრო მეტად უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მექანიზაცია.

წყალთა მეურნეობა

წინა თავებში დახასიათებულ იქნა გარე კახეთის კლიმატური პირობები, რომლებიც განაპირობებენ ამ მხარის სიმშრალეს და სინესტის უარყოფით ბალანსს. წყლის ნაკლებობა გარე კახეთის რაიონებში, კლიმატის დიდი სიმშრალის პირობებში, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და წარმატების ყველაზე მძაფრი ხელისშემშლელი მიზეზთაგანია.

გარე კახეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში არ მოიპოვება არა მხოლოდ სარწყავი წყალი, არამედ სასმელი წყალიც, რაც დიდ გაჭირვებას უქმნის მოსახლეობას და აფერხებს მეცხოველეობის განვითარებას. წვიმიან წელს მოსავალი კარგი მოდის, ვინაიდან მიწა ძირითადად ბარაქიანია და მოსავლიანი. მაგრამ გვალვების დროს, რასაც გარე კახეთის რაიონებში სისტემატური ხასიათი აქვს, მოსავალი ნაწილობრივ ან, ზოგჯერ, სავსებით ფუჭდება, ეს დიდ ზარალს აყენებს საკოლმეურნეო წარმოებას.

გარე კახეთის საკმაოდ დიდ ფართობზე ხელოვნური მორწყვის გარეშე შეუძლებელია მიწათმოქმედების განვითარება, თუმცა ნიადაგები ხელს უწყობენ კულტურათა აღმოცენებას.

საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი ცდილობდა გადაეჭრა გარე კახეთის ველების მორწყვის პრობლემა, პირველ რიგში სამგორის ველისა. ცნობილია, რომ ძველთაგან სამგორში არსებობდა სარწყავი არხი (20 კმ. სიგრძით), რაც სამგორის ველზე დასახლებულ მცხოვრებლებს სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას უქმნიდა. ბარბაროსულ ურდოთა შემოსევებმა დაანგრია და მოსპო სამგორის სარწყავი სისტემა; მოისპო თუ არა სამგორში წყალი,—აქ საერთოდ ყოველგვარი სიცოცხლე ჩაკვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, წყლის საკითხი გარე კახეთის უმეტესი ნაწილისათვის სასიცოცხლო საკითხია, მისი მეურნეობრივი აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა.

გარე კახეთის პირობებში მორწყვის ეფექტიანობას, სართოჟალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითიც გვიდასტურებს. მან 1953 წ. სამგორის სარწყავი არხით ველების მორწყვის შედეგად 1-ჰა-დან საშუალოდ მიიღო: ხორბალი 25 ც., სიმინდი 90 ც., მზესუმზირა 15 ც. და ყურძენი 52 ც.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი სამეურნეო შედეგის მოტანა შეუძლია გარე კახეთის ვრცელ ველთა მორწყვას და რამდენად გაზრდის ის მის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას როგორც საერთოს, ისე სასაქონლო ნაწილს. მორწყვის პირობებში გარე კახეთს შეუძლია მოგვცეს დამატებით მილიონობით ცალტნერი მარცვლეული, ასითასობით ცენტნერი ყურძენი, მზესუმზირა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. მორწყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დიდი სამუშაოები ჩატარდა კახეთისა და მათ შორის, გარე კახეთის სამეურნეო ფართობების მორწყვის უზრუნველსაყოფად; აშენდა ალაზნისა და ზემო სამგორის არხი, რომელნიც ნაწილობრივ გარე კახეთის მიწებსაც რწყავენ.

ამ საინჟინრო ნაგებობების გარდა, სიღნაღის, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში ოირის წყლის გამოყენების საფუძველზე მოქმედებს პრიმიტიული სარწყავი არხები, რომელნიც მცირე ფართობებს რწყავენ (ისიც, თუ ოირში საკმაო წყალია). საინჟინრო და პრიმიტიული ტიპის არხების საერთო სიგრძე 214 კმ უდრის, მაგრამ ისინი ძალიან მცირე მოცულობით აკმაყოფილებენ გარე კახეთის რაიონთა მოთხოვნილებას.

აღსანიშნავია, რომ ალაზნის არსებული არხი, რიგი მიზეზების გამო, არ არის საკმაოდ გამოყენებული. ასე მაგალითად, 1953 წ. გურჯაანის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 31318 ჰექტარისა, მორწყულ იქნა მხოლოდ 5328 ჰექტარი. ამასთან, დამახასიათებელია, რომ მორწყული იქნა უმთავრესად საკარმიდამო ნაკვეთები.

ალაზნის არხის ასეთი მცირე ეფექტით გამოყენებას რამდენიმე მიზეზი აქვს. მორწყვის პირობები ალაზნის ველის ამ ნაწილში საკმაოდ ძნელია რელიეფის მხრივ და მოითხოვს დიდ მუშახელს, რომლის გამოყოფა კოლმეურნეობებს უძნელდებათ; გრუნტის წყლების მაღალი დონის, ნიადაგის თვისებებისა და აგრეთვე, უხეიროდ რწყვის შედეგად ხდება სარწყავი ზონის ზოგიერთი უბნის დაჭაობება. ჭაობების სივრცე უკანასკნელი წლების განმავლობაში სისტემატურად იზრდება. მორწყვას ხელს უშლის აგრეთვე საკმაოდ დიდ ფართობებზე დამლაშებული ნიადაგების არსებობა.

დამლაშებული მიწების ათვისების მიზნით სოფ. ყარაღაჯში 1942 წ. ორგანიზებულ იქნა საცდელ-სამელიორაციო სადგური, რომელიც ექსპერიმენტალურ მუშაობას აწარმოებს. დამლაშებული ნიადაგის გამორეცხვის მეთოდების დასადგენად აუცილებელია ამ მუშაობის მეტი მასშტაბით გაშლა, ვინაიდან ეს ალაზნის სარწყავი სისტემის უფრო ეფექტური გამოყენების ერთ-ერთი პირობაა.

გარე კახეთის მშრალ რაიონთა წყლით უზრუნველყოფის პრობლემის რადიკალური გადაწყვეტისათვის, უახლოეს პერიოდში ისახება ორი სარწყავი სისტემის განხორციელების პერსპექტივა—ქვემო სამგორისა და ალაზნის ზემო არხის მშენებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემო სამგორის სისტემა წარმოადგენს იორის წყლის გამოყენების მეორე რიგის სამუშაოს (ზემო სამგორის სისტემის დამთავრების შემდეგ). ის ითვალისწინებს საგარეჯოსა და ნაწილობრივ, კაჭრეთის ურწყავი მასივების მორწყვას, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 40 ათას ჰექტარს უდრის.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს მდინარე იორის ჩამონადენის რეგულირება, რაც სიონის წყალსაცავის შექმნით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

კახეთისა და გარე კახეთის წყალთა მეურნეობის კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი ობიექტია ალაზნის ზემო არხის სარწყავი სისტემა, რომელმაც უნდა მორწყოს 100 ათასი ჰექტარი ფართობი და წყლით უზრუნველყოს 50 ათასი ჰექტარი. ალაზნის ზემო არხი, დაწყებული ბირკიანდიდან გაივლის ცივგომბორის ჩრდილო კალთებს, უმთავრესად დასახლებული პუნქტების ახმეტა-ქისტაური-თელავი-წინანდალი-აკურა-შაშიანის ხაზით და მორწყავს მათ დაბლა მდებარე ფართობებს მდინარე ალაზნისა და ალაზნის არხამდე. შემდეგ არხი გამოდის გარე კახეთის ზეგანზე (გვირაბით ან წყლის ამოქაჩვის საშუალებით) და აქ წყალს მიაწვდის კაჭრეთის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილს, სიღნაღის „უკანამხარეს", ოლე-ნაინარსა და წითელწყაროს რაიონში—შირაქის, ტარიბანისა და ელდარის ველებს.

ალაზნის ზემო არხის მშენებლობით, რომელიც საქართველოსათვის გრანდიოზულ, პერსპექტიულ ირიგაციულ ობიექტს წარმოადგენს, გადაწყვეტილი იქნება კახეთისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხი—წყლით უზრუნველყოფის საკითხი. ის საშუალებას მოგვცემს მივიღოთ შიგნი და გარე კახეთში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მყარი, მაღალი მოსავალი, ავითვისოთ მეურნეობრივად ახალი დიდი ფართობები ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ვენახებისა და საკვები კულტურების გაფართოებისათვის, უზრუნველვყოთ დასახლებული პუნქტები წყლით, ჩავატაროთ გატყევება და შევქმნათ ტყისსაცავი ზოლები, მივაწოდოთ საძოვრებზე პირუტყვს წყალი და სხვ.

გარე კახეთში წყლის ჭარბად გაჩენა გარდაქმნის ამ მხარეს, და მისი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარების პირობას შექმნის.

კოლმეურნეობებში შრომითი რესურსების გამოყენება

მთელმა რიგმა დაკვირვებამ გარე კახეთში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, იმ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებაში, რომ იქ, სადაც კოლმეურნენი დატვირთვით მუშაობენ, არ არღვევენ შრომის დისციპლინას, კოლმეურნეობა კარგ მოსავალსა და შემოსავალს იღებს და კოლწევრთა მატერიალური უზრუნველყოფაც მაღალია.

რასაკვირველია, კოლმეურნეობათა წარმატება, მათი შემოსავლიანობა სხვა მომენტებთანაც არის დაკავშირებული, როგორიცაა ნიადაგების ნაყოფიერება, კლიმატური პირობები, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, მაგრამ შრომის რესურსების გამოყენება, მისი კარგი ორგანიზაცია, მაინც გადამწყვეტ ფაქტორად რჩება.

საკოლმეურნეო შრომის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია შრომისუნარიან კოლწევრთა ხვედრითი წონა საერთოდ მოსახლეობაში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში. ამ მხრივ გარე კახეთის რაიონებში მნიშვნელოვან სხვაობას აქვს ადგილი.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შრომისუნარიანი კოლმეურნე გლეხობის არასაკმაო ხვედრითი წონა სიღნაღის, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში და, რაც მთავარია, შრომისუნარიანი მოსახლეობის საკოლმეურნეო შრომაში გამოყენების დაბალი დონე.

აღსანიშნავია, ისიც რომ მომუშავე შრომისუნარიანი კოლწევრებიდან საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში უმეტესობას ქალები შეადგენს, ხოლო მათი შრომითი დატვირთვა საკოლმეურნეო წარმოებაში მამაკაცებზე საერთოდ ბევრად ნაკლებია. მომუშავე შრომისუნარიან კოლწევრთა შორის ქალები კაჭრეთის რაიონში 56%-ს უდრის, ხოლო საგარეჯოს რაიონში 54%-ს.

შრომისუნარიანი მოსახლეობის საკოლმეურნეო შრომაში არასაკმაო მონაწილეობა ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ შრომისუნარიანი კოლწევრები (განსაკუთრებით მამაკაცები) მიდიან გარე სამუშაოებზე. საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებზე განსაკუთრებით მოქმედებს ქ. რუსთავისა და თბილისის სიახლოვე, რომლებიც თავისკენ იზიდავენ საკოლმეურნეო მუშახელს.

შრომისუნარიან კოლწევრთა კოლმეურნეობათა გარე სამუშაოებზე წასვლას წარსულში ხელს უწყობდა, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგის ჩამორჩენა, რაც ამცირებდა კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას.

„სოფლის მეურნეობაში დარღვეული იყო პრინციპი მუშაკთა მატერიალური დაინტერესებისა წარმოების განვითარებით, მისი შემოსავლიანობის გადიდებით—სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი“[1].

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა დატვირთვით მუშაობდნენ გარე კახეთის კოლმეურნეობებში შრომისუნარიანი კოლწევრები 1952 წ. განმავლობაში.

	სიღნაღის რაიონი	წითელწყაროს რაიონი	კაჭრეთის რაიონი	საგარეჯოს რაიონი	საშუალოდ გარე კახეთში,
1. რამდენი შრომადღე გამოიმუშავა საშუალოდ ერთ შრომისუნარიან კოლწევრმა 1952 წ.	292	338	212	207	268

წარსულ წლებთან შედარებით კოლმეურნეთა შრომითი დატვირთვა ერთგვარად გაუმჯობესდა. 1950 წელთან შედარებით 1952 წ. ერთ კოლწევრის მიერ გამომუშავებულია გარე კახეთში საშუალოდ 37 შრომადღით მეტი, მთლიანად კი 1 მილიონი შრომადღით მეტი. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეთა შრომითი დატვირთვა უმთავრესად კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში დაბალია.

განსაკუთრებით დაბალია ქალთა შრომის გამოყენება. ერთი კოლმეურნე ქალის საშუალო გამომუშავება კაჭრეთის რაიონში 132-ს, ხოლო საგარეჯოს რაიონში 124 შრომადღეს უდრიდა.

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ. სექტემბრის პლენუმის დადგენილება, სახელგამი, 1953. გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის რესურსების გამოყენების უკეთესი მდგომარეობაა წითელწყაროს რაიონში, როგორც გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მხრივ ერთ კოლმეურნეზე, ისე შრომისუნარიან კოლწევრთა მონაწილეობით საზოგადოებრივ შრომაში.

შრომის რესურსების გამოყენებაზე მოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, შრომის ცუდი ორგანიზაცია ზოგიერთ კოლმეურნეობაში, რაც აისუსტებს შრომის დისციპლინას, ამცირებს მეურნეობრივი საქმიანობის შედეგებს, მაგრამ არის სხვა მიზეზებიც. მაგალითად, ქალთა შრომის სუსტად გამოყენებაზე ძლიერ მოქმედებს სამუშაო ადგილის დიდად დაშორება საცხოვრებელი ადგილისაგან (რაზედაც ზემოთ გვქონდა მითითებული), აგრეთვე მათი საყოფაცხოვრებო პირობებისადმი არასაკმაო ყურადღება. კოლმეურნეობათა უმრავლესობას არა აქვს მოწყობილი ბავშვთა ბაღები და საბავშო ბაღები, რაც ხელს შეუწყობს ბავშვიანი ქალების სამუშაოზე გამოსვლას.



დიაგრამა 9

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის რესურსების გამოყენებისათვის მატერიალურ სტიმულებს. ზოგი კოლმეურნეობა ცუდი მეურნეობრივი საქმიანობის შედეგად მცირე შემოსავალს იღებს, შრომადღეებზე ცოტა ოდენობის ნატურალურ პროდუქტებსა და ფულს ანაწილებს. ფაქტები მოწმობენ, რომ ასეთ კოლმეურნეობებში კოლწევრთა საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა უფრო დაბალია, ვიდრე ძლიერ კოლმეურნეობებში, რომელთაც კულტურათა ოსავალი და ფულადი შემოსავალი კარგი აქვთ.

ასეთ მდგომარეობას განსაკუთრებით აქვს ადგილი კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში, სადაც საკოლმეურნეო წარმოების ნატურალური და ფულადი შემოსავლიანობა სისტემატურად უფრო დაბალია, ვიდრე სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1952 წელს შრომადღეების ანაზღაურებასა და გამომუშავებულ შრომადღეებს შორის შეფარდება მოცემულია ზემოთმოყვანილ დიაგრამა 9-ში.

აქ ნათლად მოჩანს, რომ კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონში ბევრად დაბალია როგორც შრომადღეების ნატურალური და ფულადი ანაზღაურება, აგრეთვე გამომუშავებული შრომადღეების ოდენობა და პირიქით, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონში, სადაც შრომადღეების გამომუშავება მაღალია შრომადღეების ანაზღაურებაც შედარებით მეტია.

გარე კახეთის საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია შრომის ორგანიზაციის სისტემატურად გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, კოლმეურნეობათა რენტაბელობის ამაღლება, მათი ნატურალური და ფულადი შემოსავლის გაზრდა.

საკოლმეურნეო წარმოების შემოსავლიანობის საკითხისათვის

კოლმეურნეობათა სამეურნეო წარმატება გამოიხატება მათი ფულადი და ნატურალური შემოსავლიანობით, რაც დაკავშირებულია მრავალ სხვადასხვა ფაქტორთან.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ გარე კახეთის საკვლევ რაიონებში?



დიაგრამა 10

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კაჭრეთისა და საგარეჯოს კოლმეურნეობები ნაკლებად შემოსავლიანი არიან, ვიდრე სიღნაღისა და განსაკუთრებით, წითელწყაროს კოლმეურნეობები; ეს მდგომარეობა შემდეგი მონაცემებიდანაც ჩანს (იხ. დიაგრამა 10):

კოლწევრთა ბიუჯეტში ფულად ანაზღაურებასთან ერთად უდიდეს როლს შრომადღეების ნატურალური ანაზღაურება თამაშობს, ზოგჯერ მას გადამწყვეტი ადგილი უკავია.

შესაძლოა გვეფიქრა, რომ საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში ფულადი შემოსავლიანობის სიმცირე კომპენსირებულია ნატურალური ფონდებით, რომელთაც სასაქონლო ხასიათი არა აქვთ, და ურიგდება მოსახმარად კოლწევრებს შრომადღეებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივადაც ეს რაიონები ჩამორჩენილი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როდესაც სიღნაღის რაიონში 1950 წ. თითოეულ შრომისუნარიანმა კოლწევრმა შრომადღეებზე მიიღო 1028 კგ მარცვალი და წითელწყაროს რაიონში —2694 კგ., კაჩრეთის რაიონში თითოეულმა კოლწევრმა მიიღო 778 კგ. მარცვალი და საგარეჯოს რაიონში—455 კგ.

ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ რით არის გამოწვეული საკოლმეურნეო წარმოების ნატურალური და ფულადი შემოსავლის რაიონული სხვაობანი?

ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ეს საკითხი დეტალურად განვიხილოთ (ეს მოითხოვს სპეციალურ შრომას), მაგრამ კოლმეურნეობათა შესწავლა და მათი საანგარიშო მასალათა ანალიზი გვარწმუნებს, იმაში, რომ საკოლმეურნეო წარმოების შემოსავლიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: კულტურათა საშუალო მოსავლიანობის დონეს, მეცხოველეობის პროდუქტიულობასა და სოფლის მეურნეობის დარგთა შეთანაწყობას.

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს კულტურათა მოსავლიანობასა და კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალს შორის (1952 წ.):

რაიონი	მემინდვრეობა[1]		მევენახეობა-მებაღეობა		მებოსტნეობა მებაღჩეობა
	ხორბლის საშუალო მოსავალი (წითელწყაროს რაიონი-100%)	ფულადი შემოსავალი ერთ ჰექტარზე (მან)	ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე (ცენ)	ფულადი შემოს. ერთ ჰექტარზე (მან).	ფულადი შემოსავალი ერთ ჰექტარზე (მან)
წითელწყაროს	100,0	205 6	48.8	10425	2240
სიღნაღის	75.3	123.0	26,0	7169	2802
კაჩრეთის	68,5	102,7	24.5	5130	1398
საგარეჯოს	48.9	81.4	16,4	3001	1100

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკვლევ რაიონებში მემინდვრეობიდან შემოსავალს განსაზღვრავს ხორბლის მოსავლიანობის დონე, ხოლო მევენახეობა-მებაღეობისას — ყურძნის მოსავლიანობა,

ეს ნათლად მოჩანს ქვემოთ მოყვანილ დიაგრამიდანაც (დიაგრამა 11).

მეორე დასკვნა, რომელიც შეგვიძლია გავაკეთოთ აღნიშნული მონაცემებიდან, იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის შემოსავლიანობა მნიშვნელოვნად განსხვავდება და რომ მეურნეობის ინტენსიური დარგები, როგორიცაა მევენახეობა-მებაღეობა, მრავალჯერ მეტ შემოსავალს იძლევა ერთი ჰექტარი ნარგავისაგან. განსაკუთრებით მაღალმოსავლიანია ვენახი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ დამზადების წამახალისებელ ფასებთან. მნიშვნელოვნად მაღალია შემოსავლიანობის თვალსაზრისით მებოსტნეობა-მებაღჩეობაც.

სოფლის მეურნეობის დასახელებულ შემოსავლიან დარგებში, რომლებიც ინტენსიურ დარგებს წარმოადგენენ, რასაკვირველია, ბევრად მეტი ცოცხალი და განვითარებული შრომა იხარჯება.

[1] მემინდვრეობიდან ერთ ჰექტარზე მცირე ფულადი შემოსავალი ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ამ დარგში მიღებული საერთო პროდუქციის უმეტესი რაოდენობა ნაწილდება კოლწევრებს შორის გამომუშავებელ შრომადღეებზე—ნატურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებში მოსავლიანობის და ფულადი შემოსავლის შეფარდება გარე კახეთის რაიონებში 1952 წ. %%-ით.



დიაგრამა 11

მაგრამ რას იძლევა სხვადასხვა დარგებში რაიონების მიხედვით შრომის დანახარჯის ერთეული, ანუ წარმოებაში დახარჯული ერთი შრომადღე? ამის შესახებ პასუხს ქვემოთ მოყვანილი ციფრები გვაძლევს.

ერთ დახარჯულ შრომადღეზე საშუალო ფულადი შემოსავალი მანეთებში (1952 წ.)

რაიონი	მემინდვრეობაში	მებოსტნეობაში	მეკვნახეობა-მებაღეობაში	მეცხოველეობაში	საშუალოდ
წითელწყაროს	7,2	14,2	40,5	9,8	8,3
სიღნაღის	3,8	12,8	33,8	9,1	6,9
კაჭრეთის	2,7	8,8	25,2	6,3	4,8
საგარეჯოს	2,6	7,7	22,2	6,6	5,1

ეს ცხრილი გვაძლევს გარე კახეთის რაიონების კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის შედეგთა განზოგადოებულ გამოხატულობას. წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში კულტურათა უფრო მაღალი მოსავლიანობა, მეცხოველეობის უფრო მაღალი პროდუქტიულობა, შრომის უკეთესი ორგანიზაცია ადიდებს საკოლმეურნეო შრომის მწარმოებლურობასა და ფულად შემოსავალს დახარჯულ შრომის ერთეულზე—შრომადღეზე. მაშინ, როდესაც წითელწყაროს რაიონში საკოლმეურნეო წარმოებაში საშუალოდ დახარჯულ ერთ შრომადღეზე მიღებულია საერთო ფულადი შემოსავალი 8,3 მან, საგარეჯოს რაიონში მიღებულია—5,1 მან, ხოლო კაჭრეთის რაიონში—4,8 მან.

როგორც აღვნიშნეთ, ამავე რაიონების კოლმეურნეობებმა მიიღეს ბევრად ნაკლები ნატურალური პროდუქციაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ზემოთქმული გვარწმუნებს იმაში, რომ კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში შრომა ნაკლები მწარმოებლურობით ხასიათდება და სწორედ ამით აიხსნება ამ რაიონებში ყველა მათი დანარჩენი უფრო დაბალი ეკონომიური მაჩვენებელი.

კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი დამოკიდებულია არა მხოლოდ კულტურათა მოსავლიანობისაგან (ხორბლის, მზესუმზირის, ბოსტნეულის და ვენახის), არამედ მასზე ძლიერ გავლენას ახდენს საკოლმეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა, ინტენსიურ კულტურათა (როგორიცაა ვაზი და ბოსტნეული) ხვედრითი წონა.

ზემოთმოყვანილი ცხრილი (გვ. 62) გვიჩვენებს, თუ რამდენად მაღალია ინტენსიური დარგების შემოსავლიანობა, განსაკუთრებით მევენახეობიდან.

აღნიშნული ციფრები სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებისათვის რასაკვირველია სავსებით შესადარისი არაა, ვინაიდან მემინდვრეობის საერთო პროდუქციის მნიშვნელოვანი წილი სასაქონლო ფორმას არ ღებულობს და ნატურალური სახით ნაწილდება კოლწევრებზე.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის თვალსაზრისით ეშვგარეშეა მევენახეობის უდიდესი მნიშვნელობა.

სიღნაღის რაიონში კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის თითქმის ერთ მესამედს, ხოლო კაჭრეთის რაიონში ერთ მესამედზე მეტს მევენახეობა-მებაღეობა იძლევა, მაშინ როდესაც ამ დარგებზე შრომის საერთო დანახარჯებიდან მხოლოდ 6—7% მოდის.

დასახელებული რაიონების საერთო შემოსავალში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეცხოველეობას (30—40%-მდე), თვით მეცხოველეობაში კი ყველაზე დიდ შემოსავალს მეცხვარეობა იძლევა. 1952 წ. გარე კახეთის მეცხოველეობაში მიღებული საერთო შემოსავლიდან 54,2% მიღებულ იქნა მეცხვარეობიდან. მსხვილფეხა პირუტყვისაგან შემოსავალი მისი პროდუქტიულობის დაბალი დონის გამო ჯერჯერობით ძალიან მცირეა.

როგორც ცნობილია, კოლმეურნეებს გარდა საზოგადოებრივი მეურნეობიდან შემოსავლისა (ფულითა და ნატურით), აქვთ აგრეთვე საკმაოდ დიდი შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთებიდანაც.

გარე კახეთის რაიონთა მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა გამოხატულებას პოულობს, რასაკვირველია, კოლწევრთა საკარმიდამო მეურნეობაშიაც. თუ საფუძვლად რაიონული ფინანსიურ ორგანოების მონაცემებს ავიღებთ, კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების წყაროები შემდეგნაირად განიაზღვრება.

შემოსავლის ხვედრითი წონა საკარმიდამო მეურნეობის მთელ შემოსავალში (პროცენტობით) 1952 წ.

რაიონი	მემინდვრეობიდან და მებოსტნეობა-მებაღეობიდან	მევენახეობა-მებაღეობიდან	მეცხოველეობიდან
სიღნაღის	17,7	48,7	23,5
წითელწყაროს	39.8	19.2	34.6
კაჭრეთის	40.9	21,7	31,3
საგარეჯოს	28.3	26,2	36.6

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკარმიდამო მეურნეობაშიაც შემოსავლის სტრუქტურა დაახლოებით იგივეა, რაც საზოგადოებრივი მეურნეობისა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში, რომლებშიაც საზოგადოებრივი მეურნეობა ნაკლებშემოსავლიანია, საკარმიდამო შემოსავალის ხვედრითი წონა უფრო მაღალია, ხოლო სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში კი პირიქით.

რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ზემოთ მოყვანილი ციფრობრივი მაჩვენებლების ანალიზიდან?

ძირითადი გზა გარე კახეთის საკოლმეურნეო წარმოების შემოსავლიანობის ზრდისათვის, კოლმეურნეთა მატერიალური პირობების შემდგომი ამაღლებისათვის, არის ნაჩვენები კომუნისტური პარტიის უკანასკნელ წლებში მიღებულ დადგენილებებში, რომლებიც მოითხოვენ ყველა კულტურის მოსავლიანობის ამაღლებასა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის უზრუნველყოფას.

გარე კახეთის რაიონებში, განსაკუთრებით საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში, კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველობის პროდუქტიულობის გაზრდის საკითხი სოფლის მეურნეობის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

საჭიროა გეგმაზომიერი და სისტემატური ღონისძიებათა გატარება, უპირველეს ყოვლისა, აგროტექნიკის გაუმჯობესება, მინერალური და ორგანული სასუქების ფართო გამოყენების, მორწყვის საკითხის გადაწყვეტისა და მიწათმოქმედების საერთო კულტურის ამაღლების გზით. მეცხოველეობის დარგში გადაუდებელ ამოცანად დგას საკვები ბაზის გაფართოებისა და პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. პროდუქტიული საქონლის ბაგური და ბაგურ-ბანაკური შენახვის სისტემაზე გადაყვანას თან უნდა სდევდეს კვების რეჟიმისა და პირუტყვის შენახვის პირობათა მკვეთრი გაუმჯობესება.

საკოლმეურნეო შემოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას გარე კახეთის რაიონებისათვის მათი საწარმოო პროფილის ინტენსიფიკაცია წარმოადგენს.

მკვეთრად უნდა გაიზარდოს ნათეს ფართობებში მზესუმზირასა და სხვა ტექნიკურ კულტურათა ფართობები, ბევრად გაიზარდოს მებოსტნეობა-მებაღჩეობა და, რაც მთავარია, მევენახეობა.

ციფრობრივი მაჩვენებლების განხილვამ ცხადად გვიჩვენა, რომ მევენახეობა მაღალი სასაქონლო და შემოსავლიანი დარგია და მისი ხვედრითი წონის გადიდება საკოლმეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვნად გაზრდის კოლმეურნეობათა შემოსავალს და სათანადოდ უზრუნველყოფს კოლმეურნეთა მატერიალური დონის ამაღლებას.

საკმარისია ითქვას, რომ მაშინ როდესაც გარე კახეთის სოფლის მეურნეობაში დამუშავებული ფართობის ერთ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 513 მანეთი შემოსავალი, შიგნი კახეთში მიღებული იქნა 1317 მან. (1951 წ). ეს განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ გარე კახეთის დამუშავებულ ფართობში ვენახისა და ბაღების ფართობი 2%-ს უდრიდა, მაშინ როდესაც შიგნი კახეთში მათი ხვედრითი წონა 7,95%-ს შეადგენდა.

მევენახეობის გაფართოება, განსაკუთრებით, დიდ შედეგს მოიტანს კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში. სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ინტენსიფიკაცია—მზესუმზირასა, მებოსტნეობის და, განსაკუთრებით, მევენახეობის განვითარების გზით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვეთრად შეცვლის ამ რაიონებში კოლმეურნეობათა შემოსავლიანობას და განამტკიცებს მათ მეურნეობრივად და ორგანიზაციულად.

მევენახეობის განვითარების პერსპექტიული გეგმით დასახული ფართობების უზრუნველყოფა გარე კახეთის რაიონთა პარტიული და საბჭოთა ორგანოებია, მთელი საკოლმეურნეო გლეხობის საბრძოლო ამოცანად უნდა გახდეს. ეს არის მათი ეკონომიური აღმავლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა.

შიდარაიონული მეურნეობრივი სხვაობანი და კოლმეურნეობათა საწარმოო ტიპები

ზემოთ განხილულ იქნა გარე კახეთის საწარმოო სპეციალიზაცია და ის განსაზღვრეთ როგორც მემინდვრეობა-მეცხოველეობისა და აგრეთვე მევენახეობის რაიონი. საწარმოო სპეციალიზაციის განმსაზღვრელი სამი ძირითადი ელემენტი, ესე იგი მემინდვრეობა, რომელიც შედგება უმთავრესად ხორბლისა და მზესუმზირას ნათესებისაგან, მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ცხვარი) და მევენახეობა-მებაღეობა—ახასიათებს როგორც გარე კახეთის სამეურნეო სახეს მთლიანად, ისევე მის ცალკეულ რაიონებსაც, ამ მხრივ მათ შორის რაიმე კარდინალური განსხვავება არ არის.

აღსანიშნავია, რომ გარე კახეთის სოფლის მეურნეობა ნაკლებად მრავალდარგოვანი და მრავალფეროვანია, ვიდრე, მაგალითად, საქართველოს დასავლეთ ნაწილის რაიონთა მეურნეობა. გარე კახეთის სოფლის მეურნეობას დარგთა ნაკლები რაოდენობა და უფრო მეტი ერთგვაროვნობა ახასიათებს. სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონი ბარცვლეულის მძლავრი მეურნეობაა, ხოლო თავისებური ელფერის მიმცემი სხვა დარგებიდან—მეცხოველეობა და მევენახეობა-მებაღეობა, რომელთა ხვედრითი წონა მერყეობს რაიონების მიხედვით.

რაიონთა საწარმოო მიმართულებას ახასიათებს კოლმეურნეობათა საქმიანობის რიგი მაჩვენებელი, მათ შორის კოლმეურნეობათა საერთო პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა, აგრეთვე წარმოებაში დახარჯული შრომადღეებისა და მიღებული ფულადი შემოსავლის სტრუქტურაც. (იხ. დიაგრამა 12.13).

სიღნაღის რაიონის მაჩვენებლებში მკვეთრად გამოირჩევა მეცხოველეობა, რომელსაც კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო პროდუქციაში 22.8% უკავია, ხოლო ფულად შემოსავალში—39.4%. ამავე დროს შრომის დანახარჯებით სხვა დარგებს ჭარბობს მემინდვრეობა (36,6% საერთო დანახარჯისა). ფულად შემოსავალში დიდი ხვედრითი წონა უკავია მევენახეობას (30%).

წითელწყაროს რაიონში ყველა მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვნად გამოიყოფა მემინდვრეობა, რომელზედაც მოდის საერთო პროდუქციის 68,1% და გამომუშავებული შრომადღეების 43%. მეორე ადგილი მეცხოველეობას უკავია. მევენახეობას აქ მხოლოდ დამხმარე დარგის მნიშვნელობა აქვს.

კაჭრეთის რაიონში მემინდვრეობას პირველი ადგილი უკავია და პროდუქციის საერთო ღირებულებაში მისი ხვედრითი წონა 71% შეადგენს, ხოლო გამომუშავებულ შრომადღეების—52%. დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი ფულად შემოსავალში მევენახეობა-მებაღეობა, რომლის ხვედრითი წონა 36%-ს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეჯოს რაიონში მემინდვრეობაზე მოდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო პროდუქციის 73,7% და გამომუშავებულ შრომადღეების 46%, მეორე ადგილი მეცხოველეობას უკავია. მიუხედავად იმისა, რომ აქ ვენახის ფართობები საკმაო რაოდენებითაა წარმოდგენილი, დაბალი მოსავლიანობის შედეგად მათი სამეურნეო მნიშვნელობა შედარებით მცირეა (ფულადი შემოსავლის 25%).

კოლმეურნეობებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დარგების სხვადასხვა შეთანაწყობის მიხედვით გარე კახეთის რაიონებში შესაძლოა 5 მთავარი საწარმოო ტიპის კოლმეურნეობათა გამოყოფა[1].:

1. მემინდვრეობა-მეცხოველეობის,
2. მეცხოველეობა-მემინდვრეობის,
3. მევენახეობა-მემინდვრეობისა და მეცხოველეობის,
4. მემინდვრეობა-მეცხოველეობისა და მევენახეობის,
5. მემინდვრეობა-მევენახეობისა და მეცხოველეობის.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის სტრუქტურა გარე-კახეთის რაიონებში (%-ით)



დიაგრამა 12

[1] გარდა ამისა, გარე კახეთში არის ერთი კოლმეურნეობა (სოფ. გომბორში), რომლის საწარმოო მიმართულებაა მემინდვრეობა, მეცხოველეობა და მეხილეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის რაიონებში აღნიშნული საწარმოო ტიპების კოლმეურნეობათა ტერიტორიული განლაგება მოცემულია ერთიან ეკონომიურ-გეოგრაფიულ რუკაზე (იხ. დანართი).

ამრიგად, გარე კახეთის კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა ორი ძირითადი დარგის მემინდვრეობისა და მეცხოველეობის შეთანაწყობას წარმოადგენს და ისინი ქმნიან ამ მხარის საწარმოო პროფილს.

მევენახეობა-მებაღეობა, თუმცა მოქმედებს გარე კახეთის სამეურნეო განვითარების ხასიათზე, მაგრამ ეს გავლენა ჯერჯერობით საკმაოდ ძლიერი არ არის.

გარე კახეთის კოლმეურნეობათა დასახელებული საწარმოო მიმართულება ეთანხმება მის ბუნებრივ პირობებს, მიწის სავარგულების ხასიათსა და რესპუბლიკაში საწარმოო ძალთა ტერიტორიული განაწილების მოთხოვნებს.



დიაგრამა 13

საბჭოთა მეურნეობები

სოციალისტური სოფლის მეურნეობა გარე კახეთში, გარდა არსებული 67 კოლმეურნეობისა, წარმოდგენილია აგრეთვე 6 საბჭოთა მეურნეობით.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებიდან თავის სიდიდით გამოირჩევა ხირსის მეურნეობა, რომლის განკარგულებაშია 383 ჰექტარი ვენახი და 42 ჰექტარი ხეხილის ბაღი.

ხირსის საბჭოთა მეურნეობა კახეთის მევენახეობის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობას წარმოადგენს. 1953 წ. მან 177 ჰექტარ მსხმოიარე ფართობიდან საშუალოდ 85.9 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ხირსის მეურნეობის ყურძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი საუკეთესო ღვინო მასალას იძლევა, მისგან მიღებული ღვინო, უმთავრესად „მწვანე", განთქმულია თავისი ხარისხით.

მეურნეობასთან მოწყობილია პირველადი გადამუშავების ღვინის ქარხანა. მეურნეობაში 600-დე მუშა-მოსამსახურე მუშაობს, რომელთათვის მეურნეობის ტერიტორიაზე აშენებულია საკმაო დიდი რაოდენობის საცხოვრებელი სახლები.

სიღნაღის რაიონის იმავე ზონაში მდებარეობს გუმბათის მეურნეობა, რომელიც ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში შედის. მევენახეობის ეს მეურნეობა ყველა თავისი მაჩვენებლით ბევრად ნაკლებია, ვიდრე ხირსის მეურნეობა.

საგარეჯოს რაიონში ცნობილია მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. თუმცა თავისი ფართობით ეს მეურნეობა არ არის დიდი, მაგრამ მისი პროდუქცია——„მანავის მწვანე", ერთ-ერთ საუკეთესო ხარისხობრივ ღვინოდ ითვლება. 1953 წ. მეურნეობამ არსებული 41 ჰექტარი (მსხმოიარე) ფართობიდან, საშუალოდ მიიღო 71 ც. ყურძენი, მიუხედავად იმისა, რომ აქ ვენახი ურწყავია.

მანავის მევენახეობის მეურნეობა იმის ნათელი გამოსახულებაა, თუ რა დიდი შესაძლებლობა მოიპოვება საგარეჯოს რაიონში მევენახეობის განვითარებისათვის.

მანავის მეურნეობას შეუძლია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს. მისდამი უშუალოდ მომიჯნავე თავისუფალი მიწები ვენახის ფართობის გაორკეცების საშუალებას იძლევა.

წითელწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ელდარის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც საქართველოში მეცხვარეობის უდიდესი მეურნეობა არის. მას გამოყოფილი აქვს მიწის საერთო ფართობი 55,6 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან საძოვრები—44,5 ათას ჰექტარს შეადგენს.

ელდარის საბჭოთა მეურნეობა წლების განმავლობაში (ზოოტექნიკოს—ვ. ბაძოშვილის ხელმძღვანელობით) მუშაობას ეწევა ქართული ცხვრის ახალი ჯიშის—ნაზმატყლიანი ჯიშის მისაღებად.

მეურნეობას ამ მიმართულებით უკვე გარკვეული მიღწევები აქვს და მას 1952 წ. ცხვრის ჯოგში 8 ათასამდე ნაზმატყლიანი ახალი ჯიშის ცხვარი ჰყავდა.

მეურნეობის განვითარებას ძალიან უშლის ხელს წყლის უქონლობა, რის გამო პირუტყვისათვის წყლის ზიდვა უხდებათ დიდი მანძილიდან კასრებით.

უდაბნოს სასწავლო-საცდელი მეურნეობაც (საგარეჯოს რაიონი) მეცხვარეობის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეს ემსახურება.

მეურნეობის მიზანია ნახევრად ნაზმატყლიანი ჯიშის გამრავლება და კოლმეურნეობებში დანერგვა.

უდაბნოს საცდელმა მეურნეობამ (ა. ნატროშვილის ხელმძღვანელობით), უკვე გამოიყვანა ახალი ჯიში „ქართული ცხვარი", რომელსაც შენახული აქვს თუშური ცხვრის დადებითი თვისებები (დუმა, გამძლეობა და სხვ.) და ამავე დროს საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო ნახევრად ნაზმატყლს იძლევა. მეურნეობის საკვებ ბაზას წარმოადგენს მასზე მიმაგრებული 13,7 ათასი ჰექტარი საძოვარი, მათ შორის 10,7 ათასი ჰა საზამთრო და 3 ათასი ჰა საზაფხულო (ბორჯომის რაიონში, ცხრაწყარო).

1952 წ. დამლევისათვის უდაბნოს მეურნეობას 11,6 ათასი სული ცხვარი ჰყავდა, აქედან ახალი ქართული ჯიშის ცხვარი—2500 სული. ყოველწლიურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობა გადასცემს 600 ჯიშიან ცხვარს სიღნაღს, წითელწყაროს, ახმეტასა და ყვარლის რაიონებს.

მეურნეობა არ არის უზრუნველყოფილი წყლით, რაც მისი მუშაობის უდიდეს შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენს.

ისევე როგორც ელდარის მეცხვაურეობის მეურნეობა, უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტია წყლით მომარაგებისა და საკვები ბაზის გაძლიერების საკითხის გადაწყვეტა.

საგარეჯოს რაიონში 1953 წელს, ყოფილი ცხენსაშენი მეურნეობის საფუძველზე, დაარსდა მუხროვანის სარძეო საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობას ჰყავდა 70 სული მეწველი ძროხა, 31 დედაღორი და 133 ცხენი. გეგმით გათვალისწინებულია მაღალპროდუქტიული ძროხის სულადობის 250 სულამდე აყვანა.

საბჭოთა მეურნეობების განვითარება გარე კახეთში, განსაკუთრებით საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში, პერსპექტიულ პერიოდში აუცილებელია. ამას კარნახობს მსხვილი სამრეწველო ცენტრების—თბილისისა და რუსთავის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების აუცილებლობა.

საჭიროა, რომ აქ განვითარდეს უმთავრესად საგარეუბნო მეურნეობის ხასიათის მქონე დარგები და ახლო მომავალში შეიქმნას მერძეობის, მებოსტნეობის, მეხილეობისა და აგრეთვე, მეფრინველეობის მძლავრი საბჭოთა მეურნეობები.

V. ტრანსპორტი და საარაიონთშორისო ეკონომიური კავშირი

ტრანსპორტი

მიუხედავად თავისი პერიფერიული გეოგრაფიული მდებარეობისა, გარე კახეთის რაიონები საკმაოდ კარგადაა უზრუნველყოფილი ტრანსპორტის ძირითადი სახეებით. ყველა რაიონი დაკავშირებულია რკინიგზასთან. საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებს ჰკვეთს კახეთის რკინიგზის მაგისტრალი თბილისი-თელავი, რომელსაც რკინიგზის პატარა შტო წნორისწყალი-გურჯაანი-ურთდება, რაც შეეხება წითელწყაროს რაიონს, ის უერთდება მაგისტრალს, ახლად აშენებული რკინიგზის შტოთი—კაჭრეთი—წითელწყარო.

გარე კახეთის ტვირთბრუნვისათვის რკინიგზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის აწარმოებს რაიონების სასაქონლო პროდუქციის გამოზიდვას და მათთვის საჭირო ყველა მასობრივი ხასიათის ტვირთის შეზიდვას.

გარე კახეთის ტვირთბრუნვის დასახასიათებლად (რომელიც რკინიგზის ტრანსპორტით ხდება) მოვიყვანოთ ზოგიერთი მონაცემი.

შეზიდვა-გამოზიდვის სტრუქტურა აღნიშნულ რაიონებში შემდეგია: გაიზიდება უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ხორბალი, ღვინო, მზესუმზირა ბაღჩეულ-ბოსტნეული); კაჭრეთის რაიონში ამას ემატება ნავთობის გაზიდვა (მირზაანიდან კაჭრეთამდე ნავთობი ნავთსადენით მოდის). შემოზიდულ ტვირთებში მთავარი ადგილი უკავია მინერალურ სასუქებს, ხე-ტყის მასალას საშენ მასალას და მანქანა-მოწყობილობას.

ტვირთბრუნვის ეს სტრუქტურა ნათლად ასახავს გარე კახეთის სასოფლო-სამეურნეო ხასიათს. აქედან გაიზიდება უმთავრესად სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ხოლო შემოიზიდება სამრეწველო ნაწარმი, საწარმოო საშუალებები და მოხმარების საგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის რკინიგზა, როგორც მთლიანად, აგრეთვე იმ ნაწილში, რომელიც გარე კახეთს ემსახურება, არ არის დიდათ დატვირთული მასობრივი მოხმარების ტვირთებით. ეს იმით აიხსნება, რომ კახეთისა და კაჭრეთ-წითელწყაროს რკინიგზას ჩიხის ხასიათი აქვთ და ისინი არ ასრულებენ სატრანზიტო მაგისტრალების ფუნქციებს. მეორე მხრივ თვით კახეთის რაიონებში, როგორც წინათ იქნა მოხსენებული, არ არის განლაგებული მსხვილი ინდუსტრიული ობიექტები, რომელნიც ნედლეულისა და სათბობის მასიურ გადაზიდვებს მოითხოვენ.

მიუხედავად ამისა, კახეთისა და კაჭრეთ-წითელწყაროს რკინიგზის შტოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მათი მომიჯნავე რაიონების განვითარებისათვის. მათი საშუალებით ხორციელდება გარე კახეთის რაიონების ეკონომიური კავშირის დამყარება რესპუბლიკის სხვა რაიონებთან, პირველ რიგში— ქ. თბილისთან, რომლის მიზიდულობის სფეროში იმყოფება ეს მხარე.

გარდა რკინიგზისა, გარე კახეთი შეერთებულია საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან და, აგრეთვე, ურთიერთშორის ურელსო გზებით. ძირითად ურელსო მაგისტრალს, რომელიც თითქმის რკინიგზის პარალელურად ჰკვეთს გარე კახეთის ძირითად ნაწილს თბილისი-საგარეჯო-კაჭრეთი-სიღნაღი-გურჯაანის შარაგზა წარმოადგენს.

ამ შარაგზას ვიზიანის შემდეგ განშტოება აქვს, რომელიც ციე-გომპორის ქედისაკენ მიემართება, გადალახავს მას და ქ. თელავს უერთდება. კახეთის ძირითადი მაგისტრალი თბილისი-კაჭრეთი-სიღნაღი-გურჯაანი წარმოადგენს საკმაოდ კეთილმოწყობილ შარაგზას, რომელიც მთელ თავის მანძილზე გუდრონირებულია.

ამ მაგისტრალს ჩრდილოეთისა და სამხრეთიდან უერთდება ადგილობრივი ხასიათის გზები, რომელნიც რაიონების მთელ ტერიტორიას, გარე კახეთის ამ მთავარი სასიცოცხლო არტერიის, მოქმედების სფეროში ათავსებენ. სიღნაღის რაიონში მეორე მნიშვნელოვან ურელსო გზას წარმოადგენს სოფ. ანაგიდან წნორისწყალზე და აქედან ლაგოდეხზე მიმავალი გზა (17 კმ). გარდა ამისა, გაყვანილია წნორიდან წითელწყაროსაკენ მიმავალი შარაგზა, რომლის სიგრძე წითელწყაროს რაიონამდე 20 კილომეტრია.

წითელწყაროს რაიონში უფრო მნიშვნელოვან გზას (გარდა ზემოხსენებულისა), წარმოადგენს შარაგზა წითელწყარო-ბირზაანის ნავთობის საბადოებამდე. ადგილობრივი გზებიდან აღსანიშნავია წითელწყარო-ქვემო ქედი და საბათლოს გზა აზერბაიჯანის საზღვრამდე (60 კმ).

აღნიშნული გზები ემსახურებიან როგორც სარაიონთშორისო, აგრეთვე შიდარაიონულ გადაზიდვებსაც. თანახმად არსებული გაანგარიშებისა[1], გარე კახეთის ურელსო გზებით შიდარაიონული გადაზიდვების საერთო ტვირთბრუნვა 705 ათას ტონას აღემატებოდა (1952 წ.). გადაზიდული ტვირთების ძირითადი სახეებია: ხორბალი, თივა, ნამჯა, ჩალა, მზესუმზირა, ბოსტნეულ-ბაღჩეული, ყურძენი, ღვინო, ფქვილი, ხეტყის მასალა, კირი, მინერალური სასუქები, ნავთობის ნაწარმი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ გზების საერთო ქსელში მთავარი ადგილი ადგილობრივ გზებს უკავიათ, ეს გზები წარმოადგენს სავსებით პრიმიტიული ხასიათის

[1] იხ. ა. გველესიანის შრომა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საქონელბრუნვა და სარაიონთშორისო კავშირი, გეოგრაფიიის ინსტიტუტის ფონდები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საგრუნტო და სასოფლო გზებს (ყოველგვარი საფარის გარეშე), რის გამო მათი უმრავლესობა წვიმების დროს გაუვალი ხდება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კახეთის გზები, გარდა მთავარი მაგისტრალისა, არ იმყოფება კარგ მდგომარეობაში და მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

რაიონის ადგილობრივ ორგანოებმა სისტემატურად უნდა ჩაატარონ სათანადო ღონისძიებები (გზების პროფილირება, ხრეშის მოყრა და სხვა) რაიონების ფარგლებში მთაკარი გზების მოწესრიგებისათვის. მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი რესპუბლიკური გზებიც მიმართაც. აუცილებელია შარაგზების—წნორისწყალი-ლაგოდეხისა და აგრეთვე წნორისწყალი-წითელწყაროს გუდრონირება. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია წითელწყარო-მირზაანის ნავთობის საბადოების გზა, რომელიც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს.

კეთილმოწყობილ გზებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ რაიონთშორისო და შიდარაიონული სამეურნეო კავშირების გასავითარებლად, არამედ, საავტომობილო ტრანსპორტის ინტენსიური გამოყენების ახლანდელ პირობებში, ავტოპარკის მდგომარეობისა, საწვავისა და ავტოსაფარების ეკონომიის თვალსაზრისითაც. როგორც პერსპექტიული პერიოდისათვის საჭირო ობიექტი შეიძლება დავასახელოთ წნორი-ლაგოდეხის რკინიგზის შტოს მშენებლობა. ეს გზა გამოსავალს შეუქმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას არა მხოლოდ ლაგოდეხის რაიონიდან, არამედ ნაწილობრივ ზაქათალის რაიონებიდანაც.

მიზანშეწონილი იქნება აგრეთვე წნორისწყალი-წითელწყაროს შეერთება რკინიგზის შტოთი, რომლის სიგრძე სულ 28 კმ უდრის. ეს გზა წითელწყაროს რაიონს დაუკავშირებდა შიგნი კახეთის რაიონებთან და შექმნიდა კახეთში რკინიგზის დიდ რკალს თბილისი-კაჭრეთი-წითელწყარო-წნორისწყალი-თელავი.

სარაიონთშორისო ეკონომიური კავშირი

სათანადო თავებში ნაჩვენები იყო, რომ გარე კახეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ტერიტორიული შრომის განაწილებაში, რომ ის სპეციალიზებული რაიონია გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო დარგებში, რომელთა სასაქონლო ნაწილი გადის მის ფარგლებს გარეთ.

გარე კახეთი მჭიდროდაა დაკავშირებული სარაიონთშორისო ეკონომიური კავშირებით საქართველოს სხვა ნაწილებთან და მათი საშუალებით საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთანაც. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მისი ეკონომიური კავშირების ორიენტაცია დასავლეთისაკენ არის მიმართული.

გარე კახეთის ძირითადი სახის საწარმოო-ეკონომიური კავშირი სხვა რაიონებთან ხორციელდება ქალაქ თბილისის საშუალებით. ქ. თბილისი თვით წარმოადგენს გარე კახეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უდიდეს მომხმარებელსა და მისთვის სამრეწველო პროდუქციის ერთ-ერთ მთავარ მიმწოდებელს.

ეკონომიური სარაიონთშორისო კავშირის ერთმხრივი მიმართულება გამოწვეულია გარე კახეთის გეოგრაფიული მდებარეობითა და სატრანსპორტო გზებია მიმართულები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მას სხვა სატრანსპორტო ხელსაყრელი გასასვლელი, რესპუბლიკისა და საერთოდ საბჭოთა კავშირის რაიონებში არა აქვს, ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, რკინიგზით ტვირთების შემოზიდვა-გაზიდვა სადგურ ნავთლულ-თბილისიდან წარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კავშირი შარაგზებითაც ხორციელდება, რომლებიც აგრეთვე თბილისისა-კენ მოემართებიან.

გარე კახეთის რაიონები დიდ როლს თამაშობენ თბილისისა და რუსთავის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. გარე კახეთი, განსაკუთრებით თბილისთან ახლო მდებარე საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონები, მისი მიზიდულობის სფეროში იმყოფებიან და ერთგვარად მის საგარეუბნო მეურნეობის როლს ასრულებენ. ეს გარემოება მოქმედებს დასახელებული რაიონების სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხასიათზედაც. აქ საკმაოდ ვითარდება მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მევენახეობა-მებაღეობა და სარძეო მესაქონლეობა. ასეთი ხასიათის კავშირი ქ. თბილისთან უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც დაკავშირებულია სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან.

საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში მკვეთრად უნდა განვითარდეს საგარეუბნო დარგები როგორც საკოლმეურნეო წარმოების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ხაზით. ამ რაიონების წყლით უზრუნველყოფა საშუალებას მისცემს გაფართოონ სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქცია და ქ. თბილისის მომარაგების საქმეში მნიშვნელოვანი ფუნქციები შეასრულონ.

გარე კახეთის მიერ საქართველოს სხვა რაიონებთან დამყარებული ეკონომიური კავშირები ნათლად გამოსახავენ ამ მხარის მეურნეობრივ სტრუქტურას. სატრანსპორტო გადაზიდვების განხილვამ დაგვანახა, რომ აქედან გაიზიდება უმთავრესად სოფლის მეურნეობის პროდუქტები ან მასზე დამყარებული სამრეწველო პროდუქტები, შემოიზიდება სამრეწველო საქონელი, საწარმოო საშუალებები და სამომხმარებლო საქონელი. საქონლის ნაკადი, რომელიც შემოდის თბილისიდან, არა მხოლოდ თბილისური წარმოშობისაა, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან შემოდის. თავის მხრივ, გარე კახეთიდან გამოტანილი საქონელი მხოლოდ თბილისში არ რჩება, არამედ ნაწილობრივ მის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან გარე კახეთი, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონი, ურთიერთ მჭიდრო კავშირში იმყოფება.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან თბილისზე გავლით გარე კახეთში შემოდის უმთავრესად ხე-ტყის მასალა, შავი ლითონის—ნაგლინის ზოგი სახეობები, მეტიზები, მინერალური სასუქები, მავნებლებთან საბრძოლო ქიმიკატები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობა (ტრაქტორები, კომბაინები და სხვა), საფეიქრო ნაწარმი, პარფიუმერია და სხვა.

სომხეთის სსრ-დან შემოიზიდება: შაბიამანი, კარბიდი, ავტოსაფარები და სხვ.

თვით თბილისიდან და საქართველოს რაიონებიდან შემოდის: ცემენტი, შიფერი. ღვინის მეურნეობის მოწყობილობა, ლითონმჭრელი დაზგები, ნავთის მილები, ავტოსაცლელი მანქანები,აბრეშუმის და შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი და სხვა.

ამ ურთიერთობათა ციფრობრივი გამოსახულებისათვის მოგვყავს ზოგი მონაცემი.

1952 წ. გარე კახეთის რაიონებში (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ტრანზიტით იგზავნებოდა ლაგოდეხისა და ზაქათალის რაიონებში) რკინიგზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტით შემოზიდული იქნა სულ 214 ათასი ტონა სხვადასხვა სახის საქონელი, ხოლო გაზიდული იქნა 181 ათასი ტონა. ეს ციფრები, რასაკვირველია, არ გამოსახავენ საქონლის სარაიონთშორისო მიმოქცევის მთელ მოცულობას, ვინაიდან, რკინიგზის გარდა, მას საავტომობილო ტრანსპორტიც ემსახურება.

მხოლოდ მინერალური სასუქები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან შემოზიდული იყო 50 ათასი ტონის რაოდენობით, საშენი ხე-ტყე, უმთავრესად საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი რაიონებიდან, 45 ათას კუბიკურ მეტრზე მეტი რაოდენობით, ცემენტი—12 ათასი ტონა, ქვანახშირი—6 ათასი ტონა, ნავთობის პროდუქტები—15 ათასი ტონა.

გაზიდულ პროდუქტებს შორის აღსანიშნავია: ხორბალი, რომელიც ოთხივე რაიონიდან გადის თბილისისაკენ, მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი წილით წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებიდან. საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებიდან გაიზიდება თბილისში თივა. 1952 წ. გარე კახეთიდან გაზიდული 8,0 ათასი ტონა თივიდან—7,5 ათასი ტონა აღნიშნულ რაიონებზე მოდიოდა.

გარე კახეთი მზესუმზირით ამარაგებს რესპუბლიკის ზეთსახდელ მრეწველობას. 1952 წ. გაზიდული იქნა 5 ათას ტონამდე მზესუმზირა, მათ შორის 50%-მდე წითელწყაროს რაიონიდან.

გარე კახეთი, უმთავრესად კი სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები, რესპუბლიკას ამარაგებენ მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტებით. იმავე 1952 წელს თბილისში გაზიდულ იქნა 3600 ტონა ხორცი, რაც რესპუბლიკის ხორცის წლიური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რაიონებში მეცხვარეობის განვითარება საშუალებას იძლევა დამზადდეს და გაიზიდოს საქართველოს მრეწველობის საჭიროებისათვის საკმაო რაოდენობის მატყლი (1952 წ. 1200 ტონა).

გაზიდული იქნა აგრეთვე 41 ათასი ცალი სხვადასხვა სახის ტყავი, 2,5 მლნ ცალი კვერცხი.

გარე კახეთი, უმთავრესად სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონები, ამარაგებს რესპუბლიკას და, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებსაც ღვინის ნაწარმით. ანაგის, ტიბაანის, ხირსის, მანავის, ბადიაურის ღვინის საწარმოებიდან ყოველწლიურად დიდი რაოდენობით გაიზიდება საუკეთესო ხარისხის ღვინომასალა ორდინალური და სამარკო ღვინოებისათვის.

საკმაო რაოდენობით იზიდება თბილისსა და რუსთავში ბოსტნეული, ბაღჩეული, ყურძენი, ცოცხალი ფრინველი და სხვა.

გარდა იმისა, რომ გარე კახეთის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ნაწილი ორგანიზებული წესით მზადდება და გაიზიდება სხვა რაიონებში, საწარმოო და სამომხმარებლო მიზნებისათვის, ნაწილი ამ პროდუქციისა გაიზიდება კოლმეურნეობებისა და კოლწევრების მიერ უშუალოდ თბილისის საკოლმელმეურნეო ბაზრებზე (რძის ნაწარმი, ხორცი, მზესუმზირას ზეთი, კვერცხი, ლობიო და სხვ.).

გარე კახეთის რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა საკმაო რაოდენობით სხვა რაიონებში გაზიდვა ადასტურებს სოფლის მეურნეობის სასაქონლო ხასიათს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ის ბევრად უფრო მეტი იქნებოდა, რომ ადგილი არ ჰქონოდა მეცხოველეობის ერთგვარ ჩამორჩენას, განსაკუთრებით მეწველი საქონლის დაბალ პროდუქტიულობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ გარე კახეთის რაიონებს მათი წყლის უზრუნველყოფის შემთხვევაში ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ ბოსტნეულისა და ბაღჩეულის განვითარებისათვის და ამ ფრიად საჭირო პროდუქტებით რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრების მომარაგებისათვის.

საქართველოს და, მათ შორის გარე კახეთის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების მკვეთრი ზრდა უახლოეს პერსპექტიულ პერიოდში კიდევ უფრო გააძლიერებს რაიონთშორისო ეკონომიურ კავშირს.

ამავე დროს, საჭიროა რათა ეს კავშირი ემყარებოდეს სასოფლ-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტთა ურთიერთგაცვლის რაციონალურ საწყისებს.

უნდა გაძლიერდეს გარე კახეთის კომპლექსური განვითარება იმ ანგარიშით, რომ მასში არ შეიზიდოს ისეთი საქონელი, რომელიც ადგილობრივ შეიძლება იქნეს დამზადებული, ლიკვიდირებული უნდა იქნეს შემხვედრი არარაციონალური სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვები.

დასაშვები არ არის, მაგალითად, გარე კახეთის რაიონებში ნავთობის პროდუქტების ან ფქვილის თბილისიდან შეზიდვა (რასაც აგილი ჰქონდა, უკანასკნელ დრომდე), როდესაც ნათი წარმოება ადგილობრივ შეიძლება მოეწყოს. უნდა შეიზღუდოს, აგრეთვე, ისეთი საქონლის შეზიდვა, როგორიც არის საკონდიტრო ნაწარმი, ალეჯი, ლუდი, ზოგიერთი საშენი მასალა და სხვა. ყველა ეს ძირითადად ადგილობრივ უნდა მზადდებოდეს.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს რაიონი უახლოეს პრესპექტიულ პერიოდში მრეწველობის განვითარების შედეგად ინდუსტრიულ მხარედ გადაიქცევა, ამისთვის მას ჯერჯერობით სათანადო წინამძღვრები არ აქვს; სოფლის მეურნეობის მძლავრი დარგები მომავალშიაც განსაზღვრავენ გარე კახეთის საწარმოო პროფილს, ხოლო ის დიდი ყურადღება, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეს აქცევს, მისი ეკონომიკის შემდგომ წარმატებათა საიმედო საფუძველია.

გარე კახეთის მეურნეობის შეუჩერებელი წინსვლა, მისი მოსახლეობის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება—ეს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის განვითარების საერთო გზა არის.

გარე კახეთი, ბუნებით მრავალმხრივად დაჯილდოებული მხარე, ისე როგორც ჩვენი თვალუწვდომელი სამშობლოს ყველა კუთხე, თავისი რესურსებით აქტიურ მონაწილეობას იღებს დიადი კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

Г. Г. ГВЕЛЕСИАНИ

ОБЩАЯ ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ГАРЕ КАХЕТИ

Резюме

Под Гаре Кахети понимается территория включающая Сагареджойский, Качретский, Сигнахский и Цителцкаройский районы; она представляет собой подрайон Восточного экономико-географического района (Кахети).

ЭЛМЕЗГЕЧИ
АМЕРИКИЛИС

Природные условия Гаре Кахети в основном благоприятны для сельскохозяйственного производства; отрицательно влияющий фактор—дефицитный баланс влаги, связанный с высоким термическим режимом и малыми осадками. Район в целом засушливый, не обеспеченный источниками воды.

Исторически Гаре Кахети густо заселенная часть Грузии с развитым сельским хозяйством. Постоянные нашествия сильнейших восточно—мусульманских народов привели к сокращению ее населения, деградации хозяйственной жизни.

Присоединение Грузии к России создает условия для мирного развития Грузии в т. ч. и Гаре Кахети. Однако феодально-помещичий гнет и колониальная политика царской власти не способствуют быстрому росту производительных сил.

С установлением Советской власти в Грузии Гаре Кахети становится на путь неуклонного хозяйственно-культурного развития.

Население размещено на территории Гаре Кахети неравномерно, основная часть сосредоточена на южных и частично северных склонах Цивгомборского хребта на высотах 600—800 м. (над уров. моря). Южная и Юго-восточная части почти вовсе не заселены. Основной тип населенных мест крупные села от 1000 до 5000 жителей.

В результате проведенной за годы пятилеток социалистической реконструкции Гаре Кахети превращается в район товарного сельского хозяйства.

По структуре хозяйства Гаре Кахети—сельско-хозяйственный район; Объем сельско-хозяйственного производства значительно больше, промышленного производства.

Преобладает полеводство (69,1% сельскохозяйственного производства колхозов) и животноводство (22,2%). развито также виноградарство (8,7%).

В народном хозяйстве Грузии Гаре Кехети выделяется как мощный производитель пшеницы, подсолнуха, продуктов животноводства (преимущественно овцеводства), а также значительный производитель вина.

Промышленность здесь слабо развита. Основные отрасли — нефтяная (промыслы в Мирзаани и Малые Шираки) и винодельческая (8 заводов первичной переработки). Район слабо обеспечен электроэнергией, строительными материалами.

Для Гаре Кахети характерным является большая обеспеченность пахотными землями, удельный вес которых в общей территории составляет 31,0% (в республике в среднем 15%) и пастбищами (32,5% территории), в основном—зимними.

Посевы пшеницы в 1952 г. достигли 105,6 тысяч гектар, что равно около одной трети всех посевов республики.

В отношении урожайности отстают Сагареджойский и Качретский районы, в которых она на 40—50% ниже, чем в Цителцкаройском районе. По затратам же труда на 1 гектар посевов картина обратная.

ЗАКАЗЕРА ЕЗЕНИЧЕЛЕ

Посевы подсолнуха Гаре Кахети (14 тысяч гектар) составляют до 77% общих посевов республики.

Недостаточно развито овощеводство и бахчеводство, расширению которых препятсвуеть ограниченность поливных земель. Большое значение в экономике Гаре Кахети имеет виноградарство; здесь расположено 4,7 тысяч га виноградников (9% площади республики), некоторые микрорайоны (Тибаани, Хирса, Манави) дают высококачественные марочные вина.

Садоводство развито слабее. Как виноградарство, так и садоводство в Сагареджойском и Качретском районах благодаря недостаточному уходу, отличаются низкой урожайностью, между тем эти отрасли высокодоходные и имеют предпосылки для значительного развития в Гаре Кахети.

В животноводстве—одной из важнейших отраслей—за последние годы имеет место некоторое отставание (по тем же причинам, которые отмечены Пленумом ЦК КПСС в сентябре 1953 г.). Основная отрасль животноводства—овцеводство, развитие которого базируется на наличных зимних пастбищах; форма содержания—перегонная. Несмотря на довольно большое абсолютное поголовье, по плотности животноводства Гаре Кахети значительно отстает от других районов республики. Перед животноводством стоит ряд неотложных задач (расширение кормовой базы, улучшение естественных кормовых угодий, метизация и др.).

В отличие от других районов республики рельеф Гаре Кахети разрешает широкое применение в земледелии механизации. По сравнению с довоенным уровнем объем тракторных работ удвоился. Недостаточно механизированы работы по пропашным и многолетним культурам, животноводству.

Использование трудовых ресурсов колхозов недостаточно в особенности в Сагареджойском и Качретском районах. Слабо используется женский труд, что частично объясняется недостаточным вниманием колхозов к организации детских учреждений.

В доходности колхозов по районам Гаре Кахети отмечается резкое колебание.

Как показывает анализ доходности колхозов разница в уровне доходности определяется многими факторами среди них важнейшими являются: урожайность культур и продуктивность животноводства, удельный вес доходных многолетних культур (виноградарство); важнейшее значение имеет хорошая организация колхозного производства, полное использование трудовых ресурсов.

По всем этим показателям колхозы Сагареджойского и Качретского районов сильно отстают.

Внутрирайонные производственные различия в Гаре Кахети создают разное сочетание трех ведущих отраслей — полеводства (зерновое хозяйство), животноводства и виноградарства. На основе выявления этих различий в районах Гаре Кахети выделено пять основных производственных типов колхозов.

Гаре Кахети в основном обеспечена как железнодорожным транспортом, так и сетью безрельсовых дорог. Однако значительная часть местных

ეროვნული ბიბლიოთეკა

дорог находится в плохом состоянии, что в условиях интенсивного автомобильного движения вызывает значительные непроизводительные затраты горючего и средств по ремонту автопарка.

В результате пройденного пути социалистического развития Гаре Кахети принимает активное участие в территориальном разделении труда по Грузинской ССР; районы Гаре Кахети имеют прочные производственные связи с другими районами республики и СССР в целом.

Недостаточно развиты внутрирайонные экономические связи, необходимо проведение мероприятий по комплексному развитию Гаре Кахети.

В работе даются мероприятия по дальнейшему хозяйственному развитию Гаре Кахети.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3.
2. ვ. ი. ლენინი, ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში (ვ. ე. პოსტნიკოვის წიგნის გამო „სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობა"), თხზ., ტ. 1.
3. ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამი, 1952.
4. ნ. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის სოფლის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სახელგამი, 1953.
5. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ. 1953 წ. 7 სექტ. დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", სახელგამი, 1953.
6. ვ. მჟავანაძე, მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე (საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, გაზ. „კომუნისტი", 1954, № 41,
7. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება (ოქტომბრის) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, გაზ. „კომუნისტი", 1953, № 259.
9. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ. პლენუმის დადგენილება, მიღებული 1954 წ 2 მარტს ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ", გაზ. „კომუნისტი", 1954, № 55.
10. Д. Ф. Ахвледиани, Население Кахетии-медико-Этнографический очерк, Тифлис, 1909.
11. А. М. Аргутинский-Долгоруков. Экономический быт государственных крестьян Сигнахского уезда Тифлисской губернии, М. И. Э. Б. Г. К. З. К., т. IУ, Тифлис, 1886.
12. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „მიმომხილველი", ტ., III თბილ., 1953.
13. Бурнашев, Картина, Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896.
14. И. А. Гильденштед, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа. Санктпетербург, 1809.
15. ბ. გველესიანი, სოფლის მეურნეობის დარგთა და კულტურათა სტრუქტურის საკითხისათვის, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1953, ტ. VII.
16. А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Грузинской ССР, М.-Л. 1947,
17. ბ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ. 1953.
18. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
19. დ. ზირანიშვილი, ქიზიყის წინამხარე, „კვალი", 1898, № 10.
20. П. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, Тифлис, 1846.
21. «Кахетия» Приложение к справочной книге сторожила „Кавказ» № 3, Тифлис, 1891.
22. მ. კახეთელიძე, საქართველოს სსრ მსხვილფეხა რქიანი მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხისათვის, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1953, ტ. VII.

23. გ. მ ა მ რ ა ძ ე და გ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ი. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემა, თბ., 1953.
24. А. Н а т р о е в (А. Натрошвили), К вопросу об орошении Кизикии и Кахетии, газ., «Кавказ», 1895, № 185.
25. А. Н а т р о е в, положение сельского хозяйства Кахетии и Кизикии трулы Кавказского об-ства сельского хозяйства, 1893, № 8—9.
26. А. С. П и р а л о в, По Сигнахскому уезду (случанные наброски агронома). Тифлис, 1895.
27. А. О. С а н и к и д з е, Почвы Кахетии, Тб. 1940.
28. М. Д. Р ч е у л и ш в и л и, к истории овцеводства Грузии, Тб., 1953.
29. А. Л. Ш а т с к и й, Материалы к познанию климата бассейна р. Алазани, Ч I, Кахетия, Тб., 1954.
30. ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი და ი. რ ც ხ ი ლ ა ძ ე საქართველოს სსრ მევენახეობა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები, თბ., 1940.
31. წ ი ნ ა ბ ტ რ ე ლ ი. ქიზიყი, „ყვალი“, 1900, № 40.
32. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, შინაური მიმოხილვა (კახეთის რკინის გზა) „ივერია“, 1883, № 10.
33. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948.
34. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თბილისიდან კახეთამდის, „დროება“ 1883. VI, 28, № 123.
35. გარე კახეთის 1953 წ. ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალები, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები.
37. გარე კახეთისადმი მიძღვნილი ეკონომიურ-გეოგრაფიული შრომები—დ. უკლებას, ვ. ჯაოშვილის, ვ. კაკაბაძის, გ. გურგენიძის და გ. გველესიანის.

დ. უკლება

გარე კახეთის ბუნებრივი სიმდიდრეები

გარე კახეთის ბუნებრივი სიმდიდრეები თავისი პოტენციური შესაძლებლობით საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. რელიეფის ხასიათი, სოფლის მეურნეობისათვის ხელსაყრელი ჰავა, მცენარეულობის მრავალფეროვნება, ნოყიერი ნიადაგები, ჰიდრორესურსები სასარგებლო წიაღისეულთან ერთად საუკეთესო პირობებს ქმნიან გარე კახეთის მეურნეობის მრავალმხრივი განვითარებისათვის.

გარე კახეთში, წარმოების სოციალისტური წესის პირობებში, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის დარგების განლაგება სპეციფიკურია, რაც მნიშვნელოვნად ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა მთელ კომპლექსა და, პირველ რიგში, რელიეფზეა დამოკიდებული.

გარე კახეთი შედარებით ნაზი რელიეფითა და დაბალი ჰიფსომეტრული მდებარეობით ხასიათდება. ჰიფსომეტრულად იგი ასე წარმოგვიდგება:

200 მეტრამდე (ზ. დ.)	მდებარეობს	მთელი	ტერიტორიის	5,5%
200 მ-დან 600 მ-მდე	„	„	„	51,3%
600 მ-დან 1200 მ-მდე	„	„	„	40,0%
1200 მ ზევით	„	„	„	3,2%

ტერიტორიის ასეთი მდებარეობა მნიშვნელოვან დადებით ფაქტორს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მრავალგვარი კულტურისა და მოსახლეობის რაციონალურად განლაგებისათვის.

განხილული ტერიტორია გაშლილია გარე კახეთის (ქართლ-კახეთის) ზეგანზე, ცივ-გომბორის ქედის ფერდობებსა და, ნაწილობრივ, ალაზნის ვაკეზე. უკანასკნელი სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების ფარგლებშია წარმოდგენილი. ალაზნის აკუმულაციური ვაკის სიმაღლე სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 200 მ (ზ. დ.) უდრის; მდ. ალაზნის ნაპირებიდან ცივ-გომბორის ქედის კალთებისაკენ იგი თანდათან მაღლდება. განხილვის ფარგლებში ვაკე მდინარეებით არ იკვეთება. აქ მხოლოდ ცივ-გომბორის ქედის კალთებიდან მშრალი ხევები ეშვება, რომლებსაც ძლიერი წვიმების დროს დიდძალი ნაშალი მასალა გამოაქვთ ალაზნის ვაკეზე, ქმნიან გამოზიდვის ვრცელ კონუსებს. ვაკის უდიდესი ნაწილი (ძლიერ დამლაშებული და რიყიანი ადგილების გამოკლებით) სოფლის მეურნეობის მრავალნაირი კულტურითაა დაფარული.

გარე კახეთის ფარგლებში, ცივ-გომბორისა და ქართლის ქედების გაგრძელებაზე, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაშლილია გარე კახეთის ზეგანი, რომელიც დამრეცფერდობებიანი დაბალი ქედების, ბორცვების, ბრტყელი ვაკეების, მცირე სიღრმის ქვაბურების, მშრალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეობების, ხრამებისა და სხვ. შეთანაწყობით ხასიათდება [20]. იგი აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით ციცაბოდ ეშვება ალაზნისა და მტკვრის ხეობებში, ჩრდილო შემაღლებული ნაწილით კი იალონისა და ცივ-გომბორის ქედებს ებჯინება.

მდ. იორი ზეგანს ორ (აღმოსავლეთ და დასავლეთ) ნაწილად ჰყოფს. დასავლეთი ნაწილი წარმოდგენილია დაბალი (700—1000 მ ზღვის დონიდან) სერებით, რომელთა შორის ქვაბურები და ბრტყელი ვაკეებია მოქცეული (ჩათმა, უდაბნო, ყაჯირი). ზეგნის აღმოსავლეთი ნაწილიც სერების (გურგვალ-სერი, კუშების-თავი, შუამთა, ოლეს-თავი და სხვ.), ქვაბურებისა და ბრტყელი ვაკეების (ვაკე, ნამარი, ნაბამბრები და სხვ.) მორიგეობით ხასიათდება.

წითელწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს დიდი შირაქის ვაკე, უკანასკნელის სამხრეთით — ნავთობის საბადოებით ცნობილი პატარა შირაქის ქვაბური. პატარა და დიდი შირაქის დასავლეთით ტარიბანას ქვაბურია, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ელდარის ვრცელი დაბლობი ეკვრის. ზეგნის უდიდესი ნაწილი (უმეტესად ვაკეები და ქვაბურები) რელიეფის ხასიათით ხელისშემწყობია სოფლის მეურნეობის კულტურების გავრცელებისათვის.

გარე კახეთში ვრცელდება კახეთის ქედის ოროგრაფიული გაგრძელება— ცივ-გომბორის ქედი, რომელიც მ. ცივიდან დასავლეთით, სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით თანდათან დაბლდება და გარე კახეთის ზეგანში გადადის. ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთა შედარებით დახრილია, დანარჩენი დამრეცი. ცივ-გომბორის ქედის ქვემო ფერდობები რელიეფური და ნიადაგურ-კლიმატური პირობებით ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის კულტურების ინტენსიურად განვითარებას. ამის გამო, გარე კახეთის სოფლების უმეტესი ნაწილი სწორედ ცივ-გომბორის ქედის ფერდობებზეა შეფენილი.

ცივ-გომბორის თხემური ნაწილი, რომელიც ნაზი რელიეფით ხასიათდება, გარე კახეთის მოსახლეობის მიერ ფართოდაა გამოყენებული მსხვილფეხა რქოსანი საქონლისათვის სასაძოვრო ადგილად.

მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ვაკეები და ცივ-გომბორის ქედის ქვემო ფერდობები; ისინი სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის უფრო ათვისებულია. მათზე გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალები, რომლებიც გარე კახეთს ჩვენი რესპუბლიკის სხვა ნაწილებთან აკავშირებენ.

გარე კახეთის კლიმატი საკმაო სიჭრელით ხასიათდება. ეს გარემოება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აქ ნაირგვაროვანი კულტურების გავრცელება-განვითარებას. კახეთის დაბალ გეოგრაფიულ სიგანედებზე მდებარეობა, რომელიც აპირობებს მის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მზის სხივური ენერგიის მიწოდებას, ჰორიზონტის მნიშვნელოვანი გაშლილობა და ზომიერი ღრუბლიანობა განსაზღვრავს აქ მზის ნათების საკმაო ხანგრძლიობას.

კავკასიონი, რომელიც კახეთს (და საერთოდ საქართველოს) იცავს ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი მასების უშუალო შემოჭრისაგან, აგრეთვე ქართლს, კახეთისა და ცივ-გომბორის ქედები, რომლებიც ანელებენ დასავლეთიდან შემოჭრილი ცივი ჰაერის მასების ინტენსივობას, განსაზღვრავენ გარე კახეთის ზეგნის დიდ ნაწილში რამდენადმე მაღალ თერმულ რეჟიმს. ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაზნის ვაკეზე ხელს უწყობს, აგრეთვე, ვაკის დახრა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. შირაქსა და ელდარში კი რელიეფის ხასიათის გამო რადიაციული პროცესები ინტენსიურად ვითარდება, ამიტომ აქ ტემპერატურა ეცემა, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში (ე. ნაფეტვარიძე).

გარე კახეთში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11—13° შორის მერყეობს (ზღვის დონიდან 800 მ ქვემოთ). მაღალ ადგილებში 7-8°-მდე ეცემა. ყველაზე ცივ ადგილს (მის სიმაღლესთან შეფარდებით) შირაქი წარმოადგენს (იანვრის საშ. ტემპერატურა—3,8°), ხოლო თბილს—ალაზნის ვაკე (იანვრის საშ. ტემპერატურა 1,1°).

განხილულ ტერიტორიაზე ყველაზე ცხელი პერიოდი ივლის-აგვისტოა; ჰაერის საშუალო ტემპერატურა ამ დროს 19—25° უდრის. გარე კახეთის დიდ ნაწილში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 39—40°-მდე აღწევს. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ალაზნის ვაკეზე—23°-ს უდრის, შირაქსა და მის მიდამოებში კი გაცილებით დაბალია. ყინვიანი დღეები შედარებით ადრე იწყება, სამაგიეროდ, აპრილის შუა რიცხვებიდან იგი აღარ აღინიშნება. ყინვიან დღეთა რაოდენობა ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებში 58—125-მდე მერყეობს.

გარე კახეთში საკმაოდ ჭრელ სურათს იძლევა ნალექების განაწილება როგორც ცალკეული თვეებისა და სეზონების, ისე მთელი წლის მიხედვით. მაღალ ადგილებში ნალექების წლიური ჯამი 900 მმ აღემატება, ზეგანსა და ალაზნის ვაკეზე 400—600 მმ უდრის. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზეა (მაისი). მაის-ივნისზე ნალექების წლიური ჯამის 30—34% მოდის. ამ დროს ნალექიან დღეთა რიცხვიც საკმაოდ დიდია. ვეგეტაციის პერიოდის მეორე ნახევარი — ივლის-აგვისტო გვალვიანია. ამ პერიოდზე ნალექების წლიური ჯამის 16-20% მოდის. გარე კახეთისათვის დამახასიათებელი ძლიერი ინსოლიაციისა და მოწმენდილი დღეების დიდი რაოდენობის გამო, ზაფხულის პერიოდში აორთქლება დიდია, რაც თავის მხრივ, აპირობებს გვალვების გაძლიერებას.

გარე კახეთში თითქმის მთელი წლის განმავლობაში სინესტის ბალანსი უარყოფითია, განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეს ივლის-აგვისტოში. სინესტით უფრო უზრუნველყოფილია აპრილი, მაისისა და ივნისის თვეები.

განხილულ ტერიტორიაზე ზოგჯერ თავსხმა წვიმა და სეტყვაც აღინიშნება. რომელიც ზიანს აყენებს მეურნეობას. ნალექები თოვლის სახით აქ მცირეა. მდგრადი თოვლის საბურველი მხოლოდ 700—800 მ (ზღვის დონიდან) სიმაღლეზე აღინიშნება, ისიც მცირე ხნით. გარე კახეთში ძლიერი ქარები საერთოდ არ იცის, მაგრამ ზოგიერთ წელში ასეთიც არის, რომელიც აზიანებს სოფლის მეურნეობის კულტურებს.

მიუხედავად ზოგი უარყოფითი ფაქტორებისა, გარე კახეთის ჰავა, რომელიც ვეგეტაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მზის ნათების ხანგრძლიობით, მაღალი ტემპერატურითა და ნალექების საკმაო რაოდენობით ხასიათდება (ივლის-აგვისტოს გამოკლებით), ძირითადად ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის მრავალნაირი კულტურის (საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის, ვენახების, ხეხილის, ბაღჩეულისა და ტექნიკური კულტურების) გავრცელება-განვითარებისათვის.

გარე კახეთი, საქართველოს სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით, ჰიდრორესურსებით თუმცა საერთოდ ღარიბია. მაინც აქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურ მდინარეებს (ალაზანსა და იორს) შეუძლიათ მოგვცენ არა მარტო დიდი რაოდენობით „თეთრი ნახშირი“, არამედ, აგრეთვე, მორწყან და წყლით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის კულტურებით დაკავებული ვრცელი ფართობები.

განხილულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვან მდინარეს ალაზანი წარმოადგენს. იგი საკმაოდ წყალუხვია (სოფ. ჭიაურთან ალაზნის წლიური ჩამონადენი 2. 260 მლნ m^3 უდრის). წყალდიდობა მასზე მარტ-ივლისის პერიოდში მიმდინარეობს, რაც თოვლის დნობითა და წვიმებითაა გამოწვეული. წყალდიდობა მაქსიმუმს მაისში აღწევს. მდ. ალაზნიდან გამოყვანილი არხი, რომლის დიდი ნაწილი სიღნაღის ტერიტორიაზე გადის, „წინამხარეს“ სარწყავი წყლით რამდენადმე უზრუნველყოფს.

გარე კახეთში მეორე დიდი მდინარე იორია. იგი გარე კახეთის ფარგლებში შემდინარეებს მოკლებულია[1]. სოფ. პალდოსთან ივრის წლიური ჩამონადენი 457 მლნ m^3 უდრის. იგი ყველაზე წყალუხვი გაზაფხულზეა (ამ დროს წლიური ჩამონადენის 48% მოდის), უხვწყლიანია აგრეთვე ზაფხულში (31%), მცირეწყლიანია შემოდგომაზე (13%) და ზამთარში (8%). მდ. ივრის საშუალო წლიური პოტენციური სიმძლავრე 115 ათას კილოვატს აღემატება. აქედან მნიშვნელოვანი წილი გარე კახეთზე მოდის.

გარე კახეთში რიგი ტბებია განლაგებული (ქაჩალტბა, გრძელი ტბა, სახარე ტბა, ყაჯირის ტბა, მუხროვანის ტბა და სხვ.). ყველა ისინი მლაშეა და იხტიოფაუნას მოკლებული.

განხილული ტერიტორიის შედარებით მშრალი კლიმატის პირობებში სოფლის მეურნეობის კულტურების წარმატებით განვითარებისათვის წყლით უზრუნველყოფას, ხელოვნურ რწყვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. უწყლობით განსაკუთრებით გაჭირვებას განიცდის ელდარის დაბლობი და შირაქი (და საერთოდ გარე კახეთის ზეგანი). ამ რაიონების წყლით უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია ქვემო სამგორისა და ალაზნის ზემო მაგისტრალური არხების გაყვანით.

განხილულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ცივ-გომბორის ქედის კალთებზე, სასმელი წყლის საკმაოდ ბევრი გამოსასვლელია, რომელიც ამ მხარის მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს.

რელიეფისა და კლიმატის მრავალფეროვნებამ, მცენარეული საფარისა და ლითოლოგიური შედგენილობის სიჭრელემ, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, განაპირობა გარე კახეთის ნიადაგების ნაირგვარობა. აქ წარმოდგენილია: ა) ველებისა და ნახევრად უდაბნოს შავმიწა, წაბლა და რუხი-მურა ნიადაგების ზონა, ბ) ვაკეთა და მთისპირის გარდამავალი სახის ტყე-ველისა და ტყის ნიადაგების ზონა, გ) მთა-ტყეთა ნიადაგების ზონა და დ) მთა-მდელოთა ნიადაგების ზონა [7,23]. ამ ნიადაგებს გარე კახეთში მეტნაკლები სიერცე უჭირავთ.

ალაზნის ვაკეზე ძველი ალუვიური (ალუვიურ-კარბონატული) ნიადაგებია განვითარებული. ამ ნიადაგებზე გაშენებული ვენახები ყურძნის დიდ მოსავალს იძლევა. ალაზნის ვაკის შემაღლებულ ადგილებზე და მთისპირებზე გავრცელებულია შავმიწისებური და ტყის ყავისფერი ნიადაგები. ცივ-გომბორის ქვემო ფერდობებზე, სოფ. ყარაღაჯიდან სოფ. ანაგამდე წარმოდგენილია

[1] მხოლოდ ერთი პერიოდული პატარა მდინარე—ლაკბე ერთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომელზეც ვენახები შესანიშნავ მოსავალს იძლევა. „წინამხარეში“, დიდი ფართობი უკავია შავმიწისებურ ნიადაგებს. უკანასკნელი განვითარებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების ქვემოთ, გრძელი ზოლის სახით, სოფ. ძველი ანაგიდან ყარაღაჯამდე (სამხ. აღმოსავლეთით სცილდება მას). ეს ნიადაგები ხორბლისა და სიმინდის სარეკორდო მოსავალს იძლევა [24].

წნორის სამხრეთ-აღმოსავლეთით განვითარებულია წაბლისფერი შავმიწები; სოფ. სოფ. ვაქირის, ანაგის, წნორის მიდამოებში — წაბლა ნიადაგები.

ალაზნის ვაკეზე საკმაოდ ვრცელი ფართობი უჭირავს სხვადასხვა სახის მლაშობ და ბიცობიან ნიადაგებს. ძლიერ დამლაშებულ ნიადაგებს ვხვდებით გუმბათის საბჭოთა მეურნეობის აღმოსავლეთით. დამლაშებული ნიადაგები, განსაკუთრებით ძლიერ დამლაშებულნი, შესაფერისი მელიორაციული ღონისძიების ჩატარების გარეშე სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის არახელსაყრელია. მაწიმის წყლის შესართავიდან ქვემოთ, ალაზნის მარჯვენა მხარეზე, გარდამავალი სახის რუხი ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგების ზოლია წარმოდგენილი.

გარე კახეთში დიდი ადგილი უკავია შავმიწებს. ისინი გავრცელებულია ტარიბანას ველზე. შირაქში, გარეჯისა და აზაბმბურის ველებზე; შავმიწები გვხვდება სოფ. სოფ. ჩაილურის, ბოდბის, კაკაბეთის, ბადიაურის, კაჭრეთის, სართიჭალის მიდამოებში და სხვ. შავმიწები ძირითადად მარცლეული კულტურებისათვისაა გამოყენებული. ეს ნიადაგები საკმაოდ გამოსადეგია მევენახეობისათვისაც.

გარე კახეთის ზეგანზე, მდ. ივრის ორივე მხარეზე, დიდი ფართობი უკავია წაბლა შავმიწებსა და მუქ-წაბლა ნიადაგებს. ეს ნიადაგები ხორბლის, ვენახების, ბაღ-ბოსტნის კულტურებისათვისაა გამოყენებული.

მდ. ივრის სანაპიროზე ალუვიურ-კარბონატული ნიადაგებიცაა.

ელდარის ველზე და ზოგან ზეგნის სამხრეთ ნაწილში, აბზინდიან-ურომიანი ბალახეულობის საფარის ქვეშ, განვითარებულია რუხი-მურა ნიადაგები.

ცივ-გომბორის ქედისა და აგრეთვე გარეჯის მთების ძირში, ზოგან ზეგანზეც, კუნძულების სახით, ვხვდებით დელუვიურ ნიადაგებს. ალუვიურ-კარბონატული ნიადაგების მსგავსად, ამ ნიადაგებზე გაშენებული ვენახი, შესაფერ ჰიდრო-კლიმატურ პირობებში, დიდ მოსავალს იძლევა.

ცივ-გომბორის ქედის კალთებზე მთა-ტყეთა ნიადაგებია განვითარებული: ქვედა ნაწილში — ტყის ყავისფერი ნიადაგები, ზედაში—ტყის ყომრალი ნიადაგები. ცივ-გომბორის ქედის თხემურ ნაწილში, სუბალპური ბალახეულობის საფარის ქვეშ, მთა-მდელოს ნიადაგებია.

გარე კახეთის ნიადაგები დიდი ნაყოფიერებით ხასიათდება და ხელშემწყობია სოფლის მეურნეობის მრავალნაირი კულტურების გავრცელება-განვითარებისათვის.

გარე კახეთის მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეს, აგრეთვე, მისი მრავალფეროვანი ფლორა წარმოადგენს. აქ გავრცელებულია თითქმის ყველა ტიპის მცენარეულობა, დაწყებული ნახევრად უდაბნოსათვის დამახასიათებელი ტიპიდან, დამთავრებული სუბალპური ტიპით. მცენარეულობის ასეთი მრავალფეროვნება განსაზღვრულია გარე კახეთის გეოგრაფიული მდებარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობით, რელიეფური, კლიმატური და ჰიდროლოგიური პირობების სხვადასხვაობით. ამ საქმეში ადამიანმაც საკმაო როლი ითამაშა.

გარე კახეთში ტყეებს წინათ გაცილებით მეტი ფართობი ეჭირა, რასაც ადასტურებს დღევანდლამდე შემორჩენილი ცალკეული კორომები, რომლებიც უტყეო ადგილას კუნძულებივითაა გაბნეული, და შემორჩენილი ვეებერთელა ხეები, მაგრამ ადამიანის ჩარევით ტყეები ძალზე განადგურებულია და ახლა მისი ადგილი უმეტესად კულტურულ ლანდშაფტს უჭირავს.

ტყეების ძირითადი მასივები გავრცელებულია ცივ-გომბორის ქედზე ნაწილობრივ — ივრისა და ალაზნის სანაპიროებზე და მცირედად — შირაქსა და ელდარში. მდ. მდ. ივრისა და ალაზნის პირას წარმოდგენილია ე. წ. ჭალის ტყეები, რომელშიც გვხვდება — ჭალის მუხა, ვერხვი, ტირიფი, თელა, თუთა და სხვ.

შირაქის ველზე, ელდარის გორაკებზე და გარეჯის მიდამოებში აქა-იქ ნათელი ტყეებია, რომლის შექმნაში მონაწილეობას იღებენ: ელდარის ფიჭვი, ღვია, კვეის ხე, ანუ საღსალაჭი, ქართული ნეკერჩხალი, აკაკი და სხვ.

გარე კახეთში ყველაზე ტყიანი ადგილი ცივ-გომბორის ქედია, აქ შედარებით კარგადაა გამოხატული მცენარეულობის ვერტიკალური ზონალობა; ქედის ქვემო ფერდობებზე გავრცელებულია მუხნარ-რცხილნარი, ზემოთ — წიფლნარი, შესაფერი ექსპოზიციის ფერდობებზე მცირედ — წიწვიანებიც. ცივ-გომბორის თხემურ ნაწილში სუბალპური მდელოს ბალახეულობაა განვითარებული [4].

გარე კახეთის ზეგანი ძირითადად წარმოდგენილია ნახევრად უდაბნოსა და სტეპის ბალახეული მცენარეულობით, ბუჩქებითა და ნახევრად ბუჩქნარებით.

განხილულ ტერიტორიაზე ტყეები მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს, თუმცა საერთოდ გარე კახეთი ტყეებით შედარებით ღარიბია: სიღნაღის, კაჭრეთის, საგარეჯოსა და წითელწყაროს რაიონების ტყის საერთო ფართობი ამ რაიონების მთელი ტერიტორიის 12,8%-ს შეადგენს. მასზე საქართველოს სსრ ტყეების 3% მოდის.

გარე კახეთის ადმინისტრაციულ რაიონებს შორის, ტყის ფართობით პირველ ადგილზე საგარეჯოა (მასზე მოდის გარე კახეთის მთელი ტყეების (45,5%), მეორეზე — კაჭრეთი (30,5%); ტყით ღარიბია წითელწყაროსა (16,7%) და სიღნაღის (7,3%) რაიონები.

საგარეჯოს რაიონის ტყის მასივები უმთავრესად კახეთისა და ცივ-გომბორის ქედის ფერდობზეა განლაგებული. მასვე ეკუთვნის მდ. ივრის სანაპირო ტყეები. საგარეჯოს ტყის მასივებში გავრცელებულია: წიფელი, რცხილა, მუხა, ჯაგრცხილა, ცაცხვი, კოპიტი, ნეკერჩხალი, ნაწილობრივ — თელა, ფიჭვი, ვერხვი, ტირიფი, თეთრი აკაცია და სხვ. ქვეტყეში გვხვდება: თხილი, შინდი, კუნელი და სხვ.

კაჭრეთის რაიონის ტყეებიც აგრეთვე ცივ-გომბორის კალთებზეა განლაგებული და ერთ მთლიან კომპაქტურ მასივს არ წარმოადგენს; უსწორმასწოროდაა შეჭრილი დასახლებულ პუნქტებს შორის. ტყეებში გაბატონებულია წიფელი, რცხილა და მუხა. უკანასკნელი — შედარებით ნაკლებად. ქვეტყეში გავრცელებულია: თხილი, კუნელი, შინდი, ზღმარტლი და სხვ.

ცივ-გომბორის ქედის დაბოლოებაზე განლაგებულია წითელწყაროს ტყეები, რომელიც ძირითადად რცხილისა და ჯაგრცხილისაგან შედგება, მცირედად აქ აგრეთვე მუხა, თელა და ვერხვიცაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროს რაიონში გავრცელებულია ელდარის ფიჭვისაგან შექმნილი წიწვიანი ტყეებიც, ალაგ-ალაგ — საღსაღაჯისა და აკაკის.

სიღნაღის რაიონის ტყის მასივები მდებარეობს ცივ-გომბორის ქედის ფერდობებზე, მცირე ნაწილი — ალაზნის ვაკეზე. ამ ტყეებში ძირითადად გაბატონებულია: მუხა, ვერხვი, რცხილა, წიფელი, მცირედ — თელა და ფიჭვიც.

გარე კახეთის ტყეებს ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ მათი სამრეწველო ექსპლოატაცია არ წარმოებს, მაგრამ ზოგჯერ აქ მცირე ოდენობის ხე-ტყეს ამზადებენ და გამოაქვთ. დამზადებული ხე-ტყის 70%-ზე მეტი ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიდის.

გარე კახეთის ტყეები და ველები მდიდარია ველურადმზარდი სამკურნალო მცენარეულობით, რომელთა მოპოვება-გამოყენებას (პრიმიტიული წესით) საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ასე, აქ გავრცელებულია: გვირილა, ასკილი, ლენცოფა, პანტა მახალი და ვაშლი, სვია, ღვედკეცი, შინდი, შმაგა, შროშანა და სხვ. ამ მცენარეების ფოთლებისა და ნაყოფისაგან ძვირფასი წამლების დამზადება შეიძლება [9].

გარე კახეთში ტყის დაცვას, განახლებას და გაშენებას ყურადღება მხოლოდ უკანასკნელ დროს მიექცა. ადრე ის მზრუნველობას მოკლებული იყო; იჩეხებოდა შერჩევის გარეშე. ამან გამოიწვია ტყიანი ადგილების ბუჩქნარიანად გადაქცევა და, ბოლოს, ბუჩქნარების ამოძირკვით, ველ-მინდვრები მივიღეთ. ტყის გაჩეხვამ ხელი შეუწყო ეროზიული პროცესების ინტენსიურად წარმართვას, ნიადაგების ხარისხის გაუარესებას, ქარების მოქმედების გაძლიერებას. ამ მოვლენების თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა პერიოდში დაიწყო ტყის დაცვისა და განახლება-გაშენების ღონისძიებათა გატარება; რამდენიმე ასეულ ჰექტარზე გაშენდა ფოთლოვანი ტყეები, ნაწილობრივ წიწვოვანიც. ამას გარდა, ზოგი რაიონის ტყე-კაფებში ჩატარდა როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვოვანი მცენარეების გამორგვა. წარმოებს გამოთესვაც. ახლა გარე კახეთის ტყის მასივებში დაშვებულია მხოლოდ სანიტარული და მოვლითი ჭრა, ისიც მტკიცე კონტროლით.

გარე კახეთის ფლორაში ყურადღებას იპყრობს ბალახეულობა. აქ წარმოდგენილია როგორც მშრალი ველებისა და ნახევრად უდაბნოს, ისე სუბალპების ბალახეულობა. უკანასკნელი — ცალკეული კუნძულების სახით ცივ-გომბორის ქედზე. ცივ-გომბორის სუბალპები გარე კახეთის რაიონების მესაქონლეობისათვის მშვენიერ სასაძოვრო ადგილს წარმოადგენს.

გარე კახეთის ზეგანზე გავრცელებულია ვაციწვერიან-ნაირბალახოვანი, აბზინდიან ურიანი ველები.

განხილული ტერიტორიის ბალახმცენარეულობა გარე კახეთის რაიონებში მეცხოველეობის განვითარებისათვის ძვირფასი ბაზაა. აქ საძოვრებს მთელი ტერიტორიის 31,6% უკავია. საძოვრები განლაგებულია[1] ცივ-გომბორის ქედზე (საზაფხულო საძოვრები), ზეგანზე და ალაზნის ვაკეზე (უმეტესად საზამთრო საძოვრები). საძოვრების ფართობით პირველ ადგილზე წითელწყაროს რაიონია, მეორეზე — სიღნაღის რაიონი, უკანასკნელზე — კაჭრეთი.

---

[1] იგულისხმება განხილული ტერიტორიის ფარგლებს შიგნით (დ. უ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის ფლორა საინტერესოა აგრეთვე იმით, რომ იგი მდიდარია თაფლოვანი მცენარეებით, რაც საწინდარია მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის. მომავალში გარე კახეთის მცენარეული საფარი ამ მიზნით უფრო ფართოდ უნდა იქნეს შესწავლილი და გამოყენებული.

სურ. 1. სუბალპური საძოვრები ცივ-გომბორზე.

განხილული ტერიტორიის ფაუნა, თავისებური ეკოლოგიური პირობების გამო, რამდენადმე ერთფეროვანია, გარე კახეთის უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ველების ზონაში, გვხვდება ქურციკი, ანუ ჯეირანი, რომელიც ადრე დიდი რაოდენობით ყოფილა აქ გავრცელებული, მაგრამ ახლა ის უკვე გადაშენებამდეა მისული. როგორც ტყის, ისე ველის ზონაში გავრცელებულია: მელა, მგელი, ტურა. მდ. მდ. ივრისა და ალაზნის აუზებში მრავლადაა წავი, კავკასიის თეთრყელა კვერნა, მაჩვი, კატა, კურდღელი და სხვ. [13]. გარე კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში აქა-იქ გარეული ღორიცაა. დასახელებული ცხოველებიდან არც ერთს აქ სარეწაო მნიშვნელობა არ აქვს. ფრინველების მრავალი სახეობიდან აღსანიშნავია: ხოხობი, მწყერი, იხვი. მდ. მდ. იორი და ალაზანი მდიდარია თევზით (ტობი, ციმორი, ლოქო, კობრი და სხვ). თუმცა გარე კახეთის ფაუნა არაა სარეწაო მნიშვნელობის, მაინც აქ ცალკეულ შემთხვევაში წარმოებს ნადირობა როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის პერიოდში. ზაფხულში ნადირობენ: ხოხობზე, კაკაბზე, მწყერზე, კურდღელზე, მელასა და ტურაზე; ზამთარში — ინდაურზე, ბატზე, იხვსა და სარსარაკზე. ადგილობრივი მცხოვრებნი თევზაობენ ზაფხულზე ალაზანში, ნაწილობრივ — იორში.

გარე კახეთის ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთობს, რომლის საბადოები მის სამხრეთ ნაწილშია განლაგებული. გარე კახეთის ნავთობი ძველთაგანვე ცნობილია ჩვენში და საზღვარგარეთაც. სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობის საბადოებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მირზაანის საბადო, რომელიც დიდი შირაქის სამხრეთ-დასავლეთით, წითელწყაროდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 კმ-ზე მდებარეობს. მირზაანის საბადოს ნავთობშემცველი რამდენიმე ჰორიზონტი აქვს და თითოეული მათგანი სხვადასხვა რაოდენობით ნავთობს იძლევა. სამრეწველო თვალსაზრისით მნიშვნელოვან უბანს აქ მირზაანის ხევი წარმოადგენს, სადაც ნავთობის წოლის პირობები მისი მოპოვებისათვის ხელსაყრელია. მირზაანის ნავთობი მაღალხარისხოვანია და მსუბუქი ფრაქციების დიდი შემცველობით გამოირჩევა.

სამრეწველო მნიშვნელობისაა პატარა შირაქის საბადოც. იგი მდებარეობს წითელწყაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით (25—28 კმ-ზე), პატარა შირაქის ველში. უკანასკნელი, ჩრდილოეთით განედობრივი შუამთის ქედით ისაზღვრება, სამხრეთით — კალა-დარასის მაღლობით. ველის ცენტრალურ ნაწილში გაწოლილია დაბალი, განედური ქედი, რომლის ჩრდილო და სამხრეთ მხარეზე განლაგებულია პატარა შირაქის ნავთობის საბადო. უკანასკნელი კარგადაა ცნობილი ჩვენში და რამდენადმე საზღვარგარეთაც. აქ ჯერ კიდევ 1870 წელს, მცირე სიღრმის ჭებიდან, პრიმიტიული წესით, დღე-ღამეში ასეულობით ვედრო ნავთობს ღებულობდნენ. შემდეგ ნავთობის ამოღება გადიდდა. უკანასკნელ პერიოდში დიდად გაიზარდა შირაქის საბადოს როგორც საძიებო-გეოლოგიური გამოკვლევა, ისე ნავთობის მოპოვება.



სურ. 2. მწ. ცივა. სუბალპური საძოვრები

პატარა შირაქისა და მირზაანის ნავთობის საბადოების ექსპლოატაცია დიდი ხანია წარმოებს. პირველ ხანებში ჭები დიდი დებიტით ხასიათდებოდა. ზოგი მათგანიდან ნავთობი შადრევანის სახით ამოდიოდა. შემდგომ დებიტმა თანდათან იკლო. გარე კახეთის ნავთობშემცველ ამ რაიონებში ღრმა ჭაბურღილების მოწყობით მოსალოდნელია ნავთობის მოპოვების რამდენადმე გაზრდა.

მდინარე ივრის მარჯვენა მხარეზე, შემაღლებულ ქვაბურში, მდებარეობს ჩათმის ნავთობის საბადო. აქაც ადრევე წარმოებდა ნავთობის მოპოვება, პრიმიტიული წესით, 15—55 მ სიღრმის ჭებიდან. 1900 წელს თითო ასეთი

ჭიდან დღე-ღამის განმავლობაში 50 კგ ნავთობს იღებდნენ. ჩათმაში ამჟამად ნავთობის მოპოვება არ წარმოებს.

წითელწყაროდან 40 კმ დაშორებით, ელდარის ველზე, მდებარეობს ელდარის საბადო. ამ საბადოს გამოკვლევისათვის მუშაობდა (1913—1914 წწ.) ფრანგული ფირმა; ბურღვა მცირე სიღრმეზე წარმოებდა. საბადოებზე მუშაობა 1914 წელს შეწყდა, ომის გამო. ელდარის საბადოების შესწავლას მნიშვნელოვანი ყურადღება მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა; გაკეთდა რამდენიმე ჭაბურღილი, რომელმაც საკმაო შედეგი მოგვცა, მაგრამ ღრმა ბურღვა დღემდე არ არის ჩატარებული. საბადოს სამრეწველო მნიშვნელობის საკითხი დაუდგენელია.

მდინარე ივრის მარცხენა მხარეზე, წითელწყაროს სამხრეთ-დასავლეთით (25 კმ-ზე) ტარიბანას საბადო მდებარეობს, რომლის ღრმა ბურღვა 1933 წელს ჩატარდა. ამ მუშაობის მიზანი იყო ზედასარმატის ნავთობშემცველი ქვიშებისა და ქვიშაქვების პროდუქტიულობის გარკვევა. ბურღვამ კარგი შედეგი გამოიღო. ტარიბანას საბადოს უფრო დეტალური შესწავლა ამჟამად მიმდინარეობს.

გარე კახეთში, გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა საბადოებიცაა: მლაშისხევის, ბაიდას, ალან-დარას, კაკაბეთის, კილა-კუპრას და სხვ.

განხილულ ტერიტორიაზე ასფალტი და ასფალტიდიცაა წარმოდგენილი. ასფალტის საბადოები ელდარში და შირაქშია. ელდარის საბადო მდებარეობს ელდარის ველის ჩრდილო ნაწილში. რაიონი აგებულია ზედა სარმატის, აფშერონის, აქჩაგილისა და პოსტპლიოცენის ნალექებით. წიაღისეული აქ გვხვდება: სუფთა ბუნებრივი ასფალტის, ასფალტური ქვიშაქვებისა და ბიტუმით გაჟღენთილი ასფალტური ნიჟაროვანი კირქვების სახით. ელდარში ბუნებრივი ასფალტის მარაგი საკმაოდ დიდია და სუფთა ბიტუმსაც დიდი რაოდენობით შეიცავს. გარდა ამისა, ასფალტურ ქვიშაქვებში და კირქვებშიც ბევრია სუფთა ბიტუმი.

ასფალტის მნიშვნელოვანი საბადოა აგრეთვე შირაქსა და მის მიდამოებში. შირაქის ასფალტი მაღალხარისხოვანია, დიდი რაოდენობით შეიცავს ბიტუმს. შირაქის მიდამოებში მოიპოვება ასფალტიდიც.

გარე კახეთის ნავთობშემცველ რაიონებთან დაკავშირებულია საწვავი გაზების ძლიერი გამოსასვლელები. თავისი სიძლიერით, განსაკუთრებით საყურადღებოა მირზაანის, პატარა შირაქის, მლაშის-ხევის, კილა-კუპრას მიდამოების გაზის გამოსასვლელები; გაზის გამოსასვლელები აღნიშნულია აგრეთვე ჩათმის, ბაიდას, ალან-დარას და სხვ. მიდამოებში. გარე კახეთის ტერიტორიაზე არსებულ საწვავ გაზებს დღემდე პრაქტიკული გამოყენება არა აქვთ. მისი შესწავლა ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ იქნება.

ალან-დარის ხევის, ბაიდახევის, კიდურმას, კაპიჩის, დონღუზარას, ჩათმის მიდამოებში მურა ნახშირის საბადოებია. უკანასკნელნი რიგი უარყოფითი თვისებებით ხასიათდებიან: ნახშირიანი შრეების სისქე მცირეა და თანაც ცვალებადია როგორც გავრცელების, ისე დახრილობის მხრივ; ცვალებადია შრეების ურთიერთ დაშორებაც. შედარებით მნიშვნელოვანია კიდურმის, ბაიდა-ხევისა და დონღუზ-არას საბადოები (ი. კახაძე, გ. ქომეთიანი). ქიმიური შემადგენლობით ამ საბადოების ნახშირი მოსკოვის აუზის ნახშირის ანალოგიურია. გარე კახეთის მურა ნახშირი, შრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების მცირე სისქისა და დიდი ნაცრიანობის გამო, როგორც ენერგორესურსი ინტერესს მოკლებულია.

გარე კახეთში მცირე რაოდენობით გლაუბერის მარილიცაა წარმოდგენილი. მარილის საბადოები დაკავშირებულია მწარე-მლაშე ტბებთან. საგარეჯოს რაიონში ორი საბადოა: მუხროვანისა (მუხროვანის ტბასთან) და აზამბურის (ქაჩალ-ტბა, გრძელი-ტბა და სახარე-ტბასთან). მუხროვანის საბადოს ექსპლოატაცია ადრევე წარმოებდა. აქ გლაუბერის მარილის გადასამუშავებელი ქარხანაც იყო. აზამბურის საბადო მარაგით მუხროვანისას დიდად აღემატება. ამ მხრივ განსაკუთრებით გრძელი ტბა და სახარე ტბა გამოირჩევა. მუხროვანისა და აზამბურის საბადოებიდან მარილის სამრეწველო მოპოვება ამჟამად არ წარმოებს.

განხილული ტერიტორია საკმაოდ მდიდარია საამშენებლო მასალებით. აქ წარმოდგენილია ლიოსისებური თიხნარები, კირქვა, გაჯი, ხრეში და სხვ.



სურ. 3. „ორი ძმის“ კირქვის საბადო

საამშენებლო კირქვით განსაკუთრებით მდიდარია წითელწყაროს რაიონი, სადაც კირქვის ზედაპირული, მძლავრი გამოსასვლელები რიგ ადგილებში აღინიშნება. აქ გვხვდება ქვედა ცარცის ნახევრად კრისტალური კირქვები, რომელიც თავისი ხარისხით საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო საამშენებლო ქვად ითვლება, მარაგიც კირქვებისა დიდია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მთა ელიას და „ორი ძმის“ კირქვის საბადოები. უკანასკნელის ექსპლოატაცია დიდი ხნიდან წარმოებს. საბადოს კირქვა რაიონის ფარგლებს გარეთაც იგზავნება. „ორი ძმის“ საბადოს კირქვის დამუშავება-ექსპლოატაციისათვის რელიეფის მხრივ ხელსაყრელი პირობებია შექმნილი.

კირქვის ექსპლოატაცია ელიას მთის კალთებიდანაც მიმდინარეობს. კირქვის მარაგითა და ხარისხით იგი „ორი ძმის“ საბადოს ►რ ჩამოუვარდება. ამას გარდა, კირქვის მნიშვნელოვანი გამოსასვლელია თამარის მთის სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრეთით. კირქვა გვხვდება აგრეთვე სოფ. სართიჭალის მიდამოებში და სხვ.

გარე კახეთში სოფ. სოფ. ბოგდანოვკის, სართიჭალის, ულიანოვკის, მაღაროს, ყარაღაჯის, ბოდბის და სხვ. მიდამოებში მოიპოვება გაჯის ნედლეული. დასახელებულიდან უფრო მნიშვნელოვანია ბოგდანოვკის (კაჭრეთის რაიონი) გაჯის საბადო, რომლის ფენები ზედაპირთან ახლოსაა; გაჯს თეთრი ფერი და შეცემენტების კარგი უნარი აქვს. გაჯის კარგი ხარისხი და საბადოს დიდი მარაგი ხელსაყრელი წინაპირობაა აქ გაჯის დამამზადებელი მძლავრი ქარხნის აშენებისათვის, რომელიც დააკმაყოფილებს გარე კახეთის და, ნაწილობრივ, შიგნი კახეთის რაიონების მოთხოვნილებას ამ ძვირფას საამშენებლო მასალაზე. გაჯის მოპოვება-დამზადებისათვის თითქმის ასეთივე პირობებია სართიჭალასა და ულიანოვკაში.

მდინარეების ივრისა და ალაზნის ხეობებში, აგრეთვე გარე კახეთის ზეგანზე, დიდი გავრცელება აქვს ლიოსისებურ თიხნარებს, რომელიც აგურ-კრამიტის დასამზადებლად ივირფას ნედლეულს წარმოადგენს: ამ ნედლეულის ბაზაზე აქ აგურ-კრამიტია რიგი ქარხნები მუშაობს. თიხნარებისაგან ჭურჭელსაც ამზადებენ.



სურ. 4. ლიოსისებური თიხნარებისგან დამზადებული საშენი ალიზი (ს. ულიანოვკა)

კერამიკის თვალსაზრისით, საუკეთესო ხარისხის თიხნარებია სოფ. სოფ. ულიანოვკის (სიღნაღის რაიონი), წითელ საბათლოს, ქედია (წითელწყაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონი), დარჩეთის (კაჩრეთის რაიონი), სართიჭალის (საგარეჯოს რაიონში) მიდამოებში და სხვ.

ლიოსისებური თიხნარებისაგან, გარდა აგურ-კრამიტისა, ამზადებენ საშენ ალიზს, რომელიც ბინების მშენებლობისთვის საუკეთესო მასალას წარმოადგენს; სოფ. სოფ. ულიანოვკაია და წითელი სამბათლოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ასეთი ალიზით აშენებული სახლები აქვთ.

გარე კახეთის ლიოსისებური თიხნარები კარგ საშენ მასალას წარმოადგენს, რომლის ბაზაზე შესაძლებელია აგურ-კრამიტის რიგმა ქარხანამ იმუშაოს და გარე კახეთი დააკმაყოფილოს ამ მასალით.

განსილულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია აგრეთვე „სიპიქვა", სილა და ღორღი (მდ. მდ. ივრის, ალაზნისა და ლაკბეს ხეობებში), რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი საშენ მასალად იყენებენ.

გარე კახეთი ღარიბია საკურორტო ადგილებით და სრულიად მოკლებულია კურორტებს. აქ მნიშვნელოვან საკურორტო ადგილს კოდა წარმოადგენს, რომელიც ცივ-გომბორია ქედზე მდებარეობს (1500 მ ზღვის დონიდან). იგი სამთო-კლიმატური საკურორტო ადგილია.

სურ. 5. საკურორტო ადგილი კოდა.

კოდას მიდამოები მოვაკებული ზედაპირით ხასიათდება. კლიმატი აქ ზომიერ ნოტიოა, არა ცხელი, ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. ივლისის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა 18—19 -ია, წლიური ნალექების ჯამი 800 მმ არ აღემატება. ნალექებიდ მინიმუმი ივლის-აგვისტოშია. შეფარდებითი სინოტივე ზაფხულის პერიოდში 60%-ს უდრის. კოდა მზის ნათების ხანგრძლიობითაც გამოირჩევა [5].

კოდას მიდამოებში განვითარებულია როგორც ფოთლოვანი (უმეტესად), ისე წიწვოვანი (მცირედ) მცენარეები. ფოთლოვანებიდან გაბატონებულია წიფელი და რცხილა, წიწვოვანებიდან — მხოლოდ ფიჭვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდა ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ (საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონების) დიდი ხნიდანვეა გამოყენებული საგარაკო ადგილად. აქ ჩატარებული მკურნალობა (კლიმატური) კარგ შედეგებს იძლევა, განსაკუთრებით სისხლნაკლოვან ბავშვთათვის. კეთილმოწყობის შემთხვევაში იგი მნიშვნელოვან მომსახურეობას გაუწევს გარე კახეთის მოსახლეობას.

საუკეთესო საკურორტო ადგილს წარმოადგენს სოფ. გომბორის მიდამოები (საგარეჯოს რაიონი), რომელიც მდ. ივრის მარცხენა მხარეზე, ცივგომბორის კალთებზე (1150 მ ზღვის დონიდან) მდებარეობს.

გომბორის მიდამოების კლიმატური პირობები მეტად ძვირფასია რიგ დაავადებათა მკურნალობისათვის. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა აქ 8°-ს უდრის. ივლის-აგვისტოს განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა 19°-ს არ აღემატება.

ნალექების წლიური რაოდენობა 700 მმ-ს უდრის. ამასთანავე, ზაფხულის განმავლობაში 115 მმ ნალექი მოდის. ნაკლებია ტენიანობა (60—70%).

საკურორტო სეზონის (მაისიდან-სექტემბრამდე) განმავლობაში აქ ყოველწლიურად ათასობით მშრომელი ისვენებს და მკურნალობს. გომბორის სამთო-კლიმატური საკურორტო ადგილის ჰავით შეიძლება განიკურნოს მალარიით, მეორადი სისხლნაკლოვანებით, ქრონიკული ბრონქიტით, პლევრიტით, ლიმფური ჯირკვლების ანთებით და ნევროზის იოლი ფორმით დაავადებულნი [6].

გომბორის ლამაზი ბუნება, სამკურნალო ძვირფასი ჰავა, მშვენიერი სასმელი წყლები, შესანიშნავი ფართო ფოთლოვანი ტყეები, პირობას ქმნიან გომბორის მიდამოებში კურორტის გაშენებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გარე კახეთში საყურადღებო სამკურნალო ადგილს წარმოადგენს ზეგანზე მოთავსებული ტალახის ვულკანებით მდიდარი მიდამოები: კილა-კუპარა, ჩათმა, „მეორე ახტალა“[1] და სხვ. ამათ შორის განსაკუთრებით უკანასკნელია აღსანიშნავი, იგი გარე კახეთის ზეგანზე მდებარეობს, სოფ. გამარჯვებიდან 8—10 კმ-ზე. „მეორე ახტალის“ ტალახის ვულკანი აღმოსავლეთი ქვაბების სინკლინური ქედის ჩრდილო პერიფერიაზე, კილა-კუპარას ანტიკლინის ღერძის სამხრეთითაა მოთავსებული. გარეგნულად ტალახის ვულკანი მოგრძო, ბრტყელთავიან ბორცვს წარმოადგენს და ფერდობები ღრმად აქვს დანაწევრებული ვიწრო ხრამებით; უკანასკნელნი, ვულკანის ტერიტორიიდან რადიალურად მიემართებიან. ბორცვს ირგვლივ მშრალი ხევი უვლის.

„მეორე ახტალის“ ვულკანის ზედაპირზე, რომლის ფართობი 2-3 ჰექტარი იქნება, თერთმეტამდე მოქმედი ტალახის სასულეა განლაგებული, თითქმის ამდენივე ჩამქრალი. სასულეები ერთი მეორისაგან 15-20 მეტრზეა დაშორებული და სხვადასხვა ზომისაა. ყველაზე დიდი სასულის დიამეტრი 2—2,5 მ აღწევს. სასულეებიდან ტალახი გამუდმებით ამოედინება, გაზთან ერთად. ზემოდან ტალახს ნავთის ბრკე ასლავს.

„მეორე ახტალის“ ტალახი, როგორც სამკურნალო საშუალება, საინტერესო ობიექტს წარმოადგენს, ქიმიური და მექანიკური შემადგენლობით იგი გურჯაანის ახტალის ტალახის მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებნი მით დიდი ხნიდანვე სარგებლობენ (პრიმიტიული წესით) რევმატიზმითა და იშიასით

[1] „მეორე ახტალა“ ჩვენს მიერაა შერქმეული (დ. უ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავადებათა წინააღმდეგ სამკურნალოდ და, როგორც ირკვევა, მკურნალობა კარგ ეფექტს ახდენს. ტალახის დებიტი აქ საკმარისად დიდია. ვულკანის მიდამოებში, რომელიც მზის ნათების ხანგრძლიობით გამოირჩევა, მინერალური წყალიცაა. მოხსენებულის გამო „მეორე ახტალის“ ტალახის სამკურნალო თვალსაზრისით შესწავლა ინტერესს მოკლებული არ იქნება.



სურ. 6. ტალახის სასულე

გარე კახეთში საყურადღებო საგარაკო ადგილს სოფ. მაღაროს (სიღნაღის რაიონი) მიდამოები წარმოადგენს. იგი ჯანსაღი, სამკურნალო თვისებების მქონე ჰავით ხასიათდება. მაღაროს ჰავა განსაკუთრებით კარგია სისხლნაკლოვან ბავშვთა მკურნალობისათვის. აქ ძველთაგანვე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დიდძალი მოაგარაკე ჩამოდიოდა. რომ სოფ. მაღარო წინადაც საგარაკო ადგილად ყოფილა მიჩნეული ეს იქიდანაც ჩანს, რომ იქ წინათ მეფეთა საზაფხულო სასახლე ყოფილა. ამაზე ვახუშტი მიუთითებს: „ბოდბეს ზეით, ამ ხევზეთ, არს მაღარო სასახლე მეფეთა საზაფხულოდ-“ო[1]. ს. მაღაროში სეზონის განმავლობაში დიდძალი მშრომელი ისვენებს.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბ., 1941., გვ. 97.

ЭКЗЕМПЛЯР ЗАПРЕЩЕНО

Д. Б. УКЛЕБА

ПРИРОДНЫЕ БОГАТСТВА ГАРЕ КАХЕТИ

Резюме

По своим потенциальным природным богатствам Гаре Кахети занимает определенное место среди природных богатств Грузинской ССР; характер рельефа, благоприятный для сельского хозяйства климат, многообразие растительности, плодородные почвы, гидроресурсы, вместе с полезными ископаемыми создают условия, способствующие многостороннему развитию хозяйства Гаре Кахети.

Гаре Кахети характеризуется сравнительно мягким рельефом и низким гипсометрическим положением. 56,8% территории размещено на высоте до 600 м над у. м., 40% — от 600 до 1200 м, и только 3,2% — выше этой отметки. Такое расположение является положительным фактором для разведения разнообразных сельскохозяйственных культур и рационального размещения населения.

Гаре Кахети расположен на Гаре Кахетинском плоскогорье, склонах Цив-Гомборского хребта и, отчасти, Алазанской равнине. Важнейшую роль для хозяйственной деятельности населения играют равнины и нижние склоны Цив-Гомборского хребта; они более освоены под сельскохозяйственные культуры; по ним проходят значительные транспортные магистрали, связывающие Гаре Кахети с остальными частями республики.

Несмотря на некоторые отрицательные факторы, климат Гаре Кахети характеризуется длительностью солнечного сияния, высокой температурой в течении продолжительного периода вегетации, достаточным количеством осадков (за исключением июля-августа) и, в основном, создает благоприятные условия для выращивания разнообразных сельскохозяйственных культур (озимая пшеница, виноградники, плодовые сады, бахчи, и технические культуры).

Гаре Кахети сравнительно беден гидроресурсами; значительными реками здесь являются Иори и Алазани; они частично используются для орошения.

В условиях сравнительно сухого климата Гаре Кахети, для успешного развития сельского хозяйства огромное значение имеет искусственное орошение. Разрешение задачи обеспечения водой этого района возможно путем проведения Нижне-Самгорского и Верхне-Алазанского магистральных каналов.

На рассматриваемой территории, особенно на склонах Цив-Гомборского хребта, имеется большое количество выходов питьевой воды, которые имеют важное значение для расположенных там населенных пунктов.

Разнообразие рельефа и климата, пестрота растительного покрова и литологического состава, вместе с хозяйственной деятельностью человека, обусловили многообразие почв Гаре Кахети. Здесь представлены аллювиальные, черноземные, черноземновидные, перегнойно-карбонатные, каштановые и черноземно-каштановые почвы, а также серо-бурые, коричневые

лесные и др. почвы. Почвы Гаре Кахети характеризуются большой плодородностью и они благоприятны для распространения разнообразных сельскохозяйственных культур.

Значительным природным богатством Гаре Кахети является также ее многообразная флора. Здесь распространены почти все типы растительности, начиная от полупустынной до растительности, характерной для субальпийского типа.

Леса раньше занимали большое пространство Гаре Кахети, но благодаря вмешательству человека, они очень сильно вырублены и в настоящее время их место занято, главным образом, культурным ландшафтом. На рассматриваемой территории основные массивы лесов размещены по Цив-Гомборскому хребту и частично — по берегам Иори и Алазани и в меньшей степени—в Шираки и Эльдари.

По берегам р. р. Иори и Алазани представлены т. н. пойменные леса, в которых встречаются: дуб, осина, ива, карагач, тута и др.

В Ширакской степи, на Эльдарских холмах и в окрестностях Гареджи местами встречаются светлые леса, в составе которых имеются: эльдарская сосна, фисташник, клен, каркас и др.

В Гаре Кахети наибольшей лесистостью отличается Цив-Гомборский хребет. Здесь сравнительно хорошо выражена вертикальная поясность растительности; на нижних склонах хребта распространены дубово-грабовые, выше — буковые, а на склонах соотвествующей экспозиции—местами хвойные леса. На гребневой части Цив-Гомборского хребта развиты субальпийские луга.

Гаре Кахетинское плоскогорье, в основном, представлено травянистой растительностью полупустынь и степей, кустарниками и полукустарниками.

Леса представляют собой значительное природное богатство Гаре Кахети, хотя район в целом беден лесом; общая площадь лесов Сигнахского, Качретского, Сагареджойского и Цителцкаройского районов составляет всего 12,8% всей территории этих районов. На Гаре Кахети приходится 3% лесов Грузии.

По площади лесов из административных районов Гаре Кахети на первом месте стоит Сагареджойский (на него приходится 45,5% лесов всей Гаре Кахети), на втором — Качретский (30,5%); лесами бедны Цителцкаройский (16,7%) и Сигнахский (7,3%) районы.

Леса Гаре Кахети имеют почвозащитное и водоохранное значение, и потому их хозяйственная эксплоатация производится в незначительных размерах; иногда, отсюда в небольшом количестве вывозятся заготовленные дрова и лесоматериалы, из которых более 70% идет на удовлетворение нужд местного населения.

Леса и поля Гаре Кахети богаты естественными лечебными растениями (ромашка, шиповник, блекота, лесная груша (панта) и яблоки, хмель, обвойник, кизил, кавказская белладона, лилия белая), из листьев и плодов которых можно изготовлять ценные лекарства.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Из флоры Гаре Кахети обращают на себя внимание травянистые растения; здесь представлены травы как сухих степей и полупустынь, так и субальпийские. Травяной покров рассматриваемой территории является ценной базой для развития животноводства Гаре Кахети. Пастбища здесь занимают 31,6% всей территории; они расположены на Цив-Гомборском хребте (летние), Гаре-Кахетинском плоскогорье и Алазанской равнине (зимние).

По площади пастбищ на первом месте стоит Цителцкаройский район, на втором — Сигнахский и на последнем — Качретский.

Флора Гаре Кахети интересна также и в том отношении, что она богата медоносными растениями и служит предпосылкой для дальнейшего развития пчеловодства.

Фауна Гаре Кахети не имеет промыслового значения, хотя здесь в отдельных случаях занимаются охотой как в летний, так и в зимний период.

В экономике Гаре Кахети большое значение имеет нефть, промышленные месторождения которой расположены в Мирзаани и Малые Шираки. Из нефтяных месторождений надо отметить также: Тарибанское, Эльдарское, Чатмское, Млашис-хевское, Аландарское, Кила-Купрское и др. Из других полезных ископаемых, не имеющих промишленого значения, можно отметить асфальт и асфальтит (в Шираки и Эльдари), бурый уголь (в окрестностях Аландарие-хеви, Байла-хеви, Кидурмы, Донгуз-ара, Чатмы, Капичи), горючие газы (Шираки, Млашис-хеви, Кила-Купри и др.), глауберовая соль (Мухровани, Азамбури).

Гаре Кахети богат строительными материалами, както: строительный известняк, лессовидные глины, гажа, песок и гравий, которые широко используются местным населением. Часть стройматериалов вывозится и за пределы Гаре Кахети.

Гаре Кахети курортными местами беден и совершенно лишен курортов. Значительным горно-климатическим куротным местом здесь является Кода (на Цив-Гомборском хребте) и Гомбори. Хорошим дачным местом является сел. Магаро. Кроме указанных, следует упомянуть также, расположенные на плоскогорье местности, богатые мелкими грязевыми вулканами: Кила-Купра, Чатма, „Вторая Ахтала“ и др. Грязи последней местные жители уже давно употребляют в качестве лечебного средства (примитивным способом).

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941.
2. ა. გ ო ლ ბ ე ი ი, დ. ს ო ს ნ ო ვ ს კ ი, ნ. ტ რ ო ი ც კ ი, საქართველოს მცენარეულობა, ტფილისი, 1928.
3. ლ. ვ ლ ა დ ი მ ი რ ო ვ ი, საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მშრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.
4. ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბ., 1935.

5. მ. კორძახია, ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრ. სერია, ტომი III (ნაკვეთი 1), თბ., 1948.
6. მ. ნოდია, თბილისის კუროორტები და საკურაკო ადგილები, საქმედგამი, თბ., 1948.
7. მ. სიბაშვილი, ნიადაგმცოდნეობა, თბ., 1952.
8. დ. უკლება, „მეორე ახტალის“ ტალახის ვულკანის შესახებ, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XI, № 1, 1954.
9. ი. ქუთათელაძე. სამეურნალო და ზოგიერთი ტექნიკური მცენარეთა რესურსები საქართველოში, საქმედგამი, თბ., 1945.
10 ვ. ჩხიკვიშვილი და ო. ცუცუნაშვილი, მორწყვის გავლენა ალაზნის ველის ნიადაგების დაკაობება-დამლაშებაზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1948.
11. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, თბ., 1926.
12. ა. ჯავახიშვილი და სხ. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1946.
13. არჩ. ჯანაშვილი, ზოოგეოგრაფია, თბ., 1946.
14 ა. ჯანელიძე, ახტალის ტალახის გენეზისის შესახებ, „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე“, ტ. I, № 7, 1940.
15. И. Н. Буачидзе. К Гидрогеологии Ширакской степи: «сообщ. АН ГССР,» т. VIII, № 8, 1947.
16. Б. С. Э. II изд. том, 13.
17. А. А. Гроссгейм, Растительные богатства Кавказа. М., 1952.
18. А. А. Гроссгейм, Растительный покров Кавказа, М., 1948.
19. Е. К. Вахания, К вопросу разведки отложений верхнего сармата в структурах Мланшехеви, Тарибани и Дилигори (южн. Кахетия), Бюллетень Грузнефти № 1-2, Тб, 1947.
20. А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Грузинской ССР, Типы рельефа и районы их распостранения, Изд. АН ССР, М-Л, 1947.
21. А. Г. Лаптев, За создание крупной нефтяной промышленности в Грузинской ССР. Бюллетень Грузнефти № 1—2, Тб., 1947.
22. А. Ф. Ляйстер и Г. Ф. Чурсин, Закавказья. Тифлис, 1927.
23. М. Н. Сабашвили, Почвы Грузии, Тб., 1948.
24. А. О. Саникидзе, Почвы Кахетии, Труды Институт. Виноградарства и Виноделия. Тб., 1940.
25. А. А. Шатский, Материалы к познанию климата бассейна р. Алазани, ч I,— Кахетия Тифлис, 1934.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. VII, 1955
Академия наук ГССР. Труды Института географии им. Вахушти, т. VII, 1955
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჯაოშვილი

გარე კახეთის მოსახლეობა და მთავარი დასახლებული პუნქტები

I. გარე კახეთის მოსახლეობის წარსულიდან

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი კუთხეა. მდიდარია იგი თავისი მშვენიერი ბუნებით, მაგრამ კახეთის მთავარ სიმდიდრეს ყოველთვის მისი მოსახლეობა შეადგენდა, რომლის შესახებ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „...კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი და მზგავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნეობითა ქართლისათა...“ [1].

ჯერ კიდევ ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში კახეთი შეძლებული და მჭიდროდ დასახლებული მხარე იყო, მაგრამ გარეშე მტრების მუდმივმა შემოსევებმა უდიდესი ზიანი მოუტანეს მის მეურნეობრივ და კულტურულ განვითარებას. აღმოსავლეთიდან მოსული მტრის ურდოები უმთავრესად კახეთის დარბევით იკვლევდნენ გზას საქართველოს შიდა საერისთავოებისაკენ. ამიტომ, ცხადია, მტრის შემოსევა ყველაზე უფრო მძიმე კახეთის მოსახლეობისათვის იქნებოდა; ეს მხარე ხშირად სხვა კუთხეებზე მეტად ნადგურდებოდა.

განსაკუთრებით მძიმე იყო გარე კახეთისათვის XVII საუკუნის პირველ მეოთხედში შაჰ-აბასის შემოსევები. სპარსელთა ურდოებმა უდიდესი ბარბაროსობა გამოიჩინეს ამ მხარის აოხრებაში: გადაწვეს სოფლები, გაჩეხეს და გაანადგურეს ბაღ-ვენახები, დაანგრიეს და მოსპეს ქალაქები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები. ხალხის ნაწილი უთანასწორო ბრძოლაში შეაკვდა მაშინ მტერს; ცოცხლად დარჩენილნი კი აჰყარეს და ირანის შორეულ და მძიმე გზას გაუყენეს. მათი დიდი ნაწილი გზაში დაიხოცა ან ტყვედ გაიყიდა, ხოლო ვინც გადარჩა ირანის სხვადასხვა კუთხეში იქნა დასახლებული. ასეთი გაჩანაგების შემდეგ გარე კახეთში თითქმის აღარ დარჩენილა მკვიდრი მოსახლეობა.

გაპარტახებულ კახეთში ქართველების ნაცვლად შაჰ-აბასის ბრძანებით თურქმანებს ასახლებდნენ.

მიუხედავად ასეთი სისასტიკისა, ხალხი არ ურიგდებოდა დამპყრობლებს. მთაში გახიზნული მოსახლეობა კვლავ უბრუნდებოდა მშობლიურ ადგილებს და აჯანყებებს აწყობდა მოძალადეთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თავისი მასშტაბით და შედეგებით 1659 წლის აჯანყება, როცა

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახელები მედგრად ეკვეთნენ ჩამოსახლებულ უცხოელებს და თავის ქვეყანიდან თურქმანებისაგან გაწმენდეს [1].

არანაკლებ მძიმე იყო და აუტანელი XVII—XVIII საუკუნეებში ლეკების თარეში კახეთში. დაღესტნელთა ბანდები მოსევნებას არ აძლევდნენ მშვიდობიან სოფლებს, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას, ტყვედ წაყვანილთ კი მონებად ყიდდნენ უცხოეთში. სწორედ ამ პერიოდში შეძლეს ჭარელმა ლეკებმა ოსმალეთის დახმარებით აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) მიტაცება და აქაური ქართველი მოსახლეობის გამაჰმადიანება [2].

ამ გამუდმებულ თავდასხმების გამო კახეთის მოსახლეობა არა ერთხელ იდგა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე და მხოლოდ უსაზღვრო გმირობისა და მშობლიური კერის დასაცავად თავგანწირვის შედეგად შეინარჩუნა ხალხმა ფიზიკური არსებობა, თავისი მატერიალური და სულიერი კულტურა.

იმის გამო, რომ გარე კახეთმა წარსულში მრავალგზის განიცადა აოხრება, მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა აქ ხშირად კატასტროფულად მცირდებოდა და ამის შედეგად ადგილი ჰქონდა როგორც ქართველების, ისე სხვა ერის ხალხთა ჩამოსახლებას. კერძოდ, აზერბაიჯანელები ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში ჩამოასახლეს იორის სანაპიროებზე. საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს აგრეთვე სომხების ჩასახლებას სიღნაღში და გარე კახეთის ზოგიერთ სოფელში. მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის დამდეგისათვის ეს მხარე სუსტად იყო დასახლებული და აქ გამოუყენებელი მიწების საკმაოდ დიდი მარაგი არსებობდა. ამან გამოიწვია XIX საუკუნის მეორე ნახევარში და 900-იან წლებში გარე კახეთში როგორც ქართველი, ისე რუსი გლეხების ჩასახლება. ამ პერიოდში შეიქმნა გარე კახეთის ზეგანზე რიგი დასახლებული პუნქტებისა, სწრაფად გაიზარდა ბევრი არსებული სოფლის მოსახლეობა. ახლად შექმნილი სოფლებიდან აღსანიშნავია ზემო და ქვემო ქედი, არხილოსკალო, დედოფლის წყარო (თანამედროვე წითელი წყარო), სვეჩინო (ჯაფარიძე), კელმეჩური (ულიანოვკა), ბოგდანოვკა, მალხაზოვკა (კრასნოგორსკი) და სხვ.

მაგრამ მშრომელი მოსახლეობის ზედმიწევნით დაბალი საარსებო დონის პირობებში და მალარიის ფართოდ გავრცელების გამო რევოლუციამდელ გარე კახეთში მოსახლეობის რიცხვი მაინც ნელა ნატულობდა. ასე, მაგალითად, 1886წელს მოსახლეობის რიცხვი 84.601 სულს შეადგენდა [3], ხოლო 1902 წელს—95.380 სულს [4], ე. ი. 16 წლის მანძილზე ზრდა უდრიდა 10.779 სულს, ანუ საშუალო წლიური მატება 0,79 %-ს ეთანაბრებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა გარე კახეთის მოსახლეობის შესამჩნევ მექანიკურ ზრდას, უკანასკნელი მონაცემები დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება; იგი თითქმის ორჯერ ჩამორჩება 1926—1939 წლების ანალოგიურ მაჩვენებელს.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 314—316.

[2] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „მიმომხილველი", ტ. III, თბ., 1953, გვ. 84.

[3] Тифлисская губерния, Свод статистических данных за 1886 год, Таблицы по городам и уездам, Тифлис, 1893.

[4] В. П. Ляхов, Военно-статистическое описание Тифлисской губернии и Закатальского округа, Тифлис, 1902, стр. 400 и таблица 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის ზრდას დიდად აფერხებდა სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი. 1882—1889 წლებში ყოველ ას დაბადებულზე მოდიოდა 63,5 გარდაცვლილი[1]. ავადმყოფობათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო მალარიით დაავადება. არასრული ცნობებით 1906 წელს ავადმყოფობდა კახეთის მთელი მოსახლეობის 40 %, ხოლო მათ შორის მალარიით დაავადებულთა რიცხვი 59 %-ს შეადგენდა. მალარიის გავრცელებამ იმდენად საშიში ხასიათი მიიღო, რომ ალაზნის ველის ზოგიერთი სოფელი ამოწყვეტის გზაზე იყო დამდგარი[2].

თუ მალარიის ფართოდ გავრცელებასთან ერთად გავითვალისწინებთ მეფის რუსეთში არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ ჩაგვრას, კახეთის მშრომელი მოსახლეობის უკიდურეს სიღარიბეს და ამით გამოწვეულ ცუდ საყოფაცხოვრებო და ჰიგიენურ პირობებს, ჩვენთვის ცხადი გახდება წარსულში გარე კახეთის მოსახლეობის ნელი ტემპით ზრდის მიზეზები.

II. მოსახლეობის ზრდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში

საბჭოთა პერიოდში გარე კახეთის მოსახლეობის დინამიკის გასარკვევად ჩვენ ვაარგებლობთ 1926 და 1939 წლების მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მასალებით. ამ მასალების მიხედვით გარე კახეთის მოსახლეობის ზრდა შემდეგ სურათს იძლევა:

რაიონები	1926 წ.	1939 წ.	%-ში 1939 წ. 1926 წლის მიმართ
საგარეჯოს რაიონი	28.523	34.276	120,1
კაჭრეთის „	22.474	23.796	105,9
წითელწყაროს „	19 748	31.667	160,3
სიღნაღის „	48.825	52.197	106,9
სულ	119.570	141.936	118,7

მოტანილი ციფრები გვიჩვენებენ 1926—1939 წლებში გარე კახეთის მოსახლეობია საკმაოდ ინტენსიურ ზრდას, რაც შედეგი იყო საბჭოთა ხალხის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუმჯობესებისა. ამ პერიოდში მოსახლეობის საშუალო წლიური მატება 1,4 %-ს შეადგენდა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა წითელწყაროს რაიონის მოსახლეობა. აქ მოსახლეობის ბუნებრივ მატებასთან ერთად ადგილი ჰქონდა მის მექანიკურ ზრდასაც; ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, რაიონში მრეწველობის გაფართოებით და, მეორე მხრივ, შირაქში მიწის ახალი ფართობების ათვისებით.

შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით გაიზარდა სიღნაღისა და კაჭრეთის რაიონების მოსახლეობა, რაც შედეგია ამ რაიონებიდან მცხოვრებთა ნაწილობრივ წაკვლისა. ამ გარემოებამ შეანელა როგორც აღნიშნული რაიონების, ისე მთლიანად გარე კახეთის მოსახლეობის ზრდის ტემპები, რის

[1] И. И. Пантюхов, К статистике Кавказской паталогии, Медицинский сборник Кавказского Медицинского общества, Тифлис, 1898, № 61, таблица на стр. 173.

[2] Д. Ахвледиани. Население Кахетии, Тифлис. 1909, стр. 53—54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგადაც აქ მოსახლეობის მატება ჩამორჩა მთლიანად საქართველოს მოსახლეობის სწრაფ ზრდას. რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა 1926—1939 წლებში შეადგენდა 2,5 %-ს, ანუ 1,8-ჯერ აღემატებოდა გარე კახეთის მოსახლეობის ზრდის ტემპებს. ამან გამოიწვია გარე კახეთის მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირება საქართველოს მთელ მოსახლეობაში 4,5 %-დან 1926 წელს 4,0 %-მდე 1939 წელს.



გარე კახეთის მოსახლეობის დინამიკა 1886—1939 წლებში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გარე კახეთის ცალკე პუნქტების სამეურნეო მნიშვნელობის ზრდას მოჰყვა სამი ქალაქის ტიპის დაბის შექმნა (წინათ აქ მხოლოდ ერთი ქალაქი—სიღნაღი არსებობდა), რის შედეგადაც სწრაფად გაიზარდა ამ მხარის ქალაქის მოსახლეობა. 1926 წელს ქალაქის მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა 4.853 სულს, ანუ მთელი გარე კახეთის მოსახლეობის 4 %-ს, 1939 წელს კი 12.222 სულს, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 8,6 %-ს. ამრიგად, 13 წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი რაოდენობა გარე კახეთის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა ორჯერ და კიდევ უფრო მეტად, ხოლო აბსოლუტური ოდენობა—2,5-ჯერ.

მიუხედავად ასეთი სწრაფი ზრდისა, გარე კახეთის ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა მცხოვრებთა მთელ ოდენობაში მაინც მცირეა და ამ მხრივ ეს მხარე დიდად ჩამორჩება მთლიანად საქართველოს. 1939 წლის აღწერის მასალებით ქალაქად ცხოვრობდა რესპუბლიკის მოსახლეობის 30,1 %, ხოლო გარე კახეთში, როგორც დავინახეთ,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

8,6%. იმავე წელს გარე კახეთზე მოდიოდა საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა მხოლოდ 1,1%, მაშინ, როდესაც ამ მხარეში ცხოვრობდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 4%. ასეთი დიდი განსხვავება იმის შედეგია, რომ გარე კახეთი ძირითადად სოფლის მეურნეობის რაიონს წარმოადგენს საკმაოდ განვითარებული მემინდვრეობით, მევენახეობით და ბესაქონლეობით და მოსახლეობაც უმთავრესად მეურნეობის ამ დარგებშია ჩაბმული. მრეწველობა, რომელიც თანამედროვე ქალაქების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს, აქ შედარებით სუსტადაა განვითარებული და ამიტომ ქალაქის მოსახლეობაც მცირერიცხოვანია, მიუხედავად იმისა, რომ გარე კახეთის ქალაქის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სოფლის.

გარე კახეთის სოფლის მოსახლეობაში კოლმეურნენი და მათი ოჯახის წევრები შეადგენენ 82%-ს, ხოლო მუშა-მოსამსახურეები თავისი ოჯახის წევრებით—18%-ს. კოლმეურნეთა ნაწილი მუშაობს სახელმწიფო წარმოებადაწესებულებებში. ამ გარემოების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარე კახეთის სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 4/5 ჩაბმულია საკოლმეურნეო წარმოებაში, 1/5 კი საბჭოთა მეურნეობებში, მრეწველობაში, ტრანსპორტში და სახელმწიფო დაწესებულებებში. მოსახლეობის ამ ფენას ეკუთვნიან განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, ვაჭრობის მუშაკნი, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაციების და საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი.

აღსანიშნავია ის გარემობა, რომ გარე კახეთის სოფლის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი (დაახლოებით 10%), განსაკუთრებით საგარეჯოს და კაჭრეთის რაიონებიდან, ჩაბმულია გარე სამუშაოებში, კერძოდ, თბილისისა და ნაწილობრივ რუსთავის მრეწველობასა და მშენებლობაში. მსგავი ქალაქის სიახლოვე თავის გავლენას ახდენს ამ მიმართულებით და მიიზიდავს აღნიშნული რაიონების შრომითი რესურსებს.

გარე კახეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველები შეადგენენ. საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე ჩამოსახლებული რუსები, აზერბაიჯანელები და სომხები.

ოქტომბრის რევოლუციამდელ სიღნაღში მოსახლეობის ნახევარზე მეტი სომხებისაგან შედგებოდა, რომლებიც ვაჭრობასა და ხელოსნობაში იყვნენ ჩაბმული. სიღნაღს გარდა სომხები ამჟამად მცირე რაოდენობით ცხოვრობენ გარე კახეთის შემდეგ სოფლებში: მანავში, საგარეჯოში, ნინოწმინდაში, კაკაბეთში, ჩაილურში, ყანდაურაში. დაბა წითელი წყაროს მოსახლეობის ნაწილიც სომხებისაგან შედგება. ამავე რაიონის სოფელი წითელი საბათლო მთლიანად სომხებთაა დასახლებული. ამ უკანასკნელ დასახლებულ პუნქტს თუ არ ვივიღებთ მხედველობაში, გარე კახეთის სოფლებში მცხოვრებმა სომხებმა სრული ასიმილაცია განიცადეს და თითქმის არაფრით არ გამოირჩევიან ადგილობრივი ქართველი მოსახლეობისაგან. დედაენად მათ ქართული ენა მიიღეს და ზნე-ჩვეულებანიც ქართული შეითვისეს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და 900-იან წლებში მეფის მთავრობამ გარე კახეთში რუსი მოსახლეობის რამდენიმე კოლონია მოაწყო. მათ შორის აღსანიშნავია დედოფლის წყარო (თანამედროვე წითელი წყარო), სვეჩინო (ჯაფარიძე), ნიკოლაევკა (ლენინოვკა), ბოგდანოვკა, მალხაზოვკა (კრასნოგორსკი), კელმეჩური (ულიანოვკა) და გომბორი. გარდა რუსეთიდან გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობული გლეხებისა, დედოფლის წყაროსა და გომბორში სახლდებოდნენ აგრეთვე ამ პუნქტებში დაბინავებული სამხედრო ნაწილებიდან სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ დათხოვნილი რუსი ჯარისკაცები.

მთლიანად აზერბაიჯანელებითაა დასახლებული კაპრეთის რაიონის იორის ნაპირს მდებარე სოფლები: იორმუღანლო, ქეშალო, ლამბალო, თულარი, დუზაგარამა და იქვე განლაგებული რამდენიმე წვრილი დასახლებული პუნქტი. საგარეჯოს რაიონის სოფ. მუღანლოს მოსახლეობა შედგება აგრეთვე მთლიანად აზერბაიჯანელებისაგან, ხოლო სოფ. გომბორისა—ნაწილობრივ.

მოსახლეობის ჩასახლება გარე კახეთში საბჭოთა პერიოდშიც გრძელდება. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე თუმცა ჩასაალება წარმოებდა წინასწარ დასახული გეგმის გარეშე, მაგრამ შირაქში ნავთის ამოღების სწრაფად განვითარებამ საკმაოდ დიდი რაოდენობით მიიზიდა მუშახელი და გამოიწვია მოსახლეობის ჩქარი ზრდა წითელწყაროსა და მირზაანში. შეუჩერებლივ გრძელდებოდა აგრეთვე თვით წითელწყაროსა და მის მეზობლად მდებარე სოფ. ჯაფარიძეში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაწყებული ქართველი სოფლის მოსახლეობის ჩასახლება. ამ ორ პუნქტში 1952 წელს საშჯერ უფრო მეტი მოსახლეობა იყო, ვიდრე 1926 წელს. ასევე ინტენსიურად წარმოებდა ჩასახლება სოფლებში—ზემო და ქვემო ქედში და არხილოსკალოში; ამ სოფლების მოსახლეობაც თითქმის გასამკეცდა აღნიშნულ პერიოდში.

საქართველოს მთიან რაიონებიდან, სადაც ვარგისი მიწების დიდი სიმცირე არსებობს, მოსახლეობის ბარში ჩასახლებამ ფართო ხასიათი მიიღო ომის შემდეგ პერიოდში. მსგავი საირიგაციო სისტემების მშენებლობამ დააჩქარა ეს პროცესი, რადგან შესაძლებელი გახდა წინათ გამოუყენებელი მიწების ათვისება. გამოჰყო რა ჩასახლების რაიონები, ხელისუფლება მსხვილ თანხებს ხარჯავს საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობათა აგებაზე ამ ადგილებში. ერთ-ერთ ასეთ რაიონს წარმოადგენს გარე კახეთი, სადაც ზემო სამგორის სარწყავი სისტემის აგების შემდეგ ათვისებულ იქნა წინათ გამოუყენებელი მიწები და განხორციელდა სოფლის მოსახლეობის ჩასახლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარე კახეთში ჯერ კიდევ არსებობს აუთვისებელი მიწების დიდი მარაგი. ამ მიწების გამოყენება მოხერხდება ივრის პირა მიდამოებისა და შირაქის ველის მორწყვის შედეგად, რისი განხორციელების შესაძლებლობაც მომავალში უთუოდ არსებობს საბგორის სარწყავი სისტემის მეორე რიგისა და, განსაკუთრებით, დიდი ალაზნის არხის მშენებლობის პერსპექტივასთან დაკავშირებით. მაშინ ყველა პირობა შეიქმნება იმისათვის, რომ იორის აუზის დღეისათვის ნახევრად უდაბნოს მსგავსი ველები აყვავებულ და მჭიდროდ დასახლებულ მხარედ გადაიქცნენ. ცხადია, ეს გამოიწვევს გარე კახეთში მოსახლეობის ახალი კონტინგენტების ჩასახლებას საქართველოს მთიან რაიონებიდან, რაც დიდად გაუუმჯობესებს გადმოსახლებულთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს და შესაძლებელს გახდის ამ მხარის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას.

III. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება

გარე კახეთის სოფლების უმრავლესობა ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთების ძირს გასდევს დასახლების წყვეტილ ზოლად. იმის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო, რომ ციე-გომბორის ქედის სიმაღლე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ საკმაოდ სწრაფად ეცემა და მალე იგი, კარგავს რა თავის ოროგრაფიულ მთლიანობას, იშლება დაბალ მთის შტოებად[1], დასახლების აღნიშნული ზოლიც, რაც უფრო მიიწევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მით უფრო უაბლოდება ქედის თხემს და უკვე სიღნაღის რაიონის ფარგლებში თვით მთის განშტოებათა თხემებს გასდევს (სოფლები: ნუკრიანი, ზ. ბოდბე, ზ. მაღარო და სხვ.). დასახლების ეს ზოლი თავის საერთო მიმართულებას წითელწყაროს რაიონის ტერიტორიაზედაც ინარჩუნებს და მთავრდება შირაქის ჩრდილო კიდეზე მდებარე მცირე სიმაღლის ქედზე. ამრიგად, კომპაქტური დასახლების ეს საკმაოდ მკვეთრად გამოსახული ზოლი დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთიდან აღმოსავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება სოფ. ხაშმიდან სოფ. ქვემო ქედამდე (დაახლოებით 130 კმ). ზოლში 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტია და გარე კახეთის მოსახლეობის 59—60% ცხოვრობს. დასახლებული პუნქტებიდან სამი რაიცენტრია: საგარეჯო, კაჭრეთი და წითელი წყაროო, რომელთაგან უკანასკნელი ქალაქის ტიპის დაბას წარმოადგენს. თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი აქ ზღვის დონიდან 600—800 მ მდებარეობს, დასახლებისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში.

დასახლების ცალკე ზოლს ქმნიან სიღნაღის რაიონის ის სოფლები, რომლებიც განლაგებული არიან ციე-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთების ძირში. აქ სოფ. ანაგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით სოფ. ყარაღაჯამდე მთის ფერდობებისა და ალაზნის ვაკის მიჯნაზე თითქმის უწყვეტ ზოლად არის განლაგებული ათამდე მსხვილი დასახლებული პუნქტი, სადაც თავმოყრილია სიღნაღის რაიონის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი.

ორივე აღნიშნული ზოლის მოსახლეობა, განლაგებული ციე-გომბორის ქედის კალთების ძირში და ამ ქედის განშტოებათა თხემებზე, გარე კახეთის მოსახლეობის 81—82%-ს შეადგენს. დასახლებისათვის ასეთი ზონის შერჩევა ადამიანის მიერ გეოგრაფიული გარემოს გამოყენების ერთ-ერთ ტიპიურ შემთხვევას წარმოადგენს. სოფლები შენდებოდა მთისა და ვაკის მიჯნაზე, სადაც დასახლების ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. ამ პირობებს ეკუთვნის, პირველ ყოვლისა, სასმელი წყლის არსებობა და ჯანსაღი კლიმატი. ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ამ ზონაშია ყველაზე უფრო ვარგისი ნიადაგები ვენახისა და ხეხილის გასაშენებლად. ასეთი ნიადაგები, პირველ რიგში, მდინარეებისა და ხევების გამოტანის კონუსებზეა გავრცელებული. არანაკლები როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ წარსულში გარეშე მტრის მუდმივი შემოსევები აიძულებდა მოსახლეობას ტყით შემოსილი მთის ფერდობები თავშესაფარადაც გამოეყენებინა. მტრისაგან თავდაცვის გასაადვილებლად, შუა საუკუნეებში, მოსახლეობა ხშირად მთის მაღალ კალთებსაც იყენებდა დასასახლებლად: ზოგჯერ სოფელი გარს ერტყა ფეოდალის საგვარეულო ციხე-კოშკს. უკანასკნელი 100—150 წლის მანძილზე მთელ რიგ ადგილებში მოხდა მოსახლეობის უფრო ვაკისაკენ გადაადგილება, რასაც ხელი შეუწყო მიწის დასამუშავებელ ფართობებთან დაახლოების მისწრაფებამ. ასეთი ტენდენციის შედეგად წარმოიშვა

---

[1] А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Грузинской ССР, Изд. АН СССР, М.—Л., 1947.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოეს წარსულში მსხვილი სოფლები: ქვემო ბოდბე, ქვემო მაღარაძე, ... ლი ანაგა და სხვ.

გარე კახეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ორი აღნიშნული ზოლის გარეთაა დარჩენილი, შეადგენს ამ მხარის მცხოვრებთა 17—19%-ს და განსახლებულია უმთავრესად მდინარე იორის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ. საბჭოთა პერიოდში დასახლებული პუნქტები გაჩნდა აგრეთვე შირაქის ველზე; მათ შორის მნიშვნელოვან დასახლებას წარმოადგენს დაბა მირზაანი, სოლო დიდი და პატარა შირაქი და ელდარის საბჭოთა მეურნეობის დასახლება ჯერჯერობით მცხოვრებთა არც თუ ისე დიდი რაოდენობით გამოირჩევიან. მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი ცხოვრობს აგრეთვე საგარეჯოს რაიონის მთიან ზონაში.

გარე კახეთის დასახლებული პუნქტებისა და მოსახლეობის განლაგება ჰიფსომეტრული ზონების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

სიმაღლე ზღვის დონიდან (მეტრებში)	დასახლებულ პუნქტების რიცხვი (პროცენტებში)	მოსახლეობა (პროცენტებში)
200—400	12.0	19.6
401—600	13.9	8.7
601—800	50.0	61.5
801—1000	13.0	8.3
1001—1200	9.3	1.7
1201—1400	1.8	0.2
	100.0	100.0

მოსახლეობის 9/10 განსახლებულია ზღვის დონიდან 200--800 მეტრ სიმაღლეზე და მხოლოდ მცირე ნაწილი (10.2%) ცხოვრობს 800—1400 მეტრ სიმაღლეზე.

1939 წლის მონაცემებით გარე კახეთში ერთ კვ. კმ-ზე საშუალოდ ცხოვრობდა 25 სული, მაშინ როდესაც მთლიანად საქართველოსათვის იგივე მაჩვენებელი უდრიდა 51-ს. ასეთი დიდი განსხვავება გარე კახეთის და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვეს შორის აიხსნება იმით, რომ გარე კახეთის ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის ჯერჯერობით გამოუსადეგარია და ამიტომ სუსტადაა დასახლებული. მოსახლეობის სიმჭიდროვეს ამცირებს აგრეთვე გარე კახეთში ქალაქის მოსახლეობის მცირე ხვედრითი რაოდენობა. ამ უკანასკნელი გარემოების გავლენა მოსახლეობის სიმჭიდროვის საშუალო მაჩვენებელზე ნათელი გახდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ გარე კახეთისა და მთლიანად საქართველოს მხოლოდ სოფლის მოსახლეობას. იმავე 1939 წელს სოფლის მოსახლეობის სიხშირე გარე კახეთში შეადგენდა 22,5 სულს ერთ კვ. კმ-ზე, მთლიანად საქართველოში კი 36-ს. როგორც ვხედავთ, სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვით გარე კახეთი, მართალია, ჩამორჩება მთლიანად რესპუბლიკას, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე მთელი მოსახლეობის სიხშირით.

აღსანიშნავია, რომ გარე კახეთში ყველა ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორია ერთნაირად არ არის დასახლებული. მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველაზე მეტია სიღნაღის რაიონში და ყველაზე მცირეა წითელწყაროს რაიონში, საგარეჯოს და კაჭრეთის რაიონებს კი საშუალო ადგილი უკავიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობა თანაბრად არ არის განაწილებული აგრეთვე თვით ამ მინისტრაციული რაიონების შიგნითაც. თითოეული რაიონის ტერიტორიის ყველა ნაწილი, რა თქმა უნდა, ერთნაირად გამოსადეგი არ არის დასახლებისათვის და ამიტომ სოფლების უდიდესი ნაწილი შენდებოდა კომპაქტურად, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მქონე ზონებში.

სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში ყველაზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული „წინამხარე", ანუ ცივ-გომბორის ქედის დაბოლოებაზე მდებარე სოფლები, რომლებიც წინათ ქიზიყს შეადგენდნენ. რამდენიმე ათეული კვ. კმ-ის ფართობზე აქ განლაგებულია მრავალი მსხვილი დასახლებული პუნქტი: სიღნაღი, წნორი, ანაგა, ვაქირი, საკობო, ბოდბისხევი, ჯუგაანი, ქვემო მაჩხაანი, ზემო მაჩხაანი, არბოშიკი, მირზაანი, ტიბაანი და სხვ. მოსახლეობის სიმჭიდროვე კახეთის ამ ნაწილში 500 კაცს აღემატება 1 კვ. კმ-ზე, რაც, ერთი მხრივ, იმით უნდა აიხსნას, რომ აქ დასახლების ყველაზე კარგი პირობებია—ჯანსაღი კლიმატი, სასმელი წყალი და სხვ., მეორე მხრივ, ამ ტერიტორიაზე მდებარეობს რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი—ქალაქი სიღნაღი და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო-სამრეწველო ქალაქის ტიპის დასახლება—წნორი. მოსახლეობის სიმჭიდროვე აქ იმითაც აიხსნება, რომ ისტორიული კახეთის ეს მხარე ყველაზე უფრო ხშირად განიცდიდა მტრის ურდოების შემოსევას, ხოლო მეზობლად განლაგებულ სოფლებს მეტი საშუალება ჰქონდათ კარგად გამოეყენებინათ მთიანი ადგილი და ერთიანი ძალით უკუექციათ თავდამსხმელები. დაბოლოს, კომპაქტური დასახლების შექმნას ისტორიულ ქიზიყში ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ აქ არ ყოფილა ბატონყმობა[1] და ფეოდალური დამოკიდებულების უღელი შედარებით უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე კახეთის სხვა კუთხეში. დასახლებია მეორე კომპაქტურ ჯგუფს სიღნაღის რაიონში შეადგენენ სოფლები: ქვემო მაღარო, ქვემო ბოდბე და ულიანოვკა. ეს სოფლები მხოლოდ XIX საუკუნიდან არსებობენ და ფაქტიურად ერთ მთლიან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენენ მოსახლეობის საერთო რიცხვით 10 ათას კაცამდე.

წითელწყაროს რაიონის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ შედის ქიზიყში, კომპაქტური განსახლებია ორ ჯგუფს წარმოქმნის. დაბა წითელი წყარო და სოფ. წითელი წყარო სოფ. ჯაფარიძესთან ერთად დასახლების ერთ მთლიან კომპაქტურ ჯგუფს შეადგენს. მეორე ჯგუფს შირაქის ჩრდილო ნაწილში ქმნიან სოფლები—ზემო და ქვემო ქედი და არხილოსკალო.

დასახლების ასეთივე ჯგუფები გამოიყოფა კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებშიც, თუმცა წინა რაიონებთან შედარებით აქ უფრო სუსტადაა წარმოდგენილი მოსახლეობის კომპაქტური განსახლება.

კაჭრეთის რაიონში მჭიდროდ დასახლებულ ჯგუფს შეადგენს თვით კაჭრეთი და მის ახლო განლაგებული სოფლები: მახარაძე, ჯიმითი, არაშენდა და სხვ. არა ნაკლებ მჭიდროდაა დასახლებული ერთმანეთის მეზობლად მდებარე სოფლები—ჩაილური, კაკაბეთი და ყანდაურა, აგრეთვე იორის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლები: იორმუღანლო, ლამბალო, დუზაგრამა და სხვ.

საგარეჯოს რაიონში პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რაიონის ცენტრი და მისი მოსაზღვრე სოფლები გიორგიწმინდა და ნინოწმინდა; ამ სამ პუნქტ-

[1] «Кахетия», приложение к справочной книге старожила, „Кавказ", Тифлис, 1891, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში რაიონის მოსახლეობის ერთი მესამედია გაერთიანებული. ინტერესნოფ-ლებული არ არის მოვიგონოთ, რომ საგარეჯო ძველთაგანვე საკმაოდ მჭიდ-როდ დასახლებული სოფელი იყო. 1804 წელს რუსი მოხელეების მიერ ჩატარე-ბული კახეთის პირველი აღწერით აქ ითვლებოდა 1500 მცხოვრები, ხოლო სამივე დასახლებულ პუნქტში სულ ცხოვრობდა 2556 სული [1]. ამ სოფლების მოსახლეობა უკანასკნელი 150 წლის მანძილზე დაახლოებით 4,5-ჯერ გაი-ზარდა.

უფრო მცირე, მაგრამ საკმაოდ კომპაქტურ ჯგუფს ქმნიან სოფლები— სართიჭალა და მუღანლო. სამგორის სარწყავი სისტემის აგების შემდეგ სარ-თიჭალაში სოფლის მოსახლეობის ჩასახლების შედეგად, იგი გადაიქცა ერთ-ერთ მსხვილ და კეთილმოწყობილ სოფლად მთელ გარე კახეთში.

თუ გარე კახეთის ზოგიერთი ადგილი ასე მჭიდროდაა დასახლებული, სამაგიეროდ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი სრულიად დაუსახლებელია. მდინარე იორის სანაპიროებზე სართიჭალასა და იორ-მუღანლოს ჯგუფის სოფ-ლებს შუა, აგრეთვე ამ სოფლებს ქვემოთ, არც ერთი დასახლებული პუნქტი არ არის. ამ მდინარის სამხრეთით მდებარე ვრცელი სივრცე, რომელიც უდაბნოს საზამთრო საძოვრებსა და გარეჯის მთიან ნაწილს მოიცავს, თითქ-მის მთლიანად დაუსახლებელია. ასევე დაუსახლებელია შირაქის უდიდესი ნაწილი და ელდარის ველი. ყველა ეს ადგილი მოკლებული იყო ძველთაგანვე სასმელ და სარწყავ წყალს, რის გამო არც მოსახლეობა სახლდებოდა და მიწის დამუშავებაც თითქმის არ წარმოებდა. სამაგიეროდ ამ მიწებს იმთა-ვითვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც საზამთრო საძოვრებს. ჩვენ დროში შირაქის ველი და ივრის ხეობის სხვა წინათ გამოუყენებელი მიწების ნაწილი უკვე მუშავდება და პურის მოსავლის ბარაქიან წყაროდაა გადაქ-ცეული.

გარე კახეთის მთელი მოსახლეობის 62.3 % ცხოვრობს 24 მახვილ და-სახლებულ პუნქტში; თითოეულ ამ პუნქტში მოსახლეობის რიცხვი 2.000 კაცს აღემატება. მათ შორის ერთი ქალაქია, ორი დაბა და 21 სოფელი (აქედან ერთი რაიონის ცენტრია—საგარეჯო). მოსახლეობის 30,2 % განლაგებულია 39 საშუალო სიდიდის დასახლებულ პუნქტში (მცხოვრებთა რიცხვი ასეთ სოფლებში შეადგენს 500—2000 კაცს); მათ შორის ერთი დაბაა (ბირზაანი) და 38 სოფელი (რომელთაგან ერთი რაიონის ცენტრია—კაჭრეთი). წვრილ სოფლებში, რომელთა რიცხვი 45-ს შეადგენს, თავმოყრილია მოსახლეობის უმცირესი ნაწილი—7,5 %.

როგორც ვხედავთ, საცხოვრებელი პუნქტის ძირითად ტიპს გარე კა-ხეთში წარმოადგენს მსხვილი სოფელი. ასეთი სოფლები ხშირად ერთმანეთის მეზობლად არიან განლაგებული და ქმნიან დასახლების ერთიან კომპაქტურ ჯგუფს.

გარე კახეთის სოფლების დიდ ნაწილს არა აქვს პირდაპირი და განი-ერი ქუჩები. სახლები განლაგებულია მეტწილად ერთმანეთის ახლოს. რო-გორც ჩანს, მათი მშენებლობის დროს არ გამოდიოდნენ სოფლის ერთიანი დაგეგმარების ინტერესებიდან; ყოველი გლეხი თავის სურვილისდამიხედვით იყენებდა მის განკარგულებაში მყოფ მიწის მცირე ნაკვეთს და როგორც

[1] გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა, ცხრილი № 5: „საქართველოს არქივი“, III, თბილისი, 1927.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ჩათვლიდა მოხერხებულად, ისე ჩადგამდა სახლს. ვენახი და ბაღჩა უფრო ხშირად საცხოვრებელი უბნის გარეთ არის გატანილი, ზოგჯერ კი კარმიდამის ეკვრის; თითქმის ყველა ეზოში შეხვდებით ხეხილს და ბოსტანს. სოფლის შიდა გზები შედარებით ვიწროა (რამდენიმე მეტრი) და საკმაოდ დახლართული.

ამ ტიპის სოფლებიდან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ის სოფლები, რომლებიც უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში გაშენდა (მაგ., ზემო ქედი, არხილოსკალო, ქვემო ქედი, ჯაფარიძე, წითელი წყარო, ულიანოვკა, ბოგდანოვკა, კრასნოგორსკი და სხვ.) ამ სოფლებს გადაჭრის ფართო და პირდაპირი ქუჩები, რომელთა გასწვრივ აშენებული ქვის, აგურის ან ალიზისაგან ნაგები სახლები. არსებითი ცვლილებებია შეტანილი იმ სოფლების განლაგებაში, რომლებიც შენდებიან ვეგმიანად ახლად ჩამოსახლებულთათვის. აქ აშენებენ ოროთახიან ქვისა და აგურის კოხტა სახლებს დამხმარე სათავსოებით. სახლის ირგვლივ თითოეული ოჯახისათვის გათვალისწინებულია 5 ათასი კვ. მეტრი მიწის ფართობი საკარმიდამო ნაკვეთად. სოფელს ცალკე კვარტალებად ჰყოფს განიერი და პირდაპირი ქუჩები (მაგ., სართიჭალა, არხილოსკალო, გამარჯვება).

წარსულში კახეთის სოფლებში გავრცელებულ მიწურებსა და წნელისაგან მოწნულ ქოხებს ამჟამად ვეღარ შეხვდებით: იშვიათად ნახავთ აგრეთვე ხის სახლს. საცხოვრებელი ბინის ძირითად ტიპს თანამედროვე კახეთში წარმოადგენს ქვითა და აგურით ნაშენები სახლი, ხშირად ორსართულიანი, გადახურული კრამიტით, ზოგჯერ კი თუნუქით. ქვასა და აგურს გარდა, საკედლე მასალად კახეთში იყენებენ აგრეთვე ალიზს (გამოუწვავ აგურს), რომელსაც თიხისა და ნამჯისაგან ამზადებენ. ეს საკედლე მასალა უფრო მეტადაა გავრცელებული რუსების, აზერბაიჯანელებისა და სომხების სოფლებში. მის გავრცელებას გარე კახეთში ხელი შეუწყო მშრალმა ნიადაგმა და ჰავამ. რუსი მოსახლეობა საკმაოდ კეთილმოწყობილ სახლებს აგებს ამ მასალისაგან. ასეთი სახლები გარედან და შიგნიდან ილესება და კირით ან ცარცით იღებება. თუ რამდენად საიმედო საკედლე მასალას წარმოადგენს ალიზი გარე კახეთის პირობებში, ეს იქიდან ჩანს, რომ ზოგჯერ მისგან ორსართულიან სახლებსაც კი აგებენ.

საცხოვრებელ სახლებთან ერთად ფართოდაა გაშლილი სოფლად საშეურნეო და კულტურული დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობაც. სოფლის ცენტრი წარმოადგენს. საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების თავმოყრის ადგილს. როგორც წესი, აქაა განლაგებული სოფლის საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა, კლუბი, სკოლა, ბიბლიოთეკა, მაღაზია, საავადმყოფო ან საექიმო პუნქტი, ფოსტა და სხვ.

IV. მოსახლეობის კულტურული დონე, მატერიალური კეთილდღეობა და ჯანმრთელობის დაცვა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გარე კახეთი სწავლა-განათლების მხრივ ერთ-ერთ ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა. ყოფილ სიღნაღის მაზრაში გასული საუკუნის მიწურულში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 9,3 %-ს არ აღემატებოდა. საერთოდ, რევოლუციამდელ რუსეთში სწავლა-განათლების ჩამორჩენაზე ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1913 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მთავრობა განათლების საქმეზე საშუალოდ ერთ მცხოვრებზე 80 კაპიკზე მეტს არ ხარჯავდა [1].

მბოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა კულტურის მძლავრი აღმავლობის ფართო შესაძლებლობანი როგორც მთელ ჩვენ ქვეყანაში, ისე გარე კახეთშიც. უდიდესი გარდაქმნა ხალხის მასების კულტურულ განვითარებაში გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა, მკვეთრად გაიზარდა მოსწავლეთა რიცხვი, მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი და სხვ., არამედ მთავარი ის არის, რომ შეიქმნა ახალი, საბჭოთა კულტურა — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური.

თუ წინათ გარე კახეთში სკოლების უმნიშვნელო რიცხვი არსებობდა და სწავლებაც არაქართულ ენაზე იყო, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სწავლა-განათლების საქმემ ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეში, ისე როგორც მთელ საბჭოთა საქართველოში, განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი მიიღო. ამ მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ამჟამად გარე კახეთის ყოველ დასახლებულ პუნქტზე საშუალოდ 5 მოდის არანაკლები ერთი დაწყებითი ან საშუალო სკოლისა, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოებს. იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც რუსი, აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობაა, ყველა ეროვნების ბავშვებისათვის გახსნილია ნაციონალური სკოლები (წინათ ამ სოფლებში საერთოდ არ იყო სკოლები) [2]. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე გაიშალა ფართო მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის და ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. თუ წინათ ღარიბი გლეხის შვილები მოკლებული იყვნენ სწავლის საშუალებას, ამჟამად არამც თუ შეიქმნა ყველა პირობა სოფლის მშრომელთა შვილებისათვის სწავლა-განათლების მიღებისა, არამედ კანონი ითვალისწინებს სავალდებულო სწავლებას არასრული საშუალო სკოლის (8 კლასის) ფარგლებში.

1953 წელს ყველა ტიპის სკოლების რიცხვი გარე კახეთში 110-ს შეადგენდა, მათ შორის 27 სრული საშუალო სკოლა იყო და ერთი პედაგოგიური სასწავლებელი. ამ სკოლებში 1630 მასწავლებელი მუშაობდა, ხოლო განათლების მუშაკთა საერთო რიცხვი 2251-ს უდრიდა. გარე კახეთში სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელებას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ მხარის მოსახლეობიდან სწავლობს ყოველი მეხუთე კაცი, ხოლო განათლების ხარჯები წელიწადში 20 მილიონ მანეთს შეადგენს.

მოსახლეობის კომუნისტურ აღზრდაში სერიოზულ როლს ასრულებს აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ამ მიზანს ემსახურება ამჟამად გარე კახეთში არსებული 57 ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ოთხი კულტურის სახლი (ითოეული რაიონის ცენტრში), 41 კლუბი, 24 კინოდანადგარი. კულტურის ამ დაწესებულებებში 240 კაცი მუშაობს, მათი წლიური ხარჯები კი ორ მილიონ მანეთს აღწევს.

გარე კახეთის მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს ადგილობრივი, მშრომელთა წრიდან გამოსული ინტელიგენცია, რო-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა IV, ტომი 19, გვ. 150.

[2] А. М. Аргутинский, Экономический быт государственных крестьян Сигнахского уезда, В сборнике МИЭБГКЗК, часть II, Тифлис, 1886, стр. 319.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც თავის რიგებში ითვლის ათასობით მასწავლებელს, ექიმს, აგრონომს და ბევრ სხვა სპეციალობის მოღვაწეს. კულტურის სხვადასხვა დარგის ეს მრავალრიცხოვანი არმია დაუღალავად ემსახურება მშრომელ მოსახლეობას და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტურ მშენებლობაში.



სურ. 1. ირ. ევდოშვილის სახლი-მუზეუმი სოფ. ბოდბისხევში

კახეთის ბუნებრივი რესურსები ძველთაგანვე ხელს უწყობდა მოსახლეობის მაღალი მატერიალური და საყოფაცხოვრებო დონის შექმნას, მაგრამ ექსპლოატატორული საზოგადოების პირობებში ეს რესურსები ჩაყენებული არ იყო მშრომელთა სამსახურში. ნაყოფიერი მიწები და ბარაქიანი მოსავალი მათი კი არ იყო, ვინც ოფლს აწურავდა ამ მიწებს, არამედ მემამულეთავადების, ვაჭარ-მევახშეთა და კულაკების კუთვნილებას შეადგენდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საშინელ სიღარიბეში იყო ჩავარდნილი, ბევრს ლუკმა პურიც კი არ გააჩნდა ოჯახის გამოსაკვებად.

საბჭოთა პერიოდში გარე კახეთის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების წყაროს წარმოადგენს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა. მარტო კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი განზოგადოებული სექტორიდან 1952 წელს 71,4 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთებიდან 66,5 მილიონ მანეთს. გარდა ამ ფულადი შემოსავლისა კოლმეურნეები ღებულობენ განზოგადებული სექტორიდან შრომადღეების ნატურალურ ანაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაურებას ხორბლის, ღვინის, ყველის, მზესუმზირას და სხვა პროდუქტების სახით. ეს შემოსავალი ყველა რაიონში ერთნაირი არ არის. ყველაზე უფრო მაღალი შემოსავალი წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს აქვს, მეორე ადგილზეა სიღნაღის რაიონი, მესამეზე--საგარეჯო და მეოთხეზე—კაჭრეთი.

მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ გარე კახეთში მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი ჩაბმულია სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმო-დაწესებულებებში. მუშა-მოსამსახურეთა მთლიანი ხელფასის ფონდი გარე კახეთში 1950 წელს შეადგენდა 93,1 მილიონ მანეთს, 1951 წელს კი 114,8 მილიონ მანეთს, ანუ ერთი წლის მანძილზე ხელფასის ფონდი გაიზარდა 17 %-ით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ გაიშალა გარე კახეთში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. კოლმეურნეობებში გაერთიანებამ საშუალება მისცა გლეხობას მკვეთრად გაეუმჯობესებინა თავისი საყოფაცხოვრებო პირობები, რის ერთ-ერთ გამოხატულებასაც წარმოადგენს ქვისა და აგურისაგან ნაგები, კეთილმოწყობილი, ხშირად ორსართულიანი, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მარტო 1952 წლის მანძილზე მხოლოდ სიღნაღის რაიონის სოფლებში 121 კოლმეურნემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი. წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედის კოლმეურნეებმა იმავე წელს 28 საცხოვრებელი სახლი ააგეს. თუ სოფ. არხილოსკალოს მცხოვრებთა დიდი ნაწილი წინათ მიწურებში ცხოვრობდა, კოლმეურნეობაში გაერთიანების შემდეგ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში გადავიდა.



სურ. 2. სიღნაღის რაიონული საავადმყოფო სოფ. ქედელში

მიუხედავად იმისა, რომ წინათ გარე კახეთში მალარიის და სხვა ავადმყოფობათა გავრცელებას კატასტროფული ხასიათი ჰქონდა, მოსახლეობა ფაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიურად მოკლებული იყო ყოველგვარ საექიმო დახმარებას. ყოფილ სიღნაღის მაზრაში (დაახლოებით 100 ათასი მცხოვრები) მხოლოდ ერთი ექიმი მუშაობდა [1], ამჟამად კი გარე კახეთში ერთი ექიმი მოდის რამდენიმე ასეულ მცხოვრებზე. მაშინ, როდესაც ჩვენ მეზობელ თურქეთში ერთი ექიმი ემსახურება საშუალოდ 9000 კაცს. მაგრამ საქმე მარტო ექიმების რიცხვის ზრდაში როდია: მთავარი ის არის, რომ შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის მთელი სისტემა, რომელიც საავადმყოფოების, საექიმო ამბულატორიების, სამშობიაროო სახლების და სხვა სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელს მოიცავს.

1953 წლის პირველ იანვრისათვის გარე კახეთში 24 საავადმყოფო არსებობდა, 31 საექიმო ამბულატორია, 42 საფერშლო პუნქტი, 7 სამშობიაროო სახლი, 26 აფთიაქი, 7 სამალარიო სადგური, 11 საბავშვო ბაგა და 4 სანეპიდსადგური. ჯანმრთელობის მუშაკთა რიცხვი 1414 კაცს შეადგენს, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები წელიწადში 13 მილიონ მანეთს აღწევს.



სურ. 3. წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის საავადმყოფო

გარე კახეთში არ არის დარჩენილი არცერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, სადაც გახსნილი არ იყოს საავადმყოფო ან საექიმო ამბულატორია, ხოლო თითქმის ყველა დანარჩენ სოფლებში მუშაობს საფერშლო პუნქტი.

ფართო მასშტაბით ჩატარებული გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შედეგად და იმასთან დაკავშირებით, რომ დიდად გაუმჯობესდა მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მკვეთრად შემცირდა გარე კახეთში როგორც მალარიის, ისე სხვა სენით დაავადებათა შემთხვევები. შეიძლება ითქვას, რომ თუ წინათ მალარია კახეთის მოსახლეობისათვის დამღუპველ სენს წარმოადგენდა და ყოველწლიურად დიდ

[1] ეს ცნობა შეეხება გასული საუკუნის 80-იან წლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვერპლს იწვევდა, დღეს გარე კახეთში აღმოფხვრილია სიკვდილიანობა ამ ავადმყოფობის შედეგად.

V. ქალაქები, ქალაქის ტიპის დასახლებანი და რაიონული ცენტრები

გარე კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი უძველესი დროიდანვე საქართველოს ერთ-ერთი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მხარე იყო; ამავე დროს იგი თავისი მდებარეობით ქვეყნის აღმოსავლეთ ფორპოსტს წარმოადგენდა და უდიდეს როლს ასრულებდა ამ მხრიდან მოსული მტრის უკუქცევაში. თუ ამასთანავე ერთად გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აქ მეურნეობრივი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ჩვენთვის ცხადი გახდება გარე კახეთის აქტიური მონაწილეობა ძველი საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ამ მხარეში ადრიდანვე უნდა ყოფილიყო არა ერთი ციხე-ქალაქი—მონათმფლობელური და შემდგომ ფეოდალური ეპოქის ეს მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრები. და მართლაც, ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ გარე კახეთში უძველესი დროიდან არსებობდა მრავალი ქალაქი; მათ შორის ცნობილია უჯარმა, მოვაკანეთი, იორი, ხორანთა, ხორნაბუჯი და გვიანფეოდალურ ეპოქაში დაარსებული სიღნაღი[1]. თუ ზოგი დასახელებული ქალაქის ადგილმდებარეობა წარსულში კარგად არის ჩვენთვის ცნობილი (სიღნაღი, უჯარმა, ხორანთა და ნაწილობრივი ხორნაბუჯი), სამაგიეროდ ჯერ კიდევ არ არის ზუსტად მიკვლეული, სად მდებარეობდნენ მოვაკანეთი და იორი, თუმცა ცნობილია, რომ ეს ქალაქებიც იმ ტერიტორიაზე არსებობდნენ, რომლის მოსახლეობაც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს. როგორც ვიცით, ჩამოთვლილი ძველი ქალაქებიდან დღეს მხოლოდ სიღნაღი არსებობს, დანარჩენი კი მტრის მრავალგზის შემოსევის შედეგად დაინგრა, გაუკაცრიელდა და ზოგი მათგანის დღეს კვალიც კი აღარ ჩანს. მაგრამ მათი დაცემა მარტო ამ მიზეზით არ აიხსნება. ამ ქალაქების ძირითადი ფუნქცია მათ სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობაში გამოიხატებოდა. გალავან-კოშკებით გარშემორტყმული ციხე-ქალაქი მეფის, ფეოდალის ან მხედარათმთავრის ადგილსამყოფელიც იყო, ამიტომ ფეოდალური წესწყობილების დაშლა ასეთი ქალაქების აღსასრულსაც მოასწავებდა. რაც შეეხება სიღნაღს, იგი რუსული მმართველობის დამყარებიდან სამაზრო ცენტრად გამოცხადდა და ამის გამო ჩვენ დრომდე შეინარჩუნა ქალაქის სახე.

თანამედროვე ქალაქების არსებობა უმთავრესად მრეწველობის და ტრანსპორტის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ბევრი ქალაქი ამავე დროს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრსაც წარმოადგენს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გარე კახეთის ცალკე პუნქტების სამეურნეო მნიშვნელობის მკვეთრმა ზრდამ და ამ პუნქტებში მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის თავმოყრამ გამოიწვია სამი ქალაქის ტიპის დასახლების (დაბის) შექმნა; ესენი არიან—წნორი, წითელი წყარო და მირზაანი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: რადგან გარე კახეთი ძირითადად სოფლის მეურნეობის რაიონია, აქ ქალაქები და ქალაქის ტიპის დასახლებანი როგორც თავისი რაოდენობით, ისე სამრეწველო მნიშვნელობით, შედარებით სუსტად არიან წარმოდგენილი.

[1] П. Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ქალაქ სიღნაღისა და სამი დასახელებული დაბისა, ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ აგრეთვე სოფლებს—საგარეჯოს და კაპრეთს, ამავე სახელწოდების რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებს.

ს ი ღ ნ ა ღ ი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიღნაღი დაარსებულია გვიანფეოდალურ ეპოქაში, კერძოდ, იგი გამოცხადდა ქალაქად ერეკლე მეორის დროს, 1770 წელს. როგორც ყველა მაშინდელი ქალაქი, ისე სიღნაღიც, თავის დროზე ციხე-სიმაგრესაც წარმოადგენდა და ამიტომ მას პირველ რიგში სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. ციხე-ქალაქის კარგად შემონახულმა გალავანმა თავისი კოშკებით ჩვენ დრომდე მოაღწია. ეს ზღუდე დიდ ტერიტორიას მოიცავს, ხოლო თვით მისი საერთო სიგრძე დაახლოებით სამ კმ შეადგენს. არსებობს აზრი, რომ სიღნაღი, როგორც ციხე-სიმაგრე, უფრო ადრინდელ ეპოქაშია აშენებული. ამ გარემოების ზოგიერთ დასაბუთებას იძლევა ის ფაქტი, რომ გალავანი და კოშკები ერთგვაროვანი ნაშენი არ არიან: მათი ქვედა ნაწილი ზოგ ადგილებში უფრო ადრინდელი ნაგებობის კვალს ატარებს. ამ აზრის განსამტკიცებლად შეიძლება „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილიც დავიმოწმოთ, სადაც ნათქვამია, რომ „თვით მეფემ ირაკლიმ გ ა ნ ა ა ხ ლ ა (ხაზი ჩემია—ვ. ჯ.) ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა.....“. მაგრამ ეს ამონაწერი იმასაც ადასტურებს, რომ სიღნაღის გალავან-კოშკები ჩვენამდე მოღწეული სახით XVIII საუკუნეში მეფე ერეკლეს დროს ყოფილა აგებული. მის მშენებლებს მშვენივრად გამოუყენებიათ ადგილმდებარეობა: ცივგომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარე მაღლობი (750 მ ზღვის დონიდან), თითქმის ყველა მხრიდან ღრმა ხევებით მოზღუდული, ბუნებრივად კარგად გამაგრებული ადგილია და ამავე დროს ქედის ჩრდილო კალთებისა და ალაზნის ველის დიდი ნაწილის მიმართ მას გაბატონებული მდებარეობა აქვს. აქედან ადამიანის თვალწინ იშლება ალაზნის ველის წარმტაცი სურათი. ამ მაღლობზე აშენებული ციხე-ქალაქი გრანდიოზული ხელოვნური ნაგებობათა გამოყენებით, ცხადია, კიდევ უფრო საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა და მტრის შემოსევის შემთხვევაში არა მარტო სიღნაღის, არამედ მეზობელ სოფლების მცხოვრებთა საფარადაც გამოდგებოდა. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლეკების განუწყვეტელი შემოსევების დროს XVII—XVIII საუკუნეების მანძილზე.

სიღნაღში ჰავა ჯანსაღია; ზაფხულში არ იცის დიდი სიცხეები, ხოლო ზამთარში ზომიერად ცივა; შემოდგომაზე ხშირია ნისლიანი დღეები. ქალაქის ირგვლივ მდებარე მთის კალთები უმთავრესად მეორადი ტყითაა დაფარული.

იმის გამო, რომ ქალაქს ლამაზი, მაგრამ მთაგორიანი მდებარეობა აქვს, როგორც ქუჩების, ისე სხვა ნაგებობათა მშენებლობის დროს რიგი სიძნელეები წარმოიქმნება (მოსწორება, საყრდენი კედლების აგება და სხვ.). ამავე მიზეზით დასახლებისათვის გამოსადეგია ქალაქის კუთვნილი ტერიტორიის (250 ჰა) მხოლოდ მცირე ნაწილი.

ქალაქის მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი უეშველია წინათ ზღუდის შიგნით ცხოვრობდა, ამჟამად კი სიღნაღი თითქმის მთლიანად ძველი გალავნის გარეთაა განლაგებული. გასული საუკუნის პირველ წლებში სიღნაღის სამაზრო ცენტრად გამოცხადებამ შესაჰნევად შეუწყო ხელი ქალაქის გაფართოებას. ამავე დროს ძველთაგანვე არსებული ვაჭრობა-ხელოსნობა კიდევ უფრო განვითარდა, ხოლო ირგვლივ მდებარე სოფლებთან გაბმული, მანამდე სუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური კავშირი თანდათან გაძლიერდა და განმტკიცდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 50-იან წლებამდე სიღნაღი მაინც ნელა იზრდებოდა; და მხოლოდ შემდგომ პერიოდში შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები ქალაქის განვითარებისათვის. ახალ სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში ნატურალურმა მეურნეობამ სოფლად სწრაფად იწყო დაშლა; კაპიტალისტური ურთიერთობანი ვაჭრობისა თუ მევახშეობის სახით აქაც შეიჭრა და მშრომელი მოსახლეობა ულმობელი ექსპლოატაციის ქვეშ მოექცა. ამ ახალი ეკონომიური ურთიერთობის მედროშენი, ქიზიყის გლეხებს რომ მჩაგვრელებად მოევლინენ, სწორედ სიღნაღელი ვაჭრები იყვნენ. პატარა სამაზრო ქალაქის სინამდვილეში აშკარად გამოისახებოდა კაპიტალისტურ სამყაროში გამეფებული ქალაქის სოფელზე ბატონობა. ასეთ პირობებში XIX საუკუნის მიწურულისათვის ქიზიყის სოფლების ბევრი გლეხის ბაღ-ვენახი სიღნაღელი ვაჭრების ხელში იყო გადასული.

რეკოლუციამდელი სიღნაღი წარმოადგენდა სავაჭრო ქალაქს და მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრს; რაც შეეხება მრეწველობას, იგი თავიდანვე სუსტად იყო აქ წარმოდგენილი. 80-იან წლებში ქალაქში მხოლოდ ტყავის გამომყვანი ორი დაბახანა და აგურის 8 პატარა ქარხანა იყო. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ოდენობით არსებობდნენ წვრილი სახელოსნოები (უმთავრესად საწაღე).

მოსახლეობის დინამიკა რეფორმის შემდგომ სიღნაღში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1868 წელი	9,217 სული [1]
1886 წელი	10.604 სული [2]
1902 წელი	11.376 სული [3]

ამრიგად. 34 წლის მანძილზე სიღნაღის მოსახლეობა 2159 კაცით, ანუ 23,4 %-ით გაიზარდა; საშუალო წლიური მატება კი 0.7 %-ს არ აღემატება. რეფორმის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის ასეთი უმნიშვნელო ზრდა სიღნაღში სწორედ მრეწველობის სუსტი განვითარებით აიხსნება. ზოგიერთი მონაცემებით გაცილებით უფრო სწრაფი იყო მოსახლეობის მატება გასული საუკუნის შუა წლებში. პლატონ იოსელიანის ერთი ცნობის თანახმად 1845 წლისათვის სიღნაღში 3500 სული ცხოვრობდა [4]. თუ ამ ციფრის სისწორეში ეჭვს არ შევიტანთ, მაშინ 1845—1868 წლებში, ე. ი. 23 წლის მანძილზე მოსახლეობა 2,6-ჯერ გაზრდილა. ეს მონაცემები დიდად არ უნდა იყოს სინამდვილეს დაშორებული, რადგან ცნობილია, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ამ პერიოდში ინტენსიურად იზრდებოდა.

სიღნაღში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სომხებისაგან შედგებოდა, რომლებიც ძირითადად ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმული, ნაწილობრივ კი-ხელოსნობაში.

1922 წელს ქალაქების სრულიად საქართველოს აღწერის მასალებით სიღნაღში მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა 4192 სულს [5]. ჩვენთვის ცნობილი

---

[1] ილ. ავაზაშვილი, ქიზიყის გლეხთა აჯანყება 1878 წელს, სიღნაღის მუზეუმის მასალები.

[2] Тифлисская губерния, Свод статистических данных за 1886 год, Тифлис, 1893.

[3] В. П. Ляхов, Военно-статистическое описание Тифлисской губернии и Закатальского округа, Тифлис, 1902, таблица 12, стр. 400.

[4] П. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, «Закавк. вестник», № 22—28 за 1845.

[5] სრ. საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის ჯამები, თბილისი, 1923, ცხრილი 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის ზუსტად ის მიზეზები, თუ რამ გამოიწვია მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება სიღნაღში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის. შეიძლება იგი შედეგი იყოს მენშევიკების ნაციონალისტური პოლიტიკისა, როდესაც სხვა ერის წარმომადგენლები საქართველოში დევნას განიცდიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ცხადი გახდა, რომ სიღნაღმა დაჰკარგა თავისი სავაჭრო მნიშვნელობა და ამავე დროს არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო აქ არც მრეწველობის განვითარებას ჰქონდა პერსპექტივები: მთის მაღალ კალთებზე განლაგებულ ქალაქა თავისუფალი ფართობიც კი არ გააჩნია, ხოლო უახლოესი რკინიგზის სადგური 14 კმ მანძილზე მდებარეობს. ამიტომ, ჩვენ დროშიც, როცა საზოგადოდ მრეწველობა გრანდიოზული ტემპებით ვითარდება, სიღნაღი მხოლოდ რაიონის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი სამეურნეო განვითარების პერსპექტივები მაა არ მოეპოვება. 1939 წელა ქალაქში 6653 მცხოვრები ითვლებოდა.



სურ. 4. სიღნაღის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

სიღნაღში სულ 20 ქუჩაა; მათი დიდი ნაწილი მოკირწყლულია, ხოლო ცენტრალური მოედანი და სამი ქუჩა — მოასფალტებული; ქუჩების ნაწილს აქვს ტროტუარები და გაზონები. საქალაქო საბჭო სისტემატურად აწარმოებს სამუშაოებს ქუჩების კეთილმოსაწყობად და ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს ამ სამუშაოებზე. შენობათა რიცხვი ქალაქში 572-ს უდრის, მათ შორის 532 საცხოვრებელი სახლია, 12 — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობა, 10 შენობა საწარმოო დაწესებულებებს ეკუთვნის, 18 — დანარჩენ ორგანიზაციებს. ქალაქის საბჭოს და ცალკე ორგანიზაციებს ეკუთვნის 28 საცხოვრებელი სახლი, ხოლო 504 სახლი კი მუშა-მოსამსახურეებისაა. ქალაქის ყველა საცხოვრებელი სახლის საერთო ფართობი 37,7 ათას კვ. მეტრს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს, ამჟამად მუშავდება პროექტი ახალი წყალსადენის ასაგებად. კანალიზაცია მოწყობილია მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

სიღნაღი ელექტროენერგიას ღებულობს ალაზანჰესიდან წნორის ქვესადგურის საშუალებით. ქუჩების დიდი ნაწილი განათებულია კარგად; ცენტრალური მოედანი და მისი მიდამოები დამშვენებულია ლამპიონებით. მოსახლეობა ფართოდ იყენებს ელექტროენერგიას საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

ქალაქს აქვს კომუნალური აბანო; 1948 წელს სიღნაღის ცენტრში აშენდა ახალი კეთილმოწყობილი სასტუმრო.

დიდი სამუშაოები ჩატარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქის გამშვენებისათვის. მწვანე ნარგავების საერთო ფართობი სიღნაღში 14 ჰექტარს აღწევს, აქედან 4.7 ჰა მდებარეობს ქალაქის დასახლებული ნაწილის შიგნით. მოწყობილია რამდენიმე სკვერი, ხოლო ქუჩებში ტროტუარების გასწვრივ დარგულია მრავალი ხე. ყოველწლიურად ქალაქში ათასობით ირგვება დეკორაციული და ნაყოფის მომცემი ხე. ქალაქის ცენტრალურ მოედანთან გაშენებულია ლამაზად მოწყობილი პარკი, სადაც დადგმულია ვ. ი. ლენინის ძეგლი, ლენინის სახელობის ქუჩაზე არსებულ სკვერში აღმართულია ი. ბ. სტალინის მონუმენტი.

სიღნაღი ამავე სახელწოდების რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. აქ მდებარეობს სკკპ რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს და ქალაქის საბჭოს აღმასკომები და სხვა რაიონული ორგანიზაციები. ქალაქში გამოდის გაზეთი „კოლმეურნე“, სკკპ რაიკომის და რაიაღმასკომის ორგანო. გაზეთს აქვს საკუთარი სტამბა.

სიღნაღში რესპუბლიკური მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოები არ არსებობს. ადგილობრივ მრეწველობას მოწყობილი აქვს კასრების, ფეხსაცმლის, ლიმონათისა და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, ხოლო სარეწაო კავშირის არტელი „ენერგია“ ამზადებს ბამბის ქსოვილს, ტრიკოტაჟს, სხვადასხვა სახის ტყავსა და ფეხსაცმელს; მასვე აქვს მოწყობილი ელექტროწისქვილი. 1953 წელს მიმდინარეობდა ამ არტელის მოზრდილი საწარმოს მშენებლობა, სადაც განლაგდება ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი საამქროები.

ძველად არსებული ჭუჭყიანი პატარა დუქნების ნაცვლად სიღნაღში ამჟამად ფართოდაა გაშლილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობა; აიგო რაიმაღაზიის ახალი დიდი შენობა, გაიხსნა სასადილო, პურით სავაჭრო წერტები და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სიღნაღში დიდი კულტურული მშენებლობა გაიშალა. ქალაქში გახსნილია ორი სრული საშუალო სკოლა, პედაგოგიური სასწავლებელი, სპორტული სკოლა, პიონერთა სახლი, ორი საბავშვო ბაღი და საბავშვო სახლი, რომლის შენობა აიგო ძველი ციხე გალავნის შიგნით, მშვენიერ, მწვანით შემოსილ ადგილას. გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები. 1928 წელა ქალაქის ერთი ძველი შენობა გადაკეთდა კეთილმოწყობილ თეატრად, სადაც 23 წლის მანძილზე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პროფესიონალური დაკ. ამჟამად ამ შენობაში რაიონის კულტურის სახლია მოთავსებული. ქალაქში აშენდა კარგად მოწყობილი კინოთეატრი; გარდა ამისა მშვენიერ ადგილას აიგო საზაფხულო კინოთეატრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. ქალაქად არსებული ჯანმრთელობის დაწესებულებები მომსახურებას უწევენ აგრეთვე რაიონის მოსახლეობას. გარდა ქალაქის მახლობლად არსებული რაიონული საავადმყოფოსი, თვით სიღნაღში მუშაობს ქალაქის პოლიკლინიკა, სამშობიარო სახლი, ტუბდისპანსერი, ვენდისპანსერი, სანეპიდსადგური და ბავშვთა ბაგა.

სიღნაღზე გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის გუდრონირებული გზატკეცილი, რომლითაც ქალაქი, ერთი მხრივ, თბილისს უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ,—თელავს, გურჯაანს, წნორსა და ლაგოდეხს. ამ გზატკეცილით დაწესებულია სამგზავრო-საავტომობილო მიმოსვლა თბილისსა და წნორს შორის, სიღნაღზე გავლით.

დ ა ბ ა წ ნ ო რ ი. წნორი მდებარეობს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე სიღნაღის აღმოსავლეთით, იქ, სადაც ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო აღმოსავლეთ კალთები ალაზნის ველში გადადის. სიღნაღისაგან განსხვავებით, წნორი გაშლილ ვაკეზეა განლაგებული, ზღვის დონიდან 280 მეტრზე. ასეთი მდებარეობა დაბის გაფართოებისათვის დაბრკოლებას არ ქმნის, მაგრამ ჰავის მხრივ იგი ჩამოუვარდება სიღნაღს: ზაფხულში აქ ბევრად უფრო ცხელა, ვიდრე სიღნაღში, ხოლო წარსულში მალარიის კერებიც ბლომად არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ წნორი სიღნაღიდან პირდაპირი ხაზით რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, გუდრონირებული გზატკეცილით მანძილი ამ ორ პუნქტს შორის 14 კმ შეადგენს. ამჟამად მშენებლობაშია გზის ახალი ტრასა, რომელიც სოფ. ბოდბისხევზე გადის და არსებულ გზასთან შედარებით 8 კმ უფრო მოკლე იქნება.

კახეთში რკინიგზის გაყვანამდე წნორი (წნორის წყალი) მხოლოდ ადგილმდებარეობის სახელწოდება იყო. ამ ადგილის დასახლება დაიწყო 1913 წელს, როცა აქ კახეთის რკინიგზის გაწმტოების (გურჯაანი—წნორი) უკანასკნელი სადგური აიგო. პირველი 10—12 წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხვი შედარებით ნელა იმატებდა, რადგან ამ პუნქტის სამეურნეო მნიშვნელობა ჯერ კიდევ სუსტი იყო. 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით წნორში 90 ოჯახი (319 სული) ცხოვრობდა. წნორი განსაკუთრებით სწრაფად ფართოვდება ომამდელი ხუთწლედების მანძილზე და ომის შემდგომ პერიოდში, რაც გამოიწვია მისი სამეურნეო მნიშვნელობის მკვეთრმა ზრდამ. 12—15 წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხვი რამდენჯერმე გაიზარდა. ამ გზით წარმოიშვა მსხვილი დასახლებული პუნქტი, წნორი, რომელიც 1938 წლის ოქტომბერში გამოცხადდა ქალაქის ტიპის დაბად.

წნორის რკინიგზის სადგური მომსახურებას უწევს არა მარტო სიღნაღის რაიონს, არამედ წითელწყაროს და ლაგოდეხის რაიონებსაც, ნაწილობრივ კი საქართველოს მოსაზღვრე აზერბაიჯანის რამდენიმე რაიონს. ყველა ამ რაიონის ცენტრთან წნორი დაკავშირებულია რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილებით და წარმოადგენს მსხვილ სატრანსპორტო კვანძს. ერთი მხრივ, წნორში განლაგებული ბაზებიდან აღნიშნული რაიონები მარაგდება სათბობით (ქვანახშირი და ნავთის პროდუქტები), მინერალური სასუქით, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის მანქანა-მოწყობილობით, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლით, კვების მრეწველობის პროდუქციით და სხვ. მეორე მხრივ, წნორში იყრის თავს აღნიშნული რაიონების სოფლის მეურნეობის დამზადებული პროდუქცია და აქედან ეგზავნება იგი მრეწველობას გადასამუშავებლად. ამ პროდუქციას ეკუთვნის მარცვლეული. ყურძენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო, თამბაქო, მზესუმზირა, პირუტყვი, აბრეშუმის პარკი და სხვ. ყველა ამ ფუნქციის შესასრულებლად წნორში არსებობს სხვადასხვა გამსაღებელი და დამამზადელი ორგანიზაციების ბაზები. სათანადოდ მოწყობილი საწყობებით.

წნორში მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ და მისმა სატრანსპორტო მნიშვნელობამ ხელი შეუწყო აქ მრეწველობის ჩასახვას და განვითარებას. დაბაში ამჟამად არსებობს სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყის სახერხი 12 ქარხანა, აგურ-კრამიტის ორი ქარხანა, ადგილობრივი მრეწველობის ავეჯის ფაბრიკა, სოფლის მეურნეობის და სატრანსპორტო ორგანიზაციების ექვსი მექანიკური სახელოსნო. კვების მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია კარაქ-ყველის და ლიმონათის ქარხნები, საკონდიტრო საამქრო და პურის საცხობი. დასახელებულ საწარმოთა უმრავლესობა წვრილ საწარმოებს წარმოადგენენ და მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. წნორში არსებობს აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგური და სარაიონთაშორისო ინკუბატორი; აქვეა მოწყობილი რამდენიმე სატრანსპორტო ორგანიზაციის ავტობაზები, რომლებსაც დიდი საავტომობილო პარკი აქვთ.

თუ ამჟამად მოქმედი საწარმოები მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობისაა, იგივე არ ითქმის მშენებლობაში მყოფ რამდენიმე საკმაოდ მსხვილ საწარმოზე. წნორში ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა მაცივარკომბინატის, ელევატორის და ტრაქტორების სარემონტო ქარხნის; წარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები კომბინირებული საკვების და ლუდ-ლიმონათის ქარხნების, აგრეთვე ხორცკომბინატის და „ზაგოტზერნოს“ დიდი გარაჟის ასაგებად. ამ საწარმოთა მწყობრში ჩაყენებით წნორის სამეურნეო მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ელექტროენერგიას წნორი ღებულობს ალანჰესიდან. მოსახლეობის უმრავლესობა სარგებლობს ელექტროენერგიით. ქუჩების განათება და კეთილმოწყობა ჯერ კიდევ ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. დაბაში არსებობს წყალსადენი, რომელიც მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სწრაფად მზარდ მოთხოვნილებას. უკანასკნელ წლებში წნორში ბევრი მოზრდილი შენობა ააგეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა, მათ შორის აღსანიშნავია დაბის სასტუმრო. დაბაში არსებობს ცეკავშირის მსხვილი სარეალიზაციო ბაზა და რამდენიმე დიდი მაღაზია; აქვე მოწყობილია საკოლმეურნეო ბაზარი.

წნორში არის საშუალო, 8 წლიანი (რუსული) და დაწყებითი სკოლები; სამივე ამ სასწავლებელში 1952—1953 სასწავლო წელს 1125 მოსწავლე იყო. დაბას აქვს თავისი კლუბი და ორი ბიბლიოთეკა.

დიდი წარმატებებია მოპოვებული მალარიის წინაღმდეგ ბრძოლაში. ეს სენი წინათ წნორსა და მის მიდამოებში ფართოდ იყო გავრცელებული და დიდ მსხვერპლს იწვევდა. ამჟამად მალარიით დაავადების შემთხვევები მკვეთრად შემცირდა, რაშიაც დიდი როლი შეასრულა აქ მოწყობილმა სამალარიო სადგურმა და მის მიერ ჩატარებულმა მთელმა რიგმა გამაჯანსაღებელმა ღონისძიებებმა. გარდა ამ სამედიცინო დაწესებულებისა, წნორში არსებობს საავადმყოფო-პოლიკლინიკა.

დაბა წნორს აქვს პირდაპირი სარკინიგზო კავშირი (სამგზავრო და სატვირთო) თბილისთან, გურჯაანთან და თელავთან. რეგულარულად წარმოებს ავტობუსებით მიმოსვლა თბილისამდე, ლაგოდეხამდე და წითელწყაროამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ბ ა წ ი თ ე ლ ი წ ყ ა რ ო. ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული ეხლანდელი წითელი წყაროს მიდამოები უკანასკნელ საუკუნეებში სრულიად გაუკაცრიელებული იყო. მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა აქ რუსეთის ჯარის ერთ-ერთი პოლკი. აქვე სახლდებოდნენ საცხოვრებლად პოლკში ნამსახური დემობილიზებული ჯარისკაცები. შემდგომში მოსახლეთა რიცხვი იზრდებოდა, ერთი მხრივ, რუსეთიდან გადმოსახლებული გლეხების ხარჯზე და, მეორე მხრივ, ქიზიყიდან გადმოსული ქართველების დასახლების შედეგად. გასული საუკუნის 60-იან წლებიდან დედოფლის წყაროში (მას წინათ თათრების მიერ შერქმეულ სახელს—თუქურმიშასაც უწოდებდნენ) მოსახლეობის გამრავლებას ხელს უწყობდა შირაქის ნავთის საბადოს ექსპლოატაციის დაწყება. ცნობილია, რომ ამ პერიოდში (XIX საუკუნის 60—70-ანი წლები) ერთი უცხოელი ფირმა პატარა შირაქში აწარმოებდა ნავთის ამოღებას. მოპოვებული ნავთის პრიმიტიული წესით გადამუშავება ხდებოდა დედოფლის წყაროში, საიდანაც ხის კასრებით იგი თბილისში იგზავნებოდა. იმ დროისთვის დედოფლის წყაროში იყო 5—6 სავაჭრო დუქანი, აგრეთვე კასრების, საწაღე და სადურგლო სახელოსნები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დედოფლის წყაროში მოსახლეობა არც თუ ისე სწრაფად იზრდებოდა. 1883 წელს გლეხების რიცხვი აქ შეადგენდა 222 ოჯახს (1121 სულს). გარდა ამისა, უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ ხელოსნები და ვაჭრები. 1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით წითელ წყაროში, სოფ. ჯაფარიძეში (ყოფ. სვეჩინო) და ლენინოვკაში (ყოფ. ნიკოლაევკა) ცხოვრობდა 4569 სული (997 ოჯახი), 1939 წელს კი მხოლოდ წითელ წყაროში მოსახლეობის რიცხვი 5562 სულს შეადგენდა. მოსახლეობის ასეთი სწრაფი ზრდა გამოიწვია ქიზიყიდან დიდი რაოდენობით აქ ქართველი გლეხების ჩასახლებამ, რასაც ხელს უწყობდა წითელი წყაროს ირგვლივ ახალი მიწების ათვისება, შირაქის ნავთის საბადოს ექსპლოატაცია და ამასთან დაკავშირებით ამ პუნქტის სამეურნეო მნიშვნელობის ზრდა, აგრეთვე აქ ახალი ადმინისტრაციული რაიონის შექმნა. წითელწყაროს რაიონი გამოეყო სიღნაღის რაიონს 1938 წლის ივლისში, ხოლო იმავე წლის დეკემბერში რაიცენტრი დაბად გადაკეთდა.

დაბა ვაშენებულია გარე კახეთის ზეგანზე, ზღვის დონიდან 780 მეტრის სიმაღლეზე, ცივ-გომბორის ქედის დაბოლოებასთან. მის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობები ნაწილობრივ დაფარულია მეორადი ტყით და ბუჩქნარით, დანარჩენი მიდამოები კი უტყეოა და უმთავრესად სახნავი მიწებითაა დაკავებული. დაბას უშუალოდ ესაზღვრებიან სოფლები წითელი წყარო და ჯაფარიძე.

დაბის ტერიტორია დაახლოებით 430 ჰექტარს უდრის. ქუჩების რიცხვი 41-ს შეადგენს; აქედან 4 მოკირწყლულია და ერთი—გუდრონირებული. შენობების საერთო რიცხვი 1500-ს აღწევს, მათ შორის 1232 მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლია. მთლიანად საცხოვრებელი ფართობი დაბაში შეადგენს 62.500 კვ. მეტრს.

თვით დაბისა და მისი მეზობელი სოფლების ტერიტორიაზე ბლომადაა დიდი დებიტის კარგი წყაროები. წყალსადენი პირველად ომის წინა წლებში მოეწყო, ხოლო 1951/52 წლებში იგი გაფართოვდა.

წითელი წყარო ელექტროენერგიით მარაგდება საქნავთის საუწყებო დიზელის ელსადგურიდან. ელექტროსადგურის სიმძლავრე დაბის მოსახლეობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მრეწველობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს; ქუჩებში არასაკმარისია სადაა მოწყობილი განათება.

ომის შემდგომ წლებში დაბაში საკმაოდ ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მშენებლობა: აიგო რკინიგზის სამგზავრო ვაგზლის კარგი შენობა, საქნავთის მუშა-მოსამახურეთა 10 საცხოვრებელი სახლი, გაფართოვდა წყალსადენი, აშენდა ახალი კეთილმოწყობილი ბანაო, სასტუმროს ორსართულიანი შენობა, სტადიონი 2500 კაცისათვის, მოეწყო ორი ახალი სკვერი და სხვ. აიგო აგრეთვე მარცვლეულის დიდი საწყობები, 1953 წელს დასასრულს უახლოვდებოდა მსხვილი ელევატორის მშენებლობა.



სურ. 5. საქნავთის მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელი სახლი წითელ წყაროში

დაბაში მოქმედ საწარმოებიდან აღსანიშნავია საქნავთის კარგად მოწყობილი სარემონტო-მექანიკური სახელოსნო თავისი ლითონის ჩამომსხმელი საამქროთი. ეს სახელოსნო მომსახურებას უწევს ნავთის სარეწაოების გარდა რაიონის სამეურნეო ორგანიზაციებს, კერძოდ, — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პარკს. 1951 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კირის მექანიზებული ქარხანა, რომელიც თავისი პროდუქციით ამარაგებს კახეთის ბევრ რაიონს, აგრეთვე დამზადებულ კირქვას აწოდებს აგარის შაქრის ქარხანას. დაბაში არსებობენ: ყველ-კარაქის მოზრდილი ქარხანა, ზეთსახდელი და ლიმონათის ქარხნები, ელექტროწისქვილი, პურის საცხობები, ადგილობრივი მრეწველობის კირის ქარხანა და რიგი წვრილი საწარმოები.

დაბაში განლაგებულია წითელწყაროს რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები და გამოდის გაზეთი „ახალი შირაქი“.

წითელწყაროში არსებობს რუსული და ქართული საშუალო სკოლები. მუშა-ახალგაზრდობისათვის გახსნილია საღამოს ქართული საშუალო სკოლა და რუსული 8 წლიანი სკოლა. წითელწყაროს ახალგაზრდობას აქვს სპორტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა; გახსნილია პიონერთა სახლი და ორი საბავშვო ბაღი. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან რაიონის კულტურის სახლი, მუშათა კლუბი და ბიბლიოთეკა, სადაბო და საბავშვო ბიბლიოთეკები. კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რაიონს ჯერ კიდევ არ აქვს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის მოწყობაც ბრკოლდება შესაფერი შენობის უქონლობის გამო.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკა, სანეპიდსადგური, სამალარიო სადგური, საქნავთის მუშათა ამბულატორია და საექიმო ჯანმრთელობის პუნქტი.

წითელი წყაროო გზატკეცილითაა დაკავშირებული დაბა წნორთან; გაუმჯობესებული საავტომობილო გზები აკავშირებს მას აგრეთვე დაბა მირზაანთან, შირაქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან და სოფელ ქვემო ქედთან (ზემო ქედსა და არხილოსკალოზე გავლით).

დ ა ბ ა მ ი რ ზ ა ა ნ ი. დაბის წარმოშობა დაკავშირებულია მირზაანის ნავთის საბადოს ექსპლოატაციასთან. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო აქ ნავთის ამოღება, მაგრამ მას არ ჰქონია სისტემატური ხასიათი. ადგილობრივი და უცხოეთის მრეწველები ხანგამოშვებით ეწეოდნენ ნავთის მოპოვებას პატარა შირაქსა და მირზაანში, ამიტომ მუდმივი მოსახლეობა ამ პუნქტებში რევოლუციამდელ პერიოდში თითქმის არ იყო. 1926 წლიდან მოყოლებული, მირზაანში გაიშალა სისტემატური საძიებო სამუშაოები და მასთან დაკავშირებით ნავთის ამოღებაც იზრდებოდა. განსაკუთრებით სწრაფად იმატა ნავთის მოპოვებამ ომის წინა წლებში, როდესაც მირზაანი გადაიქცა საქართველოს ნავთის მრეწველობის ყველაზე მსხვილ სარეწაოდ. ნავთის ამოღება იზრდებოდა აგრეთვე სამამული ომის წლებში და მის შემდგომ პერიოდშიც. ნავთის საბადოს ექსპლოატაციის გაფართოება იწვევდა მირზაანის მუშათა დასახლების ზრდას, რის შედეგადაც 1945 წლის ივნისში იგი დაბად გამოცხადდა.

მირზაანი მდებარეობს წითელი წყაროს სამხრეთით 13 კმ მანძილზე, იმავე სახელწოდების ხევის ნაპირას, ზღვის დონიდან 770 მეტრზე. მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია გორაკ-ბორცვიანია, უტყეო და ნაწილობრივ სახნავად გამოყენებული; დაბის აღმოსავლეთით განლაგებულია ნავთის ჭაბურღილები.

დაბას არ უკავია დიდი ტერიტორია; საცხოვრებელი სახლების რიცხვი 108-ს უდრის, აქედან 59 სახლი სახელმწიფო დაწესებულებებს ეკუთვნის, 49 კი მუშა-მოსამსახურეებს.

უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური მომსახურება—1953 წლის ბოლოს ჩატარდა წყალსადენის რეკონსტრუქცია, მოეწყო დაბის ელექტროფიკაცია, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. კერძოდ, ქუჩები კეთილმოუწყობელია, ნაკლებადაა მწვანე ნარგავები, ცუდ მდგომარეობაშია მისასვლელი გზები და სხვ.

მირზაანში არსებობს 8 წლიანი რუსული სკოლა, მუშათა კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, წითელი კუთხე, საბავშვო ბაღი. აქვეა საავადმყოფო-ამბულატორია, აფთიაქი, ბავშვთა ბაგა, საფოსტო განყოფილება.

ს ა გ ა რ ე ჯ ო. რაიონის ცენტრი საგარეჯო გარე კახეთის ერთ-ერთი მსხვილი და კეთილმოწყობილი სოფელია. იგი მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით 58 კმ მანძილზე, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ მკვეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად დახრილი კალთების ძირში, თვალთხევის პირას, ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე. საგარეჯოს ჩრდილოეთით ცივ-გომბორის ქედის ტყითა და ბუჩქნარით დაფარული მაღლობებია, სამხრეთით კი ივრის ჭალები იშლება. აღმოსავლეთიდან მას სოფ. გიორგიწმინდა ესაზღვრება, დასავლეთიდან— სოფ. ნინოწმინდა. სამივე ეს სოფელი ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ და ფაქტიურად ერთი მთლიანი დასახლებული პუნქტის სახე აქვთ.

საგარეჯო და მისი მეზობელი სოფლები წინათ დავიდ-გარეჯის მონასტრის კუთვნილებას შეადგენდნენ. ამიტომ ამ სოფლის სახელწოდების წარმოშობის შესახებ სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ვახუშტის შემდეგი ცნობა: „ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო“ [1].

ლამაზი მდებარეობა, მწვანე ნარგავების სიუხვე, ჯანსაღი ჰავა და მშვენიერი წყაროს წყალი საგარეჯოში დასახლების კარგ პირობებს ქმნიან. ჩანს, ეს კარგი მხარეები ძველთაგანვე იყო ცნობილი და ამიტომ საგარეჯო იმთავითვე კახეთის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში გიულდენშტეტის ცნობით საგარეჯოში 500 კომლი მცხოვრები ითვლებოდა. 1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით საგარეჯოში მცხოვრებთა რიცხვი 5625 სულს შეადგენდა [2].

გარდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, საგარეჯოში მოსახლეობის მატებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ კახეთის რკინიგზის გაყვანის დროს აქ მოეწყო სადგური, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

ომის შემდგომ წლებში სერიოზული ყურადღება ექცევა საგარეჯოს კეთილმოწყობას. ჩატარდა სამი მთავარი ქუჩის (სულ 23 ქუჩაა) მოკირწყვლა და ტროტუარების მოასფალტება; მათ გასწვრივ მოეწყო არხები და ლამპიონები, სილამაზით და კეთილმოწყობით განსაკუთრებით გამოირჩევა ცენტრში მდებარე სტალინის ქუჩა. საგარეჯო უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით „საქენერგოს“ სისტემიდან.

სოფლის თავში, თვალთხევის პირას, ხშირი ტყით დაფარულ ადგილას მდებარეობს დიდი დებიტის მშვენიერი წყარო, საიდანაც მარაგდება მოსახლეობა სასმელი წყლით, მაგრამ წყალსადენი მოსახლეობის მოთხოვნილებას მთლიანად ვერ აკმაყოფილებს.

საგარეჯოში არსებობს სასტუმრო; 1938 წელს აიგო კეთილმოწყობილი აბანო. სისტემატურად წარმოებს გამწვანების სამუშაოები; მოეწყო ახალი სკვერი, კეთილმოწყობილ იქნა სტალინის ქუჩაზე მდებარე ბაღი, ქუჩებში დაირგო მრავალი ცაცხვი, ჭადარი და სხვა დეკორაციული მცენარეები. 1953 წელს სოფლის ცენტრში შენდებოდა დიდი ადმინისტრაციული სახლი, რომლის წინაც გათვალისწინებულია ფართო მოედნის მოწყობა.

ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად რაიმრეწკომბინატს მოწყობილი აქვს საწოლების, ფეხსაცმლის, სამკერვალო, ავეჯისა და თუნუქის საწარმოები. მასვე ეკუთვნის ხე-ტყის სახერხი და აგურის ქარხნები. ქვე არსებობს ყველის და ლიმონათის ქარხნები, პურის საცხობი. სარეწაო კავშირს ეკუთვნის ფეხსაცმლის და სხვა ფართო მოხმარების საგნების წვრილი საწარმოები. 1953 წელს რაიონის ცენტრში მიმდინარეობდა ღვინის პირ-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 90.

[2] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი. 1930, გვ. 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველადი გადამუშავების ქარხნის მშენებლობა; ქარხნის მუშებისათვის აიგო ოთხი ორსართულიანი მოზრდილი საცხოვრებელი სახლი.

სურ. 6. სტალინის სახ. ქუჩა საგარეჯოში



სურ. 7. ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა საგარეჯოში

რაიცენტრში არსებობს საშუალო, 8 წლიანი და დაწყებითი სკოლები ამ სკოლებში 1953 წელს 1200-ზე მეტი მოსწავლე ითვლებოდა. აქვეა რაიონის კულტურის სახლი, კულტურისა და დასვენების პარკი, რაიონული და საბავშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვო ბიბლიოთეკები, კინოთეატრი. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ-დასვენების პარკი არ არის შესაფერისად კეთილმოწყობილი.

საგარეჯოს აქვს კარგად მოწყობილი რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკა, სანეპიდსადგური, ორი საფერშლო პუნქტი, აფთიაქი, საბავშვო ბაგა.

რაიონის ცენტრში არსებობს მანქანა-ტრაქტორთა სადგური, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამზადებელი ორგანიზაციების რამდენიმე კანტორა და საწყობები.

საგარეჯო თბილისსა, და კახეთის რიგ რაიონებს უკავშირდება რკინიგზის ხაზით და გუდრონირებული გზატკეცილით.

იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა საგარეჯოს სამეურნეო მნიშვნელობა და იგი საგრძნობლად დაწინაურდა თავისი კეთილმოწყობით, უკვე მომწიფდა ამ რაიონული ცენტრის ქალაქის ტიპის დასახლებად გარდაქმნის საკითხი.

კ ა ჭ რ ე თ ი. სოფელი კაჭრეთი ახლად შექმნილი რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრად 1945 წლის იანვარში გამოცხადდა. იგი განლაგებულია კახეთის რკინიგზის სადგურ კაჭრეთის მახლობლად, ციგ-გომშორის ქედის სამხრეთ-დასავლეთის მცირე დახრილობის ფერდობზე, ზღვის დონიდან 640 მეტრის სიმაღლეზე. კაჭრეთს ჩრდილოეთიდან უშუალოდ ეკვრის სოფ. მახარაძე, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სოფელი ნანიანი ესაზღვრება, ხოლო სამხრეთიდან—რკინიგზის სადგური; სოფლის დასავლეთით და სამხრეთით გაშლილია სახნავ-სათესი მიწები.

თავის სამეურნეო განვითარების დონით, კეთილმოწყობით და მოსახლეობის რაოდენობით კაჭრეთი ბევრად ჩამოუვარდება გარე კახეთის დანარჩენ რაიცენტრებს.

ქუჩების რიცხვი სოფელში 22-ს უდრის, აქედან 3 მთავარი ქუჩაა, რომლებიც მოხრეშილია, დანარჩენი ქუჩები კი სრულიად არ არის კეთილმოწყობილი.

უკანასკნელ წლებში კაჭრეთში აშენდა დიდი ადმინისტრაციული სახლი, კავშირგაბმულობის რაიკანტორის შენობა, აგრეთვე ცალკე სამეურნეო ორგანიზაციების რამდენიმე სახლი. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. რაიონის ცენტრი მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინების და ორგანიზაციებისათვის საჭირო შენობების დიდ ნაკლებობას განიცდის.

კაჭრეთი ელექტროენერგიას ალაზანჰესიდან ღებულობს და ამ მხრივ შედარებით დამაკმაყოფილებლადაა უზრუნველყოფილი, რაც არ შეიძლება ითქვას წყლით მომარაგების შესახებ. სოფლის წყალსადენი კაჭრეთის ხევის წყლით იკვებება, მაგრამ იგი სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რაიცენტრისათვის ახალი წყალსადენის აგება. სოფელს აქვს კომუნალური აბანო და სასტუმრო. გამწვანების სამუშაოებიდან ყურადღების ღირსია სოფლის ცენტრში მოწყობილი დეკორაციული ბაღი, რომლის ფართობი სამ ჰექტარს შეადგენს.

სოფელს აქვს საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა და საზაფხულო კინოთეატრი—ესტრადა.

რაიონული საავადმყოფო ამჟამად კაჭრეთიდან რამდენიმე კილომეტრზე, სოფ. არაშენდაში მდებარეობს, მაგრამ მას მალე ექნება რაიცენტრში კეთილმოწყობილი ახალი შენობა. კაჭრეთში მოქმედებენ: საუბნო საავადმყოფო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიკლინიკა, სანეპიდსადგური, სამალარიო სადგური, საბავშვო ბაგა და აფთიაქი.

კაჭრეთში მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. იგი წარმოდგენილია რაიმრეწკომბინატის ხე-ტყის სახერხი და ლიმონათის ქარხნებით, აგრეთვე ყველ-კარაქის საწარმოთი და სარეწაო კავშირის სამკერვალოთი. აქვე არსებობს რაიონული გაზეთის „სოციალისტური მეურნეობის“ სტამბა და მანქანა-ტრაქტორთა სადგური. კაჭრეთის რკინიგზის სადგურთან მოწყობილია საქნავთის ბაზა, სადაც მირზაანიდან ნავთსადენით მიღებული ნავთობი ისხმება რკინიგზის ცისტერნებში და ამ გზით იგზავნება ნავთის გადამმუშავებელ ქარხანაში.

ვ. ს. ჯაფარიძე

НАСЕЛЕНИЕ И ГЛАВНЫЕ НАСЕЛЕННЫЕ ПУНКТЫ ГАРЕ КАХЕТИ

Резюме

В труде дается характеристика населения и главных населенных пунктов Гаре Кахети.

Значительная часть территории Гаре Кахети, характеризующаяся благоприятными природными условиями, издревле являлась одной из густонаселенных уголков Грузии. В тоже время, из-за недостатка как питьевой, так и поливной воды, большая часть Гаре Кахетинского плоскогорья в прошлом также не была заселена.

В результате многократных нашествий внешних врагов, в прошлом этот край часто подвергался опустошениям, вследствие чего количество коренного грузинского населения катастрофически уменьшалось и неоднократно имело место заселение Гаре Кахети как грузинами, так и иноземцами.

Коренное улучшение материального благосостояния, бытовых условий и здравоохранения трудящихся в условиях Советской власти, вызвало быстрый рост населения Гаре Кахети; кроме естественного прироста, имел место также механический рост. В 1926—1939 годах среднегодовой прирост населения составлял 1,4 %, тогда, как тот же показатель в конце прошлого столетия не превышал 0,79 %-ов.

Основная масса жителей Гаре Кахети состоит из коренного грузинского населения; в значительном количестве проживают также переселенцы—русские, азербаиджанцы и армяне.

В Советское время быстро выросло городское население, но в связи с тем, что Гаре Кахети является сельскохозяйственным районом, количество городских жителей здесь всеже небольшое (13,4 % всего населения), и своим удельным весом в общем количестве населения более чем два раза отстает от аналогичного показателя всей Грузии.

В результате проведения в годы Советской власти больших ирригационных работ (Самгорский канал и др.), в Сагареджоиском и Цителцкаройском районах Гаре Кахети осуществлено переселение сельского населения из горных районов Грузии. В связи с перспективой строительства

мощных оросительных систем и сельскохозяйственного освоения значительных земельных площадей, в будущем станет возможным переселение в Гаре Кахети новых контингентов сельского населения.

По густоте населения Гаре Кахети приблизительно в два раза отстает от среднего аналогичного показателя для всей республики. По территории края население распределено неравномерно: в благоприятных условиях поселения — главным образом, вдоль низких склонов Цив-Гомборского хребта и на его окончании—в пределах каждого административного района выделяются 2—3 группы компактного расселения, состоящие из нескольких, расположенных рядом, крупных населенных пунктов. Около 85 % населения Гаре Кахети расположено в этих группах компактного расселения.

Основным типом поселения является крупное село, с числом жителей не менее 2.000 чел. Более двух третей сельского населения проживает в таких селах, остальное же количество в меньших по размерам населенных пунктах. 90 % населения расселено на высоте 200—800 м над уровнем моря. В селах Гаре Кахети распространены каменные и кирпичные дома, покрытые черепицей; часть населения в качестве стенового материала использует также саманный (необожженный) кирпич.

Если в прошлом число грамотных среди населения Гаре Кахети составляло не более 10 %, то в советский период ликвидирована неграмотность и осуществлено всеобщее обязательное обучение в пределах восьмилетней школы. На каждый населенный пункт в среднем приходится не менее одной школы, а число учащихся составляет одну пятую часть населения. Создана широкая сеть культурно-просветительных учреждений (Дома культуры, клубы, библиотеки, кинотеатры и др.). Активным участником происшедшей на селе культурной революции является вышедшая из среды трудового народа местная интеллигенция, насчитывающая в своих рядах тысячи учителей, врачей, агрономов и деятелей других областей культуры.

В результате социалистической реконструкции сельского хозяйства и развития промышленности, в корне улучшилось материальное обеспечение и бытовые условия населения. Большие работы были виполнены по электрификации сел Гаре Кахети, а также для обеспечения населения питьевой водой, но в этом направлении следует осуществить еще ряд мероприятий.

Крупные успехи достигнуты в деле охраны здоровья трудящихся. Если в прошлом в этом крае почти полностью отсутствовала врачебная помощь, то в настоящее время создана целая система здравоохранения, объединяющая большое число больниц, амбулаторий, родильных домов и других медицинских учреждений. На несколько сот жителей Гаре Кахети приходится один врач, а средства, расходуемые государством на одного жителя, составляют в среднем 90 руб. в год.

В Гаре Кахети с древнейших времен существовал ряд городов, но из них до нас дошел только город Сигнахи. Несмотря на то, что в советское время было создано три поселка городского типа (Цнори, Цители Цкаро и Мирзаани), всеже города здесь представлены слабо. За последние

годы проведены значительные работы по благоустройству города Сигнахи и поселков городского типа.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ვ. ი. ლენინი, სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 19.
2. ვ. ი. ლენინი, ფურცლები დღიურიდან, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 33.
3. ი. სტალინი, დეკლარაცია დაღისტნის საბჭოთა ავტონომიის შესახებ, თხზ, ტ. მე-4.
4. ი. სტალინი, პოლიტიკური ანგარიში სკკ (ბ) XVII ყრილობას. ლენინიზმის საკითხები, მეთრთმეტე გამოცემა, თბილისი, 1939.
5. ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები საბჭოთა კავშირში, თბილისი, 1952.
6. ნ. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, მოხსენება სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს, თბილისი, 1953
7. ილ. ავალიშვილი, ქიზიყის გლეხთა აჯანყება 1878 წელს, ხელნაწერი, სიღნაღის მუზეუმის მასალები.
8. А. М. Аргутинский, Экономический быт государственных крестьян Сигнахского уезда; в сборнике—Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, Тифлис, 1886.
9. Д. Ахвледиани, Население Кахетии, Тифлис, 1909.
10. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Акты, том V.
11. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „ბიბლიოთეკა“, ტ. III, თბილისი, 1953.
12. საუბარი სამეცნიერო ექსპედიციის მეთაურთან ნ. ბერძენიშვილთან, გაზ. „ახალი შირაქი“-საქ. კომ. პარტიის წითელი წყაროს რაიკომის და რაიაღმასკომის ორგანო 1951, № 60.
13. გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა, „საქართველოს არქივი“, III, თბილისი, 1927.
14. იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი, თბილისი, 1880.
15. ზ. გულისაშვილი, მოთხრობები, ნარკვევები. თბილისი, 1953.
16. დ. დანგაძე, სიღნაღის ძველი ისტორიიდან, გაზ. „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1938 № 188—190.
17. მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 1953.
18. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
19. ლ. თამარაშვილი, საგარეჯოს რაიონის ისტორიული ძეგლები, გაზ., „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯო), 1951, № 36, 40, 53, 68, 74.
20. ლ. თამარაშვილი, მასალები საგარეჯოს რაიონის ისტორიისათვის, გაზ., „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯო), 1950, № 55, 80, 89, 104, 108.
21. ს. თოფოლაშვილი, ქიზიყის გლეხების სიღარიბე, „ივერია“ 1878, № 17, გვ. 3—4.
22. Пл. Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии; Тифлис, 1850.
23. Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, Тифлис, 1866.
24. Пл. Иоселиани, Путевыя записки по Кахетии, «Закавказский вестник», 1845, №№ 22—28.
25. «Кахетия», приложение к справочной книге старожила «Кавказ», Тифлис, 1891, № 3.
26. В. П. Ляхов, подп., Военно-статистическое описание Тифлисской губернии и Закатальского округа, Тифлис, 1902.
27. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყის შესახებ, გაზ., „ახალი შირაქი“ (წითელი წყარო), 1945. № 37—39.
28. არ. ნონეზოვი, პედაგოგიური განათლების ისტორიის საკითხისათვის სიღნაღში, სიღნაღის მუზეუმის მასალები, ხელნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. И. И. Пантюхов, К статистике кавказской патологии; Медицинский сборник Кавказского Медицинского общества, Тифлис, 1898, № 61.
30. Д. Пурцеладзе, Историко-археологическое описание Бодбийского собора, Тифлис, 1888.
31. სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა ფშაველა, თბილისი, 1937.
32. Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи. Очерк по истории искусства Грузии, Тбилиси, 1948.
33. ამბ. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბილისი, 1951.
34. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948.
35. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1943.
36. სხვადასხვა ამბები (კახეთის მოსახლეობა), „კვალი", 1898, № 9.
37. სხვადასხვა ამბები (გადმოსახლებულ რუსთა მდგომარეობა სიღნაღის მაზრაში), „კვალი", 1901, № 46.
38. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის. ტ. I, 1929, ტ. II, 1930, ტ. III, 1932.
39. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები 1923.
40. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1927.
41. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დაყოფა, გამოც., 1930 და 1949.
42. Тифлисская губерния, Свод статистических данных за 1886 год, Тифлис, 1893.
43. საქ. მეცნ. აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები; 1953 წლის გარე კახეთის ექსპედიციის მასალები, საქმე № 521 და სხვ., მოსახლეობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და საქონელთბრუნვა, მრეწველობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. VII, 1955
Академия наук ГССР. Труды Института географии им. Вахушти, т. VII, 1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. კაკაბაძე

გარე კახეთის მრეწველობის განვითარება და განლაგება

მრეწველობის ზოგადი დახასიათება

საქართველოს ცალკეული კუთხეების მრეწველობის შესახებ ეკონომიურ-გეოგრაფიული ხასიათის შრომები თითქმის არ მოგვეპოვება. მაგრამ ეკონომიური ხასიათის შრომებში გაშუქებულია მრეწველობის ზოგიერთი საკითხი მთელი საქართველოსათვის და, კერძოდ, გარე კახეთისათვისაც.

საქართველოს მრეწველობის შესახებ საგულისხმო შრომები მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში დაიწერა. ამათ რიცხვს ეკუთვნის: აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის [11, 12], ალ. ჯავახიშვილის [10], გ. ნ. გეხტმანის [8] და სხვათა შრომები. გარდა ამისა, საქართველოს მრეწველობის ცალკეულ საკითხებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „საქართველოს სოციალისტურ მეურნეობაში", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში და სხვ. მაგრამ დღეისათვის გარე კახეთის მრეწველობის კომპლექსური ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება გეოგრაფიულ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება.

კახეთი საერთოდ და გარე კახეთი, კერძოდ, ძველთაგანვე ცნობილი იყო შინამრეწველური ხასიათის რიგი დარგებით; შინამრეწველურ საწარმოებსა და სახელოსნოებში მზადდებოდა კვების პროდუქტები, საამშენებლო მასალები, საფეიქრო ნაწარმი და სხვ. იმ დროისათვის ეს ნაწარმი საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. გარე კახეთის მდიდარი არქეოლოგიური მასალები უდავოდ ლაპარაკობს ამ რაიონის მოსახლეობის კულტურულ და სამეურნეო განვითარების მაღალ დონეზე ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, მაგრამ გარეშე მტრის ურდოთა ხშირი შემოსევა-თარეში მეტწილად მთლიანად ანადგურებდა საზოგადოებრივი წარმოების მიღწევებს, მტერი ანგრევდა და წვავდა ქალაქებსა და სოფლებს, სპობდა და ანადგურებდა ისტორიულ ძეგლებს. მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე გარეშე მტრების თარეში შეწყდა, მაგრამ მეფის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა აშკარად აფერხებდა საქართველოში მრეწველობის დაწერგვასა და განვითარებას. მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოს ისედაც დაქვეითებული მრეწველობა კიდევ უფრო განადგურდა და დაეცა. საწარმოების 50%-ზე მეტი უმოქმედოდ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, ისე როგორც მთელი საქართველოს, გარე კახეთის მრეწველობაც უმთავრესად წვრილი კაპიტალისტური და ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოებით ხასიათდებოდა.

1921 წლიდან დაიწყო ახალი ეპოქა საქართველოსა და, კერძოდ, გარე კახეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიაში. სწრაფი ტემპით დაიწყო მრეწველობის განვითარება. აღდგენით პერიოდსა და ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რიგი ახალი დარგები, გარდაიქმნა და გაფართოვდა მრეწველობის ძველი დარგები.

გარე კახეთში ამჟამად მრეწველობის რიგი ახალი დარგებია, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებსა და სოფლის მეურნეობის სანედლეულო ბაზას ეყრდნობიან. ხუთწლედების მანძილზე აგებულ იქნა მანავის, ანაგის, ვაქირის, ტიბაანის, წნორის, ხირსის ღვინის ქარხნები; საგარეჯოს, სართიჭალის, გომბორის, კაჭრეთის, ბადიაურის, წითელწყაროს, არბოშიკის, ზილჩის, თავწყაროს, გამარჯვების, ალაზნისპირა, წნორის, მაღაროს ყველ-კარაქის ქარხნები და სხვ. ამუშავდა კვების მრეწველობის ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოები (პურის საცხობები, ლიმონათის ქარხნები და სხვ.).

გარე კახეთის ბუნებრივი რესურსების ბაზაზე განვითარდა მირზაანისა და პატარა შირაქის ნავთობმოპოვებითი მრეწველობა; საამშენებლო მასალათა წარმოება (წითელწყაროს კირის მექანიზებული ქარხანა, ელიას საშენი ქვის წარმოება, ბოგდანოვკის გაჯის წარმოება, ბადიაურის აგურ-კრამიტის, ხაშმის აგურის ქარხნები და სხვ.).

აღსანიშნავია აგრეთვე დაბა წნორის ხე-ტყის სახერხი და ავეჯის ფაბრიკები, წითელწყაროსა და საგარეჯოს ხე-ტყის სახერხი ქარხნები და სხვ. მაგრამ გარე კახეთის დღევანდელი მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს მისი განვითარების შესაძლებლობის დონეს.

გარე კახეთის დღევანდელ სახელმწიფო მრეწველობაში შემდეგი ძირითადი დარგები გამოიყოფა: ნავთობმოპოვებითი, ლითონგადამამუშავებელი, საამშენებლო მასალათა, მსუბუქი, კვებისა და პოლიგრაფიული.

გარე კახეთში 1953 წ. სულ 76 დიდი და პატარა სახელმწიფო სამრეწველო საწარმო იყო, 1355 მუშა-მოსამსახურითა და ინჟინერ-ტექნიკოსით. ამ საწარმოებმა 1952 წელს 64.100,6 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია (გასაცემ ფასებში) გამოუშვეს. გარე კახეთში ყველაზე მძლავრია კვების მრეწველობა, რომელიც სამრეწველო პროდუქციის მთელი ღირებულების 72,3% იძლევა. მას მოსდევს ნავთობმოპოვებითი მრეწველობა, რომლის წილად რაიონის სამრეწველო პროდუქციის 19,2% მოდის, შემდეგ თანმიმდევრობით მიჰყვება ლითონგადამუშავება (3,2%), მსუბუქი მრეწველობა (2,1%), საამშენებლო მასალათა მრეწველობა (2,0%), სატყეო (0,7%) და ბოლოს—პოლიგრაფიული (0,5%).

გარე კახეთის სახელმწიფო მრეწველობის ძირითად საშუალებათა ღირებულება 173.218,8 ათას მანეთს უდრის; მათ შორის 90,1% მირზაანისა და პატარა შირაქის ნავთობის მოპოვებაზე მოდის, 4,8%—კვების მრეწველობაზე, 2,2%—საამშენებლო მასალათა მრეწველობაზე, 1,8%—ლითონგადამუშავებაზე, 0,7%—მსუბუქმრეწველობაზე, 0,3%—სატყეო მრეწველობაზე და 0,1%—პოლიგრაფიულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის სახელმწიფო მრეწველობის კაპიტალდაბანდების 89,4% ნავთობის მრეწველობაზე მოდის 1952 წლის მონაცემებით.



დიაგრამა 1. სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგების ხვედრითი წონა გარე კახეთის საერთო პროდუქციაში 1952 წელს (%%-ით)

გარე კახეთის სახელმწიფო მრეწველობის ხვედრითი წონა ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: სიღნაღის რაიონი გარე კახეთის სახელმწიფო მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულების 52,4% იძლევა, წითელწყაროს—32,2%, საგარეჯოს—13,7%, კაჭრეთის—1,7%; როგორც დავინახეთ, კაჭრეთის რაიონის მრეწველობის ხვედრითი წონა გარე კახეთის სახელმწიფო მრეწველობაში ძალზე მცირეა (1,7%). ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ იგი შედარებით ახალი ადმინისტრაციული რაიონია (1945 წ. შეიქმნა).



დიაგრამა 2. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%-ით)

გარე კახეთის მრეწველობა მცირე სიმძლავრის წვრილი საწარმოებით ხასიათდება (ერთ საწარმოზე საშუალოდ მოდის 16 მუშა). ამ მხრივ იგი ბევრად ჩამორჩება შიგნი კახეთს, შიდა ქართლსა და რესპუბლიკის რიგ სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებსაც. უკანასკნელ პერიოდში მიღებულია ზომები გარე კახეთის მრეწველობის განვითარებისათვის და ამ მიზნით წარმოებს რიგი მნიშვნელოვანი საწარმოების მშენებლობა (ელევატორისა—წითელწყაროსა და წნორში, ღვინის ქარნებისა—საგარეჯოში, ბადიაურში, მაღაროსა და ტიბაანში, მაცივრისა—წნორში; ტრაქტორების მექანიკური სარემონტო სახელოსნოებისა და სხვ.).

აღსანიშნავია აგრეთვე გარე კახეთის კოოპერაციული მრეწველობა. გარე კახეთში 1953 წ. სულ კოოპერაციული მრეწველობის 12 საწარმო მუშაობდა. ამ საწარმოებმა 1953 წ. ერთ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია გამოუშვეს, რაც გარე კახეთის მრეწველობის მთელი პროდუქციის 1,8%-შეადგენს. ეს ციფრი ამ დარგის ჩამორჩენილობაზე მიუთითებს.

გარე კახეთში წარმოდგენილია აგრეთვე კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები. 1953 წლისათვის აქ სულ 363 საკოლმეურნეო დამხმარე საწარმო იყო, რომლებმაც გამოუშვეს 3,5 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია, რაც გარე კახეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 5,5% შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, გარე კახეთის მრეწველობაში წამყვანი როლი სახელმწიფო მრეწველობას ეკუთვნის. იგი გარე კახეთის სამრეწველო პროდუქციის მთელი ღირებულების 92,7% იძლევა.

განვიხილოთ სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგები:





დიაგრამა 3 და 4. ცალკეული სექტორების (სახელმწიფო, კოოპერაციული, საკოლმეურნეო) ხვედრითი წონა გარე კახეთის მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%-ით)

ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის მრეწველობის საერთო პროდუქციაში (სახელმწიფო, კოოპერაციული, საკოლმეურნეო) 1952 წ. (%%-ით)

1. ნავთობმოპოვებითი მრეწველობა. გარე კახეთის მრეწველობის ეს დარგი მირზაანისა და პატარა შირაქის ნავთობმოპოვებითაა წარმოდგენილი. საქართველოში არსებული ნავთობის მრავალ საბადოთა შორის მირზაანის საბადო მარაგითა და მოპოვებით ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთანავე, მირზაანში ნავთობის მოპოვებას ხანგრძლივი ისტორია აქვს; აქ ნავთობის მოპოვებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებიდან საზღვარგარეთელი კაპიტალისტები აწარმოებდნენ. ნავთობს ამუშავებდნენ ადგილობრივად პრიმიტიულად მოწყობილ ქარხანაში. სანიგბო ბურღვას დარტყმითი წესით აწარმოებდნენ.

საბჭოთა ტექნიკით სათანადო შეიარაღების შემდეგ, ბურღვის საქმეს მირზაანის საბადოში ხელი მოჰკიდა „აზნევთმა“, ამავე დროს დაარსდა ტრესტი „საქნავთი“, რომელიც უშუალოდ „აზნევთს“ ექვემდებარებოდა. 1938 წელს ტრესტი „საქნავთი“ გამოეყო „აზნევთს“ და უშუალოდ შევიდა ნავთის მრეწველობის საკავშირო კომისარიატის განკარგულებაში. ამის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარებას.

მირზაანში ნავთობშემცველი 27 შრეა; დღემდე აქ ბურღვას აწარმოებდნენ მე-17 შრემდე. დღეისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ღრმა ბურღვა, მაგრამ ეს გაძნელებულია შრეების სირთულით, მისი წვრილმარცვლოვნობით.

მირზაანის ნავთობის ჭებისათვის დამახასიათებელია, ექსპლუატაციის დასაწყისში ნავთობის დიდი დებიტი, ნაგრამ შემდგომ დებიტი თანდათან მცირდება. მიუხედავად ამისა, 1952 წ. აქ ნავთობის მოპოვებამ 109-ჯერ გადააჭარბა რევოლუციამდელ დონეს, იგი იძლევა გარე კახეთის რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 19,2%. 1940 წლამდე მირზაანში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა შირაქში მოპოვებული ნავთობი მუშავდებოდა ადგილობრივ, მირზაანში მოწყობილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. მაგრამ 1940 წ. მირზაანის ქარხანა გაუქმდა.

ამ დროიდან დაწყებული მირზაანსა და პატარა შირაქში მოპოვებული ნავთობი ნავთსადენი მილით მიდის კახეთის რკინიგზის სადგურ კაპრეთამდე; აქედან კი რკინიგზით ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში იგზავნება. დაბა წითელწყაროსა და მირზაანში ნავთობის სარეწაოების მუშებისათვის აგებულია როგორც საერთო, ისე ცალკე ოჯახებისათვის, საცხოვრებელი სახლები. მოწყობილია მუშათა კლუბი, ბიბლიოთეკა, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, საავადმყოფო, საბავშვო ბაგა, საბავშვო ბაღი, რვაწლიანი სკოლა და სხვ.



სურ. 1. ნავთის ჭაბურღილი შირაქში

მირზაანისა და პატარა შირაქის ნავთობის საძიებო და მოპოვებითი სამუშაოების ძირითად საშუალებათა ღირებულება რაიონის მთელი მრეწველობის ძირითად საშუალებათა ღირებულების 90,1%-შეადგენდა.

მირზაანის ნავთობის მოპოვებითი და საძიებო სამუშაოსთან დაკავშირებით აიგო (1932 წ.) წითელწყაროს მექანიკური სახელოსნო. იგი ემსახურებოდა არა მარტო წითელწყაროს რაიონის ნავთობის მრეწველობას, არამედ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ნავთობის საძიებო და მოპოვებით სამუშაოებს. ქარხანა აწარმოებს ნავთობის მოპოვებითი მრეწველობისათვის საჭირო მანქანებისა და ხელსაწყოების შეკეთებას, ამზადებს მანქანების და ხელსაწყოების ცალკეულ ნაწილებსა და დეტალებს, მაგალითად, მაღალი წნევის კომპრესორებისათვისაც კი.

სოფ. ლილოში მძლავრ მექანიკურ სახელოსნოს აშენების გამო წითელწყაროს მექანიკური სახელოსნო ახლო მომავალში უნდა შეიკვეცოს. იგი მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურებას გაუწევს მხოლოდ მირზაანის ნავთის საძიებო და მოპრეგნირ მრეწველობას. მექანიკურ სახელოსნოს აქვს საკუთარი თბოელსადგური, სამჭედლო და ჩამომსხმელი საამქრო. 1952 წელს ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება რაიონის მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 3,2%-შეადგენდა. ქარხნის ძირითადად საშუალებათა ღირებულება რაიონის მთელი მრეწველობის ძირითად საშუალებათა ღირებულების 1,8%-შეადგენს.

2. საამშენებლო მასალათა წარმოება. გარე კახეთი მდიდარია ზოგიერთი ბუნებრივი საამშენებლო ნედლეულით (თიხნარები, გაჯი, კირქვები, ფიქლები. საშენი ქვა და სხვ.). ეს ნედლეული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სუსტად იყო გამოყენებული, მცირე ნაწილი პრიმიტიულ წესით მოწყობილ აგურ-კრამიტისა და კირის საწარმოებში მუშავდებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო გარე კახეთის ბუნებრივი საამშენებლო ნედლეულის შესწავლა-გამოვლინება და მისი მაქსიმალური გამოყენება. ერთი მხრივ, გარე კახეთში უხვი საამშენებლო ნედლეულის არსებობამ და, მეორე მხრივ, რაიონის სამრეწველო და კომშენალურ მშენებლობის განვითარებამ, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურმა მხრუნველობამ ხელი შეუწყო სმამშენებლო მასალათა მრეწველობის განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გარე კახეთში შეიქმნა საამშენებლო მასალათა წარმოების რიგი დარგები—აგურ-კრამიტის, კირის, გაჯის, საშენი ქვის და სხვ. აღნიშნული საამშენებლო მასალათა საწარმოები ძირითადად განლაგებულია ნედლეულის ბაზებთან და მოხმარების ცენტრებში.

გაშლილ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასთან დაკავშირებით სისტემატურად იზრდებოდა საამშენებლო მასალათა პროდუქცია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარე კახეთის დღევანდელი საამშენებლო მასალათა სამრეწველო პროდუქცია ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს რაიონის მშენებლობას.

გარე კახეთის საამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია:

ა) სიღნაღის რაიონის ალაზნის აგურ-კრამიტის ქარხანა; იგი აშენდა 1941 წელს. პირველ ხანებში იგი პრიმიტიულად იყო მოწყობილი, აქ თითქმის ყოველგვარი სამუშაოები ხელით ტარდებოდა, მაგრამ 1947—1948 წწ. მოხდა ქარხნის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია; დაიდგა ახალი ტიპის მანქანები, ამავე დროს მოეწყო კრამიტის დამამზადებელი საამქრო. ამან მნიშვნელოვნად გაზარდა ქარხნის პროდუქცია (1952 წელს ქარხანამ სამჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა 1946 წელთან შედარებით).

ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციას (აგურ-კრამიტი) სიღნაღის რაიონის გარდა მეზობელი რაიონებიც იყენებენ.

ბ) საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის აგურის ქარხანა (აშენდა 1940 წელს). ქარხანა აგურის დამზადებას კუსტარული წესით აწარმოებდა. 1951 წლიდან, ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ, აგურის დამზადება აქ ნახევრად მექანიზებული წესით ხდება. ამის შედეგად, 1952 წელს, 1948 წელთან შედარებით, ორნახევარჯერ გადიდდა აგურის გამოშვება.

გ) გარე კახეთის საამშენებლო მასალათა წარმოების მნიშვნელოვანი ობიექტია დაბა წითელწყაროს კირის ქარხანა. დაბა წითელწყაროს მიდამოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირქვის დიდი ოდენობით არსებობამ და, მეორე მხრივ, კახეთში კირზე (რომ-გორც მშენებლობისათვის, ისე ვაზის შესაწამლად) მოთხოვნილების გადიდებამ განსაზღვრა დაბა წითელ-წყაროს კირის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა ქარხანა აშენდა 1939 წელს. 1946 წლამდე მას მხოლოდ ერთი ღუმელი ჰქონ-ოდა, 1946—1947 წწ, კი დამატებით აშენდა მეორე ღუმელი, რის გამოც ქარხნის წარმადობა გაორკეცდა. ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია—კირი, ძირითადად კახეთის (შიგნი და გარე კახეთის) რაიონებს ხმარდება. ნაწილი საქართველოს სხვა რაიონებშიც მიდის. კირის ქარხანა ნედლეულს—(კირქვას) აგარის შაქრის ქარხანას უგზავნის. კახეთის რაიონების გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, განზრახულია ქარხანაში მესამე ღუმელის მოწყობა.



სურ. 2. კირის მექანიზებული ქარხანა წითელწყაროში

დ) საამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია წითელწყაროს რაიონის მთა ელიას საამშენებლო ქვის წარმოება, რომელმაც მუშაობა 1952 წლიდან დაიწყო. სათანადო შემოწმების შედეგად დადასტურებულია, რომ ელიას თეთრი საშენი ქვა ძვირფას საამშენებლო საშენ მასალას წარმოადგენს. ახლო მომავალში გათვალისწინებულია ელიას საშენი ქვის წარმოების გაფარ-თოება.

გარდა ამისა, გარე კახეთის რაიონებში მოწყობილია საამშენებლო მასა-ლათა—აგურ-კრამიტის, კირის, გაჯისა და სხვათა კუსტარული საწარმოები, როგორიცაა საგარეჯოს რაიონის სოფ. მუღანლოს, კაჭრეთის რაიონის სოფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგდანოვკის, წითელწყაროს რაიონის შირაქის, სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროს გაჯის ქარხნები; საგარეჯოს რაიონის სოფ. თორის და დაბა წითელწყაროს სამრეწველო კომბინატის კირის ქარხნები; კაჭრეთის რაიონის სოფ. ბადიაურის და წითელწყაროს რაონის ალაზნის აგურ-კრამიტის ქარხნები. აღნიშნულმა საწარმოებმა 1952 წელს გამოუშვეს: აგური—1,4 მილიონი ცალი, კრამიტი—208,3 ათასი ცალი, კირი—5,1 56 ტონა და გაჯი—785 ტონა, ღირებული 1,2 მილიონ მანეთად.

გარე კახეთის საამშენებლო მასალათა მრეწველობაში ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა შემდეგნაირად წარმოგვიდგება; პირველ ადგილს იკავებს წითელწყაროს რაიონი, რომლის წილად მოდის გარე კახეთის მთელი საამშენებლო მასალათა წარმოების ღირებულების 44,6%, მეორე ადგილზეა სიღნაღის რაიონი—32,7%, შემდეგ საგარეჯოსი—18,8% და კაჭრეთის—3,9%.



დიაგრამა 5. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის სახელმწიფო საამშენებლო მასალათა მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%-ით)

მართალია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საამშენებლო მასალების წარმოების ხაზით ბევრი რამ გაკეთდა, მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ არ არის განვითარებული თანამედროვე მოთხოვნილების დონემდე. ეს აშკარად ჩანს იქიდანაც, რომ იგი გარე კახეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 2,2% იძლევა.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული საგარეჯოს რაიმრეწკომბინატის მიერ; 1953 წლიდან დაიწყო სოფ. გიორგიწმინდის ნასადგომარის ტერიტორიაზე აგურ-კრამიტის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა. რომლის წლიური წარმადობა, გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია 2,7 მილიონი ცალი აგურის და 2,0 მილიონი ცალი კრამიტის გამოშვებით. იგი ახლო მომავალში რაიონს უზრუნველყოფს აგურ-კრამიტით.

3. **სატყეო და ხის დამამუშავებელი მრეწველობა.** გარე კახეთი შედარებით ღარიბია ტყის მასივებით; ტყეებს აქ მთელი ტერიტორიის 12,8% უჭირავს. გარე კახეთის ტყეებს ნიადაგ დაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვს. ამის გამო აქ საექსპლოატაციოდ გამოსადეგი ტყე არაა, ამიტომაც, რაიონის ხე-ტყის სახერხი და ხის გადამამუშავებელი საწარმოები უმთავრესად შემოზიდულ ხე-ტყის ნედლეულზე მუშაობენ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გარე კახეთში აშენდა ხე-ტყის მრეწველობის ახალი საწარმოები (ხე-ტყის სახერხი, ავეჯის, კასრებისა და სხვ.). მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სუსტადაა განვითარებული და პატარ-პატარა საწარმოებითაა წარმოდგენილი. ეს იქიდანაც დასტურდება, რომ ხე-ტყის მრეწველობაზე მოდის გარე კახეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 0,8%.

გარე კახეთის ხე-ტყის მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია: სოფ. საგარეჯოს ავეჯისა და ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ქ. სიღნაღისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბა წნორის ხე-ტყის სახერხი და ავეჯის ფაბრიკები, ქ. სიღნაღის კასრებსა საწარმო. როგორც ვხედავთ, სატყეო, მრეწველობის საწარმოები უმთავრესად სამ რაიონშია თავმოყრილი; მათ შორის აღსანიშნავია სიღნაღის რაიონი, რომლის წილად მოდის გარე კახეთის მთელი სატყეო მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 62,4%, შემდეგ თანმიმდევრობით მიჰყვება საგარეჯოს რაიონი—(33,3%), ყაჭრეთის—(4,3%).



დიაგრამა 6. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის სახელმწიფო სატყეო მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%-ით)

4. **მსუბუქი მრეწველობა.** მსუბუქი მრეწველობა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს. გარე კახეთის დღევანდელი მსუბუქი მრეწველობა ბამბეულის საქსოვი, სტრიკოტაჟო, სამკერვალო და ფეხსაცმლის სახელოსნოების სახითაა წარმოდგენილი. დასახელებული საწარმოების პროდუქციას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფისათვის.

პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის. ამას ერთხელ კიდევ მჭერმეტყველურად ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1953 წლის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებები. ამჟამად დასმულია ამოცანა: მძიმე მრეწველობის უფრო ჩქარ განვითარებასთან ერთად გავადიდოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, უზრუნველვყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი განვითარება.

ომის შემდგომი წლების მანძილზე გარე კახეთის მსუბუქ მრეწველობაში მიღწეულია ომამდელი დონე და მნიშვნელოვნად გადამეტებულია იგი ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის გაზრდილებაში, მაგრამ ეს მიღწევა საკმარისი არაა.

გარე კახეთში მსუბუქი მრეწველობის პატარა, კუსტარული საწარმოებია წარმოდგენილი. 1952 წელს რაიონის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა 1.337,8 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. მრეწველობის ამ დარგის ხვედრითი წონა გარე კახეთის მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 2,3% შეადგენს.

გარე კახეთის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია: ქ. სიღნაღის, დაბა წითელწყაროს და სოფ. საგარეჯოს ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები; საგარეჯოს რაიონის სოფ. სართიჭალის ბამბეულის საქსოვი, ნაბდების საწარმოო და სხვ.

მაგრამ მსუბუქ მრეწველობის აღნიშნული საწარმოები სავსებით ვერ აკმაყოფილებენ გარე კახეთის მოსახლეობას ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლით, ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს მსუბუქი მრეწველობის არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია და ახალი სამრეწველო საწარმოების აშენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საქმეში რაისამრეწველო კომბინატმა და სარეწაო კოოპერაციამ, ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით, მსუბუქი მრეწველობის ქსელის გაფართოებასთან ერთად, ხელი უნდა მოკიდონ ფართო მოხმარების საქონლის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვას, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, შეწყვიტონ ისეთი საქონლის წარმოება, რომელსაც მოსახლეობა არ მოითხოვს; გააფართოონ მსუბუქი მრეწველობის საკუთარი სანედლეულო ბაზა და გაადიდონ სხვადასხვა სახეობის ნედლეულისა და მასალების წარმოება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კვალიფიციური კადრების მომზადებას.



დიაგრამა 7. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის სახელმწიფო მსუბუქი მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%-ით)

5. კვების მრეწველობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ისე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, გარე კახეთშიაც უმოკლეს ვადაში აღდგენილი, გარდაქმნილი და გაფართოებულ იქნა კვების ყველა ძველი სამრეწველო საწარმოო; გაიშალა კვების მრეწველობის ახალი საწარმოების მშენებლობა

ხუთწლედების პერიოდში გარე კახეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის მოწინავე რაიონად გადაიქცა. გარე კახეთი დღეს საქართველოს რესპუბლიკაში წარმოადგენს მარცვლეულის, მეცხოველეობის, მევენახეობის, მებოსტნეობა-მებაღჩეობის და ზოგიერთი ტექნიკურ კულტურების (მზესუმზირის) მნიშვნელოვან რაიონს. იგი დიდი რაოდენობით აძლევს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს (მარცვლეულს, ყურძენს, პირუტყვს, ხილბოსტნეულს) რაიონის კვების მრეწველობას. ამის შედეგად, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზაზე, მნიშვნელოვნად განვითარდა კვების მრეწველობა, ამიტომაც დიდია გარე კახეთის კვების მრეწველობის ხვედრითი წონა რაიონის მთელ მრეწველობაში. 1952 წელს კვების მრეწველობამ 46.346,7 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვა, რაც რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების ორმესამედზე მეტს (72,3%) შეადგენს. მიუხედავად ამისა, კვების მრეწველობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განვითარებული და სასურსათო საქონლის წარმოების მოცულობა და ზრდის ტემპი ამჟამად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის გაზრდილ მოთხოვნილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ გარე კახეთის კვების მრეწველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს ზოგიერთი ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის კვების მრეწველობის პროდუქციის მოცულობას და, განსაკუთრებით კი, მის მეზობელ შიგნი კახეთისა და შიდა ქართლის რაიონების კვების მრეწველობის პროდუქციის ოდენობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია 1954—1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებში სასურსათო საქონლის წარმოების მკვეთრი გადიდების კონკრეტული დავალებანი.

„გადაუდებელი ამოცანა ის არის, — ნათქვამია პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში, — რომ უახლოეს 2—3 წლის განმავლობაში მკვეთრად გადიდდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, თევზითა და თევზის პროდუქტებით, ერბო-კარაქით, შაქრით, საკონდიტრო ნაწარმით, კონსერვებითა და სხვა პროდუქტებით“.

აღნიშნული დადგენილება უდიდეს მოვალეობას აკისრებს ჩვენი რესპუბლიკისა და ადგილობრივი რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და მათ შორის გარე კახეთის მუშაკებს, უახლოეს პერიოდში ისე გარდაქმნან გარე კახეთის კვების მრეწველობა, რომ მან მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მოსახლეობის დღეკანდელი მოთხოვნილება ძირითად პროდუქტებზე.

გარე კახეთის კვების მრეწველობა უმთავრესად პატარა მოცულობის საწარმოებითაა წარმოდგენილი და სუსტად არის აღჭურვილი თანამედროვე მანქანა-დანადგარებით.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, კვების მრეწველობა გარე კახეთის ზოგიერთ ადმინისტრაციულ რაიონში ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს. საწარმოების ხელმძღვანელებმა, პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესასრულებლად, უნდა იბრძოლონ იმისათვის, რათა გააფართოონ საწარმოთა ქსელი, მოამარაგონ ისინი საჭირო თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, აღზარდონ კვალიფიციური მუშახელი, გამოავლინონ ადგილობრივი ნედლეული რესურსები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასორტიმენტის დაცვასა და მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მომავალში ისე უნდა გარდაქმნას მუშაობა, რომ მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობა. მივაწოდოთ მომხმარებელს მეტი მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების კვების პროდუქტები.

გარე კახეთის დღეკანდელი კვების მრეწველობის დარგთაგან აღსანიშნავია, მეღვინეობა, ერბო-ყველ-კარაქის, მცენარეული ზეთის, პურისა და საკონდიტრო წარმოება და სხვა.

კვების მრეწველობაში წამყვან დარგს მეღვინეობა წარმოადგენს, რომელმაც 1952 წელს გამოუშვა 30.172,8 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რაც, რაიონის კვების მთელი სამრეწველო პროდუქციის 65% შეადგენს, ამავე დროს, მეღვინეობაში მუშაობს კვების მრეწველობაში ჩაბმული მუშების თითქმის ნახევარი (45,3%). გარე კახეთში მეღვინეობის წამყვანი რაიონი სიღნაღია, რომელიც იძლევა გარე კახეთის ღვინის მრეწველობის მთელი პროდუქციის 88,8%. გარე კახეთში არსებული ღვინის შვიდი ქარხნიდან ექვსი სიღნაღის რაიონშია.

აქ ღვინის მნიშვნელოვანი ქარხნებია: გუმბათის, ანაგის, ვაქირის, ტიბაანის, წნორისა და ხირსის.

ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის და რაიმრეწკომბინატის გუმბათის მევენახეობის ღვინის ქარხნები მუშაობენ საკუთარი მეურნეობის ნედლეულის ბაზაზე, ხოლო სამტრესტის სიღნაღის ქარხსამმართველოს ღვინის ქარხნები ყურძენს სიღნაღისა და ნაწილობრივ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებიდან (სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგის, ბოდბეს, მაღაროს, ნუკრიანის, ვაქირის, წნორის, ტიბაანის, ჯუგაანის, ქვემო მაჩხაანისა და წითელწყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს რაიონის სოფ. არბოშიკის, ზემო მაჩხაანის, გამარჯვების და ციხისძის კოლმეურნეობებიდან) იღებენ.

სიღნაღის რაიონის შემდეგ მეღვინეობით აღსანიშნავია საგარეჯოს რაიონი. იგი იძლევა გარე კახეთის ღვინის მრეწველობის მთელი პროდუქციის 11.2%. აქ აღსანიშნავია მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ღვინის ქარხანა, რომელიც მუშაობს საკუთარი მეურნეობისა და რაიონის კოლმეურნეობებიდან მიღებული ყურძნის ბაზაზე. ნაწილობრივ იგი ყურძენს კაჭრეთის რაიონიდანაც იღებს.

გარე კახეთში ვენახების ფართობის ზრდისა და ყურძნის საშუალო მოსავლიანობის გადიდებასთან დაკავშირებით, მეხუთე ხუთწლედში სიღნაღის, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში წარმოებს ღვინის ახალი, მძლავრი ქარხნების მშენებლობა. ასე, მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში მიმდინარეობს ღვინის ქარხნის მშენებლობა, ამავე დროს განზრახულია ტიბაანის ღვინის ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა, რის შემდეგ ტიბაანის ღვინის ქარხნის სიმძლავრე თითქმის ორჯერ გადიდდება. 1953 წელს დამთავრდა კაჭრეთის რაიონის ბადიაურის ღვინის ახალი ქარხნის მშენებლობა.

1953 წელს თებერვალში დაიწყო და 1954 წელს დამთავრდა სოფ. საგარეჯოს ღვინის ახალი ქარხნის მშენებლობა.

გარდა მშენებლობაში მყოფი ღვინის აღნიშნული ახალი ქარხებისა, საჭიროა ჩატარდეს ღვინის არსებული ქარხნების ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, ახალი ტიპის მანქანა-დანადგარებით შევსება, საწარმოო კორპუსის გაფართოება და კეთილმოწყობა, მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და სხვ.

გარე კახეთის კვების მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი ყველ-კარაქის წარმოებაა, რადგანაც გარე კახეთი მესაქონლეობის მნიშვნელოვანი რაიონია; აქ საკმაო რაოდენობით ჰყავთ მეწველი პირუტყვი. ომის შემდგომ ხუთწლედში დაიწყო ყველ-კარაქის საწარმოების მშენებლობა. ამ მიზნით გარე კახეთში შემავალ რაიონებში მოწყობილია „რაიყველმრეწვის“ ყველ-კარაქის ქარხნები, მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროში, იორისა და ალაზნისპირას, დაბა წნორში; ამათგან დაბა წნორის ქარხანა ნახევრად მექანიზებულია; წითელ-წყაროს რაიონში ყველ-კარაქის ქარხნები მოწყობილია დაბა წითელ-წყაროში და სოფლებში—არბოშიკი, ზილჩა, თავწყარო, გამარჯვება და სხვ.

კაჭრეთის რაიონში ყველ-კარაქის ქარხნებია: სოფ. კაჭრეთში, ბადიაურში და ერთიც მოძრავი ქარხანა, რომელიც საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე მომსახურეობას უწევს მთელ რაიონს; საგარეჯოს რაიონში ყველ-კარაქის ქარხანა მოწყობილია სოფ. საგარეჯოში, სართიჭალასა და გომბორში. 1952 წელს გარე კახეთის ყველ-კარაქის ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქცია 2.471,0 ათას მანეთს უდრიდა, რაც კვების მრეწველობის სამრეწველო პროდუქციის მთელი ღირებულების 4,5% შეადგენდა. ამ დარგში ადმინისტრაციულ რაიონებიდან გამოირჩევა სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები. ამ ორ რაიონზე მოდის გარე კახეთის ყველ-კარაქის მთელი სამრეწველო პროდუქციის 81,7%.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში სსრ კავშირის სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ამასთან დაკავშირებით უახლოეს ხანში, გარე კახეთის პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდასთან დაკავშირებით, საჭირო იქნება დღეისათვის არსებული ყველ-კარაქის ქარხნების რეკონსტრუქცია და დამატებით ახალი ქარხნების შენებლობა.

გარე კახეთის კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია პურისა და საკონდიტრო წარმოება. რაიონში შემავალ ქალაქებში, დაბებში, რაიცენტ-

სურ. 3. ბადიაურის ღვინის ქარხანა

რებში, საბჭოთა მეურნეობებში და მსხვილ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მოწყობილია თექვსმეტამდე პურის საცხობი — საწარმო, მათ შორის საგარეჯოს რაიონში—ექვსი, კაჭრეთში—ერთი, წითელწყაროში—ექვსი და სიღნაღში——სამი. 1952 წელს პურის აღნიშნული საწარმოების მიერ გამომუშავებულია 12.349,1ათასი მანეთის პროდუქცია, რაც რაიონის კვების მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულების 26,4% შეადგენდა. რაც შეეხება საკონდიტრო წარმოებას იგი წარმოდგენილია ქ. სიღნაღისა და დაბა წნორის საკონდიტრო საწარმოებით. ახლო მომავალში საჭიროა საკონდიტრო საწარმოები მოეწყოს წითელწყაროს, კაჭრეთის და საგარეჯოს რაიონებშიც.

გარე კახეთის კვების მრეწველობის დანარჩენ დარგებიდან აღსანიშნავია მცენარეული ზეთის წარმოება. როგორც ცნობილია, კახეთი და კერძოდ გარე კახეთი, საქართველოში მზესუმზირის კულტურის ძირითად რაიონს წარმოადგენს. ამიტომ, ამ ნედლეულის ბაზაზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოეწყო მზესუმზირის ზეთის გამოსახდელი ქარხნები. უკანასკნელი ძირითადად კოლმეურნეობებს ეკუთვნის, ამიტომ ჩვენ მათ კოლმეურნეობების დამხმარე საწარმოებთან ერთად ვახასიათებთ. მცენარეული ზეთის სახდელი სახელმწიფო საწარმო მხოლოდ წითელწყაროს რაიონშია და რაიმრეწვკომბინატის ზეთის სახდელი ქარხნითაა წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის ქალაქებსა, რაიცენტრებსა და სასოფლო დასახლებებს მსხვილ პუნქტებში მოწყობილია ლიმონნათის საწარმოები.

ამრიგად, რაიონის კვების მრეწველობაში ყველაზე მძლავრი ღვინის წარმოებაა, რომლის წილად რაიონის კვების მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულების 65,1% მოდის, შემდეგ პურის ცხობა (26,4%), ყველ-კარაქის წარმოება (4,5%), საკონდიტრო (2,0%), ლიმონნათისა (0,9%) და ბოლოს მცენარეული ზეთის წარმოება (0,5%).

კვების მრეწველობაში ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით პირველ ადგილზე სიღნაღის რაიონია, რომლის წილად გარე კახეთის კვების მრეწველობის პროდუქციის 70,6% მოდის, შემდეგ საგარეჯოს (15,0%), წითელწყაროს (12,2%) და ბოლოს კაჭრეთის რაიონი (2,2%).



დიაგრამა 8. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის სახელმწიფო კვების მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%)

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გარე კახეთის მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით კვების მრეწველობა უფრო მძლავრია, მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით იგი არათანაბარი ოდენობითაა განვითარებული.

რაიონის კვების მრეწველობის 70,6% მხოლოდ სიღნაღის ადმინისტრაციულ რაიონშია თავმოყრილი. ამიტომ გარე კახეთის დანარჩენ ადმინიტრაციულ რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვების მრეწველობის განვითარებას.

იმის გამო, რომ გარე კახეთი საქართველოში წარმოადგენს მარცვლეული მიწათმოქმედების მნიშვნელოვან რაიონს და იგი იძლევა დიდი რაოდენობის სასაქონლო მარცვლეულს, მეხუთე ხუთწლედში აქ დაიწყო ელევატორების მშენებლობა. 1952 წელს დაიწყო და 1953 წელს დამთავრდა დაბა წითელწყაროს ელევატორის მშენებლობა; 1953 წლიდან მშენებლობაშია დაბა წნორის ელევატორი. აღნიშნული ელევატორის მშენებლობის დამთავრების შემდეგ გარე კახეთს შეემატება კვების მრეწველობის მეორე მსხვილი სამრეწველო საწარმო. ისინი მომსახურეობას გაუწევენ კახეთის ყველა რაიონს, მათი დანიშნულებაა მიიღოს კახეთის რაონებიდან სასაქონლო მარცვლეული, გაწმინდოს, გაასუფთაოს და შეინახოს ისე, რომ დაიცვას მარცვალი გაფუჭებისაგან და შემდეგ საჭიროების მიხედვით, სათანადო განრიგით გაგზავნოს იგი მოხმარების ცენტრებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და 1954 წ. თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებების შესაბამისად, ახლო მომავალში, გარე კახეთში სოფლის მეურნეობის—სამრეწველო მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობა-მებაღეობის, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა და უხვი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზის შექმნა და კვების პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების უზრუნველყოფა, უდიდეს ამოცანებს აყენებს კვების მრეწველობაზ წინაშე მისი შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

6. პ ო ლ ი გ რ ა ფ ი უ ლ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. გარე კახეთის პოლიგრაფიული მრეწველობა წარმოდგენილია ადმინისტრაციული რაიონის სტამბებით, რომლებიც პირველ რიგში ემსახურება რაიონული გაზეთების გამოშვებას,



სურ. 4. წითელწყაროს ელევატორის მშენებლობა

ამავე დროს, იგი მომსახურეობას უწევს რაიონის წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვ. ბლანკების, ანგარიშების, ქვითრების, განცხადებების ბეჭდვით და სხვ.

საერთოდ გარე კახეთის რაიონებში არსებული სტამბები, გარდა სიღნაღის რაიონის სტამბისა, შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული; სტამბების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის ბინის სივიწროვე, საბეჭდი ქაღალდის არა საკმარისი რაოდენობა და, რაც მთავარია, მოძველებული მანქანა დანადგარები და შრიფტი.

7. ს ა რ ე წ ა ო კ ო ო პ ე რ ა ც ი უ ლ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. მოსახლეობის ფართო მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფის საქმეში კოოპერაციულ მრეწველობას თვალსაჩინო როლი აქვს დაკისრებული.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კოოპერაციული მრეწველობის განვითარების საკითხებს.

ამ დარგში ხუთწლედების პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა: საგრძნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გაიზარდა კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა ქსელი, გადიდდა საწარმოების მიერ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების ოდენობა, გაფართოვდა ასორტიმენტი, გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

სარეწაო კოოპერაციულმა საწარმოებმა როგორც ომამდელ, ისე დიდი სამამულო ომის წლებში, საგრძნობი მუშაობა გასწიეს მოსახლეობის ფართო მოხმარების საქონლით დაკმაყოფილებისათვის.



დიაგრამა 9. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის პოლიგრაფიულ მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%)

ომის შემდგომ ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მძლავრი განვითარების, საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მთელი რიგი მსხვილი საწარმოების ამუშავების მიუხედავად, სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის მნიშვნელობა არამც თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის გაუხრელი აღმავლობა უაღრესად დიდ მოთხოვნილებას აყენებს ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოების, მათ შორის სარეწაო კოოპერაციულ საწარმოების მიმართაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომაა, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის რიგი დადგენილება ითვალისწინებს ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო პროდუქციის მაქსიმალურად გადიდების და მსუბუქსა და კვების მრეწველობასთან ერთად სარეწაო კოოპერაციის განვითარებას.

აღნიშნული დადგენილებები უაღრესად დიდ მოვალეობას აკისრებს გარე კახეთის სამრეწველო საწარმოებსაც. მართალია, სამამულო ომისა და ომის შემდგომ ხუთწლედში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა გარე კახეთის ადგილობრივი კოოპერაციული მრეწველობა, გაიხსნა ახალი საწარმოები, გაუმჯობესდა მათი აღჭურვილობა და სხვ., მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძირითადად კუსტარულ ხასიათს ატარებს.ამავე დროს, მცირეა სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა გარე კახეთის მთელ მრეწველობაში (გარე კახეთის საერთო მრეწველობის პროდუქციის 1,8% შეადგენს). ეს კი თავისთავად მეტყველებს, გარე კახეთის სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის დაბალ დონეზე.

გარე კახეთის სარეწაო კოოპერაციული მრეწველობა შეიძლება დაიყოს მრეწველობის სამ ძირითად დარგად: საამშენებლო მასალათა, მსუბუქი და კვების. აღნიშნულ დარგებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს მსუბუქ მრეწველობას (83,1%), შემდეგ კვების (11,4%) და ბოლოს საამშენებლო მასალათა წარმოებას (5,5%).

როგორც ჩანს, უფრო სუსტადაა განვითარებული საამშენებლო მასალათა წარმოება. სარეწაო კოოპერაციის ხაზით რაიონში მხოლოდ კირის ერთი ქარხანაა (საგარეჯოს რაიონში), მაშინ, როდესაც გარე კახეთში მოსახლეობა დიდ მოთხოვნილებას აყენებს კირზე, აგურ-კრამიტზე და სხვა საამშენებლო მასალაზე, რომელიც სხვა რაიონებიდან შემოაქვთ. ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, საამშენებლო ნედლეული კირისა და აგურ-კრამიტის წარმოებისათვის. რაიონში დიდი რაოდენობით მოიპოვება; მიუხედავად ასეთი ხელშემწყობი პირობებისა ამ საქმეს დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

გარე კახეთის სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის ხვედრითი წონა ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (1952 წლის მონაცემებით): სიღნაღის რაიონის წილად მოდის გარე კახეთის კოოპერაციული მრეწველობის მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტი (61,8%), საგარეჯოზე (10,7%), წითელწყაროზე (10,4%).



დიაგრამა 10. ცალკეული დარგების ხვედრითი წონა გარე კახეთის კოოპერაციული მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%-ით)

სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის მუშაობაში მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, იგი ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ ამოცანებს, რაც ამ დარგის მიმართ პარტიისა და მთავრობის მიერაა დასახული. სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის მუშაობის ძირითადი ნაკლი არის მათი ხელმძღვანელობის მიერ ნაკლები ინიციატივის გამოჩენა იმ ფართო შესაძლებობათა გამოსაყენებლად, რაც თითოეულ რაიონს აქვს. ახლო მომავალში ისე უნდა გარდაიქმნას მუშაობა, რომ მივაწოდოთ მომხმარებელს მეტი და მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების საქონელი.

8. კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა თ ა დ ა მ ხ მ ა რ ე ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად ძირეულად შეიცვალა ჩვენი სოფლის სახე. სოციალისტურ საზოგადოებაში ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ზრდა ხელს უწყობს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის გამნტკიცებას.



დიაგრამა 11. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1952 წ. (%%-ით)

საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებით და უხვი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების არსებობით შესაძლებელი შეიქმნა კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოების მოწყობა. ხუთწლედების პერიოდში გარე კახეთის კოლმეურნეობებში მოეწყო კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები, რომლებიც საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის (რძე, ხორცი, მარცვლეული, მზესუმზირა, ყურძენი და სხვ.) და რაიონში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების (კირქვა, გაჯი, თიხები და სხვ.) ბაზაზე მუშაობენ. ამით კოლმეურნეობები ადიდებენ თავიანთ ფულად შემოსავალს და ამავე დროს აკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებას სხვადასხვა საჭირო პროდუქტებითა და საამშენებლო მასალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებიდან აღსანიშნავია აგურ-კრამიტის, კირის, გაჯის, ხე-ტყის სახერხი, ერობო-ყველ-კარაქის, მცენარეული ზეთის, საფქვავი წისქვილები, სადურგლო და სამეედლო სახელოსნოები და სხვ.

გარე კახეთის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები გაიზარდა სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში—სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ აღნიშნა, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას სადგომებით პირუტყვების მთელი სულადობა. უნდა გადიდდეს კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების მიყიდვა ცენტროსოიუზის ხაზით, აგრეთვე ადგილობრივი კოოპერაციული და სახელმწიფო მრეწველობის ხაზით. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, კოლმეურნეობებს უნდა მიეცეთ რჩევა თავიანთი ძალებითა და სახსრებით დაამზადონ აგური, კრამიტი და კირი, აღნიშნული მასალების მხრივ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“. ეს მითითება განსაკუთრებით ეხება გარე კახეთის კოლმეურნეობებს, რადგან, გარე კახეთში საერთოდ სუსტადაა განვითარებული სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობა, ამიტომ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნონ თავიანთი საკუთარი სახსრებით დამხმარე საწარმოების განვითარებისათვის და საკუთარი საამშენებლო მასალებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები შედარებით უკეთაა მოწყობილი სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში. გარე კახეთის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოების ფულადი შემოსავლის 44,8% სიღნაღის რაიონზე მოდის, 37,2%—წითელწყაროს რაიონზე, ხოლო შემდეგ მიდის საგარეჯოს (10,7%) და კაჭრეთის (7,3%) რაიონები.

ამრიგად, გარე კახეთში წარმოდგენილია სახელმწიფო, კოოპერაციული და კოლმეურნეობათა დამხმარე 451 დიდი და პატარა სამრეწველო საწარმო, მათ შორის სახელმწიფო მრეწველობის 76, სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის 12, ხოლო კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები 363. 1952 წელს რაიონის მთელმა მრეწველობამ გამოუშვა 68·761,5 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია (გაცემით ფასებში), მათ შორის სახელმწიფო მრეწველობამ—92,7%, სარეწაო კოოპერაციულმა—1,8%, კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებმა—5,5%.

პარტიისა და მთავრობის რიგი დადგენილებები განსაკუთრებით მიმართულია მძიმე მრეწველობის მკვეთრი განვითარებისაკენ, და ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებისა და ფართომოხმარების პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ.

ამ ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა გაძლიერდეს გარე კახეთის ნავთობ საძიებო და მოპოვებითი მრეწველობა, საამშენებლო ნედლეულის (კირქვები, გაჯის, თიხის, საშენი ქვის) გამოვლინება და მის ბაზაზე საამშენებლო მასალათა მრეწველობის საწარმოების მოწყობა.

რაონში სუსტადაა განვითარებული ხის გადამამუშავებელი (დახერხილი ხის მასალისა და ავეჯის) და მსუბუქი მრეწველობა. რაისამრეწველო კომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინატებმა და სარეწაო კოოპერაციულ ორგანიზაციებმა, უნდა მოაწყონ ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით სამკერვალო, ტყავფეხსაცმლის, სატრიკოტაჟო, სათუნუქე, ავეჯისა და სხვადასხვა საოჯახო ნივთების სახელოსნოები და საწარმოები.

მართალია, გარე კახეთის კვების მრეწველობა, შედარებით მრეწველობის სხვა დარგებთან, უკეთაა განვითარებული და იგი რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 72.3% იძლევა, მაგრამ მისი განვითარების დღევანდელი მდგომარეობა სავსებით ვერ უპასუხებს, ერთი მხრივ, რაიონის ბუნებრივ შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, კვების პროდუქტებზე მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნილებას. ამისათვის საჭიროა ახლო მომავალში დამთავრდეს საგარეჯოს, მაღაროს და ტრიბაანის ღვინის ქარხნების მშენებლობა და ამავე დროს მოხდეს არსებული ღვინის ქარხნების რეკონსტრუქცია; დამთავრდეს წნორის მაცივრის მშენებლობა; მოხდეს კვების მრეწველობის არსებული ზოგიერთი საწარმოების რეკონსტრუქცია.



დიაგრამა 12. ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა გარე კახეთის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოების საერთო პროდუქცია 1952 წ. (%%-ით

კოლმეურნეობებმა უნდა გაფართოონ საამშენებლო მასალათა საწარმოები, რათა დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილება საამშენებლო მასალებზე.

В. С. КАКАБАДЗЕ

РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГАРЕ КАХЕТИ

Резюме

До последнего времени почти не было трудов эконом-географического характера, которые бы касались вопросов промышленности отдельных уголков Грузии; с 1946 г. Институт географии им. Вахушти производит комплексное изучение отдельных частей Грузии. До 1946 г. в ряде трудов частично, в большей или меньшей степени, освещены некоторые вопросы промышленности, которые затрагивают также и Гаре Кахети.

Как из существующих литературных источников, так и в результате проведенной на месте исследовательской работы, видно, что Кахети в целом, и в том числе Гаре Кахети, еще с древности был известен целым рядом отраслей кустарной промышленности, продукция которой отличалась достаточно хорошим качеством.

Богатые археологические материалы Гаре Кахети бесспорно говорят о высоком уровне культурного и хозяйственного развития этого района еще в далеком прошлом, но, благодаря частым нашествиям внешних врагов, частично или полностью уничтожались все достижения общественного производства.

ЗАКАЗЗЕРА 3АКАЗЗЕРА 1955

После присоединения Грузии к России набеги внешних врагов прекратились, но экономическая политика царской власти явно мешала внедрению и развитию промышленности в Грузии.

В годы господства меньшевиков промышленность Грузии, и без того уже находившаяся в упадке, еще больше деградировала; около 50% предприятий бездействовали.

С 1921 года началась новая эпоха в истории развития народного хозяйства Грузии.

В настоящее время в Гаре Кахети создан ряд новых отраслей промышленности, которые, в основном, базируются на местных, существующих в районе природных ресурсах и на сырье, получаемое от сельского хозяйства.

В государственной промышленности современной Гаре Кахети можно выделить следующие основные отрасли: нефтедобыча, обработка металлов, строительные материалы, лесная, легкая, пищевая и полиграфическая. В 1953 г. в Гаре Кахети было всего 76 больших и малых предприятий государственной промишленности, в которых работало 1355 рабочих, служащих и инжинерно-технического персонала. Этими предприятиями в 1952 г. выпущено промышленной продукции на 64.100,6 тыс. руб. (в отпускных ценах). Наиболее мощной является пищевая промышленность, которая дает 72,3% стоимости всей промышленной продукции района. За ней следует нефтедобывающая промышленность, на долю которой приходится 19,2% всей промышленной продукции. Затем следует металлообработка (3,2%), легка промышленность (2,1%), промышленность стройматериалов (2,0%), лесная (0,7%) и, наконец, полиграфическая (0,5%).

Стоимость основных средств государственной промышленности Гаре Кахети на 1 января 1953 г. составляла 173.218,8 тыс. руб. из них приходится на нефтедобывающую промышленность 90,1%, затем в порядке последовательности следует пищевая промышленность—4,8%, промышленность стройматериалов—2,2%, металлообработка—1,8%, легкая промышленность—0,7%, лесная—0,3% и полиграфическая—0,1%.

Удельный вес государственной промышленности районов, входящих в Гаре Кахети, дает следующую картину: Сигнахский район дает 52,4% всей валовой продукции Гаре Кахети, Цителцкаройский—32,2%, Сагареджойский—13,7% и Качретский—1,7%.

Кроме государственной промышленности, здесь надо отметить кооперативную промышленность и предприятия колхозной промышленности, но удельный вес выпускаемой ими продукции сильно отстает от удельного веса государственной промышленности; так, например, во всей промышленной продукции 92,7% дает государственная промышленность, 1,8%—промысловая кооперация, 5,5%—подсобные предприятия колхозов.

Промышленность Гаре Кахети характеризуется небольшими предприятиями малой мощности и в этом отношении она сильно отстает от Внутренней Кахети, Внутренней Карталинии и многих других районов республики. За последний период приняты меры для развития промышленности Гаре Кахети и с этой целью в пятой пятилетке осуществляется строительство

ряда значительных предприятий, как-то: элеваторов в поселках Цителицкаро и Цнори, винных заводов—в сел. сел. Сагареджо, Бадиаури, Магаро и Тибаани, холодильника – в поселке Цнори, механического завода по ремонту тракторов и пр.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტომი III, თბ., 1948.
2. ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, II გამოცემა, თბ., 1939.
3. ი. სტალინი, სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს, სახელგამი, 1949.
4. ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში, თბ., 1952.
5. გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, სახელგამი, 1953.
6. გ. მალენკოვი, სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე. სახელგამი, 1953.
7. ნ. ხრუშჩოვი, მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე, სახელგამი, 1953.
8. გ. გეხტმანი, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბ., 1952.
9. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
10. ა. ჯავახიშვილი, და სხვ., საქართველოს სსრ გეოგრაფია, სახელგამი, 1953.
11. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930.
12. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1935.
13. Н. Г. Грачев, Статистические группировки, Госстатиздат. М., 1951.
14. „Кахетия“, приложение к справочной книге сторожила· «Кавказа» № 3, 1891.
15. Д. В. Савинский, Курс Промышленной статистики, Госпланиздат. М., 1949.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. VII, 1955
Академия наук ГССР. Труды Института географии им. Вахушти, т. VII, 1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ბურბენიძე

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება

შესავალი

წინამდებარე შრომა „გარე კახეთის რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიურ-გეოგრაფიული განყოფილების 1953 წლის ზაფხულის ექსპედიციის მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

შრომა ძირითადად ემყარება სიღნაღის, წითელწყაროს, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში ექსპედიციის დროს მოპოვებულ მასალებს. მისი მიზანია მოგვცეს გარე კახეთის რაიონების სოფლის მეურნეობის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება და დასახოს ზოგიერთი პერსპექტივა-ღონისძიება მისი შემდგომი განვითარებისათვის.

1953 წლის სექტემბრისა და შემდგომმა პლენუმებმა ზუსტად განსაზღვრეს ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები და დაგვისახეს გზები მისი გამოსწორებისა და მძლავრი აღმავლობისათვის. პლენუმის დადგენილებები მთლიანად შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობასაც, ამ შემთხვევაში კი ჩვენ მიერ შეაჯამეს ადრე აღებული გარე კახეთის სოფლის მეურნეობას.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის წინაშე ამჟამად შემდეგი ამოცანა დგას: „მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ აღმავლობას... მკვეთრად გავადიდოთ სასურსათო საქონლით ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა და ამასთანავე უზრუნველვყოთ კოლმეურნე გლეხობის მთელი მასის მატერიალური კეთილდღეობის უფრო მაღალი დონე“ [1].

1953 წლის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნება მინდვრის კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების დაბალი მოსავლიანობა, მესაქონლეობის დაბალი პროდუქტიულობა, ჩამორჩენა პიროუტყვის საკვების წარმოებისა და დამზადების საქმეში და სხვ. ყოველივე ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიშნეულად ახასიათებს გარე კახეთის სოფლის მეურნეობასაც და ჩვენ მიერ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

შრომაში ჯერ მოცემულია სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება, განსაზღვრულია მისი მიმართულება და საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარი ცვლილებები. ამ ზოგად ნაწილს მოსდევს გარე კახეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების (მემინდვრეობა, მევენახეობა-მებაღეობა, მეცხოველეობა) განვითარება-განლაგების დახასიათება და საკოლმეურნეო წარმოების საკითხების განხილვა, როგორიცაა კულტურათა მოსავლიანობა,

---

[1] ნ. ხრუშჩოვის მოხსენებიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 15.IX, № 218).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითი რესურსები და მათი გამოყენება, საკოლმეურნეო ფონდები და სხვა. ცალკე თავად არის განხილული გარე კახეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობა და მათი როლი სასოფლო-სამეურნეო შრომითი პროცესების მექანიზაციისა და სოფლის მეურნეობის ძირითად დარგთა შემდგომი მძლავრი განვითარების საქმეში. ასევე ცალკეა განხილული გარე კახეთის საბჭოთა მეურნეობები და წყალთა მეურნეობა. ამ უკანასკნელს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარე კახეთის სოფლის მეურნეობის აღმავლობა-განვითარებისათვის.

1. სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ა) მეურნეობის მიმართულება, ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

გარე კახეთს, მსგავსად შიგნი კახეთისა, ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

გარე კახეთს, საქართველოს სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით, ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს მარცვლეული კულტურების, მევენახეობისა და მზესუმზირის წარმოებაში. გარე კახეთი წამყვანია აგრეთვე მესაქონლეობის (ცხვარი) მხრივაც. იგი იძლევა საკმაო რაოდენობით სასაქონლო მარცვლეულს, ნეცხოველეობის პროდუქტებს, ღვინოსა და რესპუბლიკის მზესუმზირის თითქმის მთელ რაოდენობას. მასზე მოდის მთელი კახეთის ვენახის ფართობების 28%-ზე მეტი (1953 წლის ცნ.), აგრეთვე, რესპუბლიკის საზამთრო სამოვრების დიდი უმრავლესობა (90%).

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის მიმართულებას ერთგვაროვად ახასიათებს კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო საერთო პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა (შესასყიდ ფასებში), რომელიც 1953 წლის მონაცემებით შემდეგ სურათს იძლევა [1].

დარგის ხვედრითი წონა საერთო პროდუქციაში პროცენტობით:	
მარცვლეული მეურნეობა	44,5
ტექნიკური კულტურები	15,6
მრავალწლიანი კულტურები	8,7
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული	0,8
მეცხოველეობა	22,2
დანარჩენი დარგები	8,2
სულ	100,0

როგორც ვხედავთ მარცვლეულ მეურნეობას გარე კახეთის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია, მას მეცხოველეობა მოსდევს; საკმაო ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი აგრეთვე მრავალწლიანი კულტურები.

გარე კახეთის შიგნით, მარცვლეული კულტურები (ხორბალი) განვითარებულია ყველა რაიონში, უფრო მეტად კი წითელწყაროს და სიღნაღის რაიონში. არაერთნაირი ინტენსივობით არის განვითარებული მევენახეობა. ვენახის ნარგაობით სიღნაღის რაიონს უჭირავს პირველი ადგილი, მისი ფარ-

[1] ცნობები მიღებულია საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხებზე მომუშავე კომისიის გაანგარიშებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობი ჭარბობს კაჭრეთისა და წითელწყაროს რაიონების ფართობებს, ერ-თად აღებულს.

პირუტყვის სულადობით (როგორც მსხვილფეხა რქიანი, ისე ცხვარი და თხა) პირველ ადგილზე წითელწყაროს რაიონი დგას, მას მოსდევს სიღ-ნაღის რაიონი. ღორისა და ცხენის სულადობითა და მეაბრეშუმეობის მხრივ სიღნაღის რაიონია ცნობილი, ხოლო ფუტკრის ოჯახთა რაოდენობით—წი-თელწყაროს რაიონი.

ბუნებრივ პირობათა და მეურნეობის მიხედვით, სიღნაღის რაიონში უნ-და განვასხვავოთ ე. წ. წინა და უკანა მხარე. წინა მხარეში საუკეთესო პირო-ბები გვაქვს მრავალწლიანი ნარგავების, პირველ რიგში მევენახეობისა და მებაღეობის, და, აგრეთვე, სამრეწველო მებოსტნეობის განვითარებისათვის.

რაც შეეხება უკანა მხარეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ მის მიკრორაიონებს, სადაც მევენახეობა-მეხილეობისათვისაც საუკეთესო პი-რობებია, აქ, ძირითადად, ხელისშემწყობი პირობები გვაქვს მემინდვრეობის განვითარებისათვის (მარცვლეული კულტურები და მზესუმზირა). ამ მხარეში მოწეულ მარცვლეულს, ცხადია, წითელწყაროს რაიონთან ერთად (შირაქი), სასაქონლო მნიშვნელობა აქვს. ალაზნისპირა ადგილები, სიღნაღის ადმინის-ტრაციული რაიონის ფარგლებში მეურნეობრივი გამოყენებისათვის, ერთი მხრივ, მორწყვას, ხოლო, მეორე მხრივ, მლაშე ადგილების ჩარეცხვას საჭი-როებს. წითელწყაროს რაიონში შირაქის, ტარიბანასა და ელდარის ველი ძვირფას საზამთრო საძოვრებს წარმოადგენს, სადაც კახეთის რამდენიმე ასე-ული ათასი ცხვარი ატარებს ზამთარს. სიღნაღის, კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონების ფარგლებში, მდ. იორის გასწვრივ, ყველგან შეიძლება უფრო მე-ტად განვითარდეს მევენახეობა-მებოსტნეობა, მეტ-ნაკლები მოცულობით. სა-გარეჯოს რაიონის ზოგიერთ ნაკვეთებია სამგორის სარწყავი არხით მორწყ-ვამ კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობა შექმნა ამ დარგის განვითარებისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საერთოდ, საკ-ვლევი რაიონის რელიეფი, საქართველოს მთელ რიგ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით, ნაკლებად დასერილია და, ამდენად, სასოფლო-სა-მეურნეო სამუშაოთა სრული მოცულობით კომპლექსური მექანიზაციისათვის კარგ პირობებს იძლევა.

ამგვარად, გარე კახეთის ცალკე რაიონების სოფლის მეურნეობას საწარ-მოო პროფილის ერთგვარი თავისებურება ახასიათებს, რაც დარგთა გარკვე-ული შეთანაწყობის შედეგია. სიღნაღის რაიონში, მემინდვრეობის გვერდით, საკმაოდ განვითარებულია მევენახეობა. ამით აიხსნება, რომ გარე კახეთის სხვა ადმინისტრაციულ რაიონებთან შედარებით ის მევენახეობა-მეღვინეობით გამოირჩევა. აქ აგრეთვე მკვეთრად არის განვითარებული მემინდვრეობა და მეცხოველეობა. მინდვრის კულტურათა შორის ხორბალთან ერთად გამოირ-ჩევა მზესუმზირას კულტურა. სიღნაღის რაიონში, ამ ტექნიკურ კულტურას სასაქონლო მნიშვნელობა აქვს.

გარე კახეთის რაიონებიდან სიღნაღის რაიონი, კერძოდ, დაბა წნორი და მისი მიმდებარე სოფლები, ერთი მხრივ, შედარებით თბილი ჰავის, სარ-წყავი ადგილებისა (ალაზნის არხი) და, მეორე მხრივ, მოხერხებულ სატრან-სპორტო პირობათა გამო (რკინიგზა), საკმაოდ დიდ როლს თამაშობს მეზო-ბელი რაიონების ბოსტნეულ-ბაღჩეულით მომარაგების საქმეში. აქედან ბოს-ტნეულ-ბაღჩეული (ხახვი, ნიორი, წიწაკა ლობიო და სხვა) დიდი რაოდენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით გააქვთ თბილისისა და, აგრეთვე, ქალაქ გურჯაანის საკოლმეურნეოებიანი ზრებზე.

წითელწყაროს რაიონი უმთავრესად მემინდვრეობა-მეცხოველეობის რაიონია. აქ განსაკუთრებით განვითარებულია მარცვლეული მეურნეობა წარმოდგენილი შემოდგომის ხორბლით. წითელწყაროს რაიონი დიდი რაოდენობით აწარმოებს აგრეთვე მზესუმზირას, რომლის სასაქონლო პროდუქციით მარაგდება თბილისის ზეთსახდელი ქარხანა და თვით რაიონის წვრილი საკოლმეურნეო ზეთსახდელი საწარმოები. სოფლის მეურნეობის დარგთა შედგენილობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცხვარეობას. ამ მხრივ წითელწყაროს რაიონი მთელ რესპუბლიკაში გამოირჩევა. მეცხვარეობის და საერთოდ მეცხოველეობის მკვეთრად განვითარებას წითელწყაროს რაიონში ხელს უწყობს როგორც ბუნებრივი პირობები (საზამთრო საძოვრები), ისე მოსახლეობის შრომითი ჩვევები შექმნილი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შედეგად.

კაჭრეთის და საგარეჯოს რაიონების სოფლის მეურნეობაში მარცვლეულ მეურნეობასთან ერთად საკმაო დიდ როლს მევენახეობა ასრულებს. აქ ამ დარგის განვითარების ხელსაყრელი პირობები მოიპოვება; მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზრდება კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონების ფართობთა მორწყვის საკითხის გადაჭრის შემდეგ.

აღნიშნულ რაიონებში მნიშვნელოვანია აგრეთვე მებოსტნეობა-მებაღჩეობაც.

კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონების მთელ რიგ სოფლები (იორმუღანლო, ლამბალო, დუზაგრამა-კაჭრეთის რაიონში; ჩაილური, მანაკი, საგარეჯო, სართიჭალა, ხაშმი, პატარძეული, მუღანლო და სხვ. საგარეჯოს რაიონში) ამარაგებენ ქალაქ თბილისსა და რუსთავს ბოსტნეულ-ბაღჩეულით. ბუნებრივ პირობათა გვერდით მათ ამ მხრივ დიდად უწყობს ხელს თბილისი-რუსთავთან სიახლოვე და სარკინიგზო კავშირი.

ბ) საბჭოთა პერიოდში მომხდარი ცვლილებები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, გარე კახეთის სოფლის მეურნეობამაც ძირფესვიანი გარდაქმნა განიცადა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ მოსპო მიწის დაქსაქსულობა-დაქუცმაცება, რის შედეგადაც ლიკვიდირებულ იქნა გლეხთა უმიწობა-უსახლკარობა, სიღარიბე. სოფლის მეურნეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიება.

დიდი მასშტაბით გაჩაღდა მორწყვის სამუშაოები, რასაც კახეთის რაიონებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქაური სარწყავი არხები 1953 წლისათვის უკვე 42,5 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას უზრუნველყოფდა. საფუძველი ჩაეყარა სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების რაციონალურ გამოყენებას; ერთი ორად გაიზარდა დამუშავებული მიწის ფართობები, ადრე „გამოუსადეგარი“ და „უვარგისი“ მიწების მეურნეობრივი ათვისების შედეგად.

მიწათმოქმედებასთან ერთად, ძირფესვიანად გარდაიქმნა მეცხოველეობა. შეიქმნა მეძროხეობის, მეცხვარეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის კეთილმოწყობილი ფერმები, სადაც ტარდება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია (ელექტროწველა, პარსვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის არსებითი გარდაქმნა შესაძლებელი შეიქმნა მან-ქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობის შედეგად. ისტორიას ჩაბარდა ძველებური გუთანი და კევრი, თავისი ხარ-კამეჩებით. საკვლევი რაიონის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში უაღრესად დიდი როლი ითამაშეს მტს-ებმა თავიანთი მძლავრი ტექნიკით. კოლმეურნეობათა ყოველდღიური სამსახურში ჩადგნენ ასეულობით სატვირთო და მსუბუქი მანქანები.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის სახეს ამჟამად განსაზღვრავს 67 გამსხვილებული კოლექტიური მეურნეობა, რომელთაც თოთხმეტი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ემსახურება. მტს-ების სატრაქტორო პარკი, რბილ ხვნაზე გადაყვანით, ექვსას ათას ჰექტარამდე მიწას ამუშავებს წლიურად. 1953 წლისათვის მტს-ებში თავმოყრილი იყო 800-ზე მეტი ტრაქტორი, 350 კომბაინი, ასეულობით ავტომანქანები. მტს-ების ძირითად საშუალებათა ღირებულება 43 მილიონ მანეთს უდრიდა.

გარე კახეთის რაიონებში მოწყობილია, აგრეთვე, ექვსი საბჭოთა მეურნეობა. აქედან—სამი მევენახეობისა და სამიც მეცხოველეობის. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებიდან თავიანთი სიმძლავრით გამოირჩევიან ხირსისა და მანავის საბჭოთა მეურნეობები. მეცხოველეობის მეურნეობათაგან ცალკე უნდა აღინიშნოს უდაბნოს მეცხვარეობის საცდელი სასწავლო მეურნეობა (12 ათასი სული ცხვარი ჰყავს) და, რაც მთავარია, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა (36 ათას სულზე მეტი ცხვრით). ნაყოფიერი მუშაობაა გაჩაღებული ორივე საბჭოთა მეურნეობაში ახალი, გაუმჯობესებული (ნახევრად უხეში და ნაზმატყლიანი) ცხვრის ჯიშების გამოსაყვანად და რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ფართო მასშტაბით გასავრცელებლად. საბჭოთა მეურნეობების სიმძლავრის გასათვალისწინებლად საკმაოა აღინიშნოს, რომ მარტო მათი ძირითად საშუალებათა ღირებულება 48 მილიონ მანეთზე მეტს უდრიდა 1952 წლის ბოლოსათვის.

ამნაირად, გარე კახეთის სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარება ემყარება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას; ფართოდ არის მასში გამოყენებული აგრო-ზოოტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი სოფლის მეურნეობის კულტურათა მოსავლიანობის გაზრდისათვის, რაც პირველი პირობაა პროდუქტების სიუხვის მისაღწევად და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად. სოფლის მეურნეობის უნარიანი, რაციონალური გაძღოლა საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა ეტაპზე ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, ხოლო ამჟამად, უფრო გრანდიოზული მასშტაბით ხორციელდება ჩვენი პარტიის 1953 წლის სექტემბრის და შემდგომ პლენუმების დადგენილებების შესაბამისად. გარე კახეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად მკვეთრად გაიზარდა როგორც მისი საერთო ისე სასაქონლო პროდუქცია და განისაზღვრა მისი საწარმოო პროფილი როგორც მ ე ძ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ა-მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს და მ ე ვ ე ნ ახ ე ო ბ ი ს რ ა ი ო ნ ი ს ა, რომელიც დიდი რაოდენობით იძლევა მარცვლეულს, ღვინოს, მზესუმზირას, მატყლს, ხორცს, რძის პროდუქტებს, აბრეშუმს, თაფლსა და სხვა. იგი უფრო მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს და იქცევა ნედლეულის მიმწოდებლის მნიშვნელოვან ბაზად მრეწველობის მთელი რიგი დარგების განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები

საკვლევი რაიონის სოფლის მეურნეობის წინაშე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების დადგენილებების შესაბამისად, მთელი რიგი ამოცანები დგას.

არსებითად უნდა გაფართოვდეს მარცვლეულის მეურნეობა (უმთავრესად მოსავლიანობის ზრდის შედეგად), როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველი. მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად უნდა გატარდეს რიგი ღონისძიება; მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია თესლბრუნვის შემოღება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის გადიდების საქმეს. მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს ვენახის ფართობები. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მტკიცედ უნდა დაინერგოს კომპლექსური მექანიზაცია (კერძოდ, უნდა გაიზარდოს მრავალწლიან და სათოხი კულტურების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია), გაფართოვდეს სიმინდის, კარტოფილისა და მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, გადიდდეს ორგანული სასუქების შეტანა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობა-განვითარებას, მისთვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ყოველივე ამის შედეგად, მკვეთრად უნდა გაიზარდოს როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და საერთო მოსავალი, ისე მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მაგრამ სანამ ამ ამოცანებზე ვილაპარაკებდეთ საჭიროა განვიხილოთ გარე კახეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მდგომარეობა უკანასკნელი წლების მანძილზე და მათი განლაგება გარე კახეთის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით.

ა) მ ე მ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ა. სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობასთან ერთად, უკანასკნელი წლების მანძილზე გარე კახეთში ნათესი ფართობები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზრდის ტემპები 1940 წლიდან 1950 წლამდე შედარებით ნორმალური იყო. ბოლო წლებში მიღებული არასწორი ღონისძიების შედეგად, რესპუბლიკის ვითომდა საკუთარი წარმოების მარცვლეულით დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად ადგილი ჰქონდა ნათესი ფართობების, უმთავრესად მარცვლეულის საძოვარ-საბალახოებისა და ტექნიკურ კულტურათა ხარჯზე ხელოვნურად გაზრდას, რამაც სათანადო აგრო-ტექნიკური ღონისძიებების დაუცველობის გამო, ერთი მხრივ, საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე ხშირ შემთხვევაში დაბლა დასწია კიდევაც, ხოლო, მეორე მხრივ, რაც მთავარია, მესაქონლეობის საკვები ბაზის მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

გარე კახეთის ნათესი ფართობების დინამიკა 1940—1952 წწ.
(ათას ჰექტრობით)

1940 წ.	1945 წ.	1950 წ.	1952 წ.
62,3	92,1	109,7	153,2

როგორც ჩანს, 12 წლის მანძილზე, გარე კახეთის ნათესი ფართობები თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა. ეს ზრდა განსაკუთრებით დიდი იყო ორი უკანასკნელი წლის მანძილზე, როდესაც ნათესები ფართოვდებოდა სათიბ-საბალახოებისა და საძოვრების შემცირების ხარჯზე, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესი ფართობების ხელოვნურად გაზრდა ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო წითელწყაროს რაიონში.

ნათეს ფართობებში, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა მარცვლეულ კულტურებს აქვთ. 1950 წელს მარცვლეულ კულტურებს გარე კახეთის ნათესი ფართობების 77 პროცენტი ეკავა, ხოლო 1952 წელს—84 პროცენტამდე.

მარცვლეული კულტურებიდან წამყვანია შემოდგომის ხორბალი, მას მოსდევს სიმინდი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წ. იანვრის პლენუმმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სიმინდის, როგორც მარცვლეულის მეურნეობის წარმოებაში ფრიად რენტაბელური კულტურის, მკვეთრად განვითარების აუცილებლობას. ეს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ღონისძიება სისხლ-ხორცეულად ეხება გარე კახეთის რაიონებსაც. იგი კიდევ უფრო აქტუალურად დაისმის აქ სარწყავი ფართობების ზრდასთან დაკავშირებით.

მარცვლეული კულტურების განლაგება, ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით (ათას ჰექტრობით), 1950—1952 წწ. ასეთი იყო:

რაიონები	1950 წ.			1952 წ.		
	სულ მარცვლეული	მ. შ.		სულ მარცვლეული	მ. შ.	
		შემოდგომის ხორბალი	სიმინდი		შემოდგომის ხორბალი	სიმინდი
სიღნაღის . . .	25,6	16,4	4,6	34,0	27,9	3,8
წითელწყაროს . . .	28,4	19,2	4,2	49,0	42,3	3,9
კაჭრეთის . . .	12,5	8,3	4,0	20,8	16,3	3,7
საგარეჯოს	17,6	13,8	3,7	24,9	19,0	4,8
სულ .	84,1	57,7	16,5	128,7	105,5	15,2

•

მარცვლეული კულტურების ნათესების დიდი უმრავლესობა საკოლმეურნეო ნაკვეთებზე მოდის.

საკოლმეურნეო ნაკვეთებზე მისდევენ, აგრეთვე, პარკოსანი კულტურების თესვას. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ლობიო. ლობიოს ნათესებს საკოლმეურნეო ნაკვეთებზე 1952 წელს 1300-ზე მეტი ჰექტარი ეკავა (მათ შორის წმინდა სახით 1000 ჰექტარზე მეტი).

გარე კახეთის რაიონებში ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებულია მზესუმზირა. 1945 წლამდე სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონში მისდევდნენ, აგრეთვე, თამბაქოს კულტურას, რაც შემდეგ წლებში ამოღებულ იქნა.

უკანასკნელ დრომდე მზესუმზირას მოვლა-მოყვანის სამუშაოთა საკმაო ნაწილი ხელით სრულდებოდა, რაც აფერხებდა ამ ფრიად საჭირო კულტურის განვითარებას.

მზესუმზირას ნათესები ძირითადად კოლმეურნეობებზე მოდის. მის პროდუქციას იყენებენ საკუთარ ზეთსახდელ საწარმოებში, და აგრეთვე აბარებენ დამზადების წესით რესპუბლიკური ზეთსახდელი მრეწველობის ნედლეულით მომარაგებისათვის (იხ. კარტოგრამა 1):

მზესუმზირას ნათესები 1952 წლისათვის, მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით, ადმინისტრაციულ რაიონებში ასე იყო განლაგებული.



კარტოგრამა 1. მზესუმზირას ნათესების ინტენსივობა გარე კახეთის რაიონებში (1952 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	კოლმეურნეობები	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეები	მ/მოსამსახურეები	დანარჩენი	ს უ ლ
სიღნაღის	4165	—	56	3	4	4228
წითელწყაროს	5104	20	13	73	6	5216
კაპრეთის	2330	—	359	3	—	2692
საგარეჯოს	2042	—	2	11	2	2057
ს უ ლ	13647	20	430	90	12	14193

გარე კახეთის, კერძოდ მთიანი ზონის კოლმეურნეობებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა ს. კარტოფილის კულტურის, როგორც ძვირფასი საკვები კულტურის მნიშვნელობას განსაკუთრებით ხაზი გაესვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე. გარე კახეთის სინამდვილეში ამ კულტურას ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბოლო დრომდე. ერთი მხრივ, ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ კარტოფილის მოყვანა დიდ შრომატევად სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. უკანასკნელ დროს კარტოფილია სათესი მანქანების გამოყენებამ მდგომარეობა არსებითად შეცვალა. მომავალში, სათანადო მიკრორაიონების გათვალისწინებით, ამ კულტურას ბევრად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ჰექტარ
ჰექტარ
ჰექტარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებოსტნეობა-მებაღჩეობა გარე კახეთის პირობებში, მის შესაძ-ლებლობასთან შედარებით, ბევრად ნაკლებად არის განვითარებული. მაშინ, როდესაც ამ რაიონების რკინიგზის შტოსთან სიახლოვე, ქ. თბილისთან მოხერხებული კავშირი და თვით რაიცენტრების მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ბოსტნეულ-ბაღჩეულზე ამ უკანასკნელის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ჰქმნის.

მებოსტნეობა-მებაღჩეობა უპირატესად საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონშია გავრცელებული. კაჭრეთის რაიონის ე. წ. ბადიაურის (იორ-მუღანლო, დუზაგრამა და სხვ.) საზამთრო და ნესვი, სიღნაღის რაიონის ე. წ. წნორის წიწაკა და ნიორი გარდა კახეთისა, თბილისის ბაზარზეც საკმაოდ არის ცნობილი.

მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით 1952 წელს ბოსტნეულ-ბაღჩეული ასე იყო განაწილებული:

რაიონები	კოლმეურ-ნეობები	სპეციალ. მეურნეობები	კოლმეურნე-ები	მ. მოსახლეობა-ხელოვნები	დანარჩენი	ს უ ლ
სიღნაღის	147	2	42	8	2	201
წითელწყაროს . . .	215	2	32	7	32	288
კაჭრეთის	248	—	91	6	2	347
საგარეჯოს	332	—	59	16	—	407
ს უ ლ .	942	4	224	37	36	1243

სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობაში საყურადღებოა ნათეს-ნარგავთა სასუქებით გაპოხიერების საკითხი. ბოლო წლებში, ორგანულ სასუქებთან ერთად ყოველწლიურად დიდი რაოდენობით შეაქვთ მინერალური სასუქებიც.

გარე კახეთის კოლმეურნეობათა ნათეს-ნარგავებში სასუქების შეტანა 1950—1952 წწ.

		1950 წ.	1952 წ.
1	ნაკელი (ტონობით)	55.660	90.135
2	მინერალური სასუქი (ცენტნერებში)	43.104	471.399

ნიადაგის ორგანული და მინერალური სასუქებით გაპოხიერება დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. იგი საგრძნობლად ზრდის მოსავლიანობას. მიუხედავად ამისა, სასუქების გამოყენება ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. 1953 წლის ზაფხულის ექსპედიცია გარე კახეთის რაიონებში მოწმე იყო იმ არასასიამოვნო სურათისა, როცა ჯერ კიდევ წინა წელს შემოტანილი მინერალური სასუქი ტონობით ეყარა გზის პირად, კოლმეურნეობათა ნაკვეთებთან და უპატრონობით ფუჭდებოდა.

უფრო ცუდად არის დაყენებული ორგანული სასუქების გამოყენების საქმე. ამხ. ვ. პ. მჟავანაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაზე ამის შესახებ პირდაპირ შემდეგს აღნიშნავდა: „მე კახეთში არ მინახავს არც ერთი ხევი, რომელშიც ნაკელი არ ეყაროს. როცა ეკითხები ადამიანებს, თუ რატომ ყრიან ხევში ნაკელს, ისინი გიპასუხებენ, მერე წავიღებთო. მაგრამ მერე ნაკელი წყალს მიაქვს“ [1].

განვიხილოთ მემინდვრეობის მდგომარეობა ცალკეული რაიონების მიხედვით.

სიღნაღის რაიონი. მარცვლეული კულტურებიდან სიღნაღის რაიონში ითესება შემოდგომის ხორბალი, შემოდგომის ქერი, გაზაფხულის ქერი, შვრია, სიმინდი და ფეტვი. ამათგან შემოდგომის ხორბალს წამყვანი ადგილი უკავია.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა წარმოებს. ასე, მაგალითად, სოფელ მაღაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობილია საარაიონთაშორისო მნიშვნელობის ელიტური მეურნეობა.

სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობილია ჯიშთა გამოცდის საცდელი ნაკვეთი, სადაც ხდება სხვადასხვა ჯიშების, როგორც მარცვლეული, ისე ტექნიკური კულტურების გამოცდა.

თელავის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ცნობების თანახმად, რაიონში მარცვლეულიდან გავრცელებულია დოლის პური (ძირითადია), „ნოვოუკრაინკა“ და „კრასნოდარკა“ (მესამე წელია რაც შემოტანილ). ბოლო დრომდე ითესებოდა, აგრეთვე, ფერუგენიუმი, რომელიც თანდათან იდევნება შემდეგ უარყოფით თვისებათა გამო: ადვილად ავადდება გუდაფშუტით, ადვილად ცვენადია, ძალიან დაბალი აქვს ცხობის უნარიანობა და სხვა.

მზესუმზრიდან ადრე გავრცელებული იყო ჯიში „კრუგლიკი“. ამჟამად იგი მხოლოდ რაიონის ორ-სამ კოლმეურნეობაში ითესება (საქობო, მაჩხაანი, ძველი ანაგა). ამ ჯიშს ადვილად უჩნდება ფესვებში პარაზიტი კელაპტარა, რისგანაც ხმება, სუსტდება და კნინდება.

ამჟამად გავრცელებული ჯიში „ვნიიმკი“ გამძლეა კელაპტრისადმი, ხასიათდება ზეთიანობითა და მაღალი მოსავლიანობით.

სიმინდის ორი ჯიში ითესება—„ყვითელი კაჟოვანა“ და „აჯამეთის თეთრი“. უკანა მხარის ურწყავ ზონებში ითესება „მინეზოტა ექსტრა 13“. ეს უკანასკნელი გვალვაგამძლე ჯიშია.

ბოსტნეულ-ბაღჩეულიდან ითესება საზამთრო, ნესვი, კიტრი, ხახვი, პამიდორი, წიწაკა, ნიორი და სხვა. ნივრის ნათესებით უკანა მხარე გამოირჩევა (გრილი და მაღლობი ადგილმდებარეობა), ხოლო წიწაკის ნათესებით წინა მხარის სარწყავი მიწები, კერძოდ, სოფლები ვაქირი და საქობო. ნიორს, კოლწვევრების გარდა, კოლმეურნეობებიც თესავენ, წიწაკას კი—მარტო კოლწვევრები.

რაიონის კოლმეურნეობებს საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული აქვთ ვენახი და ბაღი, თესავენ მზესუმზირას, მცირედ მარცვლეულს, კარტოფილს (მაღალი ზონის კოლმეურნეობებში-ზემო ბოდბე) და სხვა.

წითელწყაროს რაიონი. მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად ითესება ხორბალი. 1953 წელს საერთო ნათესებიდან (59 ათასი ჰა) ხორბალზე 46 ათასი ჰა მოდიოდა. რაიონში ძირითადად გავრცელებულია

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1954 , № 41, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშემოდგომო კულტურები. გავრცელებული ჯიშებია „ნოვოუკრაინკა—83“, დოლის პური—35/4, „კოოპერატორკა“, „კრასნოდარკა“ და „ბანათკა“.

სოფ. ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან მოწყობილია ჯიშთა გამოცდის ნაკვეთი, სადაც ითესება „ნოვოუკრაინკას“ სხვადასხვა გაუმჯობესებული ჯიშები, რომლებიც „ეანგათი“ უფრო ნაკლებად ავადდებიან.

ჯიშიანი თესლის გამოყვანა-დანერგვის საქმეში ენერგიულ მუშაობას ეწევა რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორია.

მემინდვრეობის საქმეში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქების გამოყენებას.

1953 წელს სოფ. არხილოსკალოს პირველი ბრიგადის პირველ ნაკვეთში, სადაც ჰექტარზე 400 კილოგრამამდე მინერალური სასუქი იქნა შეტანილი, მიუხედავად გვალვისა 13 ცენტ. მარცვალი იქნა მიღებული მაშინ, როდესაც მის გვერდით, სადაც სასუქი არ ყოფილა შეტანილი, მოსავალი მხოლო 5—6 ცენტნერს უდრიდა.

მზესუმზირა, ისე როგორც გარე კახეთის სხვა რაიონებში, აქაც შედარებით რენტაბელური კულტურაა. მის სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მექანიზებული წესით (მტს-ბი) სრულდება. იგი, სიმინდთან შედარებით, თოხნასაც ნაკლებად მოითხოვს და, ამასთანავე, შედარებით გვალვის ამტანია.

კარტოფილის ნათესები ძირითადად განლაგებულია რაიონულ ცენტრ—წითელწყაროსა და არბოშიკის ზონის კოლმეურნეობებში.

ბოსტნეულის (კიტრის, კომბოსტოს, ხახვის, პამიდორის და სხვ.) გავრცელების ძირითადი არეალია ყარაღაჯი და ალაზნის ველი.

კ ა ჰ ე თ ი ს რ ა ი ო ნ ი. რაიონში გავრცელებული მარცვლეულის ძირითადი ჯიშია დოლის პური 35/4. 1953 წელს რაიონში დათესილი მარცვლეულის 20 ათასი ჰექტარიდან მასზე 17 ათასი ჰექტარი მოდიოდა. ამ ჯიშს არ ახასიათებს ჩაცვენა. შედარებით მაღალმოსავლიანია, ამ მხრივ იგი მარტო „ნოვოუკრაინკა—83“-ს ჩამორჩება. ეს უკანასკნელი 1950 წლიდან შემოიტანეს. მისმა გამოცდამ კარგი შედეგები მოგვცა.

რაიონს „ნოვოუკრაინკა“ ძირითადად სოფელ ყანდაურში ეთესა. 1952 წელს 140 ჰექტარ ნათეს ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 22 ცენტნერი იქნა მიღებული. ამჟამად ამ ჯიშის უფრო ფართოდ გავრცელება წარმოებს. იგი პერსპექტიულია.

ბ ა ღ ჩ ე უ ლ ი დ ა ნ ძირითადია საზამთრო და ნესვი. მას თესავენ ივრის ხეობის სარწყავებში (იორმუღანლო, დუზაგრამა, ლამბალო, ყანდაურა, ბოგდანოვკა, შიბლიანი, კაკაბეთი და სხვ.) საზამთრო ამ რაიონისათვის ფრიად რენტაბელური დარგია. სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების გარდა, კოლმეურნეობას დიდი რაოდენობით საზამთრო და ნესვი რჩება გასაყიდად. ერთგვარი დაბრკოლება იქმნება მხოლოდ რეალიზაციის დროს ტრანსპორტის (ავტომანქანების) ნაკლებობის გამო. საზამთრო დიდი რაოდენობით გააქვთ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად. გააქვთ ლენინაკანშიც (გადადიან კალინოვკიდან). ხშირად, სადაც ცხვარი ზაფხულს ატარებს, იქ ყველის ჩამოსატანად წასულ მანქანებს თან მიაქვთ გასაყიდად საზამთროც. კოლმეურნეობები საზამთროსა და ნესვის გასაყიდად ხსნიან წერტილს საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ, ხალხის თავშესაყარ პუნქტებში და სხვაგან.

მომავალში ამ კულტურას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ბოსტნეულიდან გავრცელებულია: ხახვი (კახური ჯიშის), ნიორი (თეთრი), კომბოსტო, პამიდორი და სხვა. ხახვის მხრივ, პირველ რიგში, აზერბაიჯანული კოლმეურნეობები გამოირჩევიან. ნიორს ყველგან თესავენ, გარდა აზერბაიჯანული სოფლებისა. კომბოსტოდან გავრცელებული ჯიშია „საგვიანო". ითესება სარწყავ ადგილებში (იორმუღანლო, დუზგრამა, ლამბალო, ყანდაურა, ბოგდანოვკა და სხვ.) კომბოსტოს გავრცელებას სარწყავებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. პამიდორის ნათესები რაიონში ერთობ მცირეა. 1953 წელს რაიონის კოლმეურნეობებში სულ ხუთი ჰექტარი ეკავა. ასევე მცირეა კიტრის ნათესები. პამიდორი და კიტრი რაიონულ ცენტრში გასაყიდად გურჯაანის რაიონიდან შემოაქვთ. მაშინ, როცა შეიძლებოდა საკუთარი წარმოების პამიდორით დაკმაყოფილება და მის თბილისში გატანაც (მაგალითად, კაკაბეთის კოლმეურნეობას გააქვს კიდეც გასაყიდად).

კარტოფილს, აზერბაიჯანულ კოლმეურნეობებს გარდა, ყველგან შეხვდებით. მისი ნათესები ბოლო დროს 100 ჰექტარამდე აღწევს. აზერბაიჯანულ კოლმეურნეობებში (დაბლობი ზონა), დიდი სიცხეების გამო, კარტოფილი ნაყოფის მოცემას ვერ ასწრებს (ღეროს კარგს იკეთებს ტუბერებს კი არა). კარტოფილის ნათესებით გამოირჩევიან კაჭრეთის, ყანდაურას, არაშენდას და ჯიმითის კოლმეურნეობები. გავრცელებული ჯიშია ლორხი. რაიონში კარტოფილის მოსავლიანობა ძლიერ დაბალია.

კარტოფილის მოსავლიანობას უმთავრესად ამცირებს გაზაფხულისა და ზაფხულის გვალვები, ამისათვის საჭიროა სათესი ფართობის ზუსტად შერჩევა (მაღალი ზონა და სხვა). მაგალითად, 1952 წელს, სოფელ ჯიმითის კოლმეურნეობას კარტოფილი მაღლობ ადგილას, ტყიან ზონაში ეთესა და მოსავალიც შედარებით მაღალი, ჰექტარზე 80 ცენტნერი მიიღო.

საგარეჯოს რაიონი. მსგავსად კაჭრეთისა, აქაც ძირითადად ითესება დოლის პური. ეს რაიონი მარცვლეულის დაბალი მოსავლიანობით გამოირჩევა. მართალია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის აქაური ნიადაგი ფრიად ხელშემწყობი და კარგია, მაგრამ აქ, სისტემატური გვალვიანობისა და მავნე ქარების გამო, ნათესები ძლიერ ზიანდება. ქარსაცავი ზოლების გაშენება, მორწყვის საქმის მოგვარება და თესლბრუნვის შემოღება ამ რაიონის სოფლის მეურნეობას არსებითად გარდაქმნის. ქარების ზეგავლენა, როგორც ცნობილია, უსტრუქტურო ნიადაგებს ყველაზე მეტად აზიანებს. თესლბრუნვის დროს კი ხდება ნიადაგის დაყმირება და აღდგენა, რის გამო მას ქარი ნაკლებ ზიანს აყენებს. ქარსაცავი ზოლი, პირველ რიგში, სამგორის ველის, სართიჭალის, პატარძეულისა და კრასნოგორსკის მიმართულებით უნდა გაშენდეს.

დაბალი მოსავლიანობა ხშირად ნიადაგის სათანადოდ დაუმუშავებლობითაც აიხსნება.

მზესუმზირისა და კარტოფილის თესვა-მოყვანის მექანიზაციას, მარცვლეული კულტურების წარმოების მექანიზაციასთან ერთად, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. მექანიზმების გამოყენებისას ადგილობრივი პირობებიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

მებოსტნეობა-მებაღჩეობა, რაიონის შესაძლებლობასთან შედარებით, საგარეჯოს რაიონშიც ნაკლებად არის განვითარებული. იგი მკვეთრად უნდა განვითარდეს, როგორც საკოლმეურნეო, ისე კოლწევრთა ნაკვეთებზე. საკოლმეურნეო მებოსტნეობა და მებაღჩეობა კოლმეურნეობათა ფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო უნდა გახდეს. ხაშმი, სართიჭალა, თოხლიაური, თვით საგარეჯო (არა სოფელთან, არამედ ივრისპირებში) და სხვარაიონის მებოსტნეობა-მებაღჩეობის მნიშვნელოვან უბნებად უნდა გადაიქცნენ ახლო მომავალში.

კარტოფილიც ერთ-ერთი ძირითადი კულტურაა საგარეჯოს რაიონის მაღლობ ზონაში. ამ მხრივ, პირველ რიგში, გომბორი და კოჭობანი გამოირჩევიან (გაზაფხულის დარგვა).

გ. მევენახეობა-მებაღეობა

1. მევენახეობა. მევენახეობას, საერთოდ, გარე კახეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს (**იხ.** დიაგრ. 3). ეს, პირველ რიგში, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონებზე ითქმის. მართალია, გარე კახეთი, მევენახეობის მხრივ, შიგნი კახეთს შედარებით ჩამორჩება, როგორც ფართობითა და მნიშვნელობით, აგრეთვე, მიღებული პროდუქციის ხარისხითაც,



დიაგრ. 3. გარე კახეთის მევენახეობის ხვედრითი წილი საქართველოს მევენახეობაში 1953—1965 წწ. (%-ით)

მაგრამ აქაც მოიპოვება ისეთი მიკროუბნები, რომლებიც ფრიად მაღალი ხარისხის ღვინოებს იძლევიან (ხირსა, მანავი, ანაგა, ტიბაანი, ჩაილური და სხვ.). სიღნაღის რაიონში მევენახეობა გავრცელებულია, დაწყებული ყარაღაჯიდან—ანაგამდე (წინა მხარე), ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე, იქ, სადაც ძირითადად განვითარებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. საკუთრივ „გარე კახეთში ვენახები ძირითადად გაშენებულია მდინარე ივრის აუზის შუა წელზე, მდინარის მარჯვენა მხარეზე. ვენახები იწყება დაახლოებით სოფელ სართიჭალიდან და ვიწრო ზოლით მიდის სოფ. კაკაბეთამდე, მარცხენა მხრიდან კი—იწყება სადგურ ივრიდან და თითქმის ცივ-გომბორის ქედის კალთებამდე აღწევს“ [1].

ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა ძირითადად იგივეა, რაც შიგნი კახეთისა. აქაც ძირითადი ჯიშები რქაწითელი და საფერავია საგარეჯოს რაიონში, როგორც ამას მართებულად შენიშნავს ცნობილი მეღვინე პროფ. სოლ. ჩოლოყაშვილი, ცნობილია ეგრეთწოდებული „მანავის მწვანე“. ეს ჯიში მარტო მანავის მიკრორაიონშია გაშენებული და ხარისხოვანი სუფრის ღვინოს იძლევა. საერთოდ, გარე კახეთის კლიმატი შიგნი კახეთისაგან განსხვავ-

[1] პროფ. ს. ჩოლოყაშვილი და აგრონომი ი. რცხილაძე, საქართველოს სსრ მევენახეობა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები, თბილისი, 1940, გვ. 8—47.

პროფ. ნ. ივშვილი. მევენახეობის გაადგილება საქართველოს სსრ-ში, იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1947, გვ. 124).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება თავისი კონტინენტალობით. მას შედარებით მაღალი ტემპერატურული რეჟიმი ახასიათებს, რაც აუცილებელს ხდის ვენახების მორწყვას.

1947 წლის აღწერით, ვენახის ფართობი ოთხსავე ადმინისტრაციულ რაიონში 3700 ჰექტარამდე აღწევდა. ვენახების ფართობის თითქმის ნახევარი სიღნაღის რაიონზე მოდიოდა. სიღნაღის რაიონის შემდეგ გამოირჩეოდა საგარეჯოს რაიონი, სადაც ვენახების ფართობი, კაჭრეთის რაიონთან შედარებით ორჯერ, ხოლო წითელწყაროსთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტი იყო. იმავე აღწერის მიხედვით, გარე კახეთის ვენახების ერთიმეთოედი საბჭოთა მეურნეობებს ეკავათ (ხირსა, მანავი, გუმბათი), ხოლო ამ უკანასკნელის ნახევარი მუშა-მოსამსახურეებს. ესე იგი, გარე კახეთის ვენახების ნარგავების ძირითადი მასა (85%) საკოლმეურნეო სექტორზე მოდიოდა, რომლის 50% კოლწეურების საკარმიდამო ნაკვეთებზე იყო გაშენებული. ეს პროცენტი საგარეჯოსა და, რაც მთავარია, სიღნაღის რაიონში უფრო მაღალი იყო. როგორც ცნობილია, ვენახი შრომატევადი კულტურაა და სწორედ, პირველ რიგში, ამ ორი რაიონის რიგ კოლმეურნეობაში შედარებით ნაკლებად გამომუშავებული შრომადღეები ნაწილობრივ საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული ვენახების სამუშაოების დატვირთულობითაც აიხსნება.

ვენახების ფართობები უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე 27 პროცენტით გაიზარდა. ამ გარემოებაზე საუკეთესოდ მიგვითითებს 1953 წლის აღწერის მონაცემები:



დიაგრ. 4. გარე კახეთის ვენახების ნარგავები ადმინისტრაციული რაიონების და მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით 1953 წ. (ჰექტარობით)

როგორც ვენახის ფართობების 1953 წლის აღწერის მონაცემებიდან ჩანს, მათი ხვედრითი წონა, ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, შედარებით 1947 წლის აღწერის მონაცემებთან, იგივე დარჩა. ესე იგი, კვლავ წინ უსწრებს სიღნაღის რაიონი, მას მოსდევს საგარეჯო, კაჭრეთი და წითელწყარო. ნაწილობრივ შეიცვალა მხოლოდ ვენახის ფართობების განაწილება მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით. ასე, მაგალითად, ვენახის ფართობი კოლწეურთა საკარჩიდამო ნაკვეთებზე ექვსი წლის განმავლობაში, თუ 248 ჰექტარით გაიზარდა, ამავე პერიოდში ეს ზრდა კოლმეურნეობების მიმართ ორჯერ მეტად მაღალი იყო (513 ჰექტარი), რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს (იხ. დიაგრ. 4).

2. მებაღეობა ეკონომიურ - გეოგრაფიულ ქვერაიონში, მართალია, მევენახეობასთან შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი. მაგრამ ამ დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	საერთო ფართობი	მათ შორის				
		სახელმწ. მეურნეობები	კოლმეურნეობები	კოლ-წევრები	მუშა-მოსამს.	ერთპიროვნ. მეურნეობ.
სიღნაღის	2434	424	831	991	187	1
წითელწყაროს	463	5	361	93	4	—
კაჭრეთის	704	—	436	254	14	—
საგარეჯოს	1091	53	474	492	72	—
სულ .	4692	482	2102	1830	277	1

გსაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც მებაღეობის განვითარებისათვის კარგი ბუნებრივი პირობები არსებობს და მისი მოვლა-პატრონობაც ყურადღების ცენტრშია მოქცეული.



დიაგრ. 5. გარე კახეთის ბაღების ფართობების დინამიკა 1945—1953 წწ. (ჰეკტარ.)

ალ. ბუჩუკური[1] გარე კახეთში მეხილეობის ორ ქვერაიონს გამოყოფს. გომბორის ქვერაიონს, რომელსაც საგარეჯოს ადმინისტრაციული რაიონის ზემო წელი უკავია—ცივ-გომბორის ქედის დასავლეთი და სამხრეთი ფერდობები. გომბორის ქვერაიონი ზომიერად ციე კლიმატურ ზონას მიეკუთვნება; მისი ნიადაგობრივ-ბუნებრივი პირობები საუკეთესოა თესლოვანი მომართულების სამრეწველო მეხილეობის განვითარებისათვის.

მეორე ქვერაიონს მიეკუთვნება მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარე (ზომიერად თბილი ზონა). იგი ხასიათდება საკმაო ტენიანობით და მეხილეობის განვითარებისათვის ხელშემწყობია.

უკანასკნელი ოცდაორი წლის განმავლობაში (1932—1954 წწ.), გარე კახეთის ოთხივე ადმინისტრაციული რაიონის მეხილეობა საერთო აღმავლობას გვიჩვენებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1954 წლისათვის 1932 წელთან შედარებით, ბაღების ფართობი სამნახევარჯერ მეტად გაიზარდა. ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, ხეხილის ყველაზე მეტი ნარგავები აქვს საგარეჯოს რაიონს, მას მოსდევს სიღნაღი (იხ. დიაგრ. 5).

მსგავსად მევენახეობისა, ბაღების ნარგავების საკმაოდ დიდი ნაწილი კოლმეურნეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე მოდის.

ხეხილის ცხრამეათედზე მეტი თესლოვანებზე მოდის. კურკოვანი და კაკლოვანი ხეხილი საერთო რაოდენობის 5—6 პროცენტს არ აღემატება.

[1] Ал. Бучукури. Плодоводство эконом-географического района Кахетии, თბილისი, 1947, გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდი, 399 (247—2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	ბაღების ფართობი (ჰექტარებში)					
	1932 წ.	1937 წ.	1940 წ.	1945 წ.	1948 წ.	1954 (1/I)
სიღნაღის	367	498	708	893	1034	1062
წითელწყაროს	122	165	236	293	298	530
კაჭრეთის				482	533	800
საგარეჯოს	548	787	1317	784	811	1260
სულ	1037	1450	2261	2452	2676	3652

საკოლმეურნეო მებაღეობა ყველაზე მეტად წარმოდგენილია საგარეჯოსა და ყველაზე ნაკლებად—წითელწყაროს რაიონში.

სადღეისოდ, კოლმეურნეობებში ერთობ მცირეა როგორც ნაყოფის მომცემ ნარგავთა ფართობი, ისე საგრძნობლად დაბალია ხეხილის ნარგავთა მოსავლიანობა და მოსავალი.

გარე კახეთის ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მევენახეობა-მებაღეობის გავრცელება-განლაგება, ჯიშები, მოსავალი და მოსავლიანობა შემდეგით ხასიათდება:

სიღნაღის რაიონი. რაიონში ვაზის წამყვანი ჯიშებია „რქაწითელი“ და „საფერავი“. შედარებით მცირე ფართობებზე გვხვდება, აგრეთვე, „მუხრანული“, „კახური მწვანე“ და „კაბერნე“. სიღნაღის რაიონში ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. ასე, მაგალითად, იგი კოლმე, ურნეობებში 1950 წელს ჰექტარზე 19 ცენტნერს უდრიდა, 1951 წელს—35 ხოლო 1952 წელს—30 ცენტნერს. უკანა მხარის მთელ რიგ კოლმეურნეობაში წინათ მევენახეობას სრულებით არ მისდევდნენ. მაგალითად, სოფელ ქვემო ბოდბეში ვენახების გაშენება 1939 წლიდან დაიწყეს. ამ კოლმეურნეობამ 1952 წელს ჰექტარზე საშუალოდ 58 ცენტნერი ყურძენი მიიღო. მართალია, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ვენახებით დაკავებული ფართობების დამუშავების მექანიზაციის დონე (მოხვნა, კულტივაცია), მაგრამ იგი საკმაო სრულებით არ არის.

სიღნაღის რაიონში მებაღეობას, მიუხედავად მისი პოტენციური შესაძლებლობისა, სადღეისოდ სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს. ამჟამად კოლმეურნეობათა ბაღები ოთხჯერ ნაკლებია, საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ ბაღებთან შედარებით.

რაიონის დაბალ ზონაში უმთავრესად თესლოვანებია გავრცელებული, ხოლო მაღლობ ზონაში—კურკოვანები. რაიონში მებაღეობის გაუმჯობესება-განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს წნორში მოწყობილ სარაიონთაშორისო მნიშვნელობის სახელმწიფო სანერგეს.

წითელწყაროს რაიონი. ვენახის ძირითადი მასივი განლაგებულია ხირსის მარჯვენივ მდებარე სასაზღვრო ნაკვეთებზე (სიღნაღის რაიონი). მას, გვალვიან წელსაც კი, ყურძნის მოსავლიანობით, სიღნაღთან შედარებით, ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია. მაგრამ არის ადგილები, სადაც რწყვის გარეშე ვაზი ნაკლებ შედეგს იძლევა. ასე, მაგალითად, ზილიჩასა და ტარიბანაში გაშენებული ვენახი დაკნინებულია ნალექების ნაკლებობის გამო. იგივე მდგომარეობა იყო საბათლოში, სანამ წყალს გამოიყვანდნენ.

როგორც წესი, სოფლები—ზემო მაჩხაანის, ოზაანის, არბოშიკის, გამარჯვებისა და ბირხაანის კოლწევრთა საკარმიდამო ნაკვეთები ძირითადად ვენახითა და საბოსტნე ნაკვეთებით არის წარმოდგენილი (ხახვი, ნიორი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვ.) მაშინ, როცა ქედების ზონის სოფლებში საკარმიდამო ნაკვეთებზე ფიცარ-საევნ ხორბალს, სიმინდს, მზესუმზირას და სხვა. ბოლო წლებში ვენახების მოშენებასაც მიჰყვეს ხელი.

სადღეისოდ, საკოლმეურნეო ბაღები დიდი არ არის (80 ჰა). იგი მეწლეულია და ამასთანავე მცირე მოსავლიანობით ხასიათდება. გაზაფხულის ყინვებიც ხშირად აზიანებს. ამის გამო, მევენახეობასთან შედარებით, მის გაშენებას, როგორც კოლმეურნეობები ისე კოლწევრები, ნაკლები ინტერესით ჰკიდებენ ხელს. კარგი ბაღები აქვს გამარჯვებას (15 ჰა), ძირითადია კურკოვნები (ქლიავი).

კ ა ჯ რ ე თ ი ს რ ა ი ო ნ შ ი ხეხილის საერთო ნარგავების ორი მესამედი, ხოლო ვენახის ერთი მესამედი კოლწევრებზე მოდის. კაკაბეთის სასოფლო საბჭოს გარდა, ვენახების გაშენებას სულ 15—20 წლის ისტორია აქვს. მიზეზი: დღევანდელი კაჯრეთის რაიონი გურჯაანის რაიონში შედიოდა და, ამის გამო, მევენახეობა ძირითადად ვითარდებოდა უფრო უკეთესი პირობების მქონე გურჯაანში (წინამხარე), ხოლო კაჯრეთის რაიონი (უკანა მხარე) ძირითადად ითვლებოდა მემინდვრეობისა და მესაქონლეობის რაიონად. კაჯრეთის ცალკე რაიონად გამოყოფის შემდეგ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, რაიონში მევენახეობა, მემინდვრეობა-მესაქონლეობის გვერდით, მესამე ძირითად დარგად იქცევა, როგორც ფართობის, ისე მოსავლიანობის მხრივ. სადღეისოდ, 19 კოლმეურნეობიდან ვენახის ნარგავები 15 კოლმეურნეობას აქვს, ხოლო ხეხილის ბაღები—ყველას. ვენახები არა აქვთ აზერბაიჯანულ კოლმეურნეობებსა და, აგრეთვე, სოფელ ზაარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას (ბაღალი მდებარება). ვენახის დიდი ფართობებით ყანდაურა (72 ჰა), კაკაბეთი და კაჯრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობები გამოირჩევიან. ყურძნის მოსავლიანობა აქაც დაბალია (1951 წელს—19 ცენტნერი, 1952 წელს—25 ცენტნერი).

მსგავსად მევენახეობისა, დაბალია მებაღეობის მოსავლიანობაც. სადღეისოდ, რაიონის კოლმეურნეობებში ძირითადად ახალგაზრდა ხეხილის ნარგავებია. ძველი, ნაყოფის მომცემი 60 ჰექტარი ხეხილის ბაღი ბოლო დრომდე მოუვლელი იყო.

ვაზის ძირითადი ჯიშია „რქაწითელი". გვხვდება, აგრეთვე, კახური საფერავი და კახური მწვანე. მოსავლიანობის მხრივ რქაწითელი ყველას წინ უსწრებს, მაგრამ მარტო ეს ჯიში ხარისხიან ღვინოს ვერ იძლევა. ამიტომ ახალი ვენახების გაშენება იმ ვარაუდით ხდება, რომ ნარგავების დაახლოებით ერთიმესამედი კახურ მწვანეზე მოდიოდეს.

ხეხილიდან გავრცელებულია ძირითადად ვაშლი. მას მოსდევს მსხალი, ატამი, ალუბალი, ბალი, ქლიავი და სხვა. სარწყავი ხეხილის ნარგავებით გამოირჩევიან ბოგდანოვკის, ყანდაურისა და კაკაბეთის კოლმეურნეობები (ორივე კოლმეურნეობას ხეხილის ბაღები გაშენებული აქვს არა სოფელთან ახლოს მთავარ ნაკვეთებზე, არამედ დაბლობ ზონაში). მებაღეობის განვითარების საუკეთესო პერსპექტივები გვაქვს აზერბაიჯანული კოლმეურნეობების სარწყავ ნაკვეთებზე. მათ ზონაში 1950 წელს 32 ჰექტარზე გაშენებული ბაღი საუკეთესო მოსავალს იძლევა (ატამი). აქაურ კოლწევრთა საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული და საუკეთესოდ გახარებული მსხმოიარე ხეხილი (დუზაგრამა იორ-მუღანლო, ლამბალო) ამის საუკეთესო დადასტურებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეჯოს რაიონი. ვენახების ფართობები ძირითადად განლაგებულია მდინარე ივრის მარცხენა და, ნაწილობრივ, მარჯვენა მხარეზე—ახალსოფლის უბანში. ივრის მარცხენა ნაწილი, ვაზის გავრცელებისა და ჯიშების თვალსაზრისით, თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფა: ქვედა, შუა და ზედა უბნებად. ღვინის საუკეთესო მოსავლით აღსანიშნავია ქვედა მანავისა და საგარეჯო-ნინოწმინდის მიკროუბნები, სადაც ძირითადად გავრცელებულია კახური მწვანე და რქაწითელი. რაც შეეხება ივრის მარცხენა ზედა უბანს,—ხაშმს, პატარძეულს, — გავრცელებული ჯიშია საფერავი. ამ ზონაში კარგი და მაღალხარისხოვანი ღვინო არ მზადდება. მოსავლიანობით განთქმულია სართიჭალის ფართობები, „ცუგროვანის" სახელწოდებით.

მდინარე ივრის მარჯვენა მხარეს შესაძლებელია მევენახეობის უფრო მეტად განვითარება. მას მეტი პერსპექტივები აქვს. ახლო მომავალში ამ ზონის ვენახები მთლიანად სამგორის არხით მოირწყვება. როგორც ცდებიდან ჩანს, ეს ზონა ღვინის ხარისხითაც არ ჩამორჩება ჩაილურისა და მანავის ზონას („სააღალოს", ნინოწმინდისა და სართიჭალის ფართობები). ამ ზონაში გავრცელებულია უპირატესად რქაწითელი და საფერავი.

რაიონში ყურძნის საშუალო მოსავალი ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჰექტარზე ყურძნის მოსავალი ასეთი იყო (ცენტნერებში):

წლები	გეგმით	ფაქტიურად
1950	38	9.7
1951	42	16.2
1952	44	16,1

საჭიროა, დაისახოს მთელი რიგი ღონისძიება მოსავლიანობის გასადიდებლად, როგორიც არის ვაზის მთლიანად შპალერზე მოწყობა, მინერალური და ორგანული სასუქის მეტი რაოდენობით და, რაც მთავარია, სისტემატურად შეტანა, ქარსაფარი ზოლების გაშენება, ფართობების დამუშავების მექანიზაცია და სხვა.

საგარეჯოს რაიონში მევენახეობა, პირველ რიგში ჩაილურის, მანავის, საგარეჯოსა და ნინოწმინდის უბნებში უნდა განვითარდეს, რადგანაც, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ ზონაში ვენახის კულტურა კარგად ვითარდება და ღვინოც საუკეთესო დგება (მანავის მწვანე, ჩაილურის, საგარეჯოსა და ნინოწმინდის „რქაწითელი").

მეგაღლობა. ხეხილის ნარგავები მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა სოფელში გვხვდება. იგი, ისე როგორც სხვა ადმინისტრაციულ რაიონებში, მეწლეულია. რაიონს შიგნით, თავისი ხასიათის მიხედვით, მეხილეობის ორი ზონა შეიძლება გამოვყოთ: ზედა, მთის ზონა და ქვედა-დაბლობის ზონა. ზედა მთის ზონას გომბორ-კოჭობანი მიეკუთვნება, ქვედა ზონა, სოფელ ჩაილურიდან სოფელ უჯარამამდე, მდინარე ივრის ორივე მხარეს არის განლაგებული.

მეგაღლობის განვითარებისათვის ორივე ზონა კარგ მაჩვენებლებს იძლევა. ამ მხრივ, გომბორთან ერთად, გამოირჩევა სართიჭალის, ხაშმის, მანავისა და თოხლიაურის მიკროუბნები.

გავრცელებული ჯიშებია, ვაშლიდან: შამპანური რენეტი, ბელფლორი, ზამთრის ოქროს პარმენი და კანადური რენეტი; მსხლებიდან. კახური გულაბი და სხვა. კურკოვანებიდან: ადგილობრივი ატამი, გორის საადრეო ვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისფერი და სხვა. რაიონში საკმაოდ გავრცელებულია კაკლის კულტურა და კარგ მოსავალსაც იძლევა.

მევენახეობის მსგავსად, ხილის საშუალო მოსავლიანობაც სადღეისოდ აქაც დაბალია. საჭიროა გაიშალოს მუშაობა მისი მკვეთრად გაზრდისაკენ.

ხილის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1950—1952 წწ.

წლები	გეგმით	ფაქტიურად
1950	27,5	11,2
1951	30	6,6
1952	25	4,3

რაიონში მებაღეობას, მის მოვლა-განვითარებას, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. გავრცელებულია ვაშლის დაავადება, ე. წ. „მერქნის ჭამია". მის წინააღმდეგ კი როგორც საკოლმეურნეო ისე კოლწევრთა ნაკვეთებზე, ეფექტურ ზომებს არ ღებულობენ. ეს კი განადგურებას უქადის რაიონის მებაღეობას. საჭიროა მოსახლეობა მივაჩვიოთ ხეხილის მკურნალობას (წაბლობას).

გ) მეცხოველეობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომმა პლენუმებმა ყოველმხრივ ანალიზი გაუკეთეს ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის ჩამორჩენას, გამოავლინეს მისი მდგომარეობის ნაკლოვანებანი და დასახეს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის ახლო მომავალში მკვეთრი აღმავლობისათვის. 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მეცხოველეობის განვითარების მხრივ, ბევრ კოლმეურნეობაში მეურნეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი ჯერ კიდევ არ გამხდარა მაღალსაქონლიანი და დიდშემოსავლიანი, პირუტყვის მოვლა ცუდად არის დაყენებული. უკანასკნელ წლებში პირუტყვის სულადობა მეტად ნელა იზრდება, ხოლო ძროხის სულადობამ ჩვენს ქვეყანაში დღემდე ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, დიდია პირუტყვის დანაკლისი სიკვდილიანობისაგან; დიდია დედაპირუტყვის სულადობის ბერწიანობა. მეცხოველეობის საკვები ბაზა კოლმეურნეობებში სუსტად არის განვითარებული, ნაკლებად მზადდება კარგი თივა, სილოსი, ძირხვნები და კარტოფილი. პირუტყვის სულადობა დამაკმაყოფილებლად არ არის უზრუნველყოფილი მეცხოველეობის შენობებით, სუსტად არის მექანიზებული შრომატევადი პროცესები ფერმებში" [1].

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნული ნაკლი მთლიანად ახასიათებს გარე კახეთის მეცხოველეობასაც და, ამდენად, უახლოეს წლებში მისი გამოსწორება, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და მტკიცე აღმავლობის მიღწევა საკვლევი რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა საპატიო საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

---

[1] სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, თბილისი, 1953, გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შრომის შესავალში იყო აღნიშნული, გარე კახეთის ოთხსავე ადმინისტრაციულ რაიონში მეცხოველეობას, მემინდვრეობასთან ერთად, წამყვანი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ, პირველ რიგში, წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონები გამოირჩევიან. მესაქონლეობის შემადგენლობაში წამყვანია ცხვარი, მას მოსდევს ძროხა, ღორი და სხვა. გარე კახეთის ცხვარი მომთაბარეობას ეწევა. ზაფხულს რაიონის გარეთ, საზაფხულო საძოვრებზე ატარებს, ხოლო ზამთარს — ნაწილობრივ, კვლავ რაიონის გარეთ, ნაწილობრივ კიდევ ადგილობრივ შირაქ-ელდარში. რაც შეეხება მეძროხეობასა და მეღორეობას, იგი ნახევრად სტაციონალურ ხასიათს ატარებს (იხ. დიაგრ. 6).

მესაქონლეობის სულადობის დინამიკა 1950—1952 წწ. ასეთი იყო (ათასი სულობით):

მესაქონლეობის სახე	1950 წელი					1952 წელი				
	სიღნ.-ღი	წითელწყარო	კეტრეი	სულ	სულ	სიღნ.-ღი	წითელწყარო	კეტრეი	სულ	სულ
1. მსხვილფეხა რქიანი საქონელი	19,2	25,0	13,4	13,8	71,4	18,9	21,9	11,5	12,5	64,8
მათ შორის ძროხა	4,8	6,3	3,3	3,6	18,0	5,0	5,7	3,0	3,6	17,3
2. ცხვარი და თხა	137,0	185,8	45,1	52,2	420,1	146,7	187,1	53,6	61,3	448,7
3. ღორი	9,8	6,8	4,4	6,5	27,5	10,2	8,6	6,3	7,4	32,5
4. ცხენი	4,7	4,2	2,1	2,7	13,7	4,6	3,8	1,9	2,7	13,0
5. ვირი	3,9	2,0	2,7	1,0	9,6	4,1	1,9	3,0	1,4	10,4

საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, მესაქონლეობის ამ წამყვან რაიონებში უძროხო კოლმეურნეების რიცხვი საკმაოდ დიდია.

დაბალია აგრეთვე, კოლწევრებში ღორისა და ცხვრის სულადობაც.

ეს მდგომარეობა უახლოეს პერიოდში არსებითად უნდა შეიცვალოს. მესაქონლეობის წამყვან რაიონებში, მეტადრე სადაც დიდად განვითარებულია, აგრეთვე, მემინდვრეობაც, კოლმეურნეობათა გარდა, კოლწევრებს თითო ძროხა და დედა ღორი, როგორც მინიმუმი, უთუოდ უნდა გააჩნდეთ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გარე კახეთის რაიონებში ვირების მოშენების საკითხი. როგორც ცნობილია, გარე კახეთში, კერძოდ ქიზიყში, ძველად მოსახლეობას სასმელი წყალი იმთავითვე სოფლიდან საკმაოდ დაცილებული ჰქონდა. ასევე შორს უხდებოდა გლეხს სიარული წისქვილში საფქვავის წასაღებად, ბაზარზე ჭირნახულის გასაყიდად, ფიჩხისა და ბალახის მოსაზიდად და სხვა. ყველა, ამ საქმეში კოლმეურნე გლეხს კარგ სამსახურს უწევდა და დღესაც ნაწილობრივ უწევს ვირი, რომელსაც ადგილობრივ ჯორს ეძახიან. სხვათა შორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვირის შენახვა კოლწევრს სრულებით არ უჯდება ძვირი, იგი კვების მხრივ ნაკლებ მომთხოვნია და შრომაში ამტანი. ამჟამად სოფლად ურემს, ცხენს და საერთოდ საჭაპანო ტრანსპორტს ავტომანქანები ცვლიან. ვირებს გამოყენება აქვს, აგრეთვე, მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებსა (უდაბნო, ელდარი) და კოლმეურნეობებში. ასეულობით ვირი ზამთარ-ზაფხულ ცხვართან ერთად, მომთაბარეობას ეწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის რაიონებს სამი ინკუბატორი ემსახურება—სიღნაღის, წითელწყაროსი და საგარეჯოსი. საგარეჯოს ინკუბატორი მომსახურეობას უწევს, აგრეთვე, კაჭრეთის რაიონს. სამივე ინკუბატორის წარმადობა წლიურად 300 ათას წიწილს უდრის. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, საკოლმეურნეო მეფრინველეობაში ფრთა ფრინველის მნიშვნელოვან მატებასთან გვაქვს საქმე. საერთო მატება უფრო მაღალი იქნებოდა სიღნაღის რაიონს ჩამორჩენა რომ არ ჰქონოდა. ფრთა ფრინველის რაოდენობის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით წითელწყაროს რაიონი გამოირჩევა.

საკოლმეურნეო მეფრინველეობის განლაგება 1950—1952 წწ. (ათასი ფრთა)

რაიონები	სიღნაღი		წითელ-წყარო		კაჭრეთი		საგარეჯო		ს ულ	
	1950	1952	1950	1952	1950	1952	1950	1952	1950	1952
ფრინველი—ყოველ-გვარი . . .	20,0	17,3	29,3	47,6	10,0	15,3	19,2	18,7	78,5	98.9
მ. შ. ქათმები . . .	12,1	12,7	22,9	40,1	6,2	12,3	12.0	17,2	53,2	82,3

გარე კახეთის კოლმეურნეობებში საშუალო წლიური პარსვა და წველადობა 1950—1952 წწ.

	ზომის ერთეული	სიღნაღი		წითელ-წყარო		კაჭრეთი		საგარეჯო	
		1950	1952	1950	1952	1950	1952	1950	1952
საშუალო წლიური წველადობა ერთ საფურაქე ძროხაზე . .	ლიტრა	351	349	443	442	313	226	336	334
საშუალო წლიური ნაპარსი ერთ ცხვარზე	კგ	1,8	2,8	2,0	3,2	1,3	2,4	2,1	2,6

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, გარე კახეთის კოლმეურნეობებში საგეგმო დავალებებთან შედარებით ჩამორჩენა გვაქვს.

გარე კახეთის კოლმეურნეობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე მეფუტკრეობაც. ამ მხრივ პირველ რიგში წითელწყაროს და საგარეჯოს რაიონები გამოირჩევიან. თუმცა არსებულ მდგომარეობასთან შეფარდებით, მეფუტკრეობის რამდენიმეჯერ გაზრდის საშუალება ყველა რაიონს გააჩნია. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში ეს დარგი, ნაცვლად ზრდისა, დაქვეითდა და 1950 წელთან შედარებით ფუტკრის ოჯახთა რიცხვი შემცირდა კიდეც.

1952 წელს მარტო საკოლმეურნეო მეფუტკრეობიდან 54 ათას კილოგრამზე მეტი თაფლი და 2000 კილოგრამზე მეტი სანთელი იქნა მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1952 წლის ბოლოსთვის ასეთი იყო[1]:

რაიონები	კოლმეურნეობებში	კოლწევრებში	მ/მოსამსახურეებში	ერთპიროვნულ მეურნეობებში	ს უ ლ
სიღნაღის	1252	381	133	17	1783
წითელწყაროს	3309	525	71	1	3906
კაპრეთის	258	436	91	—	785
საგარეჯოს	1712	692	166	10	2580
ს უ ლ	6531	2034	461	28	9054

საკვლევ რაიონში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ა ს. კერძოდ, ეს, პირველ რიგში, სიღნაღის რაიონზე ითქმის.

1950—1952 წლებში დარიგებული თესლი, მიღებული პარკი და ერთ კოლოფზე საშუალო მოსავალი ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგით ხასიათდებოდა:

	ზომის ერთეული	1950 წ ე ლ ი					1952 წ ე ლ ი				
		სიღნაღი	წითელწყაროს	კაპრეთი	საგარეჯო	ს უ ლ	სიღნაღი	წითელწყაროს	კაპრეთი	საგარეჯო	ს უ ლ
დარიგებული თესლი	კოლოფი	983	247	100	305	1635	1112	200	127	331	1770
მიღებული პარკი	კგ	46,490	12350	4150	1119	64,109	43,758	9,267	3,163	9,545	65,733
ერთ კოლოფზე საშუალო მოსავალი	„	47,3	50,0	41,5	3,6	39,2	39,4	46,3	35,1	28,8	37,1

როგორც ჩანს, ოთხსავე ადმინისტრაციულ რაიონში მიღებული პარკის ორ მესამედზე მეტი სიღნაღის რაიონზე მოდის, ხოლო ერთ კოლოფზე საშუალო გამოსავლიანობით წითელწყაროს რაიონი ყველას წინ უსწრებს.

მიღებული პარკის საერთო მოსავლის შესაბამისად, მეაბრეშუმეობის საკვები ბაზისაც შედარებით სიღნაღის რაიონი გამოირჩევა.

1952 წლის ბოლოსთვის თუთის ნარგავთა რაოდენობა (ათას ძირებში) ასეთი იყო:

რაიონები	თუთის ნარგავთა რაოდენობა
სიღნაღის	196,3
წითელწყაროს	48,8
კაპრეთის	32
საგარეჯოს	41
ს უ ლ	318,1

მეაბრეშუმეობას ძირითადად კოლმეურნეობები მისდევენ, მცირედ—კოლწევრებიც.

[1] ცნობები კოლმეურნეობებზე აღებულია კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშებიდან, ხოლო დანარჩენ კატეგორიებზე—რაიფინგანის ანგარიშებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიაგრ. 6. ერთ შრომისუნარიან კოლწევრზე მოდის მსხვილფენა რქოსანი საქონელი, ცხვარი, თხა, ღორი და ფრინველი

ს ა კ ვ ე ბ ი ბ ა ზ ა. როგორც ცნობილია, მეცხოველეობის განვითარების საფუძველს მტკიცე საკვები ბაზის შექმნა წარმოადგენს. ამ მხრივ, გარე კახეთი, რესპუბლიკის მეთაქონლეობის სავა რაიონებთან შედარებით, საძოვრებით საკმაოდ უზრუნველყოფილია. საკუთრივ გარე კახეთში სათიბ-საძოვრების ფართობი 187 ათას ჰექტარს უდრის, რაც მთელი ტერიტორიის თითქმის ერთ მესამედს შეადგენს (32,5%). საძოვრები ძირითადად წარმოდგენილია ცივ-გომბორის ქედზე, გარე კახეთის ზეგანსა და ალაზნისპირა ვაკეზე.

სურ. 1. ხორბლის აღება კომბაინით (წითელწყაროს რაიონი)

გარე კახეთის ზეგანი, ასევე მდ. ალაზნის ვაკე (საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში), ძირითადად საზამთრო საძოვრებს წარმოადგენს. ნაწილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზაფხულო საძოვრებად და სათიბებადაც იყენებენ. ცივ-გომბორის სუბალპები კი გარე კახეთის რაიონების მესაქონლეობისათვის ბუნებრივ მშვენიერ საზაფხულო საძოვარ ადგილს წარმოადგენს.

საძოვრების ფართობია მიხედვით, პირველი ადგილი წითელწყაროს უკავია, მეორე ადგილზე დგას სიღნაღის რაიონი.

მიუხედავად საძოვრების შედარებით დიდი ტერიტორიისა, გარე კახეთის მესაქონლეობის სულადობას არც საზაფხულო და არც საზამთრო საძოვრები არ ჰყოფნიან და იგი, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, დიდი რაოდენობით აარგებლობს გარდა საქართველოს რესპუბლიკის სხვა რაიონებისა (ბოოჯომის, ბოგდანოვკისა და სხვ. საზაფხულო საძოვრები), აგრეთვე, რესპუბლიკის გარეშე – აზერბაიჯანის (საზამთრო საძოვრები), სომხეთისა (საზაფხულო საძოვრები) და დაღესტნის (საზაფხულო და საზამთრო) ტერიტორიაზე მდებარე საძოვრებით. საძოვრების ასე გაფანტვა საქართველოს სხვადასხვა რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე საკმაოდ აძნელებს მათ რაციონალურ ათვისებასა და მომსახურებას. როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ წლებში გარე კახეთის შიგნით სათიბ-საძოვრების ფართობთა მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია მათმა გადახვნამ მარცვლეული კულტურების დასათესად. ასე, მაგალითად, მარტო კაჭრეთის რაიონში „საბეროაა“ და „დონღუზარას“ მიდამოებში 15 ათასი ჰექტარი საძოვარი ადგილები მოიხნა. ამბ. ვ. პ. მეგავნაძე, თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომუნიტური პარტიის XVI ყრილობაზე აღნიშნავდა მესაქონლეობის საკვები ბაზის გაფართოება-გამტკიცების საჭირობას (საკვები კულტურების თესვა, მოსავლიანობის გადიდება და სხვ.) და ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „მთლიანად უნდა აღვადგინოთ ის სათიბები და საბალახოები, რომლებიც წარსულ წლებში ხორბლის დასათესად მოიხნა[1]“.

საძოვრების უკეთ ათვისებისათვის საჭიროა საქონლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, საძოვარ-საბალახოების ქვისა და შხამა ბალახებისაგან გაწმენდა და სხვა. თესლბრუნვის სრულყოფილად გატარება, აგრეთვე, დიდად ხელსშეუწყობს მესაქონლეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

მეცხოველეობის ჯიშობრივი შემადგენლობა, პროდუქტიულობა, საკვები ბაზით უზრუნველყოფა და სხვა, ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

სიღნაღის რაიონი. მსხვილფეხა რქიანი საქონელი ძირითადად ადგილობრივი ჯიშისაა. გაუმჯობესებისათვის შემოყვანილია შვიცის ჯიშის მწარმოებლები. გვხვდება მცირედ სიმენტალის ჯიშიც. ცხვრიდან ძირითადია კავკასიური ჯიშის ნაჯვარი, მას მოსდევს თუშური ჯიშის ცხვარი, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ახალი ქართული ჯიშის ნაჯვარი. ღორიდან, ადგილობრივი კახურის გარდა, გავრცელებულია მსხვილი თეთრი ჯიშის ღორი.

მეცხვარეობის საქმის შემდგომი აღმავლობისათვის, საკვებ ბაზასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ცხვრის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. როგორც ცნობილია, საქართველოს ცხვრის ძირითადი მასა თუშური ცხვრისაგან შედგება, რომელიც ბევრი ძვირფასი თვისებით ხასიათდება. მრავალი წლის განმავლობაში თუშურმა ცხვარმა ადგილობრივ პირობებთან შეგუების შესანიშ-

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1954, № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავი უნარი გამოიმუშავა, რაც თუშური ჯიშის ცხვარს მომთაბარეობის ცუდი პირობების ადვილად გადატანის შესაძლებლობას აძლევს.

თუშურ ცხვარს, დადებით ნიშანთვისებებთან ერთად, ნაკლიც აქვს. იგი მორჩილი ტანისაა და მისი ცოცხალი წონა მცირეა. გარდა ამისა, რაც მთავარია, მისი მატყლი უხეშია და არაერთგვაროვანი.

იმ მიზნით, რომ თუშური ცხვრის ამტანიანობასთან ერთად, გაუმჯობესებულიყო მატყლის ხარისხი, შემოყვანილ იქნა საბჭოთა მერინოსისა და პრეკოსის ყოჩი მწარმოებლები. მეტიზაციის შედეგად, გაუმჯობესებულ იქნა მატყლის ხარისხი, ხოლო ერთდროულად შენარჩუნებულ იქნა ხორცის სპეციფიკურობა (კარგი გემო), ცხვრის გამძლეობა, მისი კონსტიტუცია და სხვ.

გარდა გარეედან შემოყვანილი მწარმოებლებით ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებისა, ყურადღება ექცევა ადგილობრივი, ისტორიულად დამკვიდრებული თუშური ცხვრის, როგორც საქართველოს ცხვრის წინაპრის ხალასად მოშენების საკითხსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია სიღნაღში მოქმედი სარაიონთაშორისო მნიშვნელობის თუშური ცხვრის სახელმწიფო ჯიშსაშენის საქმიანობა.

სიღნაღის რაიონში, წითელწყაროს რაიონთან ერთად, გარდა ნახევრად უხეშმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხვრების მოშენებისა, წარმოებს აგრეთვე ე. წ. ქსანურისა (სამხრეთ ოსეთის) და მლეთის (დუშეთის რაიონი) ჯიშის ცხვრის მოშენებაც.

მ ე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ო ბ ა. რაიონში ჯერ კიდევ ძირითადად მისდევენ ადგილობრივი ჯიშის ფრინველის მოშენებას, ხოლო გაუმჯობესებულ ჯიშად მიჩნეულია ლეგორნის ჯიში. ლეგორნის ჯიშის ფრინველი ჰყავს მთლიანად რაიონის ოთხ კოლმეურნეობას—ძველი ანაგის სტალინის სახელობის, მაღაროს—ლენინის გზის სახელობის, საქობოსა და ჯუგაანის კოლმეურნეობებს. 1953 წელს დელისის საცდელი სამოსწავლო მეურნეობიდან შემოყვანილია ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მეხორცული მიმართულების წითელი და შავი ფერის როდოლენდის ჯიშის ქათამი.

რაიონში მოქმედი საკმაოდ მძლავრი წნორის ინკუბატორი ნაწილობრივ ლაგოდეხისა და წითელწყაროს რაიონებსაც ემსახურება.

მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა ს რაიონის 18 კოლმეურნეობიდან 13 კოლმეურნეობაში მისდევენ. ძირითადი ჯიშია ქართული (კავკასიური) რუხი და იტალიური ყვითელი ჯიშის ფუტკარი, გვხვდება შერეული ჯიშებიც.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში 1953 წლისათვის იყო 27 მსხვილი რქიანი საქონლის, 18 მეცხვარეობის, ამდენივე მეცხენეობისა და მეფრინველეობის და 17 მეღორეობის ფერმა. ფერმები ძირითადად განლაგებულია ივრისა და ალაზნის სანაპიროებზე, ხოლო მეფრინველეობის—სოფლის მახლობლად ან სოფლად. როგორც წველადობა, ისე კვერცხმდებლობა, გეგმასთან შედარებით, დაბალია, მის ნახევარსაც არ უდრის. მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმებიდან რაიონში, მეძროხეობის ფერმებს გარდა, აღსანიშნავია მეკამეჩეობის ფერმები (მაგ., ქვემო ბოდბეში და სხვაგან). მეფრინველეობიდან მთავარია ქათამი, გვხვდება ინდაური და ბატიც.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს მ ე ქ ა ნ ი ზ ა ც ი ა. რაიონის ფერმებში ტარდება ცხვრის ელექტრო-მექანიკური პარსვა. მარტო 1953 წლის პირველ ნახევარში ამ წესით გაპარსულ იქნა 74 ათასი ცხვარი. რაიონის ათ ფერმაში მექანიზებულია, აგრეთვე, საკვების მომზადება, მათგან კონცენტრული და უხეში საკ-

ვების დაქუცმაცება—3 ფერმაში; წვნიანი საკვების გარეცხვა და დაკუწვა—4 ფერმაში და საკვების დაორთქლა—3 ფერმაში.

რაიონის მეცხვარეობის, მეძროხეობისა და მეცხენეობის ფერმები მომთაბარეობას ეწევიან. ზამთარს ცხვარი იზამთრებს აზერბაიჯანის სსრ-ის საათლოს რაიონში (ე. წ. შირვანის საძოვარი), ნაწილი კი—მდინარე ივრისა და ალაზნის პირებზე.

ზაფხულში ყველა სახის პირუტყვი მომთაბარეობს თრიალეთისა და მცირე კავკასიონის მთის მასივებზე. თრიალეთის მთის ტრასა ასეთია: სიღნაღი, სართიჭალა, რუსთავი, სანდარა, თეთრი წყარო, გომხარი, წალკა. ზნორიდან, ყვარლის რაიონზე გაკლილი, მიდიან კავკასიონის მთის მასივებზე.

გარდამავალი საძოვრები კოლმეურნეობებს გამოყოფილი არა აქვთ, რაც მათ დიდ სიძნელეს უქმნით ცხვრების გადარეკვისას. გარდა ბუნებრივი საძოვრებისა, რაიონში ითესება საკვები კულტურები. მრავალწლიანი ბალახებიდან—ესპარცეტი, ერთწლიანებიდან—სუდანურა და სხვა.

რაიონში აბრეშუმის ჭიის როგორც საგაზაფხულო, ისე ზაფხულის გამოკვებისათვის კლიმატური პირობები ხელსაყრელია და უფრო უხვი მოსავლის მიღება შეიძლებოდა, სათანადო მტკიცე საკვები ბაზა რომ ყოფილიყო შექმნილი. ჯერჯერობით რაიონებში არსებული თუთის ნარგავების მეტი რაოდენობა ახლადაა გაშენებული, მათი ექსპლოატაცია არ ხდება, ადგილობრივი საკვები არ არის საკმაო, რის გამო, მსგავსად წითელწყაროს რაიონისა, ჭიის გამოსაკვებად ფოთოლი ალაზნის ტყის მასივებიდან და ასეული კილომეტრით დაშორებული რაიონებიდან შემოაქვთ, რაც იწვევს მეტ შრომით დანახარჯებს და ტრანსპორტის გადიდებულ მომსახურებას. ამავე დროს, ასეთი შორი მანძილიდან შეპოტანილი ფოთოლი კარგავს ხარისხს და ნაკლებად ეფექტური ხდება.

კოლმეურნეობათა მიერ ჭიის გამოკვება ორივე რაიონში ხდება განსაზოგადოებულად. იმ კოლმეურნეობებში, სადაც შექმნილია საკვები ბაზა (საქობო, ანაგა) ყოველწლიურად უხვ მოსავალს ღებულობენ.

რაიონში მეთოფეობის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კერძოდ პარკის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საჭიროა მთელ რიგ კოლმეურნეობებში აშენდეს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები სპეციალური ბინები, ხოლო საკვები ბაზის გასამტკიცებლად აუცილებელია: არსებული ახალგაზრდა ნარგავების უკეთესი მოვლა, თუთის ახალი საკოლმეურნეო პლანტაციებისა და სანერგეების მოწყობა, ერთეულად მდგომი თუთის ხეების ნარგაობათა მკვეთრად გაზრდა, თუთის ადგილობრივი ჯიშების მაღალმოსავლიანი ჯიშებით მყნობა და სხვა. ყოველივე ამან კი ახლო მომავალში უნდა უზრუნველჰყოს აბრეშუმის ჭიის გამოკვება საკუთარი ფოთლით. რაიონს ყველა პირობა აქვს ამ მაღალრენტაბელური დარგის სათანადო განვითარებისათვის.

სიღნაღის რაიონის 18 კოლმეურნეობიდან, ულიანოვკის კოლმეურნეობის გარდა, ყველა მისდევს მეაბრეშუმეობას. ასევე, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებიდან მეაბრეშუმეობას არ მისდევენ მხოლოდ თვით რაიონულ ცენტრში მოწყობილი რუსული კოლმეურნეობები.

წ ი თ ე ლ წ ყ ა რ ო ს რ ა ი ო ნ ი. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გაუმჯობესება ძირითადად შვიცის ჯიშის საფუძველზე ხდება. გვხვდება, აგრეთვე, ლებედინის, კარპატული და ადგილობრივი ჯიშის (ე. წ. თარაქმა) საქონელიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიცის ხალასჯიშიანი მწარმოებლები შემოყვანილია უკრაინიდან. ამ ჯიშის გაუმჯობესებული თაობა, კარგ პირობებში ჩაყენებული, მაღალ წველადობას იძლევა. ასე, მაგალითად, სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძროხამ „ალმასმა“ 1952 წელს მოიწველა 2926 კგ რძე; ამავე კოლმეურნეობაში ძროხამ „მაღალამ“—2059 კგ, სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ძროხა „ოლიამ“—2100 კგ და სხვა. საერთოდ, შესამჩნევია, რომ სოფ. მაჩხაანისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობებში თითქმის ერთი და იმავე ჯიშის საქონლის საშუალო წველადობა, არხილოსკალოსა და ქედებთან შედარებით უფრო მაღალია. მაგალითად, ერთ საფურაჟე ძროხაზე 1952 წელს მოწველილ იქნა (ლიტრებში):

სოფლისა და კოლმეურნეობის დასახელება	მოწველილია რძე
სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა	909
„ ზემო მაჩხაანის სტალინის სახ. კოლ-ბა .	784
„ არხილოსკალოს კიროვის სახ. კოლ-ბა . . .	414
„ ქვემო ქედის კოლ-ბა . .	114
„ ზემო ქედის სტალინის სახ. კოლ-ბა	280

ეს სხვადასხვაობა გამოწვეულია არა იმდენად ჯიშობრივი შემადგენლობით, რამდენადაც პირუტყვის მოვლა-კვების პირობებით. მაჩხაანსა და ჯაფარიძეში პირუტყვის საკვები უფრო ყუათიანია (უხეში, წვნიანი, კონცენტრული), საქონლის ბინებიც უკეთესი აქვთ.

სურ. 2. ხორბლის გაწმენდა-დახარისხება (კაჩრეთის რაიონი)

მსხვილფეხა რქიანი საქონელი ზაფხულს ადგილობრივ ატარებს, გამონაკლისს შემთხვევაში, როცა გვალვიანი წელია, გაჰყავთ მთიან რაიონებში (ღუშეთი, დმანისი, წალკა, ბორჯომი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროს რაიონში ცალკე აღნიშვნის ღირსია **მ ე კ ა მ ე ჩ ი ო ბ ი ს** საკითხი. იგი ადგილობრივი ჯიშისაა. კამეჩი ძირითადად გავრცელებულია ზემო მაჩხაანისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობებში. ორივე კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობაში მას საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს. ასე, მაგალითად, 1953 წლის 1-ლი იანვრისათვის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში 1901 სული მსხვილფეხა რქიანი საქონლიდან 651 სული კამეჩი იყო, ხოლო ზემო მაჩხაანში 2817 სულიდან—1223 სული. მეკამეჩეობის დარგში წველადობის გადიდებისათვის მინდინარეობს მისი ბაგურ კვებაზე გადაყვანა.

რაიონში ძირითადად გავრცელებულია კავკასიური ნაზზატყლიანი ჯიშის გაუმჯობესებული ცხვრები და, აგრეთვე, ახალი ქართული (ა. ნატროშვილის) და თუშური ცხვარი.

ცხვრის პარსვა ბოლო დროს ძირითადად წარმოებს ელექტროსაპარსავი აგრეგატების საშუალებით.

ს ა კ ვ ე ბ ი ბ ა ზ ა. როგორც ცნობილია, მეცხვარეობისათვის ძირითადი საკვები ბაზა ბუნებრივი საძოვრებია. საძოვრებით კი რაიონი სანახევროდ არის დაკმაყოფილებული.

საძოვრებზე, ცხვრის ნორმალური გამოკვებისათვის, საჭიროა, რომ ერთ ჰექტარზე 4—5 სულ ცხვარზე მეტი არ მოდიოდეს (საძოვრის ხარისხთან შეფარდებით). ფაქტიური დატვირთვა კი შეადგენს 10—12 სულ ცხვარს ჰექტარზე. ცალკეულ კოლმეურნეობებში ეს სურათი უფრო სავალალოა. ასე, მაგალითად, სოფელ ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის საზაფხულო საძოვრების ერთ ჰექტარზე 34 სული ცხვარი მოდის, სოფელ გამარჯვების ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში—30 სული, სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის მეცხვარეობის ამ წამყვან კოლმეურნეობაში—15 სული და სხვა.

რაიონის კოლმეურნეობებში გავრცელებულია ჯოგური **მ ე ც ხ ე ნ ე ო ბ ა ც.** ცხენები ზამთარ-ზაფხულ საძოვრებზე იმყოფებიან, ზამთარში—რაიონის ტერიტორიაზე, ადგილობრივ; ზაფხულში, უპირატესად გაჰყავთ დმანისისა და წალკის რაიონების საძოვრებზე. ნაწილი კიდევ ადგილობრივ რჩება. მსგავსად სიღნაღის რაიონისა, ვირები აქაც ჰყავთ. ამ მხრივ განსაკუთრებით სოფ. ზემო მაჩხაანი გამოირჩევა. ამ სოფელს წყალი არა აქვს. სასმელ წყალს სოფელში ქვემო მაჩხაანიდან და არბოშიკიდან ეზიდებიან. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სოფ. მირზაანში. ამ საქმეში ვირი დიდ როლს თამაშობს. ვირები შედარებით ნაკლებადა ჰყავთ წითელწყაროს სოფლის საბჭოში, სადაც უფრო რუსი მოსახლეობაა და სასმელი წყლითაც უზრუნველყოფილი არიან.

ღ ო რ ი. გავრცელებულია მსხვილი თეთრი ჯიშის გაუმჯობესებული თაობა. ამ მხრივ გამოირჩევიან სოფ. ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანისა და თვით სოფელ წითელწყაროსა და დაბა წითელწყაროს კოლმეურნეობები. ბოლო წლებში რაიონში შეშოყვანილ იქნა **კახური** ჯიშის მწარმოებლები.

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი. ძირითადია ქათამი. გავრცელებულია ლეგორნის ჯიშის (საკვერცხე) ფრინველი. სოფელ წითელწყაროს მოლოტოვისა და ლენინის სახელობის რუსულ კოლმეურნეობებში მეფრინველეობის საქმე კარგად არის დაყენებული. კოლმეურნეობებს საკუთარი საკოლმეურნეო ინკუბატორებიც აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვერცხმდებლობის მხრივ, მართალია, რაიონი წლიურ დავალებას ჯერ კიდევ ვერ ასრულებს (70 ცალი ერთ კვერცხმდებელ დედალზე), მაგრამ შედარებით გარე კახეთის სხვა რაიონებთან მაღალია, 55 კვერცხს უდრის. ცალკეული კოლმეურნეობები, ამ მხრივ, გეგმასთან შედარებითაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან. ასე, მაგალითად, საშუალო კვერცხმდებლობა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში უდრის—83-ს, გამარჯვების—90-ს, ხოლო ჯაფარიძის—93-ს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მექათმეობის გავრცელება და, რაც მთავარია, კვერცხმდებლობა რაიონის კოლმეურნეობებში მასიურად უთუოდ უნდა გაიზარდოს.

მეფუტკრეობის მხრივ, სოფელ ქვემო ქედის, ჯაფარიძის, არხილოს ყალოსა და რუსული კოლმეურნეობები გამოირჩევიან. ფუტკარი ნაწილობრივ მომთაბარეობას ეწევა. მაგალითად, არხილოს კალოს ფუტკარი ზაფხულობით ჩანკაანში გაჰყავთ (სოფ. ჯაფარიძესთან ახლოს).

მეცხოველეობის საერთო აღმავლობის საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ მეცხოველეობის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის წითელწყაროს დასაყრდენი პუნქტი. პუნქტი 1951 წელს დაარსდა. მას აქვს ორი განყოფილება: მეცხოველეობისა და საკვებმოპოვების. კერძოდ, დასაყრდენი პუნქტის მიზანია მეღორეობაში ახალი ჯიშის გამოყვანა. ამ მიზნით, ივანოვის ოლქიდან შემოყვანილია მსხვილი, თეთრი ჯიშის ღორები. შეჯვარება წარმოებს, ერთი მხრივ, იმავე თეთრი ჯიშის ღორთან (ჯაფარიძის კოლმეურნეობა), ხოლო მეორე მხრივ, თეთრი ღორის შეჯვარება ხდება ადგილობრივი ჯიშის კახურ და მანგოლეცის ჯიშის ღორთან.

მანგოლეცის ჯიშის ღორთან შეჯვარება საშუალებას იძლევა ნახევრად საქონე და ნახევრად სახორცე მიმართულების მეღორეობას მიეცეს ძირითადად საქონე მიმართულება. კახურ ჯიშთან შეჯვარებით მიღებულია ადგილობრივ პირობებთან უფრო შეგუებული, ამტანი თაობა, რაც მსხვილი, თეთრი ჯიშის ღორს არ ახასიათებს. ახალ თაობას აქვს მსხვილი, თეთრი ჯიშის ღორის ტანხორცი და სხვა ექსტერიული ნიშნები. შეჯვარებამ ნაწილობრივ გაუმჯობესა ხორცის გემო და ხარისხიც.

დასაყრდენი პუნქტის საკვებმოპოვების განყოფილების მიზანია მწვანე კონვეირის დანერგვა და, მის საფუძველზე, ზაფხულის თვეებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის—მეკამეჩოებისა და მეღორეობის ფერმების მწვანე მასის საკვებით უზრუნველყოფა. ამისათვის, ნაკვეთებზე მოწყობილია ფერმისპირა, ათ და შვიდმინდვრიანი თესლბრუნვა (უკანასკნელი – ზაქებისათვის).

კ ა ჯ რ ე თ ი ს რ ა ი ო ნ ი. რაიონის ძროხების სულადობა ძირითადად ადგილობრივი ჯიშისაა, რაც პატარა ტანით და მცირე პროდუქტიულობით ხასიათდება. სამაგიეროდ იგი ადგილობრივ პირობებს კარგად შეგუებულია, მაშინ, როდესაც, ჯიშიანი პირუტყვი სიცხის ნაკლებ ამტანია და მომთაბარეობასაც შორ მანძილზე (300—400 კილომეტრზე) ვერ იტანს. ძროხის წველადობა, მსგავსად კახეთის სხვა რაიონებისა, აქაც დაბალია. ერთ საფურაჟე ძროხაზე, გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრის ნაცვლად, საშუალო წლიური წველადობა 300—400 ლიტრს უდრის, თუმცა მესაქონლეობის ცალკეული ფერმების აღგილობრივი ჯიშის ძროხები (ყანდაური, ლამბალო და სხვა), კარგი მოვლის შედეგად, ხშირად 1200 – 1700 ლიტრამდე იწველიან წლიურად. რაიონის მსხვილფეხა რქიანი საქონლისათვის ორი ხელოვნური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათესვლის პუნქტია მოწყობილი მთა აღლაღანზე (სომხეთში) და ალანქვა-რაში (ივრის გაღმა).

საძოვრებით რაიონი უზრუნველყოფილი არ არის. არსებული საძოვრები ძირითადად რაიონის ტერიტორიის შიგნითაა მოთავსებული (საზამთრო). იგი განლაგებულია ივრის გაღმა, უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის საზღვარზე. საქონელი ამ საძოვრებზე ჰყავთ ოქტომბრიდან მარტამდე. მარტის თვიდან საძოვრებზე წყლის დიდი ნაკლებობაა, რის გამო კოლმეურნეობები იძულებულნი არიან საქონელი შემოიყვანონ რაიონს შიგნით, სადაც ადგილობრივ პატარ-პატარა საძოვრებზე და ბუჩქნარებში ატარებს დროს. აქ ერთ ჰექტარზე 15—20 სული მოდის, რის გამო წველადობა მკვეთრად კლებულობს.

საზაფხულო საძოვრებად რაიონს გამოყოფილი აქვა სომხეთში 4300 ჰა, მთა აღლაღანი (სტეფანავანისა და გუკასიანის რაიონებში). მაისის 15-დან ამ მიმართულებით ხდება ცხვრის გარეკვა, ხოლო ბოლო რიცხვებში მსხვილფეხა საქონლისა, სადაც იგი სექტემბრის ბოლომდე რჩება. სომხეთის საზღვარზე ძირითადად სამი კოლმეურნეობის — იორმუღანლოს, ლამბალოსა და ყანდაურას ცხვარი ნთაბარობს, ხოლო მსხვილფეხა და ცხენი, გარდა ამ კოლმეურნეობებისა, აგრეთვე—კაჭრეთის, ნანიანის, ჯიმითის, არაშენდას, ნელაანისა და ჩაილურის კოლმეურნეობათა. ორ კოლმეურნეობას—კაკაბეთის შეერნიკისა და მახარაძის სახელობის—ცხვარი ბოგდანოვკის რაიონში გაჰყავს მთა აღბაბაზე (თურქეთის საზღვართან), ხოლო დანარჩენი 14 კოლმეურნეობის ცხვარი მაისის თვიდან კავკასიის მთავარ ქედზე (დაღესტნის ასსრ-სა და საქართველოს ტერიტორიაზე) ატარებს ზაფხულს. ცხვარი დაღესტნიდან სექტემბრის ნახევარში, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სექტემბრის ბოლოს ბრუნდება. წალკის რაიონში (მთა სარვანდაღი) საძოვრებით სარგებლობს შიბლიანისა და ბოგდანოვკის ორი კოლმეურნეობა, ბორჯომის რაიონში (მთა მაჭარწყალი) მიდის დუზაგრამას კოლმეურნეობა, მთა ციეზე (თელავის რაიონი) სოფელ კაკაბეთის ოთხივე კოლმეურნეობა, ხოლო დანარჩენ კოლმეურნეთა საქონელი რაიონს შიგნით რჩება.

სომხეთის საძოვარი—აღლაღანი (ე. ი. მტირალა მთა) კარგია მსხვილფეხა საქონლისა და ცხენისათვის. აქ წყალი და ბალახი საუკეთესოა. სამაგიეროდ, გამუდმებით წვიმს და ცხვრისათვის არ ვარგა, ზედმეტი სინესტე სიკოჭლეს იწვევს. დანარჩენი საძოვრები დაახლოებით ერთგვარია. კავკასიონის მთებზე განლაგებული საძოვრები ე. წ. საგორავი გადასასვლელებით ხასიათდებიან, რის გამო სეზონში 10—15 უბედურ შემთხვევას აქვს ადგილი.

ცხვრის ყველი ადგილზე მზადდება, ხოლო ძროხის რძის ჩაბარება ხდება აღლაღანსა და ციეზე, სადაც მოწყობილია ყველ-კარაქის ქარხნები. სასმელი წყლით ყველაზე მდიდარი სომხეთის საძოვრებია.

გზა სომხეთის საძოვრებისაკენ ასეთია: კაჭრეთის რაიონიდან ცხვარი ძოვებით მინდორ-მინდორ მიემართება მარნეულის რაიონამდე, შემდეგ სომხეთამდე შარაგზით. მიდის პირუტყვი. ერთ მხარეს მდინარეა, მეორე მხარეს—ტყე და კლდეები, თუ თავისუფალი ადგილია, ისიც მოხნულია, რის გამო გაინელებულია ძოვება. გზად პირუტყვს დასასვენებელი ადგილები არა აქვს (მოხნულია). მეცხვარეები იძულებული არიან ცხვარი დასასვენებლად ჩააყენონ ხევში ან ტყის პირას. ტრასის დაფარვას 8—10 დღე სჭირდება.

რაც შეეხება კავკასიონის საძოვრებს, მას, ამ მხრივ, ნაკლები სიძნელეები ახასიათებს. ცხვარი დანიშნულების ადგილამდე ორ დღეში მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ძროხის გამაუმჯობესებელ მწარმოებლებად შვიცის ჯიშია მიჩნეული. ცხვარი ადგილობრივი ჯიშისაა, გაუმჯობესება წარმოებს რამბულიეთი. 50 ათასი სულიდან 35 ათასამდე მეტისური თაობაა.

ახალი ქართული ჯიშის ცხვრის (ა. ნატროშვილის) მოსაშენებლად 1951 წელს რაიონმა 10 ყოჩი მიიღო; შედეგი კარგი იყო, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა შემდეგ აღარ წარმოებულა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ვ. ბაძოშვილის მიერ გამოყვანილი ცხვრის მიმართაც. ამ მხრივ მუშაობა უნდა გაიშალოს.

მეტისები ბევრად მეტ მატყლს გვაძლევენ. ასე, მაგალითად, ყანდაურის, კაკაბეთისა და ჯიმითის კოლმეურნეობებში, სადაც გაუმჯობესებული ფარები ჰყავთ, ერთ ცხვარზე 3 კგ მატყლი მიიღეს მაშინ, როცა ადგილობრივი ცხვარი 1—1,5 კგ მატყლს იძლევა (დუზაგრამა, იორმუღანლო, ჩაილური)

მეღორეობას, გარდა აზერბაიჯანული კოლმეურნეობებისა, ყველგან მისდევენ. მსგავსად სხვა რაიონებისა, აქაც შემოყვანილია მსხვილი, თეთრი ჯიშის როგორც დედაღორები, ისე მწარმოებლები. სოფელ ბოგდანოვკაში, ყანდაურასა და მელაანში მოწყობილია საჯიშე ფერმები.

ფრინველი ძირითადად ადგილობრივი ჯიშისაა, ნაწილობრივ კიდევ ლეგორნის თეთრი. რაიონს სარაიონო ინკუბატორი არ გააჩნია. წიწილებით 1951 წლიდან მარაგდება საგარეჯოს ინკუბატორიდან. 1951 წლამდე სამ კოლმეურნეობაში (კაჭრეთი, ყანდაურა, ქოდალო) საკოლმეურნეო ინკუბატორები მოქმედებდა (600 კვერცხიანი).

ფუტკრის ოჯახთა რიცხვი კოლმეურნეობაში მცირეა (250-მდე). მომთაბარეობას არ მისდევენ და მისი ღალიანობა ადგილობრივ კლიმატურ პირობებზე დიდად არის დამოკიდებული. მეფუტკრეობის მხრივ, კაჭრეთი, კაკაბეთი და მელაანი გამოირჩევიან.

რაიონში მეფუტკრეობის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობს. ფუტკრის ოჯახთა რიცხვი აქ შესაძლებელია რამდენიმეჯერ გაიზარდოს. მზესუმზირასა და ესპარცეტის ფართო ნათესები, ივრის პირებში აკაციის ტყე და სხვა, მეფუტკრეობის განვითარებას საუკეთესოდ უწყობენ ხელს. მომთაბარეობა შეიძლება მოეწყოს რაიონის ზიგნით, ჩალაუბნის ტერიტორიაზე („მწვანე მინდორი"—არაშენდას ახლოს), ჯიმითის თავზე, ყანდაურასთან და სხვაგან.

საგარეჯოს რაიონი. რაიონში, ადგილობრივი დაბალპროდუქტიული პირუტყვის გამაუმჯობესებლად, შემოყვანილია შვიცის, სიმენტალისა და სტეპის წითელი ჯიშის ბულაწარმოებლები, კავკასიური ნაზბატყლიანი ჯიშის ყოჩი მწარმოებლები და თეთრი, მსხვილი ჯიშის კერატი მწარმოებლები. შვიცის ჯიში უფრო უკეთ ეგუება ადგილობრივი მომთაბარეობის პირობებს. სიმენტალისა და სტეპის წითელი ჯიშის პირუტყვი მცირე რაოდენობით მოიპოვება, მას თანდათან ცვლის შვიცის ჯიში. 1950 წლიდან რაიონში შემოყვანილ იქნა, აგრეთვე, ლებედინის ჯიშის მწარმოებლები.

საკოლმეურნეო მესაქონლეობის საკვები ბაზა. მიწის ბალანსის მიხედვით, 1953 წლის 1 იანვრისათვის რაიონის კოლმეურნეობებზე მიმაგრებული იყო სულ 16 ათასი ჰექტარი.

ხსენებული საძოვრებიდან რაიონის ტერიტორიის გარეთ განლაგებული იყო ზაფხულის საძოვრები—სომხეთში (გუკასიანის რაიონში) ბოგდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვკის, თიანეთისა და დმანისის რაიონებში. ზამთრის საძოვრები შირაქში, რაიონის შიგნით. საზამთრო საძოვრების გარდა (1639 ჰა) კოლმეურნეობათა განკარგულებაშია საზაფხულო საძოვრები—„ცივზე“, „კოდასა“ და „იალონზე“.

სურ. 3. კოლმეურნეობის ნახირი (წითელწყაროს რაიონი).

რაიონის პირუტყვი წლის განმავლობაში მომთაბარეობას ეწევა. იგი საძოვრებზეა და მის ძირითად საკვებს ბუნებრივი ბალახი წარმოადგენს.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე საზაფხულო საძოვრებზე იმყოფება. შემდეგ, პირველი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე, გარდამავალ საძოვრებზეა, ხოლო 15 ნოემბრიდან მიდის საზამთრო ბინებზე და იქ განაგრძობს ძოვას. კონცენტრულ საკვებსა და თივას მხოლოდ ჯანდაგ და დასუსტებულ პირუტყვს აძლევენ დანატებით.

ცხვარი საზაფხულო საძოვრებზე გადის 10—15 მაისიდან და რჩება 25 სექტემბრამდე. სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან დეკემბრამდე გარდამავალ საძოვრებზე იმყოფება, ხოლო შემდეგ უკვე მიდის საზამთრო ბინებთან და იქ განაგრძობს ძოვას.

რაიონის კოლმეურნეობებში, მარცვლეული და წვნიანი საკვების სიმცირის გამო, ღორიც ეწევა მომთაბარეობას. ღორი, აპრილიდან ივლისის გასვლამდე, ბუნებრივ საძოვრებზე იმყოფება, შემდეგ, ივლისიდან ოქტომბრის თვემდე, ნაყანევში ატარებს, ხოლო ოქტომბრიდან აპრილამდე მახლობელ ტყე-ბუჩქნარებში იკვებება.

საერთოდ, საძოვრები რაიონის კოლმეურნეობისათვის საკმაო არ არის. ცხვარზე გადაყვანით ერთ ჰექტარ საზაფხულო საძოვარზე 47 სული მოდის, ნაცვლად ნორმით დადგენილი 5 სულისა, ხოლო საზამთრო საძოვრებზე—10 სული, ნაცვლად 3-ისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვის საზამთრო ბინები კოლმეურნეობიდან 25—30 კილომეტრისა-თაა დაშორებული. ბინები ახლო აქვთ მხოლოდ სართიჭალის, კრასნოგორსკისა და გომბორის კოლმეურნეობებს, სადაც მეწველი საქონელია მოთავსებული.

პირუტყვის ბინების შორ მანძილზე განლაგებისა და მისი მომთაბარეობის გამო, მეცხოველეობაში ქალთა შრომა არ არის გამოყენებული, გარდა ზემოაღნიშნული სამი კოლმეურნეობისა (სართიჭალას, კრასნოგორსკის გომბორის), სადაც ქალები ჩაბმული არიან მესაქონლეობის ფერმების მომსახურეობაში. გომბორში მესაქონლეობა ნახევრად სტაციონარულ ხასიათს ატარებს. რაიონის საქონლის დიდი უმრავლესობა პრიმიტიულ ბინებშია მოთავსებული (გომურებში). კულტურული ბინები აქვთ აშენებული მანავის, სართიჭალის, კრასნოგორსკისა და გომბორის კოლმეურნეობებს. ფერმებში შრომატევად სამუშაოთა ნაწილობრივ მექანიზაციას მხოლოდ ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებში აქვს ადგილი (ნამჯის დაჭრა, წვნიანი საკვების შემზადება).

მ ე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ო ბ ი დ ა ნ ძირითადია ქათამი, ლეგორნის ჯიშის. ჰყავთ, აგრეთვე ინდაური, ბატი და იხვი. ქათმების ბოსაშენებლად კოლმეურნეობები წიწილებით რაიონის ინკუბატორიდან მარაგდებიან. კრუხების გზით წიწილების გამოჩეკვას კოლმეურნეობებში უკვე იშვიათად შეხვდებით.

მეფრინველეობის ტიპიური ბინები აქვთ მანავის, თოხლიაურის, საგარეჯოს, ნინოწმინდის, პატარძეულის, სართიჭალისა და კრასნოგორსკის კოლმეურნეობებს.

ფუტკარი უპირატესად ადგილობრივი ჯიშისაა. რაიონის ფუტკარი ითაბარობას ეწევა. გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში ფუტკარი მინდვრად იმყოფება. მეფუტკრეობით კრასნოგორსკის, სართიჭალისა და გომბორის კოლმეურნეობები გამოირჩევიან. მეფუტკრეობის განვითარებისათვის რაიონს ყველა პირობა გააჩნია. ისე, როგორც სხვა რაიონების მიმართ აღვნიშნავდით, მეფუტკრეობა აქაც-რამდენიმეჯერ უნდა გაიზარდოს.

როგორც კაპრეთის რაიონში, საგარეჯოშიაც მეაბრეშუმეობა საკვები ბაზით უზრუნველყოფილი არ არის. პარკის ამოხვევის მომენტში, საკვების ნაკლებობის გამო, ხშირად ჭია შიმშილობს. ხშირია შემთხვევა, როცა მეაბრეშუმეებს ჭიის გამოსაკვებავი თუთის ფოთლის მოტანა გარდაბნიდან და რუსთავიდან უდგებათ; გზაში ფოთოლი ჭკნება და უხარისხო ფოთოლს ჭიაც ნაკლებად ეტანება. ყოველივე ეს, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს პარკის გამოსავლიანობაზე.

V. საკოლმეურნეო წარმოება

ა) საკოლმეურნეო მშენებლობა

უკანასკნელ წლებამდე (1950—1951 წწ.) ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც, გარე კახეთის ოთხსავე ადმინისტრაციულ რაიონში, კოლმეურნეობათა რიცხვი ერთიორად მეტი იყო. ეს კოლმეურნეობები დაქუცმაცებული იყვნენ და არ იძლეოდნენ თანამედროვე მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულად გამოყენების საშუალებას. არ იყო პირობები შრომის ფართო მასშტაბით რაციონარული ორგანიზაციისათვის. კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად, 1953 წლისათვის, ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონში. სულ 67 კოლმეურნეობა იქნა ორგანიზებული. სადღეისოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობები, ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათში გაერთიანებული შრომისუნარიანი მოსახლეობით, ასეა განლაგებული:

რაიონი	კოლმეურნეობათა რიცხვი	შრომის უნარიანთა რიცხვი (%-ით ჯამის მიმართ)
სიღნაღის	18	30,8
წითელწყაროს . . .	13	23,0
კაჭრეთის	19	25,3
საგარეჯოს	17	20,9
სულ	67	100.0

კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად, ფართო სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე, შექმნილია ყველა პირობა მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უფრო ყოველმხრივი და სრული გამოყენების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მრავალდარგოვან კოლმეურნეობებში მუშახელის უფრო მართებულად განაწილებისათვის.

ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, კოლმეურნეობათა და მათი მომსახურე მტს-ბის განლაგება 1953 წლის 1-ლი იანვრისათვის შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

სიღნაღის რაიონის 12 სასოფლო და წნორის ერთი სადაბო საბჭო 18 კოლმეურნეობას აერთიანებს. აქედან, შვიდი კოლმეურნეობა განლაგებულია უკანა მხარეში, ხოლო თერთმეტი—წინა მხარეს.

უკანა მხარეს ერთი ულიანოვკის მტს-ი ემსახურება, ხოლო წინა მხარეს—სამი მტს-ი—წნორის, ტიბაანისა და ალაზნის.

წითელწყაროს რაიონის ათი სასოფლო და ორი სადაბო საბჭო (წითელწყარო, მირზაანი) ცამეტ კოლმეურნეობას აერთიანებს. სადღეისოდ წითელწყაროს რაიონს ოთხი მტს-ი ემსახურება—წითლის, გამარჯვების, შირაქისა და ქედის.

კაჭრეთის რაიონის 13 სასოფლო საბჭო 19 კოლმეურნეობას აერთიანებს. რაიონს 2 მტს-ი ემსახურება: კაჭრეთისა და ბადიაურის.

საგარეჯოს რაიონის 15 სასოფლო საბჭო 17 კოლმეურნეობას აერთიანებს. კოლმეურნეობებს 4 მტს-ი ემსახურება: საგარეჯოს, იორის, სართიჭალისა და უჯარმის.

უკანასკნელ წლებში, კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით, გარე კახეთშიც დიდი ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო მშენებლობასა და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას. კოლმეურნეობები მრავლად აგებენ მეცხოველეობის კულტურულ ბინებს (პირუტყვის სადგომს, თავლას, საღორეს, საფრინველეს და სხვ. სასილოსე კოშკებს), სამეურნეო და კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებს (საკოლმეურნეო კლუბს, აბანოს, წყალსადენს, საბავშვო ბაგას, საკოლმეურნეო კანტორის შენობას, საწყობს და სხვ.). დიდი რაოდენობით შენდება კოლმეურნეობათა საცხოვრებელი სახლები მინდვრად, ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს მინდვრის სამუშაოთა ნორმალურ, კულტურულ პირობებში ჩატარებისათვის.

ბოლო წლებში, კოლმეურნეობებში ავტომანქანების გამოყენების გაზრდასთან დაკავშირებით ყურადღება ექცევა, აგრეთვე, გარაჟების მშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას. ასე, მაგალითად, მარტო 1952 წელს სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში აშენდა ოთხი ავტოგარაჟი (სოფლებში: ანაგა, ბოდბე, ბოდბისხევი, ტიბაანი). აშენდა, აგრეთვე, 5 საკოლმეურნეო კლუბი, 3 საკოლმეურნეო აბა-

სურ. 4. სუბალპური საძოვრები ციგომბორის ქედზე (საგარეჯოს რაიონი)

ნო (მაღარო, წნორი, მაჩხაანი), 2 საბავშვო ბაგა (ბოდბე, ძველი ანაგა), 1949 წელს დაიწყო და 1952 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ბოდბის წყალსადენი, რომელიც წყალს იღებს „ნასომხრის ხევიდან“ და სასმელი წყლით აკმაყოფილებს ზემო და ქვემო ბოდბის მოსახლეობას. სოფ. ძველ ანაგაში 1953 წელს ახალი წყალსადენი გაიყვანეს 30 წერტით და სხვა.

კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა შედეგად ფართოდ გაიშალა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. უკანასკნელი წლების მანძილზე 121 კოლწევრმა აიშენა ახალი სახლი.

დიდი ყურადღება ექცევა, კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციასა და რადიოფიკაციას. სადღეისოდ, მაგალითად, სიღნაღის რაიონის 18 კოლმეურნეობიდან ელექტროფიცირებულია 11 კოლმეურნეობა, ხოლო რადიოფიცირებულია 15. ამ მხრივ, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა ელექტროფიკაცია ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას. რაიონის კოლმეურნეობებმა ელექტროენერგიით სარგებლობა 1949 წლიდან დაიწყეს. 1952 წლისათვის კოლმეურნეობათა თოთხმეტი დასახლებული პუნქტებიდან ელექტროენერგიით სარგებლობდა ექვსი. ამავე დროისათვის, კოლმეურნეობათა საწარმოო ნაგებობანი და სხვა შენობები (ბაკები, საჯინიბოები, სახბორეები, საღორეები, ფარეხები, საფრინველეები, საწყობები, საკუჭნაოები, კალოები, სახელოსნოები, კანტორა, კლუბი, საბავშვო ბაღი, ბაგა და სხვა), რომელთა რიცხვი სულ 168 ერთეულს უდრიდა, ამათგან განათებული იყო მარტო 28 ობიექტი, რაც, ცხადია, ერთობ მცირეა. მეორე მხრივ, რაიონის, კოლმეურნეობათა ოჯახების საერთო რაოდენობიდან ელექტროენერგიით სარგებლობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოებით არა უმეტეს ათი პროცენტისა. აშკარა არია, ამ მიმართულებით რაიონში საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება.

სურ. 5. საზამთრო საძოვრები ალაზნის ველზე (წითელწყაროს რაიონი)

წითელწყაროს რაიონის საჭიროებისა და შესაძლებლობის შესაბამისად, ჯერ კიდევ დაბლა დგას საკოლმეურნეო მშენებლობის საქმე. მართალია, რაიონის ბევრ კოლმეურნეობას სადღეისოდ უკვე აქვს ტიპიური პროექტის მიხედვით აგებული კულტურულად მოწყობილი ფერმები (სოფ. ზემო მაჩხაანი, ჯაფარიძე, გამარჯვება და სხვა), მაგრამ მათი კეთილმოწყობა სრულყოფილი არ არის; მათ ხშირად აკლიათ წყალი, არ არიან ელექტროფიცირებულნი. ასე, მაგალითად, ზემო მაჩხაანის კულტურულად მოწყობილ ფერმებში (მეძროხეობის, მეკამეჩეობის, მეღორეობისა და სხვა) წყალსადენი შემოყვანილი არ არის. ეს გარემოება იწვევს უსუფთაობას და პირუტყვის გარეკვას რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, წყლის დასალევად. რაიონის ამ მოწინავე და ერთ-ერთი მოზრდილი სოფლის მოსახლეობას სასმელი წყალიც არ გააჩნია. ასევე, სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიან სოფლები: მირზაანი, ქვემო ქედი, ზემო ქედი, არხილოს კალო და სხვა. სასმელი და პირუტყვისათვის სახმარი წყალი სოფლებისა და ფერმების მახლობლად (ხევებში) არის, მისი თვითდინებით გამოყვანა არ შეიძლება. საჭიროა წყალსაქაჩავების მოწყობა. რაიონში არის ისეთი სოფლებიც, რომლებიც წყალუხვობით ხასიათდებიან, მაგრამ ასეთები მცირეა (მაგალითად, არბოშიკი და სხვ.).

კაჭრეთის რაიონში, უმეტესი კოლმეურნეობა ელექტროფიცირებულია (კოლმეურნეობათა ოჯახების ნახევარზე მეტი). ამ მხრივ, იგი წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებს წინ უსწრებს, თუმცა კოლმეურნეობათა საწარმოო ნაგებობათა განათებასა და, რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ელექტროფიკაციის მხრივ მაინც ჩამორჩენილია.

საკუთრივ რაიონულ ცენტრს—კაჭრეთს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რაიონში დაბალია საკოლმეურნეო მშენებლობის დონე. მაგალითად,

ჯერ კიდევ ცოტაა მეცხოველეობის კულტურულად მოწყობილი ბინები და სხვა.

საგარეჯოს რაიონში, რაიონული ცენტრის გარდა, ელექტროფიცირებულია ოთხი სოფელი: ნინოწმინდა, პატარძეული, სართიჭალა და უჯარმა. აქაც დაბალია ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დონე. 1951—1952 წწ., ე. ი. ორი წლის განმავლობაში, სულ აშენდა 65 ბინა. რაიონის სოფლებში, მსგავსად ჩვენ მიერ განხილული სხვა ადმინისტრაციული რაიონებისა, წყალსადენების დიდი ნაკლებობა შეინიშნება. სასმელი წყლით შედარებით უზრუნველყოფილი არიან რაიონული ცენტრი—საგარეჯო, მანავი, თოხლიაური, გიორგიწმინდა და უჯარმა.

ამჟამად, წყალსადენების მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ ჩაილურსა და გომბორში. სოფელ ახალსოფელში, კარგა ხანია, სიძველის გამო, წყობილებიდან გამოვიდა არსებული წყალსადენი და მოსახლეობა იძულებულია სასმელად ხევისწყალი იხმაროს. ასევე, სოფელ კრასნოგორკას არ გააჩნია წყალსადენი და მოსახლეობა ჭის წყლით სარგებლობს. სართიჭალაში ახალი წყალსადენის გაყვანის შემდეგ კრასნოგორკის სასმელი წყლით დაკმაყოფილება შეიძლება აქედან მოხდეს.

ბ) შრომითი რესურსები და მათი გამოყენება

საკოლმეურნეო მშენებლობაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი რესურსების სწორად გამოყენებას, შრომადღეების მაქსიმალურად გამომუშავებას და საბუშაო ძალის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და სეზონების მიხედვით სწორად განაწილებას. განვიხილოთ ეს მდგომარეობა ორი უკანასკნელი წლის (1950—1952 წწ.) მიხედვით.

გარე კახეთის კოლმეურნეობებში 1950 წელს აბსოლუტურად ყველაზე მეტი შრომადღეები იყო გამომუშავებული სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონში, ყველაზე ნაკლები—საგარეჯოს რაიონში. ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, ერთ კოლწევრზე ყველაზე მეტი შრომადღე მოდიოდა წითელწყაროს რაიონზე, იგი გარე კახეთის საშუალოს 25%-ით წინ უსწრებდა. ყველაზე ნაკლები—კაჭრეთის რაიონზე.



დიაგრ. 7. კოლმეურნეობაში მომუშავე ერთ შრომისუნარიანი წევრის მიერ შრომადღეების გამომუშავება 1952 წ.

თუ ზემოაღნიშნულ მაჩვენებლებს 1952 წლის მონაცემებს შევუდარებთ, მნიშვნელოვან წინსვლასთან გვაქვს საქმე. 1952 წ. გამომუშავებულ იქნა ერთ მილიონ შრომადღეზე მეტი, ვიდრე 1950 წელს. შესაბამისად იმატა შრომადღეების გამომუშავებამ ერთ კოლწევრზე (იხ. დიაგრ. 7).

შრომადღეების განაწილება ცალკეულ თვეებზე არა ერთგვაროვანია. იგი ზაფხულის პერიოდში უფრო მატულობს, რაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონურობით მნიშვნელოვნადაა შეპირობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული. ასე, მაგალითად, წლის განმავლობაში გამომუშავებული შრომადღეების 20—25% ივლის-აგვისტოს თვეებზე მოდის.

გარე კახეთის კოლმეურნეობებში დახარჯული შრომადღეებიდან ნახევარზე ცოტა ნაკლები მოდია მემცენარეობაზე, ერთ მეოთხედზე მეტი—მესაქონლეობაზე, ხოლო ერთ მეოთხედზე ცოტა ნაკლები—დანარჩენ საქმიანობაზე. ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებში შრომადღეების განაწილება სოფლის მეურნეობის დარგებს შორია ერთგვაროვანი არ არის. ასე, მაგალითად, კაჭრეთის რაიონში შრომადღეების თითქმის ორი მესამედი მემცენარეობაზე მოდის, საგარეჯოს რაიონშიც შრომადღეების ნახევარზე მეტი (51,5%) მემცენარეობაზე მოდის მაშინ, როდესაც იგი სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონში 41,7—46,6%-ს შორის ქანაობს. სამაგიეროდ, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონში მაღალი ხვედრითი წონა აქვს მესაქონლეობაში გამომუშავებულ შრომადღეებს (30—32%). მევენახეობა-მებაღეობაში გამომუშავებული შრომადღეების ხვედრითი წონით კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონები გამოირჩევიან, ხოლო მებოსტნეობაში — საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონები. 300-დან 400-მდე და მეტი შრომადღეების გამომუშავებით, პირველ რიგში, წითელწყაროს, ხოლო მის შემდეგ, სიღნაღის რაიონი გამოირჩევა.

გარე კახეთის კოლმეურნეობებში დახარჯული შრომადღეების სტრუქტურა 1952 წელს
პროცენტობით

რაიონები	სულ შ/დღეები	მ ა თ შ ო რ ი ს				
		მემცენარეობაში	აქედან		მესაქონლეობაში	დანარჩენი
			მებოსტნეობა-მებაღეობაში	მევენახეობა-მებაღეობაში		
სიღნაღის	100,0	41,7	1,3	6,1	30,0	28,3
წითელწყაროს	100,0	46,6	1,0	3,5	32,0	21,4
კაჭრეთის	100,0	58,9	3,0	6,8	20,0	21,1
საგარეჯოს	100,0	51,9	4,6	5,6	24,0	24,5
ს უ ლ .	100,0	47,9	2,0	5,3	27,8	24,3

ერთი შრომადღის ანაზღაურებით, ისე როგორც საერთოდ გამომუშავებული შრომადღეებითაც, წითელწყაროს რაიონი ყველას წინ უსწრებს. როგორც წესი, შრომადღეზე ნაწილდება, ფულის გარდა მარცვლეული, მზესუმზირა და ყველი. ცალკეულ კოლმეურნეობებში ნაწილდება, აგრეთვე, ხილი, კარტოფილი, ბოსტნეული, თაფლი, კარაქი, ღვინო, არაყი, თივა, ბზე და სხვა. მიუხედავად ამისა, გარე კახეთში ჯერ კიდევ შეგხვდებით კოლმეურნეობებს, სადაც სუსტი სამეურნეო საქმიანობის და შრომითი რესურსების სუსტად გამოყენების შედეგად შრომის ანაზღაურება დაბალია, რაც, ცხადია, საკოლმეურნეო მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე ყოვლად შეუწყნარებელია.

გ) საკოლმეურნეო ფონდები

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას იმთავითვე თან სდევდა განუყოფელი ფონდებისა და მის შესაბამისად ძირითად საშუალებათა ზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთის რაიონების კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდებისა და ძირითადი საშუალებათა დინა მიკა 1950—1952 წწ.

(მილიონ მანეთებით წლის ბოლოსათვის)

რაიონები	1950 წ.		1952 წ.	
	განუყოფელი ფონდები	ძირითადი საშუალებანი	განუყოფელი ფონდები	ძირითადი საშუალებანი
სიღნაღის	56,8	46,5	62,7	48,3
წითელწყაროს	50,8	39,9	58,3	45,0
კაჭრეთის	16,5	15,1	20,4	17,1
საგარეჯოს	17,2	17,0	21,7	19,3
ს უ ლ	141,3	118,5	163,1	129,7

ადმინისტრაციულ რაიონებს შორის, თავისი აბსოლუტური მატებით, წითელწყაროს რაიონი გამოირჩევა, ხოლო საერთოდ, ძირითად საშუალებათა და განუყოფელი ფონდების მოცულობით, ყველას წინ უსწრებს სიღნაღის რაიონი.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, რომლის გამომბატველია განუყოფელი ფონდებისა და ძირითად საშუალებათა ზრდა, თან მოჰყვა შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობაში იარაღ-ტანქანების სულ უფრო და უფრო მეტი მოცულობით გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია და ელექტროფიკაცია, ორგანული და მინერალური სასუქების მეტი რაოდენობით შეტანა, მოწინავე აგროტექნიკური ღონისძიებათა გატარება და სხვა. ყოველივე ამან უზრუნველყო ნათესი ფართობების არსებითად ზრდა და საკოლმეურნეო წარმოების სისტემატური გაფართოვება.

ღ) კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა

გარე კახეთში კოლმეურნეობათა მიერ ყოველწლიურად შექმნილი საერთო პროდუქცია და მისი სასაქონლო ნაწილისაგან მიღებული ფულადი შემოსავალი იმთავითვე განუბრელად აღმავალი მრუდით მიმართება. გარე კახეთის რაიონთა კოლმეურნეობების შემოსავლიანობის სტრუქტურა თუმცა ემყარება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტრუქტურას, მაგრამ სავსებით მას არ ემთხვევა, ვინაიდან ცალკეულ დარგების საქონლიანობა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ფულადი შემოსავლის მოცულობაზე მოქმედებს აგრეთვე დამამზადებელი და შეკასყიდი ფასების სხვაობა და ზოგიერთი კულტურისათვის არსებული მაკიმულირებელი ფასები. მემცენარეობიდან მიღებულ შემოსავალში წამყვან როლს მემიდგრეობა და მევენახეობა თამაშობს. კერძოდ სიღნაღისა და კაჭრეთის რაიონებში მევენახეობა-მებაღეობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი სჭარბობს ბემინდვრეობიდან ბიღებულ ფულად შემოსავალს.

ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის სტრუქტურა გარე კახეთის რაიონებში ასეთი იყო პროცენტობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგები	სიღნაღის რ-ი	წითელწყაროს რ-ი	კაჭრეთის რ-ი	საგარეჯოს რ-ი	ს უ ლ
მემცენარეობიდან	51	55	69	63	55,3
ძ. შ. მევენახეობა-მებაღეობიდან	30	17	36	25	25
მეცხოველეობიდან	39	38,0	27	31	36
დანარჩენი დარგებიდან	10	7	4	6	8,7
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

გარე კახეთის კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის შემდგომ ზრდა-აღშავლობაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მებოსტნეობა-მებაღეობისა და მზესუმზრისა ნათესების გაზრდასთან ერთად, მევენახეობის განვითარებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ, მაგალითად, 1952 წელს ერთ ჰექტარზე საშუალოდ შემოსავალი მებოსტნეობა-მებაღეობიდან მიღებულ იქნა 1617 მანეთი, ხოლო მებაღეობა-მევენახეობიდან—6130 (იხ. დიაგრ. 8).



დიაგრ. 8. გარე კახეთის კოლმეურნეობათა შემოსავლის შეფარდება ერთ ჰექტარზე ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით (%%-ით)

საინტერესოა აგრეთვე გარე კახეთის ადმინისტრაციული რაიონების კოლმეურნეობის წევრთა საკარმიდამო მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალთა სტრუქტურა, საიდანაც ჩანს, რომ საკარმიდამო მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალში საპატიო ადგილი უკავია მრავალწლიან ნარგავებს, კერძოდ ვენახს. ასე მაგალითად, სიღნაღის რაიონში, კოლწევრის საერთო შემოსავლიდან 1952 წელს 46% ვენახზე მოდიოდა, საგარეჯოს რაიონში—26%, ხოლო კაჭრეთის რაიონში—20%-ზე მეტი.

ადმინისტრაციული რაიონების შიგნით, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის სტრუქტურა ერთგვაროვანი არ არის. ადგილობრივი მიკრორაიონების ბუნებრივი პირობების, რაიონულ ცენტრებთან და რკინიგზასთან სიახლოვისა და სხვა გარემოებათა შედეგად, ცალკეული კოლმეურნეობების შემოსავლის წყაროების ხვედრითი წონა ხშირად ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება.

კოლმეურნეობათა შემოსავლისა და კოლწევრთა მატერიალური პირობების განუხრელი აღმავლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში მოსავლიანობის გაზრდას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას. ამ მხრივ, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენა გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემცენარეობასთან ერთად, წლების მანძილზე დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობაც. მაგალითად, საშუალო წლიური წველადობა, ერთ საფურაქე ძროხაზე, 1950 წელს მთლიანად გარე კახეთში 369 ლიტრს უდრიდა, ხოლო 1952 წელს კიდევ უფრო შემცირდა (348 ლიტრი). ასევე, დაბალია, აგრეთვე, საშუალო წლიური ნაპარსი ერთ ცხვარზე და საშუალო კვერცხმდებლობა ერთ დედალზე; პირველი 1952 წელს ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებს შორის 2,6-დან (საგარეჯო) — 3,2 კილოგრამამდე ქანაობდა (წითელწყარო), ხოლო მეორე—9 კვერცხიდან (კაჭრეთი) — 57 კვერცხამდე (წითელწყარო).

სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გარე კახეთის ადმინისტრაციული რაიონების მუშაობის გარდაქმნა მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მკვეთრ გადიდებას მოითხოვს.

6. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები

ა) ზოგადი ცნობები

გარე კახეთის კოლმეურნეობებს დღეს 14 მტს-ი ემსახურება. აქედან სიღნაღის, წითელწყაროსა და კაჭრეთის რაიონში ორგანიზებულია ოთხ-ოთხი, ხოლო კაჭრეთის რაიონში—ორი მტს-ი.

პირველი მტს-ები გარე კახეთში ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ მოეწყო. ეს მტს-ები სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მხოლოდ ნაწილს ასრულებდა. შემდეგ წლებში მათი საქმიანობა საკოლმეურნეო სამუშაოების თითქმის ყველა სფეროს შეეხო და დღეს, შეიძლება ითქვას, კოლმეურნეობათა ყველა ძირითადი მიწის სამუშაო მტს-ის ძალებით სრულდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მტს-ების როლი, ამოცანები და მნიშვნელობა საკოლმეურნეო მშენებლობაში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი. ეს მდგომარეობა, საქართველოს პირობებში, პირველ რიგში, მთლიანად შეეხება გარე კახეთის მტს-ებს, იმ მტს-ებს, რომლებიც სხვათა შორის, საქართველოს სასაქონლო მარცვლეულის მომცემ რაიონებს—საქართველოს პურის ბელელს—ემსახურებიან.

გარე კახეთის მტს-ების მიერ, წარმოებულ სამუშაოთა მასშტაბის გათვალისწინებისათვის საილუსტრაციოდ 1950—1952 წწ. მონაცემებიც კმარა. მაგალითად, გარე კახეთის მტს-ების მიერ კოლმეურნეობებში ჩატარებული სამუშაოები რბილ ხვნაზე გადაყვანით 1950 — 1952 წწ. (პირობით ათას ჰექტარობით) შემდეგს გვიჩვენებს (იხ. ცხრ. გვ. 197-ზე).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1952 წელს რბილ ხვნაზე გადაყვანით, მტს-ების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ 580 ათას პირობით ჰექტარს გადააჭარბა და 1950 წელთან შედარებით 72%-ით გაიზარდა. მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობით, პირველ რიგში, წითელწყაროსა და სიღნაღის მტს-ები გამოირჩევიან. თითოეული მათგანის მიერ ჩატარებული მუშაობა სჭარბობს კაჭრეთისა და საგარეჯოს რაიონებში ჩატარებულ მუშაობას, ერთად აღებულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტს-ის დასახელება	1950 წ.	1952 წ.
I. სიღნაღის რაიონი		
1. ულიანოვკის მტს-ი	37,1	51,8
2. წნორის „	33,0	38,4
3. ტიბაანის „	—	45,5
4. ალაზნის „	47,9	55,9
სულ სიღნაღის რ-ნი	118,0	191,6
II. წითელწყაროს რაიონი		
1. წითლის მტს-ი	64,0	56,0
2. გამარჯვების მტს-ი	[1]	47,0
3. შირაქის „	58,1	51,4
4. ქედის „	[1]	46,0
სულ წითელწყაროს რ-ნი	122,1	200,4
III. კაჭრეთის რაიონი		
1. კაჭრეთის მტს-ი	46,7	37,6
2. ბადიაურის „	[1]	43,6
სულ კაჭრეთის რაიონი	46,7	81,2
IV. საგარეჯოს რაიონი		
1. საგარეჯოს მტს-ი	19,8	32,7
2. ივრის „	17,9	28,8
3. სართიჭალის „	14,2	33,7
4. უჯარმის „	[1]	13,4
სულ საგარეჯოს რ-ნი	51,9	108,6
მთლიანად გარე კახეთის მტს-ებში	338,7	581,8

მტს-ბის საქმიანობის გაშლას თან სდევდა მათი მანქანა-იარაღებით შემდგომი აღჭურვა. მაგალითად, 1952 წლის ბოლოსათვის გარე კახეთის 14 მტს-ს სხვადასხვა მარკის 808 ტრაქტორი, 350 კომბაინი და 138 ავტომანქანა უწევდა მომსახურებას მაშინ, როდესაც 1950 წელს არსებულ 9 მტს-ს შესაბამისად ჰქონდა 630 ტრაქტორი, 258 კომბაინი და 90 ავტომანქანა, სადღეისოდ ეს ციფრები კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზრდილია.

მტს-ების მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვამ მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ძირითადი ფონდები. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (1950—1952 წწ.), გარე კახეთის მტს-ების ძირითადი საწუალებანი 27,9 მილიონი მანეთიდან 42,9 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

[1] ჩამოყალიბდა 1950 წლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სასოფლო-სამეურნეო შრომითი პროცესების მექანიზაციის დონე

მტს-ების მომსახურება კოლმეურნეობებისადმი ყოველწლიურად იზრდება როგორც აღვნიშნეთ, თუ ახლად ჩამოყალიბებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კოლმეურნეობებში მარტო ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებდნენ, ბოლო წლებში მათი მოქმედების სფერო დიდად გაფართოვდა. სადღეისოდ კოლმეურნეობებში მტს-ების მიერ ხორციელდება მიწის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია (იხ. კირტოდიაგრ. 9).

განვიხილოთ მტს-ების მიერ კოლმეურნეობათა მომსახურების მდგომარეობა ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით.

სიღნაღის რაიონი. ჯერ კიდევ 1950 წელს კოლმეურნეობათა თითოეული 100 ჰექტარი მიწის სამუშაოდან 91 ჰექტარი მტს-ის მიერ სრულდებოდა, ხოლო 1952 წლისათვის ეს უკანასკნელი 98 ჰექტარამდე გაიზარდა.

სამუშაოთა ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ კოლმეურნეობის მიერ სრულდება და ისიც ნაწილობრივ ხელით, ეხება სათოხნ კულტურებსა და სათიბებს. თუმცა ეს მდგომარეობაც ბოლო წლებში მტს-ების სასარგებლოდ შეიცვალა. მაგალითად, 1950 წელს მტს-ების ნიერ 686 ჰექტარზე აღებული იყო ბუნებრივი სათიბები და ნათესი ბალახები თივად და სათესლედ, ხოლო კოლმეურნეობების მიერ—6128 ჰექტარზე, მათ შორის, ხელით—1595 ჰექტარზე; 1952 წელს კი, პირიქით, საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვქონდა საქმე. ბუნებრივი სათიბები და ნათესი ბალახები მტს-ის მიერ აღებული იყო 7801 ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეობების მიერ ხელით იქნა აღებული 81 ჰექტარზე. ამნაირად, მტს-ების მომსახურებაში მოქცეულ კოლმეურნეობებში მოხვნის, თესვის წინა დამუშავებისა და ხორბლის მოსავლის აღების სამუშაოები თითქმის მთლიანად მექანიზებულია. მექანიზებულია აგრეთვე თივის აღებისა და დასილოსების სამუშაოები, ხოლო ჯერ კიდევ მიღწეული არ არის სათოხნი კულტურების (მზესუმზირასა და სიმინდის) რიგთა შორის დამუშავების მთლიანი მექანიზაცია.

მეცხოველეობის დარგში მექანიზაცია უფრო სუსტად არის განხორციელებული, ჯერჯერობით მტს-ების მიერ ათვისებულია ცხვრის ელექტროპარსვა და ზოგიერთი სხვა სამუშაოები. კოლმეურნეობათა სრული ელექტროფიკაციის შედეგად, მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია უფრო ფართო მასშტაბით იქნება დანერგილი.

წითელწყაროს რაიონშიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება მტს-ის ძალებით, მისი მექანიზაციის დონე ყოველწლიურ ზრდას გვიჩვენებს. ამ რაიონში მიწის სანუშაოთა თითქმის 96% მტს-ებზე მოდის. სამუშაოთა საერთო მოცულობიდან, თუ ავიღებთ მტს-ებისა და კოლმეურნეობათა მანქანებით შესრულებულ მიწის სამუშაოებს, გამოდის, რომ მთავარ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 99,6% მანქანებით სრულდება, რაც გარე კახეთის, სხვა ადმინისტრაციულ რაიონებთან შედარებით, მექანიზაციის უფრო მაღალი დონისაკენ მიგვითითებს.

კოლმეურნეობათა მიერ შესრულებულ სამუშაოთა დიდი ნაწილი (როგორც ამას სიღნაღის რაიონშიც ჰქონდა ადგილი) ბუნებრივ სათიბებსა და მცირედ სათოხნ კულტურებზე მოდის. სწორედ აქ, რელიეფის პირობების გამო, სხვა სამუშაოებთან შედარებით, ხელით შრომაც შესამჩნევია. თუმცა, უკანასკნელ წელთა მანძილზე კლებას გვიჩვენებს. აღსანიშნავია ის გარემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარტოგრამა N 9. გარე კახეთის რაიონებში მტს-ების მიერ შესრულებული საშუშაოების საერთო მოცულობის დინამიკა 1940—1952 წწ. (ჰექტ. რბილ ხენახზე გადაყვანილი).

ება, რომ წითელწყაროს რაიონის მტს-ებში საშუალოდ ერთი ტრაქტორის გამომუშავება მთელ რესპუბლიკაში გამოირჩევა. მაგალითად, 1953 წელს თიოთეული 15 ძალიანი ტრაქტორის გამომუშავება 436 ჰექტარს უდრიდა.

კაჭრეთის რაიონში, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მტს-ების მხრივ კოლმეურნეობათა მომსახურება მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა მექანიზაციის დონის მხრივ იგი ოდნავ სიღნაღსა და, მით უმეტეს, წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელწყაროს რაიონს ჩამორჩება. 1952 წელს მთავარ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 93%-ზე მეტი მტს-ების მიერ შესრულდა. მაშინ, როდესაც ორი წლით ადრე, მიწის სამუშაოთა 25%-ს კოლმეურნეობა ასრულებდა.

თუმცა მარცვლეული კულტურების მოყვანის დარგში მექანიზაცია თითქმის 100%-ით არის გატარებული (ხვნა, თესვა, მოსავლის აღება, დახარისხება, გაწმენდა), მაგრამ ტექნიკურ და ბოსტნეულ კულტურებსა და ბაღ-ვენახებზე ეს არ ითქმის.

სურ. 6. სილოსის მომზადება (კაჭრეთის რაიონი)

საგარეჯოს რაიონშიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლმეურნეობათა მომსახურება მტს-ების ხხრივ თითქმის 50%-ით გაიზარდა.

საგარეჯოს რაიონის ოთხივე მტს-იდან მთაგორიანი რელიეფი უპირატესად უჭარმის მტს-ზე მოდის. ამით აიხსნება, რომ ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება და ერთი კომბაინის მიერ მოსავლის აღება, შედარებით რაიონის სხვა მტს-ებთან, მნიშვნელოვნად დაბალია.

კეთილმოწყობის სამუშაოებს კი, პირველ რიგში, ივრის მტს-ი საჭიროებს. ეს მტს-ი რაიონის ცენტრიდან 15 კმ-ით დაშორებულია, გზა მოუწყობელია, წვიმასა და თოვლ-ჭყაპში მანქანებით მიმოსვლა ფერხდება. ეს მაშინ, როცა საწვავისა და სასმელი წყლის ზიდვა სწორედ ამ გზით ხდება. მტს-ი ნაკლებობას განიცდის, აგრეთვე, მუშა-მოსამსახურეთა საბინაო ფონდის მხრივაც. რაც მთავარია მტს-ს არა აქვს წყალსადენი და შუქი. მტს-ის ტერიტორიაზე არსებული ჭის გაბურღვა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

გ) მტს-ები ახალი ამოცანების წინაშე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წ. სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ და მის საფუძველზე ჩატარებულმა მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირმა ახალი, ფრიად პასუხსაგები ამოცანები დაუსახა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად, მტს-ების ძირითად ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობებში უკლებლივ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება, პირუტყვის სულადობის ზრდის უზრუნველყოფა, მისი პროდუქტიულობის ამაღლება და, ამის საფუძველზე, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრად გაუმჯობესება.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბოლო დრომდე არ ხდებოდა მანქანა-ტრაქტორთა პარკის მძლავრი ტექნიკის ჯეროვანი გამოყენება, რის გამო დაბალი იყო მოსავლიანობა. ნაკლებად იყო ჩატარებული მეცხოველეობის სამუშაოთა მექანიზაცია; აქედან, მცირე იყო მისი პროდუქტიულობა.

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი ნაკლი ახასიათებს გარე კახეთში მოქმედ მანქანა-ტრაქტორის სადგურების მუშაობასაც. კერძოდ ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენა გვაქვს მევენახეობა-მებაღეობაში, მებოსტნეობა-მებაღჩეობაში, კარტოფილისა და მზესუმზირას წარმოების დარგში, ტექნიკის ჯეროვნად გამოყენების მხრივ. ასევე. ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას მეცხოველეობის ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია (წველა, პარსვა, ავტოსარწყულებლები და სხვა). გარე კახეთში მთელი რიგი მტს-ები ჯერ კიდევ არაა კეთილმოწყობილი ბინის, სასმელი წყლის, გზებისა და სხვა მხრივ. ყოველივე ეს დიდად უშლის ხელს მტს-ების მოწოდების სამაღლეზე ყოფნას და კოლმეურნეობათა ნაყოფიერად მომსახურებას.

7. საბჭოთა მეურნეობები

1953 წლისათვის გარე კახეთში ექვსი საბჭოთა მეურნეობა არსებობდა. ამათგან, სამი—მევენახეობის მიმართულების, ორი — მეცხვარეობისა და ერთიც—მსხვილფეხა რქიანი საქონლის (სარძეო მიმართულების).

საბჭოთა მეურნეობების განლაგება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით ასეთი იყო:

რაიონი	საბჭოთა მეურნეობა
სიღნაღის	ხირსის—მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
სიღნაღის	გუმბათის—მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
წითელწყაროს	ელდარის —მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა
საგარეჯოს	უდაბნოს—მეცხვარეობის საცდელ - სასწავლო მეურნეობა
„	მანავის—მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
„	მუხროვანის—სარძეო საბჭოთა მეურნეობა

გარე კახეთის საბჭოთა მეურნეობებიდან მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში თავისი სიმძლავრით ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა გამოირჩევა, ხოლო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებიდან—ელდარის საბჭოთა მეურნეობა.

გარე კახეთის საერთო მიწის ფონდების მნიშვნელოვანი წილი აქ მოწყობილ საბჭოთა მეურნეობებზე, კერძოდ, მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებზე მოდის. გარე კახეთის საბჭოთა მეურნეობების მიწის ფონდების, ნათესი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების სტრუქტურა 1953 წლისათვის ასეთ სურათს გვიჩვენებს (ჰექტარებში):

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობის დასახელება	მიწის ფონდი	მათ შორის			ნათესი ფართობები	მათ შორის			ბაღები			ვენახები	
		სახნავი	მრავალწლოვანი ნარგავები	საძოვარ-საბალახოები და ტყეები		მზესუმზირა	ქერი (ხორბალი)	სიმინდი	ფართობი	საშუალო მოსავალი ჰექ. (ცენტრში) მსმენიერე ფართობიდან	ფართობი	საშუალო მოსავალი ჰექ. (ცენტრში) მსმენიერე ფართობიდან	
ხირსის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა	928	52	554	550	39	—	35	4	42	21.6	383	85.9	
ბუმბათის „	174	50	52	15	15	3	7	1	—	—	41	21	
მანავის „	120	7	53	—	1	—	1	—	—	—	53	71	
ელდარის მეცხვარ.	55.570	6336	3	44.457	6506	20	6134	7	—	—	—	—	
უდაბნოს „	13.675	1415	—	10.940	1415	—	1370	—	—	—	—	—	
მუხროვანის სარძეო მეურნეობა	1370	940	—	325	936	—	745	—	—	—	—	—	
სულ	71.837	8800	662	55.917	8912	23	8292	12	42	—	477	—	

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვენახის ფართობი ხირსისა და მანავის საბჭოთა მეურნეობებში აღებულია 1953 წლის სექტემბრის აღწერის მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, გარე კახეთში მეცხოველეობის სამი სპეციალიზებული (ელდარის, უდაბნოსა და მუხროვანის) საბჭოთა მეურნეობაა. თუმცა, მეცხოველეობა (მეტ-ნაკლებად) სხვა საბჭოთა მეურნეობებშიც არის წარმოდგენილი.

მესაქონლეობის სულადობის განლაგება გარე კახეთის საბჭოთა მეურნეობებში 1953 წლის დამდეგისათვის შემდეგს გვიჩვენებს:

საბჭოთა მეურნეობის დასახელება	მსხვილფეხა რქიანი საქონელი	ცხვარი	ღორი	ცხენი და ვირი	ფრინველი	ფუტკარი
ელდარის—მეცხვარ. საბჭ. მეურნეობა	432	35.525	609	295	2016	—
უდაბნოს მეცხვარ. საც. სასწ. მეურნ.	200	11.638	—	259	509	50
მუხროვანის სარძეო მიმარ. საბჭ. მეურ.	236	—	76	144	—	—
ხირსის მევენახეობის „ „	132	—	66	—	—	—
ბუმბათის „	—	64	—	—	—	—
მანავის „ „	15	—	50	20	—	—
ს უ ლ .	1015	47.227	801	708	2525	50

საბჭოთა მეურნეობების მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფა, მათი ძირითადი ფონდების ზრდა, ბოლო წლებში უფრო მაღალი ტემპით მიმდინარეობს.

საბჭოთა მეურნეობების ძირითად საშუალებათა დინამიკა 1950—1952 წწ. ასეთი იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობის დასახელება	ძირითადი საშუალებანი (ათას მანეთებში)	
	1950 წ.	1952 წ.
ხირსის მექანახ. საბჭოთა მეურნეობა	8.906	23.306
გუმბათის	677	885
მანავის	1.230	1.829
ელდარის მეცხვარეობის	7.365	10.711
უდაბნოს	5.776	6.671
მუხროვანის მერძეობის	1.723	5.008
ს უ ლ	25.677	48.410

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარე კახეთში მოწყობილი მევენახეობის სამი საბჭოთა მეურნეობიდან (ხირსა, მანავი, გუმბათი) ყველაზე მძლავრია ხ ი რ ს ი ს ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე ო რ ნ ე ო ბ ა. იგი რამდენჯერმე ჭარბობს მანავისა და გუმბათის საბჭოთა მეურნეობების ვენახის ფართობებს, ერთად აღებულს.

მეურნეობა ამ ორი ათეული წლის წინათ მოეწყო. ხირსის საბჭოთა მეურნეობაში, გარდა ვენახისა, საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ბაღებიც (42 ჰა). მეურნეობას მრავალწლიანი ნარგავების ერთიორად და მეტად გაზრდის პერსპექტივები აქვს. იგი მევენახეობის ერთ-ერთი მოწინავე და მსხვილი მეურნეობაა მთელს კახეთში.

მ ა ნ ა ვ ი ს მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე ო რ ნ ე ო ბ ა 1921 წელს მოეწყო. მანამდის იგი მემამულე ფრიდონოვს ეკუთვნოდა. ფრიდონოვის დროს, ისე როგორც საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ვენახის დამუშავება ხელით ხდებოდა და ნაწილობრივ ცხენის გუთნით. ამით აიხსნება, რომ რიგთა შორის მანძილი ძველ ჩანაყარში (ვენახში) ერთი მეტრია, რის გამო მისი ტრაქტორით დამუშავება არ ხერხდება. ახლად გაშენებულ ვენახში, რიგთა შორის მანძილი, როგორც წესი, უკვე ორ მეტრს შეიცავს, რაც შესაძლებელს ხდის სამუშაოთა მექანიზაციას.

ვაზის ძირითადი ჯიშია რქაწითელი, მას მოსდევს მწვანე (ე. წ. მანავის მწკანე). საბჭოთა მეურნეობის ადგილმდებარეობა მევენახეობის განვითარებისათვის ფრიად ხელისშემწყობია. მას გაფართოებისათვის სათანადო პირობებიც გააჩნია. მაგალითად, ხევს გადმოღმა, თოხლიაურის „სოფლის წყაროს“ სახელწოდების კოლმეურნეობის ჯაგნარი უშუალოდ საბჭოთა მეურნეობას ეკვრის, ამ ფართობის ვენახისათვის ათვისება საუკეთესო შედეგს მოგვცემს.

საბჭოთა მეურნეობის ვენახი ურწყავია. მოსავალს მნიშვნელოვნად გაზრდის რწყვის განხორციელება.

განსხვავებით სხვა საბჭოთა მეურნეობისაგან, მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი მასა ადგილობრივია.

ე ლ დ ა რ ი ს მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე ო რ ნ ე ო ბ ა 1932 წელს მოეწყო. მას 55,6 ათასი ჰა უკავია. აქედან, საძოვრები შეადგენს 44,5 ათას ჰექტარს, ხოლო სახნავი—6,3 ათას ჰექტარს.

მეურნეობა რაიონული ცენტრიდან (რკინიგზიდან) დაშორებულია 40 კილომეტრით. მას შემდეგი საწარმოო განყოფილებები აქვს: მეცხვარეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემინდვრეობის, მეფუტკრეობის, სარძეო ფერმა, მეღორეობისა და მეცხვნეობის ფერმა.

მეურნეობასთან ორგანიზებულია დამხმარე საწარმოები: ავტოტრანსპორტი, საჭანანო ტრანსპორტი, მექანიკური სახელოსნო, ელექტროსადგური და წისქვილი.

საბჭოთა მეურნეობაში 1952 წლის ბოლოსათვის 35,5 ათასი ცხვარი ითვლებოდა, აქედან, ნახევრად ნაზმატყლიანი—7,8 ათასი. ამავე დროს, მეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა რქიანი საქონელი 43ᲖᲚ სული, ღორი—609, ცხენი—295.

საბჭოთა მეურნეობა წყლის ნაკლებობას განიცდის. წყაროს წყალი საბჭოთა მეურნეობის არც ცენტრალურ სადგომში და არც საზამთრო საძოვრებზე არ მოიპოვება ცენტრალური სადგომის გარშემო არსებული მარილიანი წყლების დებიტი მცირეა და მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ცხენებისათვისაც კი არ არის საკმაო, ხოლო ავტოსატრაქტორო პარკისათვის გამოუსადეგარია. მეურნეობა იძულებულია წყალი ზიდოს 15—25 კმ მანძილიდან, კეთილმოუწყობელი სასოფლო გზებით.

საბჭოთა მეურნეობის საზამთრო საძოვრები, გარდა ელდარისა, სამუხის რაიონშიც მდებარეობს, ზღვის დონიდან 250 მეტრზე. ამ საძოვრებზე, დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებიდან, დიდი სიცხეების გამო, ცხვრის ძოვება შეუძლებელი ხდება. ტემპერატურა 45—55°-ს აღწევს მზეში და ბალახის საფარი მთლიანად იწვის.

ძალიან ხშირად, სანამ აქ დაბანაკებული ცხვრის გადარეკვა მოხდებოდეს, საზაფხულო საძოვრებზე, მეურნეობა იძულებულია 15—25 კმ-ს მანძილზე მდ. ივრიდან კასრებით ზიდოს წყალი ცხვრისათვის.

წყლის ნაკლებობას ადგილი აქვს საზაფხულო საძოვრებზეც.

საბჭოთა მეურნეობას ჯერ კიდევ არა აქვს სატელეფონო კავშირი დამყარებული რაიონულ ცენტრთან, ხოლო საავტომობილო კავშირი წყდება ხოლმე ცუდი ამინდის დროს, თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში.

უდაბნოს საცდელი-სასწავლო მეურნეობა საჯიშე მიმართულების არის. მეურნეობა 1926 წ. დაარსდა.

მეურნეობაში ცხვრის სულადობა 1953 წლის 1 იანვრისათვის 11.000-ს უდრიდა. აქედან, სუფთა ახალი ქართული ჯიშის ცხვარი (ა. ნატროშვილის), ე. წ. კუდიანი, ნახევრად ნაზმატყლიანი 2500 სულს უდრიდა, დანარჩენი ნახევრად უხეშმატყლიანებია. მეურნეობაში ერთდროულად მიმდინარეობს, აგრეთვე, ციხმკუდიან ნაზმატყლიანი ცხვრის მომრავლება.

მეურნეობის მიზანია ხელი შეუწყოს ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვრების მომრავლებას და, ამასთანავე გააუმჯობესოს კოლმეურნეთა უხეშმატყლიანი ცხვარი. კოლმეურნეობებზე გადაცემული ცხვრის შედეგების შეისწავლა-დაკვირვებას აწარმოებს საქართველოს სსრ მეცხოველეობის ინსტიტუტი.

მეურნეობა ყოველწლიურად გეგმით 600 სულ ცხვარს აძლევს სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტისა და ყვარლის რაიონებს.

ცხვრის პროდუქტიულობა ძალიან მერყეობა, რაც იმით აიხსნება, რომ დღემდე მეურნეობამ ვერ მოახერხა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. 1952 წელს საშუალოდ ყველა ფარიდან გაზაფხულის ნაპარსი 2 კგ-ს უდრიდა, შემოდგომის—1,5 კგ-ს (უფროსი ასაკის ცხვარი).

ცხვარი მომთაბარეობას ეწევა. ბაგაზე მხოლოდ ზამთრის პერიოდში იმყოფება, ისიც დილა-საღამოს, დანარჩენ დროს გადის საძოვარზე. ზამთრის პერიოდში ცხვარი თივის გარდა კონცენტრულ საკვებსაც ღებულობს. მაგალითად, 1952 წელს ცხვარს 400 ტონა კონცენტრული საკვები მოხმარდა.

მეურნეობა წყლით უზრუნველყოფილი არ არის.

სასმელ წყალს მეურნეობა დიფსიზიდან ეზიდება (ადგილის სახელია), მეურნეობიდან 4.5 კილომეტრის დაშორებით. წყლის ზიდვა ურმებით (ხარის, ცხენის) წარმოებს. კარგი ამინდის დროს, წყალს ავტომანქანებით ეზიდებიან (ცისტერნებით).

მეურნეობა სათანადო ადგილობრივი კადრებით არ არის უზრუნველყოფილი. მოუწყობელი საყოფაცხოვრებო პირობები (ბინა, წყალი, გზა, საშუალო სკოლის არარსებობა და სხვა) მნიშვნელოვნად ხელს უშლის კარგი კადრების შერჩევას.

მართალია უდაბნოს საცდელი მეურნეობის ძირითადი დარგები—მეცხვარეობა და მეძროხეობა რენტაბელურია, მაგრამ მის გვერდით, საჯიშე მეურნეობის რიგი დარგები, როგორიცაა: მეძაღლეობა, მეცხენეობა, მეფუტკრეობა, მეთხეობა, ვირების მოშენება და სხვა, ჯერ კიდევ ზარალიანია, რის გამო, მთლიანად მეურნეობა დოტაციაზე იმყოფება, რაც ჩვენი სამეურნეო განვითარების დღევანდელ ეტაპზე შეუწყნარებელია.

გარდა მეცხვარეობის საჯიშე მეურნეობისა, საქართველოში პირველად ამ მეურნეობას აქვს მოწყობილი მეძაღლეობის ფერმა, სადაც წარმოებს რუსული ძაღლების (Русская псовая) შეჯვარება კავკასიური ჯიშის ძაღლებთან. (Кавказская овчарка). შეჯვარების მიზანია შეაერთოს ორი ნიშანთვისება: ჩვენებური ძაღლის გამბედაობა, ყეფის უნარი, ალღო ცხვრის მოვლისა და რუსული ძაღლის მაღალი ფეხები, სიფრაფე და დიდი ყბა და მიიღოს ახალი ჯიშის ძაღლი—მგლის მჯობი (Собак—волкодавов), რომელიც, ერთი მხრივ, ცხვრის კარგი დარაჯი იქნება და, მეორე მხრივ, შეეძლება ნადირთან ბრძოლა. მეურნეობაში უკვე მიღებულია ათეული ეგზემპლარები ასეთი ჯიშისა; მათი სიმაღლე 88 სანტიმეტრს აღწევს და ახასიათებთ ყველა ზემოაღნიშნული თვისებები (тонкое чутье, резвость, высокоразвитый сторожевой инстинкт)[1].

ცნობილია, რომ მეცხვარეობაში დიდ როლს თამაშობს ვირი. მეურნეობაში ამ მხრივაც წარმოებს ბუშაობა. ხდება ადგილობრივი ჯიშის ვირის შეჯვარება ჰამადანის ჯიშთან. მიღებულია მეტისები, რომელთაც ახასიათებთ ჩვენებური ვირის გამძლეობა და ჰამადანის ვირის ტანის სიდიდე. ამის პარალელურად ხდება, აგრეთვე, ჩვენი ჯიშის ვირების შიგნით, ჯიშობრივი გაუმჯობესება საუკეთესო ეგზემპლარების შერჩევის გზით.

საზაფხულო საძოვრები (ცხრაწყაარო-ბაკურიანი) მეურნეობიდან დაცილებულია დაახლოებით 300 კმ-ით. ცხვარი კარგი ამინდის პირობებში ამ გზას 7—8 დღეში გადის.

---

[1] М. Хускивадзе. Помощники пастухов, газ. „Заря Востока», 1953, № 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვა წარმოებს 5 მაისიდან 15 მაისამდე, ხოლო უკან დაბრუნება იწყება 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

მუხროვანის საერთო საბჭოთა მეურნეობა. როგორც ზემოთ საერთო ნაწილში იყო აღნიშნული, ეს მეურნეობა ფაქტიურად 1953 წელს დაარსდა, მუხროვანის ცხენსაშენი მეურნეობის ბაზაზე.

1953 წლის აგვისტოსათვის მეურნეობას ჰყავდა 70 სული მეწველი ძროხა, ამდენივე დედა ღორი და 133 ცხენი. მეურნეობა ჯერ კიდევ ორგანიზაციის პერიოდში იმყოფება.

გენერალური გეგმით გათვალისწინებულია, მეურნეობას ჰყავდეს 250 სული მაღალპროდუქტიული ძროხა და 90 სულისაგან შემდგარი მეცხენეობის ჯიშსაშენის ფერმა.

მეურნეობას 1369 ჰა ფართობი უკავია. ეს ფართობი 1953 წლამდე ურწყავი იყო. სადღეისოდ, 200 ჰექტარა სამგორის არხი რწყავს. სამგორის არხის მეორე რიგის მოთავებისას, მეურნეობის მიერ დაკავებული მთელი ფართობი სარწყავი იქნება, რაც მას მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფს.

8. წყალთა მეურნეობა

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხში, კერძოდ, მოსავლიანობისა და მოსავლის გაზრდის საკითხში მორწყვის პრობლემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. რაიონის შიგნით, ერთი და იმავე ბუნებრივი პირობების მქონე სარწყავი და ურწყავი ადგილებიდან მიღებული მოსავლის შედარება ცალკეული კულტურების მიხედვით, მორწყვის ეფექტურობაზე აშკარად ლაპარაკობს (ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

ეს კუთხე, საკუთრივ ქიზიყი, ძველთაგანვე განიცდიდა როგორც სარწყავი, ისე სასმელი წყლის ნაკლებობას. ამის შესახებ ნიშნეულად მიუთითებდა ჯერ კიდევ ვახუშტი, შემდეგ ილია ჭავჭავაძე და სხვები. რევოლუციამდელი ქართველი მოღვაწენი, როცა ეხებოდნენ გარე კახეთს, ქიზიყს, შირაქის ველის მორწყვის საკითხსაც კი აყენებდნენ.

ამჟამად მოქმედი გარე კახეთის სარწყავი ქსელი შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება.

გარე კახეთის სარწყავი ქსელის მაჩვენებლები 1953 წლისათვის

რაიონები	სულ არხების სიგრძე კილომეტრებით	რა ფართობს რწყავს (ჰექტრობით)	მათ შორის მარცვლეულ კულტურებს
სიღნაღის	67.2	25.509	17935
წითელწყაროს	„	879	83
კაპოეთის	40	3647	2036
საგარეჯოს	106.9	12498	6752
ს უ ლ .	214.1	42.533	26806

როგორც ცხრილიდან ჩანს, გარე კახეთის სარწყავი არხების ქსელი 1953 წლისათვის 214 კილომეტრს აღწევდა და 42,5 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას უზრუნველყოფდა (იხ. დაიგრ. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწყვა ძირითადად ხორციელდება ალაზნის მთავარი არხით (რწყავს ძირითადად სიღნაღის რაიონის მიწებს და მცირედ წითელწყაროს რაიონის მიწებსაც) და ივრის წყლით (რწყავს საგარეჯოს რაიონის მიწებს).



დიაგრ. 10. გარე კახეთის მორწყული ფართობები ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით (%-ით)

გარე კახეთის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის საკითხში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ბ. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავ სისტემას. როგორც ცნობილია, გარე კახეთის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი სამგორის სარწყავ სისტემაში ხვდება (ორივე რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ). ამ ტერიტორიის ჰავა კონტინენტურია. ატმოსფერული ნალექების სიმცირისა და დიდი სიცხეების გამო, აქ შეუძლებელია მიწათმოქმედების განვითარება ხელოვნური მორწყვის გარეშე [1].



სურ. 7. ალაზნის არხი (სიღნაღის რაიონი)

ეს გარემოება ჩვენი წინაპრების მიერ იმთავითვე იყო შენიშნული და მოსახლეობა ხელოვნური ღონისძიებით ყოველმხრივ ცდილობდა აქაური მიწების სამეურნეო მიზნით ეფექტურ გამოყენებას. ამაკე პერიოდს მიეკუთვნება ცნობები ამ ადგილებში სარწყავი რუების გაყვანის შესახებ.

[1] გ. მ ა მ რ ა ძ ე, გ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის სამგორის სარწყავი სისტემა, თბილისი, 1953, გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგორის მიწების მორწყვის საკითხზე მუშაობა შემდეგ საუკუნეებშიაც არ შეწყვეტილა. ასე, მაგალითად, ამ საქმეში თავის დროისათვის დიდი ზრომა გასწია ერეკლე მეორემ.

სამგორის სარწყავი სისტემის პრობლემის დიდი მასშტაბით პრაქტიკულად გადაწყვეტა—არხის მშენებლობა 1941 წლიდან დაიწყო, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კვლავ განახლდა მუშაობა და 1951 წელს დამთავრდა პირველი რიგის სამუშაოები—სამგორის ზემო მაგისტრალური არხი და თბილისის მარეგულირებელი წყალსაცავი.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მისი ურწყავი, წყალმცირე ფართობების (ივრის ქვემო წელი და სხვა) მეურნეობრივი ათვისებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამგორის სარწყავი სისტემის მეორე რიგის სამუშაოებს.

როგორც ცნობილია, „ზემო სამგორის სისტემის აგებით არ ამოიწურება მთლიანად ე. წ. დიდი სამგორის პრობლემა... ნავარაუდევია ე. წ. „ქვემო სამგორის“ მიწების 40 ათასი ჰექტარი ფართობის მორწყვა ივრის მარცხენა ნაპირზე, საგარეჯოს, კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონებში. ეს სისტემა გაცილებით უფრო ადვილი შესასრულებელია, მოსარწყავი მიწების ვაკე რელიეფის გამო, და უფრო იაფიც დაჯდება, ზემო სამგორის სარწყავ სისტემასთან შედარებით. სულ, ზემო სამგორის ჩათვლით გათვალისწინებულია 90 ათას ჰექტარზე მეტი მიწის მორწყვა. ამ დიდი ფართობის მოსარწყავად გამოყენებულ იქნება ივრის წყლის მთელი წლიური ჩამონადენი, რისთვისაც საჭიროა მისი მრავალწლიური რეგულირება სიონისა და თბილისის წყალსაცავებში [1]“.

სამგორის სარწყავი სისტემა, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი გარე კახეთის ადმინისტრაციულ რაიონებზე მოდის, მნიშვნელოვნად გაზრდის მათ როლს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

სამგორის სარწყავი არხის პირველი რიგის სამუშაოების მოთავებამ საგარეჯოს რაიონში პირველი შედეგები უკვე მოგვცა. მაგალითად, 1952 წლის გაზაფხულიდან ივრის წყლით უკვე ირწყვის სოფელ სართიჭალის ათასი ჰექტარობით მიწის ფართობი. იმატა ამ სოფელში კულტურათა მოსავლიანობამ, გაბზირდა ბაღ-ვენახთა ნარგავები. სოფლის ტერიტორიაზე დასახლდა 500 ახალი ოჯახი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან კეთილმოწყობილი ბინებითა და საკარმიდამო ნაკვეთებით.

მორწყვა, თუ როგორ ეკონომიურ ეფექტს იძლევა, ამას იგივე სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობის მაგალითიც საუკეთესოდ გვიჩვენებს. 1949—1950 წლებში სოფ. სართიჭალის კოლმეურნეობაში ურწყავ მიწებზე მარცვლეულის მოსავალი საშუალოდ შეადგენდა 4—6 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო ყურძნის მოსავალი 15—20 ცენტნერს, ამავე დროს მორწყულ უბნებზე მიღებულ იქნა 70—120 ცენტნერი ყურძენი ყოველ ჰექტარზე და, ამრიგად, ამ კულტურის მოსავალი 5—6-ჯერ გაიზარდა. წინასწარი ვარაუდით ხორბლის მოსავალი მორწყვის შედეგად დაახლოებით 5-ჯერ გაიზრდება და მიაღწევს 20—25 ცენტნერს ჰექტარზე“ [2].

---

[1] იქვე, გვ. 22—23.

[2] იქვე, გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებს, სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი შირაქის ველის მორწყვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ზემო ალაზნის მაგისტრალური არხის აშენებით.

ზემო ალაზნის არხი იქნება ყველაზე დიდი საირიგაციო ნაგებობა საქართველოში. იგი უზრუნველყოფს 100 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას და 50 ათასი ჰექტარის წყლით მომარაგებას. სამგორის მეორე რიგისა და ზემო ალაზნის საირიგაციო სისტემის მშენებლობის განხორციელება აიყვანებს გარე კახეთის სოფლის მეურნეობას.

ამჟამად, გარე კახეთის სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, არტეზიული ჭების მშენებლობას.

გარე კახეთში წყალთა მეურნეობის მდგომარეობა ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ხასიათდება.

სიღნაღის რაიონში მდებარე მიწების რწყვა ძირითადად ალაზნის არხის საშუალებით წარმოებს. მთლიანად ალაზნის საინჟინერო ნაგებობის მაგისტრალური არხის სიგრძე 91,2 კმ-ს უდრის, აქედან, სიღნაღის რაიონზე მოდის 51,2 კმ. ალაზნის არხით სიღნაღის რაიონში ირწყვის ხუთი ძირითადი მასივი (მილარი, ხაშალთეფა, მურაკები, ხირსა და სხვ.). იგი რწყავს ალაზნის ველის მარჯვენა მხარეს მდებარე ანაგის, ვაქირის, საქობოს, წნორის, ბოდბისხევის, ჯუგაანის, ტიბაანის, ძველი ანაგისა და ქვ. მაჩხაანის კოლმეურნეობათა მიწებს.

უკანა მხარის კოლმეურნეობათა მიწების ნაწილი მდ. ივრის არასაინჟინრო სისტემის არხებით ირწყვის.

ალაზნის ველის (მარჯვენა მხრის) მეურნეობრივი ათვისებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს დაჭაობებული ადგილების ამოშრობისა და საერთოდ დამლაშებული ადგილების მელიორაციის საკითხს. დამლაშებული ადგილები, კარდენახიდან მილარამდე (გურჯაანის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები), 22 ათას ჰექტარამდე შეადგენს. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1942 წელს სოფელ ყარაღაჯში მოეწყო ალაზნის საცდელ-სამელიორაციო სადგური[1]. სოფ. ტიბაანის კოლმეურნეობის ფართობზე ე. წ. „ხაშალთეფას“ ჩატარდა ხორბლის თესვა ორგვარ, ე. წ. ჩარეცხილ და ჩაურეცხავ ნაკვეთებზე. რიგმა ნაკვეთებმა ჩარეცხილ ნიადაგზე ჰექტარზე 18—20 ცენტნერი მოგვცა, მაშინ, როდესაც ჩაურეცხავ ნაკვეთებზე ჰექტარზე 4—5 ცენტნერზე მეტი არ მოსულა.

წითელწყაროს მიწები ნაწილობრივ ირწყვის ალაზნის არხის სარწყავი სისტემით. ასე, მაგალითად, 1953 წელს იგი მომსახურეობას უწევდა რაიონის შვიდ კოლმეურნეობას და, აგრეთვე, საქნავთის დამხმარე მეურნეობას. 1953 წელს რაიონის ორ მოწინავე კოლმეურნეობათა—ზემო ქედისა და არხილოსკალოს-ნაკვეთების მოსარწყავად ალაზნის არხის დაბოლოებიდან, სადაც იგი მდინარე ალაზანს უერთდება, დაიწყო სარწყავი არხის გაჭრა. საერთოდ, რაიონში მორწყვის საქმის რაციონალური ორგანიზაცია ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის. ზოგიერთი კოლმეურნეობათა გამგეობა ხშირად მას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს, ამ საქმეში ნაკლებ მუშახელს აბანდებს.

[1] ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხილე: საქართველოს სსრ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროჭიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები 1953 წ. 28—29 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სასმელი და, პირველ რიგში, სამეურნეო მნიშვნელობის (მეცხოველეობის ფერმებისა და მოსარწყავად) წყლით უზრუნველყოფისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს არტეზიული ჭების მოწყობას. უკვე დაგეგმილია და აწ მხრივ სათანადო მუშაობა მიმდინარეობს. თითოეულ კოლმეურნეობას რამდენიმე ჭა ექნება. სულ რაიონში 42 ჭა გაიჭრება.

ნაწილი სოფლებისა სასმელ წყალზე მოთხოვნილებას საქაჩავების მოწყობით იკმაყოფილებს. მაგალითად, არხილოს კალო წყალს ალაზნიდან ღებულობს საქაჩავით. 1954 წ. ექსპლოატაციაში შევიდა შირაქის წყალსაქაჩი სადგური, რომელიც მოეწყო მდინარე ალაზნისა და არტეზიული ჭების ბაზაზე. იგი სტერილიზებულ სასმელ წყალს აწვდის სოფელ ზემო და ქვემო ქედას.

კაჭრეთის რაიონის კლიმატი, საგარეჯოს რაიონთან ერთად, ხასიათდება ცხელი ზაფხულით, რომელიც გვიან შემოდგომამდე გრძელდება.

სარწყავი ფართობების ძირითადი მკვებავი მდ. იორია, ცალკეულ დასახლებულ ადგილებში არსებობს ეგრეთწოდებული პირობითი სარწყავები—ხევის წყლების სახით, რომელთა წყლის დებიტი ბევრად მცირეა მათზე დამოკიდებულ სარწყავ ფართობთა რაოდენობაზე, რაც აძნელებს რწყვის წესიერად ჩატარების საქმეს.

რაიონში არსებული არხების სათავე-ნაგებობანი პრიმიტიულია—არხში წყლის გაშვება წარმოებს ქვა-ფიჩხის ჯებირების მოწყობით, რასაც წყალდიდობის დროს მდ. იორი მთლიანად აზიანებს. სარწყავი არხები გაყვანილია ისეთ ადგილებზე, რომლებიც შედის გამოქარვის ზონაში. თითქმის ყოველ გაზაფხულზე ქარის შედეგად მთლიანად ისილება არხები, რის გამო ყოველწლიურად მოსახლეობას დიდი რაოდენობის სამუშაოს შესრულება უხდება არხების გასაწმენდად.

კაჭრეთის რაიონში მოქმედი ყველა სარწყავი არხი არასაინჟინერო, პრიმიტიული ხასიათისაა. 1953 წლისათვის რაიონში ასეთი შვიდი არხი იყო: ყანდაურის (ყველაზე გრძელი—22 კმ), ჯაფაროღლის, თულარის, მღვრივის, დუზაგრამის, სამანაოს და წმინდა ფშის. ამ არხებიდ საერთო სიგრძე 40 კმ-ზდე აღწევს და 3,6 ათას ჰექტარ მიწას რწყავს.

სხვა ადმინისტრაციული რაიონების მსგავსად, საგარეჯოს რაიონშიც წყალთა მეურნეობის საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

რაიონის მიწები 1953 წლისათვის თერთმეტი არხითა და რუთი ირწყვოდა. აქედან, ერთი საინჟინრო ნაგებობისა იყო (სამგორის), ერთი—ნახევრად საინჟინრო (ნინოწმინდის არხი), ხოლო დანარჩენი ცხრა—პრიმიტიული.

არხებითა და რუებით 12,5 ათასი ჰექტარი ირწყვება. სამგორის არხის გამოკლებით, რაიონში მოქმედი არხებისა და რუების სიგრძე 107 კილომეტრს შეადგენს. რაიონის სარწყავი სისტემიდან აძჟამად უკვე ყველაზე მნიშვნელოვანია სამგორის სარწყავი არხი. მისი მთავარი ნაგებობა და გვირაბი საგარეჯოს რაიონშია, სოფელ პალდოსთან, გომბორის გზაზე. სამგორის არხი ამჟამად რაიონის 3,2 ათას ჰექტარს რწყავს.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ნინოწმინდის ნახევრად საინჟინრო სისტემის არხი. მისი სიგრძე 21 კილომეტრს უდრის და 2800 ჰექტარამდე ფართობს რწყავს. პრიმიტიული არხებიდან გამოირჩევა სამანაოს (17 კმ სიგრძის, რწყავს 2500 ჰექტარს), შიმშილას, საგარეჯოს სოფლის რუ და დუზაგრამის არხები. არსებული პრიმიტიული არხების მოუწესრიგებლობის გამო, რწყვა რაიონის კოლმეურნეობებში ცუდად მიმდინარეობს. პრიმიტიულ არხებს არა აქვს კაპიტალური სათავე-ნაგებობანი, რის გამო, რწყვის პერიოდში, არხის სათავე-ნაგებობათა აღდგენაზე კოლმეურნეობათა დიდი ნაწილია დაკავებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიმიტიული არხები რაიონის მოთხოვნილებას სრულებით ვერ აკმაყოფილებს. როგორც საგარეჯოს, ისე კაჭრეთის წყალთამეურნეობის საკითხის საფუძვლიანი გადაჭრა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზეა დამოკიდებული. როცა ეს პრობლემა პრაქტიკულად განხორციელდება, საგარეჯოს რაიონი, სართიჭალის ზონის გარდა, სამგორიდან მიიღებს ორ მაგისტრალურ არხს, თავისი გამანაწილებლებით, მდინარე ივრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. იგი 5000 ჰექტარზე მეტს მორწყავს. ამ ზონაში მოხვდება კაჭრეთის რაიონიც.

სოფელ საგარეჯოს რაიცენტრისა და სახნავ-სათესი ფართობების წყალდიდობისაგან დასაცავად საჭიროა მდ. თვალთახეთის ნაპირების გამაგრება.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები და ღონისძიებანი

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა-განვითარება მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვს. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია წყალთა მეურნეობის საკითხი. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ გარე კახეთის სოფლის მეურნეობის მომავალი უშუალოდ დაკავშირებულია აქ არსებული დიდი ფართობების მორწყვასთან. ამ საქმეში სამგორის სარწყავი სისტემის მეორე რიგის მშენებლობასთან ერთად, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის გაყვანას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. მისი პრაქტიკული განხორციელება ათიათასობით ჰექტარი მიწის მორწყვასა და გაწყლიანებას გამოიწვევს დიდსა და პატარა შირაქში, ტარიბანაში, ელდარსა და სხვაგან. იგი გარე კახეთს გადაკვეთს საქართველოს პურის ბელღად.

ამჟამად არსებული სარწყავი ქსელის გამოყენებას რაიონის კოლმეურნეობებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ. საყურადღებოა, რომ რწყვაზე დახარჯული შრომადღეები ერთობ მცირე ხვედრითი წონისაა.

სარწყავთან ერთად, სასმელი წყლის ნაკლებობა დღესაც შესამჩნევია მთელ რიგ სოფლებში. წყლით არ არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, თვით ქალაქი სიღნაღი, რაიონული ცენტრი კაჭრეთი, ძველი ანაგა, წნორი, ნუკრიანი, მაღარო, ყარაღაჯი, მელაანი, ყანდაურა, ჯიმითი და სხვა. სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად ბოლო დროს დაწყებული ღონისძიება—ხევებიდან წყლის ამოქაჩვა (მაგ. სოფელ ზემო და ქვემო ბოდბესა და სხვ.) უფრო მეტად უნდა გაიშალოს. წინა მხარეში, წნორის ვაყოლებაზე, ულიანოვკასა და სხვაგან დიდი მნიშვნელობა აქვს არტეზიული ჭების გაჭრას.

კაჭრეთის რაიონშიც ყურადღება უნდა მიექცეს არტეზიული ჭების საკითხს. მაგალითად, საზამთრო საძოვრების ტერიტორიაზე „საბეროში“—არტეზიული ჭის გაჭრამ კარგი შედეგი გამოიღო.

საერთოდ, საკვლევი რაიონის სოფლებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კეთილმოწყობილი წყალსადენის მშენებლობა. კოლმეურნეობათა გამსხვილებამ და ეკონომიურად განმტკიცებამ ამის მატერიალური შესაძლებლობა შექმნა, საჭიროა მხოლოდ ადგილებზე მეტი ინიციატივის გამოჩენა და აგრეთვე ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ ამ საქმისადმი დახმარება და ხელისშეწყობა (მასალებითა და იარაღ-მანქანებით).

სკკპ 1953 წ. სექტემბრის და შემდგომი პლენუმების დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შემდეგ, როგორც ცნობილია, მტს-ების როლი და მნიშვნელობა, კოლმეურნეობათა მომსახურეობის მიმართულებით, არსებითად გაიზარდა. ამ მოთხოვნილებათა შესაბამისად გარე კახეთის მტს-ების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის კეთილმოწყობილი. ეს, პირველ რიგში, ივრის მტს-ზე ითქმის. მტს-ში საჭიროა წყალსადენის გაყვანა, გზის კეთილმოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა—რაიონის ცენტრიდან მტს-ის ტერიტორიამდე, და ბოლოს, მტს-ის ტერიტორიის ელექტროფიკაცია.

უნდა მკვეთრად გაიზარდოს მტს-ის როლი მრავალწლიანი ნარგავების (ვენახის, ბაღის), კარტოფილის, მზესუმზირასა და ბოსტნეული კულტურების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში რომელშიაც ჯერჯერობით ერთგვარ ჩამორჩენას აქვს ადგილი.

გარე კახეთის თითქმის ყველა რაიონში იგრძნობა ორგანიული და მინერალური სასუქის მოვლა-პატრონობისადმი არა საკმაო ყურადღება. ეს იგრძნობა არა მარტო საკოლმეურნეო ნაკვეთებზე, არამედ საბჭოთა მეურნეობებშიც, სადაც ის კიდევ უფრო უკეთ უნდა იქნას დაცული.

გარე კახეთის კოლმეურნეობათა მიწების დაქსაქსულობის ლიკვიდაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა რისთვისაც უნდა ჩატარდეს მიწათმოწყობის სათანადო სამუშაოები. როგორც მიწების, ისე მოსახლეობის კომპაქტურობა დიდად ხელს შეუწყობს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკვლევი რაიონის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებას, შრომადღის ანაზღაურების გადიდებას. საკოლმეურნეო წარმოებაში უფრო ფართოდ უნდა ჩაებას რაიონის ახალგაზრდობა, რომელიც ამჟამად ნაკლებ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ შრომაში. ეს მდგომარეობა, პირველ რიგში, წინა მხარის კოლმეურნეობებშია შესამჩნევი.

როგორც ცნობილია, გარე კახეთის რაიონები, კერძოდ სიღნაღი და, რაც მთავარია, წითელწყაროს რაიონი რესპუბლიკას დიდი როდენობით აძლევს სასაქონლო მარცვლეულს. ამ რაიონების სასაქონლო მარცვლეული ბევრად მაღალი იქნებოდა, რომ მისი მოსავლიანობა წლების მანძილზე მერყეევი არ იყოს. ყოველი ღონისძიებით უნდა გაიზარდოს მარცვლეულის დიდ ფართობზე მყარი და მაღალი მოსავლის მიღება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მაღალპროდუქტიულ კულტურას, როგორც სიმინდია. მისი ფართობისა და მოსავლიანობის გაზრდას. დაბალია, აგრეთვე, მოსავლიანობა ბაღის, ვენახის, მზესუმზირას, კარტოფილისა და ბოსტნეულის.

კულტურათა მოსავლიანობის გაზრდის საკითხი სოფლის მეურნეობის გადამწყვეტი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა სისტემატურად განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიება დაწყებული სათესლე მეურნეობის მოწესრიგებით, გათავებული საირიგაციო სამუშაოთა ჩატარებით. სოფლის მეურნეობის მუშაკთა და ადგილობრივ ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვა კულტურათა მოსავლიანობისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატების აუცილებელი პირობაა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საკვლევი ტერიტორიის რაიონებში ხორციელდება თავისუფალ მიწებზე მცირე მიწიანი რაიონებიდან კოლწევრთა ჩამოსახლება.

წითელწყაროს რაიონის ეკონომიური ათვისებისათვის, მიზანშეწონილი იქნება კიდევ მოხდეს კოლწევრთა ახალი დასახლება. მაგრამ ჩასახლებულთა კეთილმოწყობას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს (მისასვლელი გზა, წყალი, გამწვანება და სხვა).

ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული ღონისძიება მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ—თანაბრად ეხება როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახ-

ლეობას. ამ მიმართებით, ყოველწლიურად მეტი მოცულობით უნდა ბოლოვდებოდეს
ციელდებოდეს რაიონის სოფლების ელექტრიფიკაცია, ამ მხრივ განსაკუთ-
რებით ჩამორჩენილია წიფელწყაროს რაიონი.

გარე კახეთის სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მყარი მოსავლის
უზრუნველსაყოფად, ნათეს-ნარგავების მორწყვისა და სასოფლო-სამეურნეო
სამუშაოთა მექანიზაციის გვერდით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მის
გ ა ტ ყ ე ვ ე ბ ა ს, საკვლევ რაიონში ქარსაცავი ზოლის შექმნა ახლობელი თუ
არა, შორეული მომავლის ამოცანად მაინც რჩება. მხოლოდ მას შეუძლია
არსებითად შეანელოს აქაური ქარების დამღუპველი გავლენა სოფლის მეურ-
ნეობაზე.

სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების მიზნით და საკოლ-
მეურნეო გლეხობის კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველსაყოფად გარე კა-
ხეთის უკლებლივ ყველა რაიონში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ვენახის
ნარგავები. კერძოდ, საკოლმეურეო ვენახების გაფართოების საკითხი უფრო
აქტიურად უნდა დაისვას.

მევენახეობის გვერდით, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მებაღე-
ობას. ასე, მაგალითად, ხირსის მიდამოებში, გედიკის ხევსა და გუმბათის
მეურნეობას შორის, საუკეთესოდ ხარობს ე. წ. ხირსული ატამი.

კ ა ჭ რ ე თ ი ს რაიონში, ივრისპირა სარწყავ ნაკვეთებზე, უნდა გაიზარ-
დოს, ვენახისა და ბაღის ნარგავებთან ერთად, ბოსტნეულ-ბაზჩეული კულტუ-
რები. რაიონის სინამდვილეში, სარწყავი ადგილებისათვის ეს კულტურები
(პამიდორი, საზამთრო, კომბოსტო და სხვა) ბევრად რენტაბელურია, ვიდრე
მარცვლეული კულტურები. მაღლობ, ტყის ზონის კოლმეურნეობებში განსა-
კუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კარტოფილის ნათესების გაზრდას.

კოლმეურნეობები, რომელთაც დიდი რაოდენობით აქვთ ბოსტნეულ-
ბაღჩეულის ნათესები, პირველ რიგში, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ავტო-
ტრანსპორტით, რათა დაუბრკოლებლივ შეეძლოთ თავიანთი პროდუქციის
რეალიზაცია რაიონულ ცენტრში, რკინიგზის სადგურსა და, რაც მთავარია,
თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე. ამ მხრივ, სამომხმარებლო კოოპერაციამ
(ცეკავშირი) კოლწევრთა ჭარბი პროდუქტების შესყიდვა უფრო უნდა გა-
აძლიეროს.

საერთოდ, მებოსტნეობა-მებაღეობა გარე კახეთში თავის სიმაღლეზე
არა დგას. მისგან მიღებული შემოსავალი, ფრიად უმნიშვნელოა. მაშინ, რო-
დესაც ყველა პირობა გვაქვს, რომ მას სიღნაღის, კაჭრეთისა და, განსაკუთ-
რებით, საგარეჯოს რაიონში, კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის მნიშვნე-
ლოვანი წყარო გახდეს.

მეცხოველეობის ბუნებრივი საკვებით უკეთ უზრუნველყოფისათვის მო-
საგვარებელია საძოვრების რაციონალური ორგანიზაციის საკითხიც. აუცი-
ლებელია მეტი ყურადღება მიექცეს საძოვრების მოვლა-გაუმჯობესებას და პრო-
დუქტიულობის გაზრდას, აგრეთვე ბალახეული რესურსების უფრო რაციონა-
ლურად გამოყენებას, ძოვების სათანადო სისტემის განხორციელებით. უპირ-
ველეს ყოვლისა, უნდა ნორმალიზებულ იქნეს შირაქის ველის საძოვართა გა-
მოყენება მათი ნორმალური დატვირთვის საშუალებით და პირუტყვის ძოვე-
ბის პერიოდების მკაცრი რეგლამენტაციით. საკვების რესურსების გაძლიერ-
ება—სილოსის დამზადების მკვეთრი გადიდებით უნდა იქნეს უზრუნველყოფი-
ლი. ამისათვის გარე კახეთის რაიონებს საკმაო შესაძლებლობა მოეპოვებათ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე მიზნისათვის საჭიროა გაფართოვდეს ნათეს ბალახების თესვა, რაც თესლბრუნვის შემოღებასთან არის დაკავშირებული.

მეცხოველეობისათვის მტკიცე ბაზის შექმნასთან დაკავშირებით, საჭიროა აგრეთვე მარცვლეული კულტურების ნათესების ხელოვნურად გადახნული საძოვარ-საბალახოების აღდგენა.

მარცვლეულისათვის ახალი მიწების ათვისებისათვის გამოდევნებამ მარტო კაჭრეთის რაიონში 13 ათას ჰექტარამდე სათიბ-საძოვრების გადახვნა გამოიწვია; ეს ფართობი, არსებული ნორმებით, 70 ათას სულ ცხვარს გამოკვებავდა.

მომავალში, მეცხოველეობის სულადობის შევსება-რეპროდუქცია უნდა მოხდეს საკუთარი რესურსებით და არა გარედან შეძენის გზით. 1952 წელს, ქვემო ქედის კოლმეურნეობამ (წითელწყაროს რაიონი), სულადობის გეგმის შესავსებად (ძროხა, ცხენი, ცხვარი), დიდი თანხა დახარჯა. ეს კი შრომადღეებზე გასანაწილებელ თანხებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

თესლბრუნვის შემოღების, მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმებისათვის ახალი ტიპიური ბინების აშენებისა და მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შემდეგ კოლმეურნეობათა მეწველი, მსხვილფეხა პირუტყვი ძირითადად სტაციონარულ, ბაგურ კვებაზე უნდა იქნეს გადაყვანილი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის პროდუქტიულობას.

მოწთაბარე მეცხვარეობის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია—მწყემსების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი.

ცხვრის ფერმები მწყემსებით უზრუნველყოფილი არაა. ახალგაზრდობა ნაკლებად არის გამოყენებული მწყემსებად. მწყემსების მუდმივი კადრების შესაქმნელად აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე.

მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული რაიონში მოეწყოს თითო-ოროლა საჩვენებელი ფერმა, მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. ფერმებში სულ ათიოდე ადგილას მოწყობილი სამუშაოთა პროცესების მექანიზაციას (ბოდბისხევი, საქობო) მხოლოდ ნაწილობრივი ხასიათი აქვს. იგი მხოლოდ წყლის მიწოდებითა და საკმლის მიტანით იფარგლება. აუცილებელია მეცხოველეობის ფერმებში უფრო ფართოდ დაინერგოს შრომატევად სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია.

აუცილებელია აგრეთვე ცხვრის გასარეკავი ტრასის გაფართოებისა და გზაში მყოფი ცხვრისათვის ნორმალური პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად გადამჭრელი ღონისძიებების მიღება. მაგალითად, წითელწყაროდან ბოგდანოვკამდე, ნორმალურ პირობებში (ძოვით მგზავრობა), საჭიროა 17 დღეიმის გამო, რომ პირუტყვს გზაზე ძოვების საშუალება არა აქვს, იგი იძულებულია ეს მანძილი 8—10 დღეში დააფაროს. 1953 წელს არბოშიკის კოლმეურნეობის ცხვარი იძულებული იყო ეს მანძილი 7 დღეში დაეფარა. ცხვარი ამ პერიოდში მშიერია, გზაში დახარჯულ ენერგიას ვერ ინაზღაურებს, დაცემის შემთხვევები ერთბაშად მატულობს და წველადობაც შესამჩნევად მცირდება. საჭიროა, აღდგეს 1940 წლამდე არსებული ტრასა, როცა ცხვარს გადარეკვის პროცესში ე. წ. გარდამავალი საძოვრები ჰქონდა და ცხვრის ტრასის გასწვრივ საძოვრები მოხნული არ იყო.

რიგი ღონისძიება უნდა გატარდეს უდაბნოს მეცხვარეობის სასწავლო მეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად. მან ისე უნდა ააწყოს თავისი საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანობა, რომ ნაცვლად დოტაციისა, დაგროვებას, მოგებას იძლეოდეს. საჭიროა მეურნეობის ელექტროფიკაცია, რადიოფიცირება და სატელეფონო კავშირის დამყარება თბილისსა და რაიონის ცენტრთან. საჭიროა გზების კეთილმოწყობა და წყალსადენის გაყვანა.

ა. ნატროშვილისა და ვ. ბაძოშვილის მიერ გამოყვანილი ნახევრად უხეში და ნაზმატყლიანი ცხვრების მოსაშენებლად კოლმეურნეობებში ძალიან სუსტად მიმდინარეობს მუშაობა. გარე კახეთის სხვა რაიონებთან ერთად, ეს საქმიანობა უფრო მეტად უნდა გაიშალოს აქ. საჭიროა რესპუბლიკური ორგანოების მიერ უფრო ქმედითი დახმარება ამ საქმეში.

გარე კახეთის რაიონებს საკმაო შესაძლებლობა მოეპოვებათ მეფრინველეობის გაფართოებისათვის ჯერ ჯერობით კი ეს საქმე დიდად ჩამორჩენილია, მოუვლელობის გამო. დიდია წიწილების დახოცვის პროცენტი (ჭლექი და სხვა დაავადება). რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის მიღწევები მეფრინველეობაზე, იმაზე მიგვითითებს, რომ ამ დარგის განვითარების შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად ყველა კოლმეურნეობას აქვს.

დიდია მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ი ს განვითარების პერსპექტივა (მთის ბალახი, მზესუმზირა). ყველა კოლმეურნეობას შეუძლია იყოლიოს, სულ ცოტა, 150-მდე ოჯახი. მთელ რიგ კოლმეურნეობებს ერთი-ორად მეტიც ჰყავს (მაგალითად, სოფ. ქვემო ბოდბის კოლმეურნეობას). საკოლმეურნეო მეფუტკრეობა სათანადო ყურადღების პირობებში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ დამხმარე, საკმაოდ მომგებიანი დარგი უნდა გახდეს.

იგივე უნდა ითქვას მეაბრეშუმეობაზე; ამ დარგის განვითარებისათვის გარე კახეთის ზოგიერთ ნაწილებში მოიპოვება სათანადო წინამძღვრები, მაგრამ ამისათვის საჭიროა გაფართოვდეს თუთის ნარგავების რაოდენობა, მაგალითად, კაჭრეთის რაიონში სხვა რაიონებიდან შემოზიდული თუთის ფოთლით მეაბრეშუმეობის აღმავლობა შეუძლებელია. საჭიროა მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის ახალი ჯიშებით („საქართველო“ და სხვა) შევსება და განმტკიცება.

Г. К. ГУРГЕНИДЗЕ

РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГАРЕ КАХЕТИ

Р е з ю м е

Труд, в основном, разработан на базе материалах, собранных во время экспедиции 1953 г. в районах Сигнахском, Цителцкаройском, Качретском и Сагареджойском. Его цель—дать характеристику развития и размещения сельского хозяйства этих районов и наметить некоторые мероприятия по дальнейшему подъему и этой отрасли в соответствии с постановлениями сентябрского и последующих Пленумов Центрального комитета Коммунистической партии Советского Союза.

В труде освещается вопрос об общем направлении хозяйства, рассмотрены земельные фонды, размещение угодий и изменения происшедшие за годы Советской власти. После общей части дается характеристика основных отраслей сельского хозяйства Гаре Кахети (полеводства, вино-

ეროვნული ბიბლიოთეკა

градарства, плодоводства и животноводства) и рассматриваются вопросы колхозного строительства, трудовых ресурсов и их использования, фондов колхозов, и пр. В отдельной главе рассмотрена работа машинно-тракторных станций Гаре Кахети и их роль в механизации трудовых процессов сельского хозяйства и в деле дальнейшего мощного подъема и развития сельского хозяйства. Отдельно охарактеризованы также совхозы и водное хозяйство. Это последнее, вместе с механизацией сельскохозяйственных работ, имеет решающее значение для подъема сельского хозяйства Гаре Кахети.

Как и внутренний Кахети, Гаре Кахети занимает значительное место в сельском хозяйстве Грузинской ССР Республики. Среди других экономо-географических районов Грузии, Гаре Кахети занимает одно из первых мест по производству зерновых культур и подсолнечника и в отношении виноградарства. Ведущей является она также и по своему животноводству (овцеводства). Она дает в достаточном количестве товарное зерно, продукцию животноводства и вина и почти всю массу подсолнечника республики. На Гаре Кахети приходится более 27% (по данным 1953 г.) площади виноградников всей Кахетии. На нее же приходится наибольшая часть зимних пастбищ республики.

За годы Советской власти определился производственный профиль сельского хозяйства исследуемого района как района широко развитого полеводства, виноградарства и животноводства. Развитие сельскохозяйственного производства района создает сырьевую базу для целого ряда отраслей промышленности Грузинской ССР.

Дальнейший подъем и развитие сельского хозяйства Гаре Кахети требует проведения ряда практических мероприятий. В этом отношении должны быть отмечены:

1. Вопрос водного хозяйства. Можно решительно утверждать, что будущее сельского хозяйства Гаре Кахети непосредственно связано с орошением неиспользуемых здесь больших площадей. В этом деле, наряду со строительством второй очереди Самгорского канала, решающее значение будет иметь проведение Земо Алазанской оросительной системы. Ее практическое осуществление повлечет за собой орошение и обводнение десятков тысяч гектаров земли Ширакской степи, Эльдари и других. Она преобразует Гаре Кахети в житницу Грузии.

Колхозы исследуемого района должны уделять больше внимания вопросам орошения исследуемого района. Достоин внимания тот факт, что трудодни, затраченные на орошение имеют весьма малый удельный вес и план орошения систематически не выполняется.

Наряду с недостатком воды для орошения в целом ряде сел в настоящее время наблюдается недостаток также питьевой воды. Например, водой не обеспечен даже город Сигнахи, районный центр Качрети и пр.

Для обеспечения населения питьевой водой надо еще шире применять практику перекачки воды из рек. В Цинамхаре, вдоль Цнори, Ульяновки и др. большое значение имеет устройство артезианских колодцев.

ЗАКАЗЗЕЧЕН
ЗАРЕГИСТРИРОВАНО

В селах района следует расширить строительство водопроводов, экономика укрупленных колхозов создает для этого материальные возможности.

2. После последних постановлений Пленумов ЦК КПСС, как известно, существенно выросли роль и значение МТС в обслуживании колхозов. Однако оснащенность и благоустройство большинства МТС исследуемого района пока еще не соответствует ставящимся перед ними требованиям. В ряде МТС необходимо провести водопроводы, благоустроить дороги—от районного центра до территории МТС, и, наконец, электрофицировать территорию МТС, построить навесы и т. д. Необходимо ликвидировать имеющееся сильное отставание у МТС в отношении механизации трудоемких работ по многолетним насаждениям (виноградники, сады), по картофелю, подсолнечнику и другим.

3. Не уделяется должного внимания минеральных и органических удобрений почти во всех районах Гаре Кахети. Это ощущается не только на колхозных участках, но и в совхозах.

4. Следует улучшить систему землепользования колхозов в Гаре Кахети (ликвидировать разбросанность колхозных земель Сигнахи, Цителицкаро). Компактность земель и населения будет способствовать улучшению организации труда.

5. Серьезные мероприятия должны быть проведены в области улучшения организации труда в особенности в колхозах Качретского и Сагареджойского районов где выработка трудодней очень низка.

6. В производстве зерновых культур значительно надо увеличить площади под посевами кукурузы, в особенности на поливных участках. Урожайность в настоящий момент низкая что требует резкого улучшения агротехники, принимая во внимание особенности местных условий.

7. Для экономического освоения Цителцкаройского района целесообразно произвести еще новое переселение колхозников из горных районов, одновременно нужно уделить больше внимания устройству переселенцев (подъездные пути, вода, озеленение, электрофикация, радиофикация и пр.).

8. Для обеспечения устойчивого урожая и подъема сельского хозяйства исследуемого района, наряду с орошением пахотных земель и насаждений, и механизацией сельскохозяйственных работ, огромное значение имеет облесение—создание ветрозащитных полос. Только ими можно достигнуть существенного уменьшения вредного влияния местных ветров на сельского хозяйство.

9. Во всех без исключения районах Гаре Кахети необходимо значительно увеличить виноградные насаждения. В частности расширить площади многолетних насаждений, в первую очередь в колхозах, этим увеличатся доходы колхозов и оплата трудодня. Однако необходимо поднять уровень механизации работ, связанных с виноградарством.

10. Овощеводство и бахчеводство Гаре Кахети не стоят на должной высоте. Получаемый от них доход, в общей сумме колхозных доходов, очень незначителен, хотя в Сигнахском, Качретском и особенно в Сага-

ეროვნული ბიბლიოთეკა

реджойском районах имеются все условия для того, чтобы эти отрасли в будущем развились и стали более рентабельными.

11. Подлежит урегулированию также и вопрос рационального использования пастбищ. Уход за пастбищами, их благоустройство и ответственность за это дело были бы значительно улучшены, если бы как внутриреспубликанские так и внереспубликанские пастбища распределялись на более длительные сроки.

Для создания прочной базы животноводства необходимо восстановить пастбища и выгоны искуственно распаханные под зерновые культуры.

12. Пополнение поголовья скота, как правило, должны проводится за счет собственной репродукции стада, а не путем приобретения со стороны. В 1952 г. колхоз Квемо Кеди (Цителцкаройский район) для выполнения плана пополнения поголовья скота (коровы, лошади, овцы) израсходовал один миллион рублей. А это сильно уменьшило суммы подлежащие распределению на трудодни.

13. После постройки новых типовых помещении для крупного рогатого скота и создания прочной кормовой базы, молочно продуктивный скот колхозов исследуемого района в основном, должен быть переведен на стойловое питание.

14. В районах необходимо устроить по одной-две показательной фермы, где будет производиться наблюдения и обмен опытом. Механизация рабочих процессов имеет место всего на нескольких фермах (Бодбисхеви, Сакобо и др.), но и там не носит характера полной комплексной механизации.

15. Наболевшим является вопрос расширения перегонной трассы, овец и создания для них нормальных условий питания при перегонах. Например, при нормальных условиях (питание в пути) для перегона овец от Цителицкаро до Богдановки нужно 17 дней. Вследствие того, что нет возможности питать скот в пути, они вынуждены бывают покрыть это расстояние в 8—10 дней. В это время овцы голодают, затраченная в пути энергия не восстанавливается, вследствие чего падеж скота сразу увеличивается и заметно уменьшается удой. Необходимо восстановить существовавшую до 1940 г. трассу, когда у овец были т. н. переходные пастбища и по трассе перехода овец пастбища не в спахивались.

16. Следует провести ряд мероприятий для того, чтобы учебное овцеводческое хозяйство в Удабно стало целиком рентабельным, оно должно так организовать свою деятельность, чтобы вместо дотации давало бы накопления.

17. Очень слабо в колхозах проводится работа по разведению полугрубошерстных и тонкорунных овец выведенных А. Натрошвили и В. Бадзошвили. В этом деле необходима более реальная помощь со стороны республиканских органов.

18. Весьма отстающим является также птицеводство несмотря на существующие для него возможности очень велик процент гибели цыплят.

ЗАКАВКАЗСКИЙ ФИЛИАЛ

Сильно отстает и колхозное пчеловодство. Оно должно быть увеличено в несколько раз. Тоже самое надо сказать и о шелководстве, развитие которого связано с необходимостью увеличения количества тутовых насаждений. Невозможно «поднять» шелководство за счет питания шелковичных червей завозным тутовым листом как это имело место в 1953 г. в Качретском районе.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს სსრ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები (1953 წლის 28—29 მარტს):
   ა) ა. ბირკაია, ალაზნის ველის მლაშე ნიადაგების ათვისებასთან დაკავშირებული ამოცანები და არსებული სამეცნიერო-კვლევითი ბაზა.
   ბ) გ. ვარატაშვილი, ალაზნის ველის დაჭაობების მიზეზი და მის საწინააღმდეგო ღონისძიებანი.
   გ) ა. ვოზნესენსკი, ალაზნის ველის და დამლაშებული ნიადაგების მელიორაცია და მათი ათვისება.
   დ) გ. ვოინიჩ-სიანოჟენცკი, ალაზნის სარწყავ სისტემაში მდებარე დაჭაობებული ადგილების ამოშრობის ზოგიერთი საკითხი.
2. ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, თბ., 1915.
3. გ. მამრაძე და გ. სვანიძე, ი. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემა, თბ., 1953.
4. ნ. იაშვილი, მევენახეობის გაადგილება საქართველოს სსრ-ში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1947.
5. ვ. მჟავანაძე, საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობას, „კომუნისტი", 1954, № 41.
6. ი. რცხილაძე, კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის და მათი განვითარების პერსპექტივები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი საბჭოს მეხუთე გამსვლელი სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1954.
7. ს. ჩოლოყაშვილი და ი. რცხილაძე, საქართველოს სსრ მევენახეობა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები, თბ., 1940.
8. ნ. ხრუშჩოვი, მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს, „კომუნისტი", 1953, № 218.
9. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიურ-გეოგრაფიული განყოფილების 1953 წლის ზაფხულში მოწყობილი გარე კახეთის ექსპედიციის ხელნაწერი ფონდები (სოფლის მეურნეობა).
10. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მიღებული ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო) თბ. 1953.
11. А. Д. Бучукури, Плодоводство по эконом-Географическим районам Груз. ССР. 947 (фонды института географии).
12. Н. Мордвинов, Успех дела решают люди „Заря Востока", 1954, № 19.
13. И. Т. Рцхиладзе, Виноградарство и виноделие по эконом-географ. районам Груз. ССР 1947 (фонды института географии).
14. М. Хускивадзе, Помошники пастухов, „Заря Востока", 1953, № 208.

ბიბლიოთეკა სახ. სან. სასელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი—ОГЛАВЛЕНИЕ

1. გ. გველესიანი. გარე კახეთის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება 3
Г. Г. Гвелесиани. Общая экономико-географическая характеристика Гаре Кахети 76
2. დ. უკლება. გარე კახეთის ბუნებრივი სიმდიდრეები 81
Д. Б. Уклеба. Природные богатства Гаре Кахети 96
3. ვ. ჯაოშვილი. გარე კახეთის მოსახლეობა და მთავარი დასახლებული პუნქტები 101
В. Ш. Джаошвили. Население и главные населенные пункты Гаре Кахети 129
4. ვ. კაკაბაძე. გარე კახეთის მრეწველობის განვითარება და განლაგება 135
В. С. Какабадзе. Развитие и размещение промышленности Гаре Кахети 151
5. გ. გურგენიძე. გარე კახეთის სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება 155
Г. К. Гургенидзе. Развитие и размещение сельского хозяйства Гаре Кахети 215

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

გამომც. რედაქტორი შ. თ ო ფ უ რ ი ა
კორექტორი გ. ჯ ა ყ ე ლ ი
ტექრედაქტორი ა. თ ო დ უ ა

გადაეცა წარმოებას 20.9.1955; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწ.
დასაბეჭდად 22.12.1955; ქაღალდის ზომა 70×108 1/16
ქაღ. ფურც. 6,875; საბეჭდ ფურც. 18,84; საავტორო
ფურც. 16,32; სააღრ.-საგამომც. ფურც. 16,63;
შეკ. 1483 უე 07693 ტირაჟი 500
ფასი 13 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა წერეთლის ქ. 3/5